



# მაცნე

675-3/  
1974 / 2

ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

4.1974



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
 Отделение общественных  
 наук

თბილისი 1974 თბილისი

419



# МАЦНЕ

ВЕСТНИК



*Серия философии  
психологии  
экономики  
и права*

4.1974



# გაცნე



ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

85951

4.1974

ქ. შარკის ს.პ. სტ. სარ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,  
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი


РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),  
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,  
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прагишвили А. С., Церетели Т. В.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
საინჟინერო-ტექნიკური უნივერსიტეტი

ფ. 20/10

45914

41974





# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ფილოსოფია

ბ. ბაპრაძე, კატეგორიათა გენეზისის კვლევის მეთოდისათვის . . . . .	7
ბ. ბაბაძე, ინდივიდუალფსიქოლოგია . . . . .	20
ბ. ხუციშვილი, ძენონის პარადოქსები და თანამედროვე მეცნიერების ზოგიერთი აქ- ტუალური პრობლემა . . . . .	37
ბ. მარბაქაშვილი, ეთიკის საკითხები პაიდეგეზის ეგზისტენციალურ-ონტოლო- გურ მოძღვრებაში . . . . .	53
ბ. სანაია, ობიექტის არსებობის პრობლემა და მარტივი კატეგორიული მსჯელობა . . . . .	66

## ფსიქოლოგია

დ. ჩარკვიანი, თ. ნონიაშვილი, სოციალური მოვლენის გავლენა შეფასებით მსჯე- ლობაზე . . . . .	94
მ. ბალიაშვილი, სოციალურ განწყობასა და ქცევას შორის არათავსებადობა — სო- ციალური განწყობის შეცვლის პირობა . . . . .	99
ნ. ბარაშიძე, დრო როგორც ადამიანის ქცევის ერთ-ერთი ფაქტორი . . . . .	107
ბ. მირაზიშვილი, ი. სვანიძე, მძღოლის ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციების ცვლი- ლება დადლის გამო . . . . .	119
ბ. მაღრაძე, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი განწყობა და კონფორმულობა . . . . .	132
ლ. შანჩაველი, „განწყობა-ობიექტივაციის“ დინამიკური სტრუქტურა და მნიშვნელობა ავტონომიური სისტემების თვითშემეცნებაში . . . . .	146
ნ. თაბაძე, თანამედროვე მუსიკის აღქმის საკითხისათვის . . . . .	151

## დისკუსია

ა. ფრანგიშვილი, ნუთუ ადამიანის შესახებ მეცნიერული ცოდნის მთელი სისტემა მხოლოდ ემპირიკურია და მეცნიერების კომპენტენციაში არ შედის მთლიანად ადამიანის ბუნების შემეცნება და მის შესახებ სინთეზური თეორიის განვითარება? . . . . .	160
ბ. შუშანაშვილი, ბ. რახელის აზრი ლოგიკისა და ფილოსოფიის ურთიერთობაზე . . . . .	172

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. კვარაცხელია, დენიზა ზუმბაძის ნაშრომი — „დონიხე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“ . . . . .	186
ბიძ. შუშანაშვილი, პ. ელენი, ფილოსოფიური ეთიკა საბჭოთა კავშირში . . . . .	190

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

Г. Л. БАКРАДЗЕ, К методу исследования генезиса категорий	7
В. Л. КАКАБАДЗЕ, Индивидуалпсихология	20
Г. Ш. ХУЦИШВИЛИ, Парадоксы Зенона и некоторые актуальные проблемы современной науки	37
Г. Т. МАРГВЕЛАШВИЛИ, Вопросы этики в экзистенциально-онтологическом учении М. Хайдеггера	53
К. Д. САНАЯ, Проблема существования объекта и простое категорическое суждение	66

### ПСИХОЛОГИЯ

Д. А. ЧАРКВИАНИ, Т. А. НОНИАШВИЛИ, Влияние социального события на оценочное суждение	84
М. С. БАЛИАШВИЛИ, Несовместимость социальной установки с поведением — условие смены социальной установки	99
Н. Х. БАРАМИДЗЕ, Время как один из факторов поведения человека	107
Г. М. МЕРАБИШВИЛИ, И. Г. СВАНИДЗЕ, Изменение психофизиологических функций водителя из-за утомления	119
Г. А. МАГРАДЗЕ, Установка по отношению к определенной социальной группе и конформность	132
Л. Г. КАНЧАВЕЛИ, Динамическая структура — «установка — объективация» и ее роль в самообучении автономных систем	146
Н. Д. ТАВХЕЛИДЗЕ, К вопросу восприятия современной музыки	151

### ДИСКУССИЯ

А. С. ПРАНГИШВИЛИ, Неужели познание целостной природы человека и теоретический синтез в этом направлении не входит в компентацию науки? (по поводу статьи А. Т. Бочоришвили).	160
Г. И. ШУШАНАШВИЛИ, Взгляд Б. Рассела о соотношении логики и философии	172

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

И. И. ҚВАРАЦХЕЛИЯ, Труд Денизы Зумбадзе — «Диониссий Ареопагит и Данте Алигьер»	186
Гер. ШУШАНАШВИЛИ, П. Элен, Философская этика в Советском Союзе	190



## ფილოსოფია

ბიორბი ბაძრაძე

### პატემორიატა გენეზისის კვლევის მეთოდისათვის

შემეცნება პროცესია და არა ერთჯერადი აქტი, ის ცოდნის გაღრმავება თავისი ბუნებით და ამიტომ მას თანდათანობით, პროგრესული ხასიათი აქვს. ეს თანდათანობა გაპირობებულია ობიექტური რეალობის მხარეთა, ნიშანთა, ასპექტთა და ა. შ. სიმრავლით, რომელთაც ადამიანის აზროვნება ერთბაშად, ერთჯერადი აქტით ვერ შეიცნობს. ადამიანი შემეცნების პროცესში თანდათანობით ეცნობა სინამდვილის სხვადასხვა მხარეს. უკვე ეს მდგომარეობა მიგვიბრუნებს გარკვეულ თანმიმდევრობაზე სინამდვილის მხარეთა შეცნობაში. ცოდნის თანდათანობით ცვალებადობასთან ერთად იცვლება სინამდვილის მეცნიერული სურათი. ახალი სურათი, უფრო ხშირად, ძველს სავსებით კი არ უარყოფს, არამედ აფუძნებს მას და ამავე დროს უშატებს რაღაც ახალს. ასე მარტივდება თანდათან სამყაროს მეცნიერული სურათი (ნ. ბორი). ეს თანდათანობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადამიანი ერთი ობიექტის შესწავლისას, ვიდრე თანდათანობით არ შეისწავლის მის ყველა მხარეს, არ გადადიოდეს სხვა ობიექტის შესწავლაზე, ან ვიდრე ამ ობიექტის ერთ მხარეს სავსებით არ შეისწავლის არ გადადიოდეს სხვა მხარის შესწავლაზე; პირიქით, შემეცნების პროცესში, საბოლოო ანგარიშით, ესა თუ ის ობიექტი ან მისი ესა თუ ის მხარე ყოველთვის მხოლოდ შეფარდებითადაა შესწავლილი. თუ გადავავლებთ თვალს მეცნიერების ისტორიას, დავინახავთ, რომ ყოველი ისტორიულად განსაზღვრული შემეცნებითი აქტი, რომელთაგანაც შედგება შემეცნების პროცესი, კემარტების მარცვლებთან ერთად შეიცავს მთელ რიგ ილუზორულ წარმოდგენებს, რომლებიც დაკავშირებულია შემეცნების განვითარების დონესთან, ეპოქის ტენდენციებთან და ა. შ.

ერთ-ერთ უკანასკნელ მოხსენებაში მაქს პლანკი გამოთქვამდა აზრს, რომ შემეცნების პროცესი მიიმართება სამყაროს სურათის განუწყვეტელი დაზუსტებისაკენ, მასში არსებული ელემენტების უფრო მეტად მაღალ და ნაკლებად გულუბრყვილო რეალობაზე დაყვანის გზით; მეცნიერების მიზანი, პლანკის აზრით, სამყაროს ისეთი სურათის შექმნაა, რომელსაც აღარ დასჭირდება შემდგომი გაუმჯობესება და რომელიც ამიტომ იქნება რაღაც საბოლოოდ რეალური; ეს მიზანი არასოდეს არ იქნება და არც შეიძლება იყოს მიღწეული<sup>1</sup>.

ადამიანის მიერ სინამდვილის შეცნობის შესახებ ცნობილი ქართული მეცნიერი კ. მერგილიძე წერდა: «Разрушая и созидая, строя и изменяя вещи, субъект сообщает им свойства, функции и форму рационального существования. Но в этом процессе, оперируя над вещами, субъект вынужден обходить их со всех сторон; должен, по выражению Бэкона, многократно «рассеивать вещи», «анатомировать природу», и, следовательно, вынужден заглядывать в самое нутро вещей и присматриваться к их строению и «поведению»<sup>2</sup>.

1. შემეცნების პროცესის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სინამდვილის სხვადასხვა ასპექტის შესწავლა გარკვეული თანმიმდევრობით ხდება, ხოლო მეცნიერების ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთი და იმავე ასპექტის შესახებ ცოდნა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვაა. მეცნიერების ისტორია ასაბუთებს ვ. ი. ლენინის დებულებას იმის შესახებ, რომ საერთოდ შემეცნების ისტორიაში ისევე, როგორც ცოდნის სხვა-

<sup>1</sup> იხ. მ. პლანკი „ზუსტი მეცნიერების აზრი და საზღვრები“, ჟურნ. «Вопр. философии», № 5, 1958, გვ. 107.

<sup>2</sup> К. Мегрелидзе. Основные проблемы социологии мышления, Тб., 1965, стр. 128.



დასხვა დარგში, არსებობენ გარკვეული საფეხურები, რომელთაც განსაზღვრული თანმიმდევრობით გაივლის ადამიანის აზრი რაიმეს შემეცნების პროცესში. ამ საფეხურების რაოდენობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, აზროვნების განვითარების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვაა; აზროვნების განვითარების პირველ საფეხურზე ცნობიერება ვერ სწვდება მოვლენებისა და საგნების ზედაპირის იქით მდებარე შინაგან კანონზომიერებებს, ამ საფეხურზე შეცნობა ნიშნავს უბრალოდ თვალით დანახვას ან ყურით მოსმენას. ამის დამადასტურებლად შეიძლება მოყვანილი იქნას ენაში შემორჩენილი ისეთი ფორმები, რომელნიც პირდაპირი მნიშვნელობით გრძნობად აღქმავს მიგვიითიბებენ, ხოლო გადატანითი, დღევანდელი მნიშვნელობით უფრო ღრმა, თეორიულ აზროვნებაზე მეტყველებენ; ასეთებია კ. მეგრულიძის მიერ მოყვანილი სიტყვები: „შესმენა“ — „შესმის“; რაც შეეხება სიტყვას „გაიგონე“ (ფუძე — „გონ“ — „გონება“) ის გრძნობად აღქმას (ამ შემთხვევაში სმენითს) აკავშირებს აბსტრაქტულ აზროვნებასთან. განვითარების ამ საფეხურზე სუბიექტისათვის დიდი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო ობიექტის იმ მხარეთა შორის, რომელთაც ჩვენ დღეს მოვლენასა და არსებას ვუწოდებთ; შეიძლება ითქვას, რომ ეს მხარეები პრიმიტივის ცნობიერებაში ერთმანეთს ემთხვეოდნენ.

აზროვნების განვითარებასთან ერთად ადამიანი სინამდვილის უფრო მეტ მხარეებს, ასპექტებს ამჩნევს. ამ ახალი აღმოჩენების პრაქტიკაში დამკვიდრების შემდეგ ჩვეულებრივი ხდება საგნის შემეცნება არა მარტო იმ მხარეებიდან, რომლებიც ადრე იყვნენ ცნობილი, არამედ — ახალი, ახლად აღმოჩენილი მხარეებიდანაც. ამან გამოიწვია ის, რომ ცოდნის განვითარების შედეგად გაიზარდა იმ ასპექტთა რაოდენობაც, რომლებიდანაც იხილავენ ობიექტს. ახალი სიტყვები ყოველთვის აღნიშნავდნენ სინამდვილის ახალი მხარის შეცნობას.

შემეცნების ყოველი კონკრეტულ-ისტორიული აქტის განხილვისას ვხვდავთ, რომ ხდება სინამდვილის გარკვეული მხარეების, ასპექტების შეცნობა. ობიექტური სინამდვილის ასპექტთა შეცნობის თანმიმდევრობა, უზოგადესი სახით, სხვა არა არის რა, თუ არა კატეგორიათა თანმიმდევრობა, კიბე, რომლის საფეხურებიც კატეგორიები არიან. ეს კი კატეგორიათა ურთიერთკავშირის გარკვეული სახეა. ამდენად, სინამდვილის მხარეთა შეცნობის ისტორიული თანმიმდევრობის დადგენა იქნება კატეგორიათა ურთიერთკავშირის ისტორიული ასპექტის დადგენა.

2. შემეცნების ყოველ აქტს გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობა ახასიათებს. მაგრამ დღევანდელი სურათი აზროვნების პროცესისა შემეცნების აქტში არ არის დამახასიათებელი ყველა დროისათვის, პირიქით, აზროვნების დღევანდელი დონე ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ შემეცნების დიალექტიკური თეორიის შექმნა შეუძლებელია შემეცნების ისტორიის გარეშე. აქედან გამომდინარე, შემეცნების პროცესის განხილვა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: ისტორიული და ლოგიკური ასპექტების კვლევის გზით.

ისტორიული ასპექტის კვლევას დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ შემეცნების ლოგიკური გზა განსაზღვრულია მისი (შემეცნების) ისტორიული განვითარებით.

ახსიათებს რა ჰეგელის დიალექტიკას, ვ. ი. ლენინი წერს: „ცნება (შემეცნება) ყოფიერებაში (უშუალო მოვლენებში) აღმოაჩენს არსებას (მიზეზის კანონს, იგივეობას, სხვაობას etc) — ასეთია ზოგადი მსვლელობა ადამიანის მთელი შემეცნებისა მთელი მეცნიერებისა) საერთოდ. ასეთია მსვლელობა ბუნებისმეტყველებისაც, პოლიტიკური ეკონომიისაც (ისტორიისაც). ამდენად ჰეგელის დიალექტიკა არის აზრის ისტორიის განზოგადება“<sup>4</sup>.

3. ლოგიკური და ისტორიული ასპექტების ერთიანობის საფუძველზე კატეგორიათა ურთიერთდაკავშირების პრეცედენტი არსებობს, — ეს არის ჰეგელის სისტემა, მაგრამ ის მომენტი, რომ ჰეგელთან ლოგიკური განსაზღვრავს ისტორიულს, ჩვენთვის მიუღებელია. ჰეგელი წინასწარ იღებს ლოგიკურ სქემას და მას უფარდებს რეალურ ისტორიას, მისი პრინციპი მოკლედ ასე შეიძლება იყოს გადმოცემული: როდესაც ლოგიკურად აუცილებელი ხდება ამა თუ იმ კატეგორიის წარმოშობა, ისტორიულად იქმნება შესაფერისი ფილოსოფიური სისტემა.

პრინციპი იდეალისტურია, მაგრამ თუ გავანალიზებთ მას და შევეცდებით იდეალისტური „ჩენჩოს“ შიგნით დავინახოთ ნამდვილი მნიშვნელობა ამ პრინციპისა, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: ჰეგელისათვის კატეგორიები აბსოლუტური იდეის თვითშემეცნების საფეხურებია; ვ. ი. აბსოლუტი შეიცნობს თავის თავს ჯერ ერთ ასპექტში, შემდეგ მეორე ასპექტში და ა. შ. შემეცნება ხორციელდება სასრულო (ბოლოვადი) სულის საშუალებით, ვ. ი. სინამდვილე შემეცნება ადამიანის მიერ. ეს სურათი წარმოგვიდგენს იმას, რასაც მიხვდა ჰეგელი, მაგრამ დამახინჯებულად წარმოადგენს მისი ფილოსოფიის ქეშმარიტ მინაარსს, გაწმენდილს ისტორიული შეზღუდულობისა და შემთხვევითობისგან.

ვერ დავეთანხმებით ჰეგელს იმაში, რომ ფილოსოფიურ სისტემათა ისტორიული თანმიმდევრობა გაპირობებულია კატეგორიათა ლოგიკური თანმიმდევრობით, ეს იდეალისტური დებულებაა, მაგრამ ვერც ამ დებულების მატერიალისტურად „ფეხზე დაყენებას“ (— ფილოსოფიურ სისტემათა ისტორიული თანმიმდევრობა აპირობებს კატეგორიათა ლოგიკურ თანმიმდევრობას —) დავეთანხმებით. ამ პრინციპით კატეგორიათა თანმიმდევრობისადმი მიდგომა სინდლეს წარმოშობს პირველსავე ეტაპზე. წინასწარ შემუშავებულ სქემის გარეშე ვერ დავადგენთ, თუ რომელი კატეგორიაა საწყისი, პირველი კატეგორია და რომელი მომდევნო, ვინაიდან შეუძლებელია ისეთი ფილოსოფიური სისტემის მოძებნა, რომელშიც არ იქნება მოცემული კატეგორიათა მთელი ჯგუფი. რომელია ამ კატეგორიათაგან პირველი?.. საიდან დავიწყეთ? — ეს საკითხი ღიად რჩება.

ჩამოყალიბებული ცნებითი აზროვნების მქონე ადამიანი პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ეხება, შეიცნობს და მოიაზრებს სინამდვილის ყველა იმ მხარეს, რომელსაც შემდგომ (პირობითად ვთქვათ) არისტოტელე განაზოგადებს კატეგორიების სახით. ფილოსოფიის დასაწყისშივე ცნობილია მთე-

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 325.

ლი რიგი კატეგორიები. არისტოტელეს აზრით, ყოველი სიტყვა გამოხატავს სინამდვილის რომელიმე მხარეს, ეს მხარეები კი (შემდეგ კატეგორიებში განზოგადებულნი) არისტოტელემდეც ცნობილი იყო.

კატეგორიათა რიგის ძებნა ფილოსოფიურ სისტემებში ვერ მოგვეცემს კატეგორიათა თანმიმდევრობით წარმოშობის სურათს: აქ შეიძლება, ერთი მხრივ, შევხვდეთ მრავალ კატეგორიას ერთდროულად, მეორე მხრივ კი, ეხვდებით ზოგიერთი კატეგორიის გაუგებარ უგულებელყოფას.

ფილოსოფიურ სისტემებში შეიძლება ზოგიერთი კატეგორია სპეციალურად იყოს განხილული, ზოგიერთისა კი მხოლოდ ასეთი თუ ისეთი ვაგება იყოს მოცემული; ეს საქმის ვითარებას არ ცვლის: განხილულ კატეგორიათა შორის არ ჩანს თანმიმდევრობა. ვაიხსენოთ არისტოტელეს მიერ განხილული კატეგორიები („მეტაფიზიკაში“, „კატეგორიებში“). რ ა თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა ა მ ა თ შ ი?..

ზოგიერთ ფილოსოფიურ სისტემაში არ არის განხილული ესა თუ ის კატეგორია სპეციალურად, მაგრამ გარკვეული აზრი მათ შესახებ ავტორს აუცილებლად აქვს; როგორ უნდა ჩავთვალოთ ეს კატეგორიები, როგორც უკვე არსებულნი თუ როგორც ისეთნი, რომელნიც მომავალში წარმოიშვებიან, მაშინ, როდესაც მათ მომავალი ფილოსოფოსი განიხილავს?

მეცნიერება რაიმეს შესახებ იქმნება მაშინ, როდესაც დაგროვდება საკმაოდ ცოდნა მის შესახებ. ის შინაარსები, რომელთაც დღეს ვგულისხმობთ ზოგადი სახით, ამა თუ იმ კატეგორიაში, ადამიანის ცნობიერებისათვის ვაცილებით ადრე იყო ცნობილი, ვიდრე წარმოიშვა მოძღვრება კატეგორიათა შესახებ. შემეცნებაში კატეგორიათა წარმოშობა არ ემთხვევა მათზე მოძღვრების წარმოშობას. ფაქტის წარმოშობა და ამ ფაქტზე მოძღვრების წარმოშობა ერთმანეთს რომ ემთხვეოდნენ, მაშინ ლოგიკური აზროვნების დასაწყისი არისტოტელესთან უნდა ვეძებოთ, ხოლო მისი წინააღმდეგი აზროვნება პრალოგიკურად უნდა ჩავთვალოთ, რაც, რასაკვირველია, სწორი არ იქნება.

ამ საკითხის შესახებ პროფ. კ. ბაქრაძე წერს: „იმის შემდეგ, რაც ადამიანი წარმოების პროცესში გამოეყო ბუნებას და მას დაუპირისპირდა, ადამიანი ლოგიკურად აზროვნებს და აზროვნებს ჩვეულებრივი ლოგიკური ფორმებით: ის მსჯელობს, დასკვნებს აკეთებს და პრაქტიკულ ცნებებს ქმნის. დროთა განმავლობაში ეს ფორმები ჩამოყალიბდნენ, გამოიკვეთნენ და მხოლოდ მრავალი ათასეული წლების შემდეგ შეიქმნა მათ შესახებ მეცნიერება. ამ ფორმებით აზროვნებდა ადამიანი იქამდეც, მანამ ამ ფორმებს შეიერთებდა, ისევე როგორც ის სარეგლობდა ბუნების მრავალი კანონით, მანამ ამ კანონს შეიცნობდა“. ასეთი მდგომარეობა ყველაზე კარგად ჰეგელს ესმოდა, როდესაც წერდა:

«Философия всегда приходит к слову слишком поздно для того, чтобы сказать свое слово о том, каков должен быть мир. Философия вступает в дело лишь после того, когда действительность уже закончила и завершила свое формирование»<sup>5</sup>.

ზოგიერთ ფილოსოფოსს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არა აქვს განხილული სპეციალურად ესა თუ ის კატეგორია (ან იქნება ჩვენამდე არ მოაღწია ასეთ განხილვამ?), მაგრამ ამ საფუძველზე არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ეს ფილოსოფოსი არ იცნობს ამ კატეგორიას. ცნობილია ჰეგელის აზრი თალესის შესახებ: თალესს არა აქვს „არხე“, როგორც პრინციპი,

<sup>5</sup> დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 341.

<sup>6</sup> კ. მ. გ. რ. ე. ლ. ი. მ. ს. დასახელებული ნაშრომი, გვ. 362.

თალესს არა აქვს მიზეზის ცნება! — ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თალესი ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიის გარეთ დარჩენილიყო. ჰეგელის წინასწარ აღებულ ლოგიკურ სქემაში თალესი ვერ ჩაეტია!

უნდა აღვნიშნოთ, რომ საწყისის და მიზეზის ცნების უარყოფა თალესის ფილოსოფიაში არ არის გაზიარებული მისი ფილოსოფიის ყველა მკვლევარის მიერ. როგორც პროფ. მოსე გოგიბერიძის, ისე პროფ. სავლე წერეთლის აზრით, თალესი ეძებს ქვეყნის საწყისს, პრინციპს, რომელიც ახსნის სინამდვილის მრავალფეროვანებას და ასეთ პრინციპად მიიჩნევს წყალს. გარდა ამისა პროფ. მ. გოგიბერიძე აღნიშნავს, რომ თალესმა აუხსნა ეგვიპტელებს ნილოსის აღიდების მიზეზები<sup>7</sup>.

თალესს რომ არც ჰქონდეს თავის ფილოსოფიაში მიზეზის ასეთი თუ ისეთი გაგება, ეს ფაქტი არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ეს კატეგორია ადამიანთა აზროვნებაში ამ ფილოსოფოსის შემდეგ წარმოიშვა. ტრადიციულად თალესით იწყებენ არა მარტო ბერძნულ, არამედ დასავლეთევროპულ მეცნიერებას და ფილოსოფიას. ძნელი წარმოსადგენია განვითარების პირველ საფეხურზე მდგომი მეცნიერებაც კი ისეთი კატეგორიების გარეშე, როგორიცაა ზოგადი, აუცილებლობა, კანონი და სხვა. შეუძლებელია გეომეტრიული თეორიების დამტკიცება ზოგადის შესახებ გარკვეული ცოდნის გარეშე. შეუძლებელია ფილოსოფიის არსებობა, ლოგიკის ძირითადი კატეგორიების გარეშე.

ფილოსოფიის ისტორიაში კატეგორიათა თანმიმდევრობის ძებნა სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს, განსაკუთრებით იმ კატეგორიათა თანმიმდევრობის დადგენისათვის, რომელთა მინიმუმიც აუცილებელია მეცნიერების, ფილოსოფიის არსებობისათვის.

4. აზროვნების ფორმათა წარმოშობისა და განვითარების კვლევა გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც საქმე ეხება დამწერლობამდელი აზროვნების განვითარებას. სიძნელე გამოწვეულია ორი გარემოებით 1) ეს პერიოდი ნაკლებადაა გაშუქებული მეცნიერებაში მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით<sup>8</sup>, 2) აღნიშნული პრობლემა მოითხოვს კომპლექსურ კვლევას, რაც მთელ რიგ დისციპლინებში სპეციალური მონაზღაბების გარეშე შეუძლებელია. შეეჩერდეთ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით.

ძირითადი სიძნელე აზროვნების ფორმათა გენეზისის კვლევაში არის კვლევის უშუალო ობიექტის მიუწვდომლობა. აზროვნების ადრეული ფორმე-

<sup>7</sup> იხ. მ. გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, 1940, გვ. 21—23; აგრეთვე: კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი და სხვ. „ფილოსოფიის ისტორია“, თსუ, 1962, გვ. 27—28.

<sup>8</sup> პირველყოფილი კულტურის საბჭოთა მკვლევარი მ. ო. კოსეენი ამის შესახებ წერს:

«Показать, как развиваются знания первобытного человека, было бы заманчивой и благородной задачей. К сожалению, тема эта остается малонаследованной, и мы можем дать на основе этнографических данных только небольшой обзор некоторых знаний создавшихся в первобытном обществе.» (М. О. Косеен. Очерки первобытной культуры. Москва, А. Н., 1957, გვ. 147) ჩვენ რამოდენიმე საეურნალო სტატიის გარდა შეგვხვდა მხოლოდ ერთი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, ისიც უკრაინულ ენაზე: ს. ბ. კრიშკის — „აზროვნების ფორმათა და კანონთა გენეზისი“ 1962, მართალია ჩვენ ხელთაა საქმოდ მდიდარი მასალა პრიმიტიული აზროვნების შესახებ შეკრებილი ცნობილი ეთნოგრაფების ლ. ლევი-პრიუსის, ე. ტეილორის, ფრეზერის, დიუროკეიშისა და სხვათა მიერ, მაგრამ ფაქტების შერჩევაში და მათს ინტერპრეტაციაში გამოვლენილი ტენდენციურობა საშუალებას არ გვაძლევს გამოვიყენოთ ის, როგორც მზა არგუმენტები.



ბის უშუალო კვლევა სავსებით გამორიცხულია. ერთადერთი საშუალება ამ პრობლემის კვლევისა იმ კვალის შესწავლაშია, რაც პირველყოფილმა აზროვნებამ დატოვა. ეს კვალი გაბნეულია სინამდვილის ისეთ სფეროებში, რომელთაც ცალკე სპეციალური მეცნიერებანი სწავლობენ. ამიტომ, რიგი სპეციალური დისციპლინების მონაცემთა ურთიერთშეჯერება არაპირდაპირი, მაგრამ ერთადერთი შესაძლებელი გზაა ჩვენი საკვლევო პრობლემის გადასაწყვეტად. მოსაზრება პრიმიტიული აზროვნების ამ გზით კვლევის შესახებ ანალი არაა და არც რომელიმე მსოფლმხედველობის მეცნიერთა კუთვნილებას წარმოადგენს. კომპლექსური კვლევის მეთოდს იყენებენ როგორც მარქსისტი ისე არამარქსისტი მეცნიერები.

კომპლექსური კვლევის აუცილებლობა საერთოდ არამატერიალისტურ თვალსაზრისზე მდგომ ზიგმუნდ ფროიდსაც აქვს ფორმულირებული:

«Доисторического человека во всех стадиях развития, проделанных им, мы знаем по предметам и утварн, оставшимся после него, по сохранившимся сведениям об его искусстве, религии и мировоззрений, дошедших до нас непосредственно или традиционным путем в сказаниях, мифах и сказках и по сохранившимся остаткам образа его мыслей в наших собственных обычаях и правах. Кроме того, в известном смысле он является нашим современником. Еще живут люди, о которых мы думаем, что они очень близки первобытным народам, гораздо ближе нас, и в которых мы, поэтому видим прямых потомков и представителей древних людей. Таково наше мнение о диких или полудиких народах, душевная жизнь которых приобретает особый интерес, если мы в ней можем обнаружить хорошо сохранившуюся предварительную ступень нашего собственного развития»<sup>10</sup>.

ზემოაღნიშნულის გამო აუცილებელია კვლევის ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევარჩიოთ არაპირდაპირი, მაგრამ სარწმუნო მასალა ჩვენი პრობლემის ირგვლივ. ამ სხვადასხვა ტიპის მასალის ურთიერთშეჯერება საშუალებას მოგვცემს ზოგად ხაზებში აღვადგინოთ ადამიანის აზროვნების განვითარების სურათი:

ა) იმ მეცნიერებათაგან, რომელნიც გვეხმარებიან აზროვნების ფორმათა გენეზისის კვლევაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანთროპოლოგიას. ადამიანის სხეულის აგებულება, მისი თავის ქალას მოცულობა და მდებარეობა, მათი თანდათანობითი ცვლა მეტყველებს რა უძველესი ადამიანის ცხოვრების პირობების ცვლაზე, მისი შრომითი საქმიანობის პროგრესზე, თავის მხრივ მი-

<sup>9</sup> უკანასკნელ დროს ნეოლითის და ბრინჯაოს ხანის ფენებშიც აღმოჩენილია ნაშთები, რომლებიც ძალიან გავს ნეანდერტალელების ნაშთებს. ამ და სხვა საბუთებზე დაყრდნობით ანთროპოლოგთა ერთი ჯგუფი იმ აზრისაა, რომ ე. წ. „პოსტნეანდერტალიდები“ შემორჩენილნი უნდა იყვნენ შედარებით ახლო ისტორიულ წარსულამდე. ამ შეხედულებას იზიარებენ: საბჭოთა ანთროპოლოგი მ. ა. გრემიაკი, პოლონელი კ. სტოლიმკო, ამერიკელი ჩეხი ა. გრელიჩკა, რაც შეეხება ცნობილ ფილოსოფოსს და ისტორიკოსს ბ. პორშენეცს, მისი აზრით, ნეანდერტალელები შემორჩენილნი უნდა იყვნენ ჩვენს დრომდე, ასეთ ცოცხალ რელიქტურ ჰომინიდებს, პორშენეცის აზრით, უნდა მიეკუთვნოს „იეტი“ ე. წ. „თოვლის ადამიანი“, კავკასიური „ალმასტი“ და სხვ. იხ. ბ. პორშენეცის სტატიები ჟურნ. „Вопросы философии“, № 3, 1966, ჟურნ. „Техника молодежи“, № 8, 1936; აგრეთვე ე. კოფმანის სტატია ჟურნ. „Наука и религия“, № 11, 1965.

<sup>10</sup> З. Фрейд. Тотем и табу; Психология первобытной культуры и религии; 1925, стр. 15.

გვეითებებს, თუ რა გზით ხდებოდა იმ ორგანოების განვითარება, რომელთა დაზარალებული რეზერვები შეუძლებელია აზროვნება. დღეს ანთროპოლოგიის მონაცემთა საფუძველზე შეიძლება აღდგენილი იქნას კაცობრიობის ბიოლოგიური განვითარების თითქმის ყველა რგოლი — მეტ-ნაკლები სიზუსტითა და მეტ-ნაკლები დეტალიზაციით. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აგებულების ძირითადი ტიპების განხილვისას ჩვენ ვხედავთ, რომ მათ ზოგადად შეესატყვისება აზროვნების გარკვეული ტიპი. მაგრამ მარტო ადამიანის აგებულების შესწავლა ვერ აგვიხსნის მისი აზროვნების ხასიათს. აგებულება და აზროვნება ერთმანეთს არ განსაზღვრავენ, ისინი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არ არიან. აგებულება მხოლოდ პირობაა გარკვეული აზროვნებისათვის, ორივეს კი ერთი მიზეზი აქვს, — ეს არის შრომის პროცესი.

ბ) განსაკუთრებული მნიშვნელობა აზროვნების განვითარების საკითხის კვლევისას აქვს მატერიალური კულტურის შესწავლას. შრომა როგორც ადამიანის შემქმნელი აფორმებს მას არა მარტო ფიზიკურად (აგებულება), არამედ — სულიერადაც (აზროვნება). ამიტომ შრომის პროდუქტის შესწავლა ყველაზე უფრო საიმედო საშუალებას გვაძლევს ჩავევადოთ მისი ავტორის აზროვნებას. შრომის პროდუქტში ხორციელდება კონკრეტული მიზანი და მასში მატერიალური სახით შემოინახება სუბიექტის გამოცდილება და აზროვნება. უძველესი ადამიანის შრომის იარაღი, მოღწეული ჩვენამდე, წარმოადგენს მისი შემქმნელის განვითარებულ გონებას, ინტელექტს მისი საგნობრივი სახით. კ. მარქსი წერდა: „История промышленности и возникшее предметное бытие промышленности есть раскрытая книга человеческих сущностных сил, чувственно подлежащая перед нами человеческая психология“<sup>11</sup>. არქეოლოგიის მონაცემები საშუალებას გვაძლევენ აღვადგინოთ ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის განვითარების სურათი, ეს კი რეალურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების განვითარების შესასწავლად.

გ) სიტყვა აღნიშნავს ადამიანის მიერ სინამდვილის შეცნობის მხარეს, ამდენად ის, ერთი მხრივ, შემეცნების ნიშანსვეტია, მეორე მხრივ, აზროვნების განვითარების ნიშანსვეტი, — ეს კი ის კვალია, რომელსაც მიეყვართ ცნობიერების განვითარებისდაკვალად უძველესი დროიდან დღევანდლობამდე ყველა ხალხის ენაში, ლექსიკურ ფონდში, ფოლკლორში მრავალადაა შემორჩენილი ადრინდელი აზროვნების კვალი. ენის ისტორია, სიტყვათა ეტიმოლოგია იმის ცოცხალ სურათს გვაძლევს, თუ როგორ აზროვნებდა ადამიანი ძველად. მართალია აქ ძნელია აზროვნების ეტაპების ზუსტი პერიოდიზაცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სხვა მასალასთან შეჯერებისათვის, კომპლექსური კვლევისათვის ენათმეცნიერება და ზეპირსიტყვიერება მნიშვნელოვან მასალას იძლევა.

დ) თუ ადამიანის აზროვნების განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის უშუალო შესწავლა შეუძლებელია, სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ შევისწავლოთ ამ პროცესის ზოგიერთი საფეხური. აქ ვგულისხმობთ იმ ხალხების აზროვნების შესწავლას, რომელნიც ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც კი, ეკონომიკური და კულტურული განვითარებით, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ თანამედროვე ცივილიზაციას. ეს ხალხებია: პოლინეზიელები და მეღანზიელები, ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებნი, ავსტრალიელი

<sup>11</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. III, 1930, стр. 628.

აბორიგენები და სხვ., — რომელთაც არა მარტო სათავგადასავლო რომანტიკის ავტორები, არამედ მეცნიერი-ეთნოგრაფებიც ხშირად ველურებს უწოდებენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეცნიერებაში „ველურის“ ცნება განსხვავებულია ამ ცნების უარყოფით მნიშვნელობისაგან, რომელიც მან მიიღო ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში. ველურობა კაცობრიობის განვითარების გარკვეულ სტადიას აღნიშნავს მორგანის შემდეგ დამკვიდრებული ტრადიციით.

ამ ცნების ერთგვარი განმარტება მოცემული აქვს ცნობილ ეთნოგრაფს ფრიდრიხ რატცელს: „ზოგიერთ ხალხს ჩვენ ველურებს ვუწოდებთ არა იმიტომ, რომ ისინი შესაძლებლად მჭიდრო კავშირში არიან ბუნებასთან, არამედ იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ ბუნების ზემოქმედების ქვეშ. განსხვავება კულტურულ და ველურ ხალხებს შორის უნდა ვეძებოთ არა ბუნებასთან კავშირის ხარისხში, არამედ მის ხასიათში. კულტურა გვათავისუფლებს ჩვენ ბუნების ზემოქმედებისაგან არა მისი უარყოფის მნიშვნელობით, არამედ მასთან უფრო ფართო და მრავალმხრივი კავშირის დამყარების აზრით“<sup>12</sup>.

თანამედროვე ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ხალხები, განსაზღვრული აზრით, წარმოგიდგენენ კაცობრიობის განვითარების შორეულ სტადიებს. ამ ხალხების ცხოვრებაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენს წინაპრებზე. ჩვენ შეგვიძლია ე. წ. „ველური“ ხალხის აზროვნების შესწავლის საფუძველზე დავადგინოთ აზროვნების პროცესის ის ზოგადი თავისებურებანი, რომელიც ახასიათებდა ადამიანის აზროვნებას განვითარების ადრეულ საფეხურებზე. ასეთი ტრანსპოზიციისათვის ჩვენ გვაქვს ობიექტური საფუძველი. აზროვნების ხერხებსა და მეთოდებს ზოგადად განსაზღვრავს შრომის პროცესი. შრომის პროცესი მიზეზია, აზროვნება — შედეგი. მიზეზთა იგივეობა გარკვეულ საფუძველს ქმნის შედეგთა იგივეობის შესახებ დასკვნისათვის. ერთი მხრივ, არქეოლოგია, მეორე მხრივ, ეთნოგრაფია მიერ შეგროვილი მასალის შედარება მოწმობს, რომ კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე შრომის პროცესი თანამედროვე ეკონომიურად ჩამორჩენილი ხალხის შრომის პროცესის იდენტური იყო. ამ იდენტიფიკაციის უტყუარ საფუძველს იძლევა ძველი და თანამედროვე ჩამორჩენილი ხალხების შრომის იარაღების შესწავლა და შედარება.

ამ შედარების შედეგად პროფ. იოჰან რანკე ასეთ დასკვნას აკეთებს: „მასაღამე, ევროპის არქეოლოგიურ ქვის ხანას შეესატყვისება მრავალი არაევროპელი ხალხის ეთნოლოგიურ ქვის ხანა, და ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმ უძველესი დროის ევროპელთა კულტურულ საფეხურზე, თანამედროვე ველურებთან შედარების გზით“<sup>13</sup>.

ე) გარდა ზემომოყვანილი დისციპლინებისა ჩვენი საკვლევი საკითხის ირგვლივ საინტერესო ფაქტიურ მასალას გვაძლევს ფსიქოლოგია. ვიღებთ რადებულებას ფილოგენეზის და ონტოგენეზის ერთიანობის შესახებ<sup>14</sup>, შესაძლებლობა გვეძლევა ბავშვის აზროვნების განვითარების შესწავლის საფუძველზე დავადგინოთ ის ზოგადი კანონზომიერება, რომელიც ახასიათებდა ადამიანის აზროვნების განვითარებას ისტორიულად; კიდევ მეტი: ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება აზროვნების ზოგადი ტიპის განსაზღვრა კაცობრიობის განვითარების გარკვეული საფეხურისათვის.

<sup>12</sup> Ф. Р а т ц е л ь, Нарождение, т. I, СПб, 1902, стр. 14.

<sup>13</sup> И. Р а н к е, Человек, том II СПб, 1902, стр. 475, ამ საკითხის ირგვლივ მკითხველი მდიდარ და ფართოდ ილუსტრირებულ მასალას იპოვის როგორც აღნიშნული შრომის 441 და შემ. გვერდებზე, ასევე ჰელმოლტის შრომის «История человечества» I ტომში, გვ. 107 და შემდგ.

<sup>14</sup> აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბიოგენეტიკური კანონის გაგრძელება ხდება მხოლოდ აზროვნების განვითარების ბიოლოგიურ მხარეზე და არ ეხება სოციალურს.

აზროვნების ამ ტიპის იდენტიფიკაცია აზროვნების ონტოგენური განვითარების რომელიმე საფეხურთან საშუალებას გვაძლევს მოცემული ტიპის აზროვნება უფრო დაწვრილებით შევიწყავლოთ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით.

5. აზროვნების ფორმათა გენეზისის კვლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ნაყოფიერი, თუ მას კომპლექსურად ვაწარმოებთ. იმ კომპლექსში, რომლითაც უნდა მივუდგეთ ამ პრობლემის კვლევის დასახელებული ძირითადი დისციპლინების: ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ენის ისტორიისა და ფოლკლორის, ფსიქოლოგიისა და ეთნოგრაფიის გარდა მთელი რიგი საკითხების გასარკვევად სხვა მეცნიერებთან მოშველიებაც იქნება საჭირო. იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ საიდან წარმოიშვა ადამიანის აზროვნება, რა ბიოლოგიური წინაპირობები უწყობდა ამას ხელს, აუცილებელია ანთროპოიდების შესწავლა; საჭირო ხდება პალეონტოლოგია, ბიოლოგია და ფიზიოლოგია, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ცხოველთა ქცევის პრობლემებს სწავლობს.

როგორც ვხედავთ კომპლექსური კვლევა მრავალმხრივი და რთულია. ეს სირთულე, ერთი მხრივ, თუ გვეზმარება მეცნიერული სიზუსტის დაცვაში, მეორე მხრივ, ართულებს ზუსტ პერიოდიზაციას. საქმე ის არის, რომ ცალკეულ დისციპლინათა პერიოდიზაციის სქემები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე, მაგალითად, თუ ავიღებთ ორ ანთროპოლოგიურ საფეხურს: პითეკანთროპს და ნეანდერტალელს, მათ შორის უაღრესად მნიშვნელოვანი განსხვავების არსებობის მიუხედავად, შეიძლება ერთი ტიპის კულტურა ახასიათებდეთ: აშელის ინდუსტრიის დამახასიათებელია ორივე საფეხურისათვის, მართალია პირველისათვის უფრო პრიმიტიული სახით, ხოლო მეორისათვის — უფრო დახვეწილით. ეს გამოწვეულია იმით, რომ ანთროპოლოგიაში და არქეოლოგიაში (რამდენადაც ეს ეხება ადამიანის განვითარების პირველ საფეხურებს) შეუძლებელია ზუსტი ქრონოლოგიური მიჯნების დადგენა. აქ გამიჯვნა მიახლოებით ხდება და ამ მიახლოების ხარისხი ათეული, ხშირად ასეული ათასი წლების ფარგლებშია. იგივე მდგომარეობა აძნელებს ეთნოგრაფიის მონაცემების ზუსტ ანალოგიას კაცობრიობის განვითარების ამა თუ იმ საფეხურთან.

ამგვარად, ვინაიდან დღეს არა გვაქვს მონაცემები საერთოდ ადამიანის, და კერძოდ მისი ცნობიერების განვითარების ზუსტი პერიოდიზაციისათვის, იძულებული ვართ ვისარგებლოთ ზოგადი მონახაზებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპოლოგთა შორის არ არის ერთი აზრი ანთროპოგენეზის სტადიებად დაყოფის შესახებ<sup>15</sup>. ჩვენ თავს ავარიდებთ ამ სპეციალურ დისკუსიას და მოვიყვანთ პერიოდიზაციის იმ ნიმუშს, რომელიც მიღებულია ანთროპოლოგთა ერთი ნაწილის მიერ და ჩვენი კვლევისათვისაც შესაფერისად მიგვაჩნია.

ანთროპოლოგიაში არის ე. წ. „ორი ნახტომის“ თეორია, ამ თეორიის შინაარსი მოკლედ ასეთია: ანთროპოგენეზში მოხდა ორი თვისებრივი ნახტომი: 1) სოციალური კანონზომიერების გაჩენა და 2) სოციალური კანონზომიერებათა სრული გაბატონება ადამიანთა ცხოვრებაში. პირველი ნახტომი აღინიშნა იარალის წარმოების დასაწყისით; ეს იყო გადასვლა ანთროპოიდიდან ადამიანზე. ეს პერიოდი მოიცავს ანთროპოგენეზის ისეთ ძირითად ტიპებს, როგორი-

<sup>15</sup> ამის შესახებ იხ. ი. ი. როგინსკის სტატია, „О некоторых общих вопросах теории антропогенеза“, ჟურნ. „Вопросы философии“, № 2, 1951; აგრეთვე პროფ. ბ. პორუგინის სტატია, ჟურ. «Вопросы философии», № 3, 1966.

ცაა პითეკანტროპი და ნეანდერტალელი; იგი ქრონოლოგიურად ცხრაჯერ უფრო მეტ წელს მოიცავს. მეორე ნახტომის შედეგად წარმოიშვა თანამედროვე ტიპის ადამიანი და მის პირველ სახედ კრომანიონელს მიიჩნევენ, ეს პერიოდი დაიწყო დაახლოებით ასი ათასი წლის წინ.

ჩვენ მიერ არჩეულ პერიოდიზაციას დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითიც გააჩნია. დავიწყოთ ამ უკანასკნელთაგან. პირველი შეხედვიდანვე თვალში გვეცემა პერიოდიზაციის ზოგადობა: კაცობრიობის განვითარების ერთი მილიონი წელი ერთ საფეხურადაა გაერთიანებული. იმ დროს, როდესაც ანთროპოლოგია ამ პერიოდში არჩევს მრავალ გარდამავალ ფორმას, როგორცაა: პითეკანტროპი, სინანტროპი, ატლანტროპი, ჰეიდელბერგელი, ტელანტროპი, ნეანდერტალელი, პალესტინის ნეანდერტალელი, სტროსელიეს ადამიანი, პოდკუშოკის ადამიანი და სხვა. ცხადია, ამგვარი დეტალიზაცია უფრო სასურველი იქნებოდა, ვინაიდან უფრო სრულად აღადგენდა ადამიანის განვითარების ისტორიას. ადამიანის აზროვნების განვითარების პრობლემისათვის ასეთი დეტალიზაცია და ყოველ საფეხურზე აზროვნების თავისებურების დადგენა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ დღეს ამის საშუალება ჯერ არაა გვაქვს. კომპლექსური კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ კომპლექსში შემავალ სხვა მეცნიერებათა მიღწევები და მათი პერიოდიზაციაც.

მოყვანილი ანთროპოლოგიური დეტალიზაცია კარგავს თავის სიზუსტეს უკვე არქეოლოგიურ მასალით ილუსტრირებისას. ცნობილი საბჭოთა ანთროპოლოგის ი. ი. როგინსკის აზრით, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ აშელის ინდუსტრია, ერთი მხრივ, დამახასიათებელია სინანტროპისა და ატლანტროპისათვის, ხოლო მეორე მხრივ — ნეანდერტალელისათვის.

ჩვენ მიერ აღებული პერიოდიზაცია საშუალებას გვაძლევს, რომ უფრო სრულად მოვახდინოთ ანტროპოლოგიისა და არქეოლოგიის მასალებთან ერთნოვარადობისა და ფსიქოლოგიის მასალის შედარება. ფსიქოლოგები არჩევენ აზროვნების სამ სახეს, სამ ზოგად ტიპს: პრაქტიკულ აზროვნებას, ხატოვან აზროვნებას და ცნებითს აზროვნებას<sup>16</sup>. ჩვენს პერიოდიზაციაში ეს სამი ტიპი შემდეგნაირად განლაგდება: პრაქტიკული აზროვნება — პირველ ნახტომამდე, დამახასიათებელია ანთროპოიდებისათვის; ხატოვანი აზროვნება ზოგად მონახაზებში პირველი ნახტომის შემდეგ, ე. ი. პირველ პერიოდში, პითეკანტროპიდან ნეანდერტალელამდე; ცნებითი აზროვნება — მეორე ნახტომის შემდეგ ე. ი. მეორე პერიოდში. ეს ზოგადი დეტალიზაცია საშუალებას მოგვცემს ადამიანის ცნობიერების განვითარებაში გამოვყოთ ძირითადი ეტაპები ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევისათვის; რაც შეეხება ზოგიერთი მეცნიერების იმ მონაცემს, რომელიც უფრო ზუსტი დეტალიზაციის საშუალებას გვაძლევს, მისი გამოყენება ხერხდება ამ დიდი პერიოდების შიგნით, მაგრამ სხვა მეცნიერებათა მონაცემებით მისი დიფერენცირებული გადამოწმება ძნელდება. ამ მასალის დახმარებით ნაკლებად ზუსტი, მაგრამ მაინც საგულისხმო დასკვნების გაკეთება შეგვიძლია.

6. გადაწყვეტას მოითხოვს საკითხი: კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ი ა თ უ ა რ ა კ ა ტ ე გ ო რ ი ა თ ა თ ა ნ მ ი მ დ ე ე რ ო ბ ი ს ძ ე ბ ნ ა პ რ ი მ ი ტ უ ლ ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა შ ი? პირველი შეხედვით, მართლაც უცნაურია კატეგორიათა ძებნა იქ, სადაც არამც თუ უზოგადესი ცნებები, არამედ მეტად თუ ნაკლებად

16 იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 365 და შემ.

ზოგადი ცნება, და კიდევ მეტი, თვით განზოგადების პროცესიც კი უცნობია. როგორც ცნობილია, ცნებითი აზროვნება იმით განსხვავდება სხვა სახის აზროვნებისაგან, რომ მისი ოპერაციები ცნებების საშუალებით სწარმოებს. ხატოვანი აზროვნება, რომ არაფერი ვთქვათ პრაქტიკულზე, არ იცნობს ცნებას. ხატოვანი აზროვნება, წერს პროფ. დ. უზნაძე, თავისი განვითარების ძირითად საფეხურებზე მინიც, კატეგორიალურ აზროვნებას არ წარმოადგენს. იგი უფრო პრეკატეგორიალურია<sup>17</sup>. ეს ფაქტი დადგინდა მას შემდეგ, რაც ეთნოგრაფებმა აღმოაჩინეს ჩვენი აზროვნების სტრუქტურისაგან განსხვავებული სტრუქტურა. დიურკჰეიმმა და ლევი-ბრიულმა ამ აზროვნებას პრალოგიკური უწოდეს. ლ. ლევი-ბრიული პირველყოფილი ადამიანის აზროვნებას მთლიანად წარმოგვიდგენს როგორც ვანდგომილს სინამდვილის ობიექტური კანონზომიერებისაგან, როგორც ისეთ რაიმეს რაც ცდისათვის მიუღწეველია. ამ აზროვნებას არ ახასიათებს მოვლენათა შორის ობიექტური კავშირის დაკვირვებიდან გამომდინარე დასკვნები, მას თავისებური მისტიკური ცდა ახასიათებს<sup>18</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არავითარი „ცდისათვის მიუღწეველი აზროვნება“, ე. ი. ისეთი აზროვნება, რომელიც პრაქტიკული მოღვაწეობით არ იყოს გაპირობებული, არასოდეს არ არსებობდა. მიუხედავად ამისა პრეკატეგორიალური აზროვნების არსებობა — ფაქტია. როგორ ხერხდება აზროვნება კატეგორიების გარეშე? რა გზას მიმართავს ხატოვანი აზროვნება იქ, სადაც ჩვენ ძირითად მიმართებებთან გვაქვს საქმე? (დ. უზნაძე). უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ხატოვანი აზროვნება, ისევე როგორც ცნებითი აზროვნება, ადამიანის აზროვნებაა, მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი განსხვავებისა, რომელიც მათ შორისაა. აუცილებელია არა მათი გამიჯვნა, არამედ — მათ შორის კავშირის აღმოჩენა.

ფრ. რატელი წერს: „საქმე — ხარისხობრივ განსხვავებაშია; კაცობრიობის ერთ ნაწილს შერისიდან უფსკრული კი არ გამოყოფს, არამედ განვითარების საფეხურები. ამიტომ ხალხმცოდნეობის უპირველესი ამოცანაა მათ შორის არა განსხვავების ჩვენება, არამედ გადასვლებისა და შინაგანი კავშირებისა, რადგანაც კაცობრიობა მთლიანობაა, თუმცა რთული შედგენილობისა“<sup>19</sup>. ძველი გერმანული ტომები და გალები არანაკლებ დატყანი ჩანდნენ კულტურულად რომის კულტურასთან შედარებით, ვიდრე ჩვენ გვეჩვენებინ პოლინეზიელები.

შემეცნება, ყოველთვის სინამდვილის შემეცნებაა. როგორი ტიპისაც არ უნდა იყოს აზროვნება (მით უმეტეს პრიმიტიული), ის სინამდვილეს ერთგვარადი აქტით ვერასოდეს ვერ შეიმეცნებს. აქედან გამომდინარე, შემეცნების საფეხურების არსებობა დამახასიათებელია არა მარტო ცნებითი აზროვნებისათვის არამედ აზროვნების ყველა ტიპისათვის. ცნებითი აზროვნებისათვის ეს საფეხურები კატეგორიებია. ხატოვანი აზროვნების პირობებში აუცილებლად უნდა არსებობდეს კატეგორიათა შესაბამისი ფუნქციონალური ეკვივალენტები. ყოველივე რაც ითქვა აზროვნების ფორმებზე, ეხება აგრეთვე აზროვნების მეთოდებსაც. აზროვნების ზოგადი კანონზომიერება საერთოა აზროვნების ყველა ტიპისათვის, ის შეიძლება სხვადასხვანაირად ვლინდებოდეს კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, მაგრამ მისი არსება ერთი იქნება ყველგან. ცნობილია ეთნოგრაფი ე. ტეილორი წერს: „ვარაუდი რომ გონებ-

<sup>17</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 377.

<sup>18</sup> იხ. Л. Леви-Брюль, Первоыбитное мышление, „Атеист“, 1930, стр. 383.

<sup>19</sup> Ф. Ратцель, Народоведение, т I, чтр. 4.

2. „მაიენა“, ფილოსოფიის, სერია, 1974, № 4



რივი განვითარების კანონები განსხვავებული იყო ავსტრალიასა და ინგლისში გამოქვაბულის მობინადრეთა დროს და რკინისაგან სახლების აგების დროში, იმ ვარაუდზე უფრო საფუძვლიანი არ არის, თითქოს ქიმიურ შენაერთთა კანონები ქვანახშირის ხანაში სხვა ყოფილიყოს, ვიდრე ესაა<sup>20</sup>.

სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია კ. მეგრელიძის მოსაზრება, წამოყენებული ლ. ლევი-ბრიულის კონცეფციის საწინააღმდეგოდ: „Леви-Брюль полагал, что примитивное сознание воспринимает и видит так же, как и мы, но думает иначе. А мы говорим, что человек палеолитической эпохи не только думает, но и воспринимает и видит иное, чем мы, несмотря на то, что смотрит и слушает таким же физиологическим аппаратом, как мы“<sup>21</sup>.

განსხვავება აზროვნების ტიპებში იმან გამოიწვია, რომ აღქმა სხვადასხვაგვარი იყო განსხვავებულ ეპოქებში. აღქმის განვითარების ფაქტი დღეს დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. აქედან გასაგები ხდება, თუ სხვადასხვა ეპოქაში საგნები სხვადასხვანაირად აღიქმებიან და მოიაზრებიან, მაშინ სხვადასხვა ეპოქების აზროვნებაც სხვადასხვა ტიპს უნდა მიეკუთვნოთ. მართალია, ხატოვან აზროვნებას კატეგორიები არ გააჩნია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის პრალოგიკური იყო. კატეგორიები ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილან, მათი გენეზისის კვლევას ჩვენ პრეკატეგორიალურ აზროვნებად მივყევართ. ამ ტიპის აზროვნებაში კი ჯერ შესაძლებლობის, ხოლო შემდეგ ჩანასახის სახით მოცემულია თითქმის ყველა ის ძირითადი კატეგორია, რომლითაც ჩვენ დღეს ვსარგებლობთ.

პრიმიტიულ აზროვნებას არ ახასიათებს ის ლოგიკური მეთოდებიც, რომელთაც ჩვენ აბსტრაქტირებას და განზოგადობას ვუწოდებთ. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს პრიმიტიული აზროვნება არ ახდენდეს მსგავს ოპერაციებს. უკვე ის ფაქტი, რომ პრიმიტივს გააჩნია მეტყველება, მიუთითებს განზოგადების აუცილებლობაზე; ყოველი სიტყვა განზოგადებას გულისხმობს (ლენინი). საქმე იმაშია, რომ პრიმიტივის მიერ ეს ოპერაციები სხვანაირად სრულდება, ფუნქციონალურად კი იგივე როლს ასრულებენ მის აზროვნებაში.

პრიმიტიული აზროვნება ასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვაფერ საგანს, მიუხედავად იმისა, რომ ფერის ცნება არა აქვს. ფერის ცნების შემუშავებისათვის აუცილებელია მისი გამოყოფა საგნისაგან — აბსტრაქტირება, — რასაც პრიმიტივი ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა ის სავსებით სწორად უწოდებს შავ საგანს შავს, ხოლო წითელს — წითელს. ბისმარკის კუნძულების მცხოვრებთა აზროვნების შესწავლის შედეგად ნათელი ხდება შემდეგი: პრიმიტივი შავ საგანს უწოდებს „ოტკოტ“-ს, რაც ამავე დროს „ყვავის“ ნიშნავს, ხოლო წითელს — „გაბ“-ს, რაც „სისხლს“ ნიშნავს, მას ნიშნის ცნება კი არა აქვს, არამედ მის ნაცვლად იყენებს სახელწოდებას ისეთი საგნისას, რომელშიც წინა რიგშია წამოწეული ეს ნიშანი; უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს ნიშანი თვალში გვეცხმა პირველი შეხედვისთანავე. აბსტრაქტირების ეს ფუნქციონალური ეკვივალენტი ფიგურაციას წარმოადგენს: საგნის ერთ-ერთი ნიშანი ფიგურაა, ხოლო დანარჩენი — ფონი. მსგავს მოვლენას ვხვდებით ზოგიერთი მიმართულების მოაზრებისასაც. იგივეობის მიმართება პრიმიტივისათვის დამყარებუ-

<sup>20</sup> Э. Тейлор. Первобытная культура, Соцэкгиз, 1939, стр. 92.

<sup>21</sup> გ. მეგრელიძე, დასახელებული შრომა გვ. 220.

ლია ძირითადად ზედაპირული ნიშნების მსგავსებაზე. ეს იმის გამო ხდება, რომ მისთვის აღქმის ფსიქიკური შინაარსი (ფორმა) და თვით ეს საგანი (საგნის არსება) ერთმანეთისგან არაა განცალკევებული. ამ საფუძველზე დადგენილი იგივეობა, ცხადია, ნამდვილ იგივეობად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად ამისა პრიმიტივის აზროვნებაში მისი იდენტიფიკაცია იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ჩვენსაში იგივეობის კატეგორია. პრიმიტიულ აზროვნებას მიზეზობრიობის გარკვეული ეკვივალენტიც გააჩნია: საგნის მიზეზი არის ის, რამაც ის შექმნა.<sup>22</sup>

ამრიგად, ზოგადი მიმოხილვითაც კი შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ პრიმიტიულ აზროვნებაში უკვე არის აზროვნების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც ცივილიზებული აზროვნების ფორმების და მეთოდების ფუნქციებს ასრულებენ. ამ ფორმებს და მეთოდებს ფუნქციონალურ ეკვივალენტებს უწოდებენ. როდესაც აქ ვხმარობთ ეკვივალენტის ცნებას, მის ქვეშ მართო ტოლფასს, შემცვლელს არ ვგულისხმობთ. ეკვივალენტს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ის ჩანასახია მომავალი ფორმისა თუ მეთოდისა, რომელიც სრული სახით ცნებითს აზროვნებაში გამოვლინდება.

მ. პლანკი ერთ ადგილას წერს: „მეცნიერული აზროვნება ყოველდღიურ აზროვნებისაგან თვისებრივად კი არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ დეტალიზაციის და სისრულის ხარისხით, ისევე როგორც მიკროსკოპის სიძლიერე შეუიარაღებელი თვალის სიძლიერისაგან“ და შემდეგ ადარებს რა სინამდვილის შემეცნებას ბავშვის მიერ, და სინამდვილის მეცნიერულ შემეცნებას, მათ შორის მხოლოდ რაოდენობრივ განსხვავებას პოულობს.<sup>23</sup>

ზოგადად იმავეს თქმა შეიძლება პრიმიტიული და ცივილიზებული აზროვნების შესახებ.

აქედან გამომდინარე, კატეგორიათა ისტორიული რიგის დადგენისას, დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ფუნქციონალური ეკვივალენტების გენეზისს. ჩვენი აზრით, ეს ფუნქციონალური ეკვივალენტები სწორედ ის ჩანასახებია საიდანაც შემდეგ კატეგორიები განვითარდნენ. მათს კვლევას აზროვნების საწყისებთან მივყავართ.

<sup>22</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 373—374, 379—380.

<sup>23</sup> მ. პლანკი, დასახელებული სტატია, გვ. 104—105.

ვიტალი კაკაბაძე  
ინდივიდუალფსიქოლოგია  
(აღფრედ ადლერი)

ინდივიდუალფსიქოლოგია, გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ცნობილია როგორც სიღრმის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თეორია. მე-20 საუკუნის დასაწყისში ა. ადლერი (1870-1927) წ. ფროიდის ფსიქოანალიზის მიმდევარი და დამცველია. 1911 წელს ის ეთიშება ფსიქოანალიზურ მიმდინარეობას და აარსებს „თავისუფალი ფსიქოანალიზის წრეს“, რომელსაც მალე „ინდივიდუალფსიქოლოგიის წრე“ ეწოდა<sup>1</sup>.

ა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია (Individualpsychologie) — საპირისპიროდ ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა (individuelle Psychologie) — სპეციფიკურ ვითარებას გულისხმობს<sup>2</sup>. იგი განსხვავდება იმ შინაარსისაგან, რომელიც იგულისხმება ვ. ვუნდტის ცნებაში „ინდივიდუალური ფსიქოლოგია“<sup>3</sup> ის არც ა. ბინესა და ვ. ანრის „ინდივიდუალური ფსიქოლოგიის“ (ასევე ვ. შტერნის „დიფერენციალური ფსიქოლოგიის“) ეკვივალენტურია<sup>4</sup>. ა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია პირველად ბუნების ცხადყოფას ეხება. პიროვნება, ავტორის მიხედვით, მთლიანია, განუყოფელია, in-dividuum-ია, სწორედ აღნიშნული ვითარებაა ასახული ტერმინში — ინდივიდუალფსიქოლოგია. მაშასადამე, ინდივიდუალფსიქოლოგია შინაარსობრივად არის მთლიანის, დაუნაწევრებლის ფსიქოლოგია. პიროვნება რომ მთლიანია, ინდივიდუალა ეს იმასაც ნიშნავს, რომ იგი განუყოფელია და, ამ აზრით, ინდივიდუალური. ა. ადლერის პერსონალისტური კონცეფციის ძირითადი ცნებებია: ნაკლავანების გრძნობა, კოლექტიურობის გრძნობა, ცხოვრების სტილი, სრულყოფისაკენ სწრაფვა, კომპენსაცია, აღნიშნული ცნებებით ავტორი ცდილობს პიროვნების იმ ასპექტით დახასიათებას, რომელიც, შიში რწმენით, მეცნიერებისათვის ჭერ კიდევ ხელუხლებელი იყო.

ადლერის გაგებით, სული სიცოცხლის ნაწილია და ატარებს სიცოცხლის მოძრავ სტრუქტურას. სულიერი ცხოვრების დინამიკა მიზანს ეფუძნება, ამიტომ „სულიერი ცხოვრების ყველა მოვლენა უნდა გაგებული იქნას ვითარცა

<sup>1</sup> ადლერი ფსიქოანალიზურ მიმდინარეობას აქტიურად დაუკავშირდა 1902 წ. ფროიდთან განხეთქილება საბოლოოდ მოხდა ფსიქოანალიზის ძირითადი დებულებების კრიტიკით, რაც ა. ადლერმა ვადმოსცა მოხსენებაში: „Zur Kritik der Freud'schen Sexualtheorie des Sellenbens“ რომელიც მიზნად ისახავდა დაესაბუთებინა თეზისი: სექსუალობა არაა საწყისი ვითარება, იგი ნაწარმოები მოვლენა; მას საფუძვლად უდევს პიროვნების სწრაფვა ღირებულებისაკენ.

<sup>2</sup> ადლერის ტერმინი Individualpsychologie ქართულად უნდა დაიწეროს ასე: ინდივიდუალფსიქოლოგია (ისევე როგორც გერმანული Gestaltpsychologie ქართულად იწერება ვეშტალტფსიქოლოგია) და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგია, — მთ შორის არსებითი შინაარსობრივი განსხვავების გამო. ეს ვითარება სწორადაა გათვალისწინებული ადლერის ერთ-ერთი სტატიის ქართულ თარგმანში, რომელიც დაბეჭდვად უნდა იქნას რედაქტორობით გამოსულ „დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობაში“ (თბილისი, 1935 წელი) და ეკუთვნის ვრ. ა. ბ. შ. ი. ძ. ს. რუსულ ლიტერატურაში ყველგანაა ნახმარი არასწორად — индивидуальная психология.

<sup>3</sup> ვილჰელმ ვუნდტის „ინდივიდუალური ფსიქოლოგია“, თანამედროვე ტერმინოლოგიით, „ადამიანის ზოგადი ფსიქოლოგია“.

<sup>4</sup> ადლერე ბინესა და ვიქტორ ანრის მიხედვით, „ინდივიდუალური ფსიქოლოგია“ როგორც ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგი, სწავლობს ადამიანებში ფსიქიკური პროცესების ინდივიდუალურ განსხვავებულობას.

მიზნისათვის წინასწარ მომზადება<sup>5</sup>. ავტორი თვლის, რომ ახალ ფსიქოლოგიაში ფსიქიკური სინამდვილის მიმართ ტელეოლოგიური თვალსაზრისის გატარება მისი დამსახურებაა; არ არსებობს სხვა ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელსაც მეტი და არსებითი ეთქვას სულიერი ცხოვრების შესახებ, ვიდრე ინდივიდუალფსიქოლოგიას აქვს გამოთქმული ლაბიარული ფორმით — სულიერი ცხოვრების ნიშანია მიზანსწრაფვა<sup>6</sup>. ეს საქმის ვითარება, ჩვენი ავტორის მიხედვით, ქმნის მყარ საფუძველს სისტემის აგებისათვის და ის საკუთარ კონცეფციას — ინდივიდუალფსიქოლოგიას — აღნიშნული საფუძველიდან აღმოცენებულად თვლის. აღლერს მიაჩნია, რომ ინდივიდუალფსიქოლოგია გასცილდა „აღწერითი სულისმეტყველების მკვდარ წერტილს“. სხვადასხვა მიმართულების ფსიქოლოგიები შემეცნებით ინტერესებს მიმართავდნენ და მიმართვენ სულიერი ცხოვრების ცალკეული ფუნქციებისაკენ: პერცეფცია, მესხიერება, აზროვნება, ინსტიქტი და ა. შ. ინდივიდუალფსიქოლოგიის პრინციპული ხასიათის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ცალკეული სულიერი ფუნქციების არსის ცოდნა. ამიტომ ეს უკანასკნელი არც შემოდიან მის კვლევა-ძიების სფეროში. სხვასთან კავშირის გარეშე თავის თავიდან შემეცნებული სულის შინაარსები არ იძლევიან საშუალებას, გვწვდეთ ინდივიდუალური, განუმეორებელი პიროვნების გამოცანას. პიროვნების არსის წვდომისათვის სხვა გზა უნდა იქნეს დასახული. ეს გზა წარმოადგენს ცხოვრების პრობლემებისადმი პიროვნების მიმართების გათვალისწინებას. ინდივიდუალფსიქოლოგიის თემაა თავისებურად სტილიზებული ინდივიდის გარემოსადმი მიმართულ აქტებში განხორციელებული დამოკიდებულება<sup>7</sup>.

აღლერის კონცეფციის მიხედვით, ფსიქიკა წარმოადგენს მიზანდაქვემდებარებულ მოძრაობას. სულიერი ცხოვრების გამოვლენის ყოველი ფორმა მიზნისაკენ სწრაფვის მომენტს ასახავს. სულიერი მოძრაობის ყოველი მომენტი მთლიანობის მომენტია და იგი მხოლოდ მაშინ გაიგება და საზრისიანობის ნიშანს მიიღებს, როცა გააზრებული იქნება ამ მთლიანობის სტრუქტურის ნაწილად. ნიხ-ნი შეიძლება ცნობიერებას მოკლებული იყოს. სულიერი ცხოვრებაში შემოქმედია ძალა, რომელიც თვითონ სიცოცხლის ძალის იდენტურია. „სიცოცხლე — ეს არის თვითგანითარება“. ადამიანის მიზანი აღმოცენდება შემოქმედი ძალისაგან ანუ მესაგან და ემსახურება სოციალური სინალების დაძლევის, გადალახვის საქმეს. პიროვნების მიზანი საერთოდ სრულქმნის იდეალს ეთანხმება და მითაა პრობალებულა. ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის არსებითია ის, რომ იგი მუდამ დგას ამოცანის წინაშე, — ეს ამოცანა პრინციპულ კავშირშია „ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკასთან“.

აღლერის აზრით, სულის კვლევა ინდივიდუალფსიქოლოგიაში იმ სფეროში მიმდინარეობს, სადაც ერთმანეთს ერწყმის სამი მომენტი: ნაკლოვანების გრძნობა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა და კოლექტიურობის გრძნობა<sup>8</sup>. ძალაუფლებისაკენ სწრაფვისა (სრულყოფისაკენ მისწრაფება) და კოლექტიურობის გრძნობის პრობლემების გადაჭრის ცდაში ავტორი ხედავს საკუთარი თეორიის მთელ მნიშვნელობასა და ღირებულებას<sup>9</sup>.

<sup>5</sup> A. Adler, Menschenkenntnis, Zürich, 1947, გვ. 71 (პირველად გამოქვეყნდა 1921 წელს).

<sup>6</sup> A. Adler, Systematik der Individualpsychologie, Int. Z. f. Indps. 1932, H. 4, გვ. 241.

<sup>7</sup> A. Adler, Das Todesproblem in der Neurose, Int. Z. f. Indps, 1936, H. 1, გვ. 4.

<sup>8</sup> A. Adler, Über den nervösen Charakter, München, 1928, გვ. IV (პირველად გამოცემა 1912 წელს).

<sup>9</sup> A. Adler, Persönlichkeit als geschlossene Einheit, Int. Z. f. Indps, 1932, H. 2, გვ. 81.

<sup>10</sup> A. Adler, Über den Ursprung des Strebens nach Überlegenheit und das Gemeinschaftsgefühl, Int. Z. f. Indps, 1933 H. 4, გვ. 258.

ინდივიდუალფსიქოლოგიური კონცეფციის მიხედვით, პიროვნების სტრუქტურაში ნაკლოვანების გრძნობას იმდენად ცენტრალური ადგილი უჭირავს, რომ, ადღერის განცხადებით, „აღამიანად ყოფნა ნიშნავს ნაკლოვანების გრძნობის ფლობას“<sup>11</sup>. ნაკლოვანი ორგანოს ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ შეგრძნების ორგანო. ამ ცნებით ერთიანდება ორგანიზმის ყველა მეტად თუ ნაკლებად ავტონომიური ანატომიურ-ფიზიოლოგიური ერთეული<sup>12</sup>. ორგანოთა ნაკლოვანების სამი სახეა: მორფოლოგიური, ფუნქციონალური და ე. წ. რელატიური<sup>13</sup>. ორგანოს ნაკლოვანებასთან დაკავშირებულია ნაკლოვანების გრძნობა. მაგრამ ნაკლოვანების გრძნობა განპირობებულია არა მხოლოდ ორგანიზმის რომელიმე შემადგენელი ნაწილის ნაკლოვანებით; იგი საერთოდ შეიძლება განპირობებული იყოს პიროვნების გარემოსადმი (ფიზიკური და ფსიქიკური) შეგუების სუბიექტური და ობიექტური ხელისშემშლელი ფაქტორებით.

ადღერი კანონზომიერების სახით წარმოგვიდგენს ურთიერთობას, რომელიც არსებობს ნაკლოვანების გრძნობასა და მის გადალახვას შორის: რაც ინტენსიურია ნაკლოვანების გრძნობა, მით ძლიერია მისწრაფება ნაკლოვანების დაძლევისა. აღნიშნული დაძლევა გამოიხატება კომპენსაციაში ან ზეკომპენსაციაში, რაც ხორციელდება ნაკლოვანების იმავე ან სხვა მოდალობაში. ადღერის დამსახურებად თვლიან იმას, რომ მან პირველმა მიუთითა ნაკლოვანი ორგანოს ფსიქიკურ კომპენსაციაზე.

მხედველობაში აქვთ შემდეგი ფაქტური ვითარება: ბავშვობაში ენაბლუ დემოსთენე ორატორი ხდება და აღნიშნულის გაგების შემდეგ გზას გვთავაზობენ: ნაკლოვანების გრძნობა ბავშვის ფსიქიკაში იწვევს ე. წ. ძირითადი მელოდიის ანუ ცხოვრების სტილის შექმნას, რომელიც კომპენსაციის ტენდენციის საფუძველზე პიროვნების საყვებით გარკვეული მიმართულებით განვითარებას იძლევა. ნაკლოვანების გრძნობა თავიდანვე ბავშვის არაცნობიერი მიზნის დასახვის ამოსავალია, იგი ამავე დროს იმ გზის მაჩვენებელიცაა, რომელიც აღნიშნული მიზნის განხორციელების მიღწევას ემსახურება. აღამიანის ყოველი წარმატება ემყარება ნაკლოვანების გრძნობის გადალახვას. აღამიანი იძულებულია საკუთარი ძალებით მოიპოვოს არსებობისათვის საჭირო საშუალებები, რადგანაც ბუნებამ იგი მათ გარეშე დატოვა. აღამიანის გონი მუდამ მიმართულია იქით, რომ მისი არსებობა სრულყოფილი გახადოს<sup>14</sup>.

ინდივიდუალფსიქოლოგიაში მიუთითებენ ნაკლოვანების კომპლექსზეც. ნაკლოვანების გრძნობა შეიძლება გადაიქცეს კომპლექსად იმ შემთხვევაში,

<sup>11</sup> A. Adler. Zum Leib-Seele Problem, Int. Z. f. Indps, 1933, H. 5. გვ. 339.

<sup>12</sup> ნაკლოვანების გრძნობის სინონიმად ადღერი სხვა ტერმინებსაც იყენებს: უმარობის, არასაიმედობის, უუნარობის გრძნობა.

<sup>13</sup> A. Adler. Über den nervösen Charakter, გვ. 13.

ე. ვ ე ქ ს ბ ე რ ი ნაკლოვანების გრძნობის განმაპირობებელ მოვლენათა ხუთ ჯგუფს ასახელებს. ესენია: სხეულგბრივი თვისებები, სოციალური და გეონომიური მდგომარეობა, სქესი, ოჯახური კონსტელაცია, ალზრდა. Erwin Wexberg. Individualpsychologie. Eine systematische Darstellung, Leipzig, 1931. ავტორის მიხედვით, ნაკლოვანების გრძნობა შედგება განცდათა სამი ჯგუფისაგან: უმწეობის გრძნობა, სისუსტის გრძნობა შენ-სადმი მიმართებაში, „შენ“-ზე დამოკიდებულების გრძნობა (იქვე, გვ. 68). ფსიქოლოგიაში დღეს განასხვავებენ ნაკლოვანების გრძნობასა და ნაკლოვანების განცდას. ფ. ლ ე რ შ ი ს მითითებით, ნაკლოვანების გრძნობა არის თვითღირებულების გრძნობის მუდმივი მიმართულობა, რომლის ფონზე აქტუალური განცდა იშლება. ნაკლოვანების განცდა არის გრძნობის აღქმა, რომელიც აქტუალური ხდება გარკვეული მდგომარეობის დროს.

<sup>14</sup> A. Adler. Der Sinn des Lebens, Wien-Innsbruck, 1956, გვ. 66 (პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს).

როცა გრძნობა ინტენსიური ხდება. ნაკლოვანების გრძნობის გაღრმავების ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია მცდარ საფუძველზე დამყარებულ ალზრდა. აღლერი ნაკლოვანების კომპლექსს განმარტავს როგორც უუნარობას ვადიპრას ცხოვრების პრობლემები სოციალურად ღირებულად. იგი ნაკლოვანების კომპლექსებს „მოქმედ ორგანოებს“ უწოდებს; თანაც დასძენს, რომ ეს სულიერი ორგანოები შაბლონის ბუნებისანი არიანო. ნაკლოვანების გრძნობა ორი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: იგი ნაკლოვანების კომპლექსად იქცევა ან კომპენსაციის (ზეკომპენსაციის) საფუძველი ხდება. აღნიშნული გზების განხორციელება დამოკიდებულია სოციალური ინტერესის, სოციალურობის გრძნობის ხარისხზე. ვისაც აღრეული ბავშვობიდანვე არ განვითარებია ინტერესები „შენ“-ისადმი, მას ნაკლოვანების გრძნობა კომპლექსის მიმართულებით გადაეზრდება.

ინდივიდუალფსიქოლოგიის პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართულია იქითკენ, რომ აღამიანში აღმოცენებული კომპლექსები დაარღვიოს და პიროვნება შეძლებისდაგვარად რეალური ცხოვრების ვითარებას დაუახლოვოს. ამ მიზნის განხორციელებისათვის, ჯერ ერთი, საჭიროა ნაკლოვანების კომპლექსის საფუძვლის მიგნება; იმის გაცნობიერება თუ, რომელმა სიტუაციამ შეუწყო ხელი აღნიშნული მიმართულებით პიროვნების სვლას. შემდეგ, საჭიროა სპეციალური საშუალებებით — ესენია: ვარჯიში, გამხნევება, საკუთარი ძალებისადმი რწმენის განმტკიცება, მოყვასობის განვითარება — პიროვნების სხვა გზით წაყვანა. ესაა პიროვნების რეალობასთან მიახლოებება.

კომპენსაციის მნიშვნელობა აღლერის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „ეს კომპენსატორული მოძრაობა აღამიანის ცხოვრების უღრმესი აზრი, შემოქმედებითი ძალაა. მან შექმნა კულტურა კაცობრიობის უზრუნველსაყოფად ისევე, როგორც ქმნის იგი ცალკეული აღამიანის გამოვლენის აგელო ფორმასა და მისი ცხოვრების სტილს, როგორც ვარჯიშსა და მიერ გამოწვეულ დაძაბვათა პასუხს ან როგორც დაუღალავ ცდას და ზრუნვას, რომ ბუნება-საზოგადოების ძალთა თამაშში წონასწორობის მდგომარეობა იქნეს დაცული“<sup>15</sup>.

ინდივიდუალფსიქოლოგიის ამოცანა აღლერმა განმარტა როგორც პიროვნების ცხოვრების სტილის წვდომა: „ცხოვრების სტილი არის ფსიქოლოგიის საკუთარი საგანი და მისი კვლევის მასალა“. ის მიზანი, რომელიც აუცილებლობით ყალიბდება აღრეული ბავშვობის წლებში და შემდგომ მთელი პიროვნების მამოძრავებელი ბირთვი ხდება, აღლერის მიერ წოდებულია ცხოვრების სტილად. „ცხოვრების სტილი არის ფორმალური მოძრაობის ხაზი“<sup>16</sup>. ავტორი ცხოვრების სტილის ევკვივალენტად მრავალ ტერმინს იყენებს, ესენია: ფიქცია, წამყვანი ფიქცია, იდეალი, პიროვნების იდეალი, წამყვანი ხაზი, ცხოვრების ხაზი, განვითარების ხაზი, პრინციპები, ძირითადი მელოდია, ინდივიდის მელოდია, ფსიქიკური ღერძი, ინდივიდუალური შაბლონი, ცხოვრების გეგმა, ფსიქიკური კონსტიტუცია. აღნიშნული ტერმინებში რამდენადმე ასახულია მოვლენის სხვადასხვა ასპექტი: მაგალითად, ფიქცია და შაბლონი იმაზე მიუთითებენ, რომ ცხოვრების სტილი ზოგჯერ რეალური სინამდვილეს შორდება და წარმოსახულ სამყაროში შეიჭრება ხოლმე. იგი განვითარების ხაზადაა წოდებული იმიტომ, რომ პიროვნების ისტორიის წარმართვის გზის მაჩვენებელია.

<sup>15</sup> ა. აღლერი, ინდივიდუალფსიქოლოგია, „დასავლეთ ევროპის თანამედროვე მიმდინარეობანი“, თბილისი, 1935, გვ. 139.

<sup>16</sup> Handbuch der Individualpsychologie, Bd. I, München, 1926, გვ. IV.



ბელია. ის პიროვნების იდეალია იმდენად, რამდენადაც პიროვნების არსებით პროსპექტულ მომენტსა და მის ღირებულებითს მხარეს ეხება და ა. შ.

აღლერს ცხოვრების სტილი მიაჩნია ხერხად პიროვნების მიზნის განხორციელების საქმეში. ადამიანში ცხოვრების სტილი თავიდანვე არაცნობიერია და მას შესწევს უნარი არაცნობიერი ზემოქმედებისა. ცხოვრების სტილია ის, რაც აღიქვამს, პასუხობს და ასიმილაციას ახდენს<sup>17</sup>. აღლერი პიროვნების განვითარების წარმმართველ ფაქტორს ფიქციას უწოდებს; საქმე ისაა, რომ ცხოვრებისეული სიძნელეების დაძლევა ბევრ შემთხვევაში ვერ ხორციელდება და პიროვნების იდეალი რეალიზდება სურვილისა და ფანტაზიის სამყაროში. ესაა იმის საფუძველი, რომ ადამიანი ცხოვრობს ნამდვილად არა რეალურ, არამედ წარმოსახულ სამყაროში: „ბავშვის ნაკლოვანების გრძნობიდან აღმოცენდება მისწრაფება ძალაუფლებისაკენ, რომელიც ზღვარს პოულობს კოლექტივის მოთხოვნებთან, ფიზიოლოგიურად და სოციალურად დაფუძნებულ კოლექტიურობის გრძნობასთან და მიემართება ილუზიაში“<sup>18</sup>. გარკვეული მნიშვნელობისაა ის ვითარება, რომ აღლერისათვის სავსებით მისაღები ჩანს პ. ფაიპინგერის ფილოსოფიური კონცეფცია — „თითქონ — ის ფილოსოფია“. იგი გენიალურს უწოდებს აღნიშნულ კონცეფციას და მიუთითებს, რომ მან ფაიპინგერის ფილოსოფიურ ნააზრევში დაინახა პრაქტიკიდან (ნევროზი) მიღებულ შეხედულების დადასტურება<sup>19</sup>.

ინდივიდი, რომელიც ცხოვრების ამოცანების მიმართ არასწორადაა მომზადებული, ჩაითვლება არანორმალურად. რას ნიშნავს ცხოვრების ამოცანებისადმი სწორი მომზადება? ეს ნიშნავს იმას, რომ შეგვიძლია გადავწყვიტოთ საკითხი „მე“—ს ურთიერთობისა „შე“—თან. თუკი არ არსებობს პირველადი ფორმით ინტერესი ცხოვრებისეული პრობლემებისადმი, მაშინ არც ხდება საჭირო მიმართულებით მათი გადაჭრა. როცა ჩემი მე შორდება კოლექტივს, სოციალურს, ამაში გადაწყვეტ როლს თამაშობს პირველადი ფორმა, რადგანაც იგი განაპირობებს ინტერესსა და მიდრეკილებას კოლექტივისადმი, სოციალურისადმი; გასაგებია, რატომ ვერ წყდება ცხოვრების ძირითადი საკითხები. მაშასადამე, არსებითი მნიშვნელობისაა პრობლემებისადმი ინტერესის ხარისხი. ცხოვრების პრობლემა მით ადვილად წყდება, რაც მეტია პიროვნული ინტერესის ხარისხი ამ პრობლემისადმი.

კოლექტიურობის გრძნობა ინდივიდუალფსიქოლოგიაში იწოდება ცხოვრების ფორმად. ცხოვრების ფორმა არაა მხოლოდ სწავლის გზით შეთვისებული ფორმა. აღლერი კოლექტიურობის გრძნობას ასე ახასიათებს: „სხვისი თვალით ხედვა, სხვისი ყურით მოსმენა, სხვისი გულით გრძნობა“<sup>20</sup>. იდენტიფიკაცია ხორციელდება კოლექტიურობის ხარისხის შესაბამისად. ასევე, იდენტიფიკაცია აუცილებელია პირობაა კოლექტივის ცხოვრებასთან მისასვლელად. მაგალითად, თანამწუხარება იდენტიფიკაციის მონაწილეობას გულისხმობს. ვაგება და შთაგრძნობა კოლექტიურობის გრძნობის ფაქტებია<sup>21</sup>. კოლექტიურობის გრძნობა, აღლერის განცხადებით, იმასაც ნიშნავს, რომ იგი მარადიუ-

<sup>17</sup> A. Adler. Symptomwahl, Int. Z. f. Indps, 1936, H. 2, გვ. 76.

<sup>18</sup> Praxis und Theorie der Individualpsychologie, München, 1930, გვ. 3.

<sup>19</sup> A. Adler. Über den nervösen Charakter, გვ. 22.

<sup>20</sup> A. Adler. Kurze Bemerkungen über Vernunft... Int. Z. f. Indps, 1928, H. 4, გვ. 267. აღლერთან კოლექტიურობის გრძნობის სინონიმებია: მიდრეკილება თანაცხოვრებისაკენ, სოციალური ინტერესი, ურთიერთკეთვნილების გრძნობა.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 271.

ლი მისწრაფება კოლექტიურობის ფორმისაკენ. აქ არაა ლაპარაკი აწმყო კოლექტივზე ან საზოგადოებაზე, არც მის პოლიტიკურ და რელიგიურ ფორმებზე, არამედ ყურადღება ექცევა იმ მიზნებს, რომლებიც ვარგისი და ღირებულთა პიროვნების სრულყოფისათვის. აქ ნაგულისხმებია კაცობრიობის იდეალური კოლექტივი. კოლექტიურობის გრძნობა, ვითარცა იდეა კაცობრიობის უკანასკნელი ფორმისა, მდგომარეობისა, რომელშიდაც ცხოვრების ყველა საკითხი, ყოველგვარი მიმართება გარე სამყაროსადმი გადაწყვეტილად წარმოიდგინება, არის მიმართულების მიმცემი მიზანი. სრულყოფის მიზანი თავის თავში უნდა ატარებდეს იდეალური კოლექტივის იდეას. ყველაფერი ის, რაც ცხოვრებაში ჩათვლილი და მიჩნეულია ღირებულების მქონედ, კოლექტიურობის გრძნობის პროდუქტია.

კაცობრიობის ისტორია არ იცნობს იზოლირებულ ადამიანს. კაცობრიობის განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენდა კოლექტივს და სრულყოფისაკენ საკუთარ მისწრაფებაში ილტვოდა იდეალური კოლექტივისაკენ. ინდივიდუალფსიქოლოგია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა მახვილი დაუსვა კოლექტიურობის გრძნობის საფუძველმდებელ მნიშვნელობას; მან მიუთითა კოლექტივისა და კოლექტიურობის გრძნობის ევოლუციურ მომენტზე და პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ ნათელი გახდა განვითარების საქმეში კოლექტიურობის გრძნობის დიდი წვლილი<sup>22</sup>.

აღლერი თვლის, რომ კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ ჩამოყალიბებული ისტორიის მატერიალისტურ ვაგებაში დადგენილია აღნიშნული ძირითადი ფაქტის მნიშვნელოვანი მომენტი. ამ მოძღვრების მიხედვით, ეკონომიური საფუძველია ის, რითაც ხალხი აღწევს არსებობას, რაც განაპირობებს „იდეოლოგიურ ზედნაშენს“, ადამიანის აზროვნებასა და ქცევას. აღლერი დასძენს, რომ მარქსისა და ენგელსის აღნიშნული თეზისი ეთანხმება ინდივიდუალფსიქოლოგიურ ვაგებას „ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკის“ შესახებ. აღლერის მიხედვით, სოციალური ინტერესი ანუ კოლექტიურობის გრძნობა თანშობილი შესაძლებლობაა; კოლექტიურობის გრძნობა ცოცხლდება სოციალურ კავშირში. ცნობილია, რომ არსებობენ თანშობილი უნარები და ფუნქციები, რომლებიც თვითონვე, გარეგანი ბიძგის გარეშე ამოქმედდებიან. ასეთია, მაგალითად, სუნთქვის ფაქტი. იგივე ბუნება, მართალია, ამჟამად არ მიეწერება სოციალურ ინტერესს, მაგრამ პრინციპში არსებობს კოლექტიურობის გრძნობის სრულყოფის პერსპექტივის საფუძველი. მომავალში კაცობრიობას კოლექტიურობის გრძნობა სუნთქვის ფუნქციის შესატყვისად აღმოუცენდება. აღლერი იცავს აზრს კოლექტიურობის გრძნობის კოსმიური ბუნების შესახებ. იგი მას წარმოდგენილი აქვს კოსმიური კავშირის ასახვად ადამიანში<sup>23</sup>.

ნაკლოვანებისა და კოლექტიურობის გრძნობების ინდივიდუალფსიქოლოგიურ ცნებებში არ იგულისხმება გრძნობის ან ემოციის წმინდა ფსიქიკური მდგომარეობა. როგორც პიროვნულ მიმართებაზე მიმნიშნებელი, ნაკლოვანების გრძნობა შინაარსობრივად არაა ერთგვაროვანი სინამდვილე; იგი ემოციის, შეფასების, ღირებულების წვდომისა და სხვა აქტების დაკავშირებაა.

<sup>22</sup> A. Adler. Ober den Ursprung des Strebens nach Oberlegenheit und das Gemeinschaftsgefühl, Int. Z. f. Indps, 1933, H. 4, 83. 261—263.

<sup>23</sup> A. Adler. Menschenkenntnis, Zürich, 1947, 83. 47.

ასეთივე ვითარება კოლექტიურობის გრძნობის შემთხვევაშიდაც. ცნების შინაარსი სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული: ზოგმა მასში დაინახა შემეცნების ძალა, ობიექტიურობა, მოვლენათა ისე ხედვა, როგორც თავისათვად არიან; ზოგმა ის გაიგო ყოველი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის მზაობად ანდა კოლექტივის, როგორც იდენის, მიზნისაკენ სწრაფვის თანშობილ პიროვნულ პოტენციალად, იგი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის პიროვნულ განცდას დაუკავშირეს; იგი ჩათვალეს ლოგიკად, ეთიკად, მორალურ-ნორმატულ იდეად.

ადამიანის სტრუქტურული მომენტების — ნაკლოვანებისა და კოლექტიურობის გრძნობების, სრულყოფისაკენ სწრაფვის, ცხოვრების სტილის, კომპენსაციის — ურთიერთმიმართება, რომელთა ფარგლებში იშლება ადამიანური ბუნება, აღდგურთან შემდეგნაირად ხასიათდება: ნაკლოვანების გრძნობა განაპირობებს სრულყოფისაკენ სწრაფვას, რაც არის ე. წ. უარყოფითი სიტუაციიდან დადებითს სიტუაციაში გადასვლა; სხვაგვარად, პიროვნების არასამიედლობის, სასუსტის დაძლევისაკენ მიმართული აქტიუობა. მე-ს მიერ შექმნილი ცხოვრების სტილი პიროვნულ სისუსტის გადალახვისაკენ მიმართული კონკრეტული კომპენსატორული აქტია. ცხოვრების სტილის კონკრეტული შინაარსი ზოგიერთ შემთხვევაში რეალობისაგან მეტისმეტად დაშორებულია და ფიქვია ხდება. კოლექტიურობის გრძნობა ზღვარს უღებს მე-ს სტრუქტურისტურ განზრახვას, იგი ინდივიდს ჩართავს სოციალურ ურთიერთობაში, გარემოში და ამით ადამიანს მის ქეშპირატ სამყოფელს მიუჩენს, სადაც უნდა გაიშალოს მისი ადამიანური შემოქმედება, მოღვაწეობა.

რა არის პიროვნება? როგორ შეიძლება პიროვნების შემეცნება? ინდივიდუალფსიქოლოგიას ცნობიერად მიღებული აქვს წინამძღვარი, რაზეც აგებს თეორიას. ესაა კონცეფცია სიცოცხლის შესახებ, რომლის უმადლესი განსახიერება პიროვნებაა. ინდივიდუალფსიქოლოგიის ამოსავალია დებულება პიროვნების ერთიანობის შესახებ. პიროვნების მთლიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიმართებას ცხოვრებისეული საკითხებისადმი, საერთოდ, — სოციალურისადმი. პიროვნება თვითონ საზრისის განხორციელებაა, რამდენადაც მიზნობრივ ერთიანობას წარმოადგენს. მიზნობრიობა იმანენტურია პიროვნებისათვის. პიროვნების არსი იმანენტური ტელეოლოგიაა. პიროვნების გაგება ნიშნავს პიროვნების წვდომას იმანენტურ მიზანმიმართულ ერთიანობაში.

მთლიანი პიროვნების წვდომის გზა იწყება ცალკეული მოვლენების აღქმით, რომელმაც შემდეგ უნდა მიგვიყვანოს პიროვნების მთლიანობამდე. პიროვნების მოცემულობით, მოცემულა ცხოვრების ფორმაც. ცხოვრების სტილში ჩართულია სულიერი სამყაროს ყოველი ნაწილი. ადღერის გამოთქმა რომ ვიხმართო, ყოველი ნაწილი მთლიანის ნატებს წარმოადგენს. ინდივიდუალური მოძრაობის კანონის წვდომა შეიძლება გამოსახვის ფორმებით. ადამიანის მიზანი მის მოქმედებაში ჩანს და მასშივე უნდა იქნეს ამოკითხული. სულიერი ცხოვრების ცალკეული მოვლენის წვდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა იგი გაგებულია, როგორც ნაწილი ვანუყოფნით მოვლენას; როცა ვიცით ადამიანის მიზანი, მაშინ ჩვენთვის ისიც გასაგებია თუ, რას ნიშნავს მისი ვამოსახულებითი მოძრაობები. პიროვნების გასაგებად ვათვალიწინებულ უნდა იქნეს აუცილებლად სიტუაცია. სიტუაცია არის ადამიანის ადგილი სამყაროში და მის უახლოეს გარემოში, მისი პოზიცია საკითხებისადმი, რაც მის წინაშე აუცილებლობით წამოიჭრება<sup>24</sup>. გარეგანი მსგავსება სიმპტომებისა საქმით საფუძველს არ იძლევა გამოიყვანოთ დანასკვი, რომ ისინი ერთი და იმავე შინაგანი საქმის ვითარების გამოვლენაა. ორი პიროვნების მიერ ერთნაირი საქმის ვეთება არ ნიშნავს ერთსა და იმავეს; ვინაიდან სულიერი კავშირები ინდივიდში იქმნება შემოქმედ მე-ს მიერ, არ არსებობს იმის გარანტია, რომ სიმპტომის უკან არსებული სულიერი რეალობა ერთნაირ შინაარსს წარმოადგენს. საჭირო ხდება პიროვნების გულში შეღწევა და იქ ფსიქიკური კონსტიტუციის ხილვა. პიროვნების გაგების საქმეში არსებითი როლი ენიჭება შთაგრძნობას, იდენტიფიკაციას. იდენტიფიკაციით ხერხდება ადამიანის სიმპტომის არჩევანის თავისებურების წვდომა.

<sup>24</sup> A. Adler. Menschenkenntnis, Zürich, 1947, გვ. 3-32.

აღლერთან იდენტიფიკაცია, ამ შემთხვევაში, გაგებულია როგორც სხვა სულიერი ვითარების მიმდინარეობის გადმოტანა შემეცნებელ სუბიექტში იმ აზრით, რომ შემეცნებელი თუკი აღმოჩნდებოდა იმავე პირობებში და სიტუაციაში, მას თუკი ექნებოდა იგივე სულიერი მოტივაცია, იმავეს ჩაიღვინა, რაც შესამეცნებელმა პიროვნებამ განახორციელა<sup>25</sup>. აღლერისათვის; მაგალითად, თანამწუხარება იდენტიფიკაციის ფაქტადა ჩათვლილი. აქ საქმე გვაქვს იმის სრულიად საპირისპიროსთან, რასაც ენება შთაგრძნობის გავრცელებული გაგება — ჩვენი სულიერი მდგომარეობის გადატანა სხვაში, საკუთარს შეტანა მის გარეთ არსებულში (სუბიექტში ან ობიექტში). თუმცა აღლერი მიუთითებს, რომ იდენტიფიკაციის საკუთარი ცნება და შთაგრძნობის თ. ლიბსიესული ცნება იგივეობრივიაო, მაინც აღლერი იდენტიფიკაციის ცნებაში სხვა შინაარსსაც დებს, სახელდობრ, აქ იგი გულისხმობს იმის წინასწარ გრძნობასა და მიხვედრას, რაც მომავალში იქნება<sup>26</sup>. ინდივიდის გაგების საქმისთვის აღლერი იყენებს მიხვედრის, — რაც მისთვის იგივე ინტუიციაა, — ვითარებას, მაგრამ ინტუიციის ცნების შინაარსის განმარტებას მასთან ვერ ვნახულობთ; ეს კი აუცილებელი იყო, რადგანაც ინტუიცია ლიტერატურაში მრავალი შინაარსითაა წარმოდგენილი.

ზ. ფროიდმა და კ. გ. იუნგმა ადამიანის არსებით და ღირებულ მომენტად ირაციონალური სინამდვილე ჩათვალეს. კვლევა-ძიება ამ მიმართულებით წარიმართა და მათ ფსიქიკისა და პიროვნების სიღრმედ არაცნობიერი ფსიქიკა გამოაცხადეს; არაცნობიერი ფსიქიკა გახდა ახსნისა და გაგების საფუძველი. აღლერს არ აკმაყოფილებს პიროვნების შინაგანი მამოძრავებელი ძალების წარმოდგენა ირაციონალური ბუნების მქონედ: „ინდივიდუალფსიქოლოგიაში, პირველმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ გაწყვიტა კავშირი შინაგანი ძალების (ინსტიქტები, ლტოლევები, არაცნობიერი და ა. შ.), როგორც ირაციონალური მასალის დაშვებასთან“<sup>27</sup>. აღლერი თვლის, რომ ინდივიდუალფსიქოლოგია ნამდვილად მიუთითებს პიროვნების სიღრმეზე, როცა ცხოვრების სტილს ათავსებს პიროვნების ცენტრში და მისით ხდის გასაგებს განცდებსაც და სხვა მიმართებებსაც: „არაცნობიერი — ესაა ცხოვრების სტილი“<sup>28</sup>. არცნობიერში თავსდებიან ძალები, რომლებიც აფორმებენ, აყალიბებენ ადამიანის მოძრაობის ხაზს, მისი ცხოვრების გეგმას, ინდივიდუალურ აღნაგობას. ცნობიერებაში ასახულია ცხოვრების გეგმის მხოლოდ ანარეკლი, ზოგჯერ საწინააღმდეგოდაც კი.

ინდივიდუალფსიქოლოგიაში არაცნობიერის სამი შინაარსი დასტურდება: პირველი — არაცნობიერი ფსიქიკა, როგორც ცნობიერების ფსიქიკური შინაარსების არსებობა ცნობიერების გარეთ, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად; მეორე — პერსონის სტრუქტურის არაცნობიერად არსებობა (პერსონი, როგორც ასეთი, ფსიქიკას არ წარმოადგენს, — აქ ლაპარაკია, მაშასადამე, პერსონულ არაცნობიერზე, რაც სავსებით კანონიერი ცნებაა); მესამე — არაცნობიერის ვნოსეოლოგიური შინაარსი, რომელიც პირველი ორი (ონტოლოგიური შინაარსის) ცნებისაგან განსხვავებულია და საერთოდ ონტოლოგიურის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებას გამოთქვამს, სახელდობრ, რომ ონტოლოგიური საქმის ვითარება შემეცნებელი არაა.

<sup>25</sup> A. Adler. Symptomwahl, Int. Z. f. Indps, 1936, H. 2, გვ. 65.

<sup>26</sup> A. Adler. Menschenkenntnis, Zürich, 1947, გვ. 46.

<sup>27</sup> A. Adler. Ist Fortschritt der Menschheit möglich? Int. Z. f. Indps, 1937, H. 1, გვ. 1

<sup>28</sup> Heilen und Bilden, გვ. 30.

სწორი არაა გაგება, როცა ადღერის არაცნობიერის ცნებას აიგივეებენ კ. იასპერსის ცნებასთან — „შეუმჩნეველი“<sup>29</sup>. ამ შემთხვევაში ადღერის არაცნობიერის ცნება გაგებულაა გნოსეოლოგიური მნიშვნელობით, როგორც უ ც ო დ ი ნ ა რ ი (ungewusst), რომელიც პრინციპულად ცოდნადია (wissbar). ერთმანეთში არ უნდა აირიოს კ. იასპერსის ონტოლოგიური ცნება შეუმჩნეველისა ადღერის გნოსეოლოგიური ცნება არაცნობიერთან. იასპერსის შეუმჩნეველის (Unbemerkte) ცნება ფსიქოლოგიურია, მასში იგულისხმება ისეთი ფსიქიკური გარკვეულობა, რომელიც დაკავშირებულია ცნობიერებასთან; იგი განცილებილი სულიერი პროცესია; ხელსაყრელ ვითარებაში მას შეუძლია ცნობიერების საგნობრივ დონესაც მიაღწიოს, მაგრამ გარემოებათა გამო ცნობიერების პერიფერიაშია. იასპერსი შეუმჩნეველ ფსიქიკურ პროცესებს უპირისპირებს ცნობიერების გარეშე (Ausserbewusste) პროცესებს, როგორც პრინციპულად ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ გარკვეულობას, რომლებიც ფსიქიკური არაა და ამიტომ არც განიცდებიან<sup>30</sup>. თუკი იასპერსის „შეუმჩნეველის“ ცნებას (რაც იგივე ცნობიერი ფსიქიკურის აღმნიშვნელია) შევუპირისპირებთ ადღერის ცნებას არაცნობიერისას, რომელიც სამ სხვადასხვა მნიშვნელობას მოიცავს, აღმოჩნდება, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა; სახელდობრ: „შეუმჩნეველი“ არ შეიძლება გაიგივდეს ადღერის არც არაცნობიერ ფსიქიკასთან (ცნობიერების გარეთ არსებული ფსიქიკური შინაარსი), არც პერსონულ არაცნობიერთან (არაფსიქიკური გარკვეულობა) და არც გნოსეოლოგიურ ცნება უცოდინართან, რომელიც ეხება როგორც ფსიქიკურ ისე არაფსიქიკურ სინამდვილეს.

ჩვეულებრივ ადღერის ინდივიდუალფსიქოლოგიურ თეორიას ათავსებენ კლასიკური სიდრმისფსიქოლოგიური თეორიების გვერდით, მაგრამ გამოითქვა ეჭვიც იმის თაობაზე, რომ ინდივიდუალფსიქოლოგია ვერ ჩაითვლება საკუთრივ სიდრმისფსიქოლოგიურ თეორიად, რადგანაც აქ ძიება მიმართულია არა არაცნობიერი ფსიქიკის ცხადყოფისაკენ, არამედ — სხვა მიმართულებით: პიროვნების შემეცნებისაკენ. ადღერის თეორიის სხვადასხვა მომენტის წინ წამოწევით ნაცადი იყო მისი დაკავშირება განსხვავებულ მიმდინარეობებთან, მაგალითად: ინდივიდუალფსიქოლოგიის ათავსებენ ჰ. ღრიშის მთლიანობითი ფსიქოლოგიისა და გეშტალტფსიქოლოგიის გვერდით და მათ ყველას ერთად აღნიშნავენ „საზრისის მაინტერპრეტირებელი ფსიქოლოგიის“ სახელწოდებით (ა. კრონფელდი); ის ჩათვლილია ვ. შტერნის პერსონალისტური ფსიქოლოგიის პარალელურ მოვლენად (ა. მესერი); მას მიიჩნევენ გაგებით ფსიქოლოგიად (ჰ. ზეელბახი) ან წარმოიდგენენ განცდის ფსიქოლოგიაზე დაფუძნებულ ქარაქტეროლოგიად (კ. ბიულერი). ზოგი უფრო შორსაც მიდის და საკითხს ასე აყენებს: ინდივიდუალფსიქოლოგია კი არ უნდა მოთავსდეს ფსიქოლოგიის რომელიმე სისტემის ჩარჩოში, არამედ, პირიქით, სხვა ფსიქოლოგიებმა უნდა მონახონ ლოგიკური ადგილი ინდივიდუალფსიქოლოგიაში (ფ. ბირნბაუმი). ინდივიდუალფსიქოლოგიის ცალკეული მომენტების გათვალისწინებით, შეიძლება ადღერის თეორიის დაკავშირება ზემოაღნიშნულ მიმდინარეობებთან, მაგრამ

<sup>29</sup> H. Seelbach. Verstehende Psychologie und Individualpsychologie, Int. Z. f. Indps, 1932, H. 5, გვ. 375.

<sup>30</sup> იხ. K. Jaspers. Allgemeine Psychopathologie, 1959, გვ. 9-10.

ისტორიული ვითარების მხედველობაში მიღება და ინდივიდუალფსიქოლოგიისათვის ამოსავალ მიზანდასახულებაზე მითითება გამართლებას აძლევს ტრადიციულ შეხედულებას; ადღერის თეორია მიიჩნეოდეს კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიურ თეორიად.

ადრეულ პერიოდში ადღერი ფსიქოანალიზური წრის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა. თვითონ ფროიდი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა როგორც მომავალში ფსიქოანალიზური საქმის გამგრძელებელზე. ადღერსაც იმ პრობლემის გადაწყვეტა ამოძრავებდა, რაც ფროიდს: როგორ განიკურნოს ადამიანი ე. წ. ფუნქციონალური ფსიქიკური დაავადებისაგან. აღნიშნულმა პრობლემამ ადღერის წინაშეც დააყენა საკითხები ფსიქიკისა და ადამიანის რაობის შესახებ. ფროიდმა ადამიანის არსად არაცნობიერი ფსიქიკის ლტოლვითი მხარე გამოაცხადა და აღნიშნულით შეეცადა ადამიანის ქცევისა და მოქმედების გაგებას. ადღერმა არასაკმარისად ჩათვალა ადამიანის ქცევის ასხნა არაცნობიერი ფსიქიკური ლტოლვებით და მის ნაცვლად ადამიანის მოქმედება დააფუძნა ე. წ. ცხოვრების სტილზე და მის განმაპირობებელ სრულყოფილსავე სწრაფვისა და კოლექტიურობის გრძნობის ვარკვეულობებზე, — რაც მან წარმოადგინა ადამიანში ღრმად მდებარე არსობრივ საქმის ვითარებად. ცხოვრების სტილს ადღერი არაცნობიერ ფსიქიკად თვლიდა და თავისი თეორიაც მას ფსიქოლოგიურ თეორიად მიიჩნდა. მართალია, ადღერმა პრობლემის გადაწყვეტის სხვა, ფსიქოანალიზისა და ანალიზური ფსიქოლოგიისაგან განსხვავებული გზა აირჩია, ფსიქიკისა და ადამიანის თავისებური გაგება მოგვეცა, მაგრამ ეს ვითარება არ უნდა აუქმებდეს სიღრმის ფსიქოლოგიის ფარგლებში ინდივიდუალფსიქოლოგიის მოთავსებას.

როცა მსჯელობენ ადღერის თეორიის შესახებ, მიუთითებენ ხოლმე ფრ. ნიცშეზე და პ. ფაიბინგერზე, რომელთა ფილოსოფიურმა იდეებმა გავლენა მოახდინეს ადღერის კონცეფციის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე. ფრ. ნიცშე ზოგის მიერ ჩათვლილია ინდივიდუალფსიქოლოგიის წინამორბედად იმ აზრით, რომ ნიცშეს ცნება და პრინციპი „ძალაუფლებისაკენ ნება“ წარმოდგენილია დებულებად, რომელიც ამოსავალი გახდა ადღერის ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორიის შენობისა, რომ ადღერის „ძალაუფლებისაკენ სწრაფვა“ ეს იგივე ნიცშეს „ძალაუფლებისაკენ ნებაა“. ნიცშეს „ძალაუფლებისაკენ ნებისა“ და ადღერის „ძალაუფლებისაკენ სწრაფვის“ ცნებების შინაარსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იქ იდენტობაზე ლაპარაკი ვაუშართლებელია. ცნობილია, რომ ნიცშეს მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის ამოსავალია აგნოსტიკური თვალსაზრისი: თავისთავად არსებული ყოფიერების შესახებ ჭეშმარიტი ცოდნა მიუღწეველია ადამიანური შემეცნებისათვის. ადამიანს შეუძლია მხოლოდ ყოფიერების ინტერპრეტაცია, საზრისის შეტანა ყოფიერებაში გარედან; ამიტომაც, რომ ნიეთებში ვერაფერ სხვას ვერ ვნახულობთ, თუ არა მათში ჩვენს მიერ შეტანილს. სამყაროს მთლიანობის ინტერპრეტაცია ნიცშესთან შემდეგ სურათს იძლევა: მას, რაც ყველაფერს მოიცავს და ნამდვილია, ეწოდება სიცოცხლე. ხოლო სადაც სიცოცხლეა, იქ ძალაუფლებისაკენ ნებაა. ძალაუფლებისაკენ ნება „ყოფიერების უშინაგნესი არსია“, სამყაროს ესენციია. მთელი სამყარო სხვა არაფერია, თუ არა ეს ნება თავისი გეშტალტების მრავალფეროვნებაში. ადამიანიც, მაშასადამე, ძალაუფლებისაკენ ნების გამოვლენა და მისი ქცევაც ამ შინაარსით უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.

ადღერის ადრეულ ნაწერებში (მაგალითად, „ნევროზული ხასიათის შესახებ“) გამოყენებულია ტერმინი — „ძალაუფლებისაკენ ნება“, რომელიც ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ნიშნავდა ადამიანის ძირითად ღრთვას, რაც უპირისპირდებოდა და იჭერდა იმ ადგილს, რომელიც ეკავა ფროიდის დახასიათებით სექსუალურ ღრთვას ადამიანის სტრუქტურაში. მოგვიანებით ადღერი ძალაუფლებისაკენ ნების მაგივრად ხმარობს ტერმინს — „ძალაუფლებისაკენ მისწრაფება“. 1933 წლიდან კი როცა გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ცხოვრების აზრი“, ადღერს შემოაქვს ტერმინი „სწრაფვა სრულყოფისაკენ, დასრულებულობისაკენ“. ტერმინოლოგიურ ცვლილებას საფუძვლად დაედო თეორიული ხასიათის მოსაზრება. ძალაუფლებისაკენ სწრაფვა ახლა მოგვევლინა როგორც სრულყოფისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი რომელიცაა.

ნაკლოვანების გრძნობა, ადღერის გაგებით, ადამიანში ის ვითარებაა, რომელიც დაძლეული უნდა იქნას. აქტივობა, რომელიც განაპირობებს არსებული ნაკლოვანების გადალახვას, პიროვნების სრულყოფისაკენ მისწრაფებაა, ცხოვრების სტილი სრულყოფისაკენ მისწრაფების განხორციელების ინდივიდუალური წარმართველია. ამიტომაც, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პიროვნების სრულყოფისაკენ მისწრაფება სპეციალური შინაარსით მიიღწევა ერთ-ერთი ასეთი შინაარსთაგანია (ცხოვრების სტილის შინაარსია) სწორედ ძალაუფლებისაკენ სწრაფვა.

ნიცშესთან და ადღერთან დამოკიდებულებაც განსხვავებულია ძალაუფლებისაკენ ნებისადმი. ნიცშეს კონცეფციის მიხედვით, ძალაუფლებისაკენ ნებას ადამიანში მაქსიმალური პირობა უნდა შეექმნას გამოვლენისათვის, იგი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. იდეალი — ზე ა დ ა მ ი ა ნ ი — ძალაუფლებისაკენ ნების განხორციელების მაღალი საფეხურია. ადღერთან ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, როგორც პიროვნული ფიქცია და არანორმალური ინდივიდუალური მდგომარეობა, მრავალი სხვა დაავადების მსგავსად, უნდა განიდევნოს, მოიხსნოს; ინდივიდუალფსიქოლოგია ამ მიზნის მიღწევის საკუთარ საშუალებებს გვთავაზობს. ნიცშესთან ძალაუფლებისაკენ ნება უმაღლესად ღირებულის — ინდივიდალ ვახდომის — საფუძველია, რითაც ადამიანი ჩამოიშორებს ჯოჯორ ინსტინქტს, კოლექტივს და ამით ის მალა დგება ჯოჯორ ცხოველზე, საზოგადოებრივ არსებაზე. ადღერთან, პირიქით, უმაღლესად ღირებული კოლექტიურობის გრძნობაა, სოციალურია. პიროვნების ჩართვა კოლექტივში ეს მის ნამდვილ სამყოფელში, გარემოში მოთავსებაა. ადამიანი მოყვასია და ამიტომ მას უნდა შეეწყოს ხელი კოლექტიურ არსებად ვახდომაში, ადამიანში კოლექტიურობის გრძნობის მაქსიმალურად განვითარებისა და გამოვლენის საქმეს.

ადღერის კონცეფციაში სრულყოფისაკენ სწრაფვის სტრუქტურული ადგილიც ვასარკვევი ჩანს, რადგანაც არაა საბოლოო პასუხი გაცემული ნაკლოვანების გრძნობისა და სრულყოფისაკენ სწრაფვის ურთიერთმიმართების საკითხზე: ნაკლოვანების გრძნობა რომ არსებობს, ესაა საფუძველი და განმაპირობებელი სრულყოფისაკენ სწრაფვისა, თუ, პირიქით, სრულყოფისაკენ სწრაფვა რომ არის, ამიტომ ეჩვენება ინდივიდს თავისი თავი არასრულფასოვანი და ეს აპირობებს ნაკლოვანების გრძნობას? რომელია ამ ურთიერთმიმართებაში მფუძვნებელი? — ადღერმა, ამ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული პასუხი მოგვცა. პირველად ის იცავდა აზრს ნაკლოვანების გრძნობის დამფუძვნელი

მნიშვნელობის შესახებ, რომ ნაკლოვანების გრძნობა განაპირობებს სრულყოფისაკენ სწრაფვას, ხოლო ბოლო პერიოდში სრულყოფისაკენ სწრაფვა ჩათვალა ამოსავლად და, მასთან მიმართებაში განხილვით, არსებული ვითარება წარმოადგინა ნაკლოვან მდგომარეობად: „ინდივიდუმი მიუღწეველ იდეალურ სრულყოფასთან მარად შედარებაში არის მუდამ ავსებული ნაკლოვანების გრძნობით და მისით ამოქმედებული“<sup>31</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ სრულყოფისაკენ სწრაფვის ცნება ადლერთან ერთი მნიშვნელობით არ იხმარება. მასში იგულისხმება როგორც ობიექტური, ისე — სუბიექტური მომენტები. სრულყოფისაკენ სწრაფვა ზოგჯერ რეალურ, ობიექტურ საქმის ვითარებას აღნიშნავს, ზოგჯერ კი მასში ინდივიდის მიერ სრულყოფილად განცდილი მდგომარეობა მოიაზრება; მაგალითად, ცხოვრების სტილი ინდივიდის მიერ სრულყოფისაკენ მიმართულ მოძრაობად განიცდება, მაგრამ იგი სინამდვილეში ფიქციაა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ხშირად ანგარიში არ ეწევა ადლერის კონცეფციის ევოლუციას, მისი თეორიის შეფასებისას მხედველობაში აქვთ მხოლოდ ადრინდელი შეხედულებები, თითქოს ინდივიდუალფსიქოლოგია განსხვავდებოდეს ფსიქოანალიზისაგან მხოლოდ იმით, რომ ძლიერებისაკენ ლტოლვამ დაიკავა ლიბიდოს ადგილი.

მითითებული იყო, რომ ადლერმა პ. ფაიჰინგერის კრიტიკული პოზიციების მოძღვრება ფიქციის შესახებ თეორიულ დამოწმებად ჩათვალა იმისა, რაც მან ემპირიულად გამოცდილებაში ნახა და რის შესახებაც შეიმუშავა თეორია, რომელიც საბოლოოდ პრაქტიკულ საქმიანობას ემსახურება: „ნევროტული ფენომენების ფაქტებიდან ამოზიდული აღნიშნული შედეგები ნახულობენ თეორიულ დამოწმებას დასკვნაში, რომელიც... გამომდინარეობს ფაიჰინგერის ფუნდამენტური მოძღვრებიდან ფიქციის არსების შესახებ. ეს გენიალური მკვლევარი გრანდიოზულ სინთეზში წვდება აზროვნების არსს როგორც ცხოვრების დაძლევის საშუალებას, რომელიც ფიქციის ხერხით, თეორიულად არაღიარებულ, მაგრამ პრაქტიკულად საჭირო იდევით, ცდილობს მიაღწიოს მის მიზნებს“<sup>32</sup>.

როგორია ის ფაქტიური ვითარება, რომელიც ადლერთან წოდებულთა ფიქციად? რა როლი ეკისრება მას ადამიანურ სამყაროში? ვიცი, რომ პიროვნების სრულყოფისაკენ სწრაფვა დაკავშირებულია ნაკლოვანების გრძნობასთან. ნაკლოვანების გრძნობის დაძლევა არსებითად დამოკიდებულია მე-ზე; „მე“ პიროვნების სისუსტის დაძლევის ანხორციელებს სუბიექტურად, „მე“ ქმნის ცხოვრების სტილს ანუ გეგმას, რომელიც წარმოადგენს მთლიანი პიროვნების ქცევის წარმართველს (მოტივს). ხდება ხოლმე, რომ მე-ს მიერ შექმნილი ცხოვრების სტილი და მისით განპირობებული პიროვნული აქტივობა საგრძნობლად შორდება რეალურ ცხოვრებას, ობიექტურ სინამდვილეს და მასთან წინააღმდეგობრივად აღმოჩნდება. ეს ვითარება ადლერთან წოდებულთა ფიქციად. ინდივიდუალფსიქოლოგიის მიზანია ამგვარი, რეალობას დაშორებული და ამიტომ ფიქციად წოდებული მდგომარეობის (რაც არანორმალური ვითარებაა, ნევროზია) აღკვეთა.

<sup>31</sup> A. Adler. Der Sinn des Lebens, Wien—Innsbruck, 1956, გვ. 23.

<sup>32</sup> Praxis und Theorie der Individualpsychologie, München, 1930, გვ. 157.

ფაიზინგერის პრობლემა ვნოსეოლოგიურია: როგორ ხდება, რომ ჩვენ ცნობიერად ყალბი წარმოდგენებით მაინც სისწორეს ვაღწევთ? ავტორის ამოსავალი დებულებაა: თეორიულად გაუმართლებელი ცნებები არიან არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ სფეროშიც; გაცნობიერებული ფიქციები აუცილებელი საფუძველია როგორც მეცნიერული კვლევის, ასევე პრაქტიკული მოქმედებისაც. ავტორი ერთმანეთისაგან თიშავს ფიქციას და ჰიპოთეზას. მართალია, ჰიპოთეზაცა და ფიქციაც შეუცნობელი სინამდვილის მიმართ გამოიყენებია, მაგრამ შემეცნებისთორიულად მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. ჰიპოთეზას ევალება სინამდვილის ასახვა, შემეცნება აქ თვითმიზნადაა ქცეული. გამართლებულ ჰიპოთეზას პრეტენზია აქვს მუდმივობაზე. ფიქციას შემეცნება არ ევალება, მისი ღირებულება მიზანშეწონილობაშია, პრაქტიკულ ვარგისობაშია. გამოყენების შემდეგ იგი გადასავდები ხდება. თეორიულად ის არაფერს იძლევა. ფაიზინგერისათვის ფიქცია აზროვნების ფორმაა, სადაც იგულისხმება ნებისმიერი დებულების დაშვება, რომელიც პრაქტიკულ შედეგს იძლევა და თან ახლავს ცნობიერება, რომ იგი ან შინაგან წინააღმდეგობაშია საკუთარ თავთან, ან შეუსაბამოა სინამდვილესთან.

აღლერის კონცეფციის გაცნობა გვარწმუნებს, რომ აქ ერთმანეთისაგან არ არის მკაცრად გათიშული ფიქცია და ჰიპოთეზა. აღლერთან უნდა განსხვავდეს ორი მომენტი: ემპირიულად არსებული ვითარება და თეორიული თვალსაზრისი, რომლითაც ვუდგებით ემპირიულ სინამდვილეს. თვითონ ობიექტურ ვითარებას, რომ ადამიანის ცხოვრების სტილით არაცნობიერად წარმართული მოქმედება და, საერთოდ, ადამიანის მიზანდასახულება არაშესატყვისი ხდება ცხოვრებისეული მოთხოვნებისა, ფიქცია ვერ ეწოდება იმის გამო, რომ ფიქცია გაცნობიერებული მეთოდოლოგიური გზაა და არა გაუცნობიერებელი ობიექტურ-რეალური არსებობა. რაც შეეხება მოვლენათა ინდივიდუალფსიქოლოგიური განხილვის წესს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: პიროვნების არსებითი მომენტის — ცხოვრების სტილის — წვდომისათვის და ამ გზით პიროვნების გაგებისათვის აღლერი გვთავაზობს ასეთ ვარიანტს: პიროვნებას თუკი განვიხილავთ როგორც კონკრეტული მიზნისაკენ სწრაფვად არსებას, ამით გასაგები გახდება მისი ქცევა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოგვევლინება საშუალებად ცხოვრების სტილით წარმართული აქტივობის განხორციელებისაკენ. წინასწარი დაშვებაა — პიროვნებისადმი მიზნობრიობის მომენტის მიწერა (ტელოსის განზომილებაში პიროვნების მოთავსება) და რეალობიდან ცხოვრების სტილის გადახრის მასშტაბიც. ამ ასპექტით განხილული აღლერის ნააზრევი ფიქციად ჩაითვლება, ვინაიდან ის ამ დაშვებით პრაქტიკულად სასარგებლო შედეგების (განკურნების) მიღებას ვარაუდობს; ამით მითითებულია შეგნებულ მიზანშეწონილობის მომენტი. მაგრამ მაინც, როცა აღლერის „თითქოს-განხილვის“ მეთოდი თეორიული დოქტრინის როლს კისრულობს, როცა ის პიროვნების შემეცნების პრეტენზიის მქონედ წარმოგვიდგება, აქ ის ჰიპოთეზის ფარგლებში უნდა მოთავსდეს.

ჩვენი ავტორი არათანმიმდევრულ პოზიციაზე დგას, როცა საკითხი ისმის საგნობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისების გატარების თაობაზე. იგი ფსიქიკას, პიროვნებას ხან მიაწერს მიზნობრიობას (ე. ი. მიზნობრიობას თვლის ფსიქიკის, პიროვნების ონტოლოგიურ ნიშნად), ხან კი მას — ტელეოლოგიურ

პოინციბს — გონების ჰერეტის ფორმად აცხადებს; უკანასკნელმა განაპირობა ადღერის მხრიდან ფექციონალიზმის გნოსეოლოგიური კონცეფციისადმი დადებითი გამოხმაურება.

ფსიქონალიზი და ანალიზური ფსიქოლოგია რომ ფსიქოლოგიური თეორიებია, ამას ამართლებს ის, რომ მათი შესწავლის საგანი ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება, ე. წ. „პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკა“ და „კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკა“ ფსიქიკურ სინამდვილედაა წარმოდგენილი აქ ფორმალური სისწორე დაცულია: ფსიქიკას შეისწავლის ფსიქოლოგიური დისციპლინა. სხვაგვარი ვითარებაა ინდივიდუალფსიქოლოგიის შემთხვევაში. ადღერმა თავის კონცეფციას უწოდა ინდივიდუალფსიქოლოგია, მაგრამ მიზნები, რაც მან დაუსახა თეორიას, სცილდება ფსიქოლოგიის ფარგლებს. საქმე ის არის, რომ რასაც ავტორი ფსიქიკად სახავს (პიროვნება) ის ნამდვილად ფსიქიკას არ წარმოადგენს. ამიტომ ამ არაფსიქიკური გარკვეულობის — პიროვნების — შემსწავლელ დისციპლინას გაუმართლებელია ეწოდოს ფსიქოლოგია, ინდივიდუალფსიქოლოგია. ადღერის განზრახვაა მთლიანი პიროვნების შემეცნება, ამდენად, ინდივიდუალფსიქოლოგია წარმოადგენს მოძღვრებას პიროვნების შესახებ. პიროვნების გულს ქმნის ცხოვრების სტილი, — ეს უკანასკნელი სოციალური ამოცანებისადმი კონკრეტული ინდივიდის მიმართების, დამოკიდებულების ბუნებას ცხადყოფს. ცხოვრების სტილი, მართალია, წარმოადგენს პიროვნების სიღრმისეულ ფენას, მაგრამ აღნიშნული არაცნობიერი სიღრმე არაა ფსიქიკა (არაცნობიერი ფსიქიკა), იგი სოციალური განზომილებაა. მართალია, ცხოვრების სტილის აღმოცენება-ჩამოყალიბებისა და მისით პიროვნული მიზნების განხორციელების პროცესში მონაწილეობას ღებულობენ რთული გარკვეულობანი, რომლებიც ფსიქიკურ მომენტებსაც შეიცავენ, მაგრამ ეს გარემოება ცხოვრების სტილის ონტოლოგიურ ბუნებას ვერ ცვლის, მას ფსიქიკად ვერ აქცევს. ეს ვითარება გვიკარნახებს, შეუსაბამოა დავინახოთ ინდივიდუალფსიქოლოგიის ფარგლებში შესასწავლ საგანსა და მის შესახებ თეორიის კვალიფიკაციაში. არაფსიქიკურის შესახებ (პიროვნების შესახებ) გაუმართლებელია ფსიქოლოგიური თეორიის მოცემა. ინდივიდუალფსიქოლოგია ამიტომ არაადეკვატური ტერმინია ადღერის პერსონალისტური კონცეფციის აღსანიშნავად.

ადღერის კონცეფციაში წინა პლანზეა წამოწეული ინდივიდუალურის შემეცნება. პიროვნება მთლიანია, დაუნაწევრებელი გარკვეულობაა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მის განუმეორებლობას, ინდივიდუალობას. ინდივიდუალფსიქოლოგიის თემაა: „თავისებურად სტილიზებული ინდივიდის გარემოსადმი მიმართულ აქტებში განხორციელებული დამოკიდებულება“. ინდივიდის გარემოსადმი ორიგინალურ დამოკიდებულებას განსაზღვრავს ცხოვრების სტილი, რომელიც ხასიათდება „ინდივიდუალურ აღნაგობად“. როგორა ვწვდეთ ცხოვრების სტილის კონკრეტულ შინაარსს? რა გზით უნდა მოხდეს მისი ერთხელადი შინაარსის შემეცნება-გაგება?

ადღერი პიროვნების გულში შედწევასა და იქ ე. წ. ფსიქიკური კონსტიტუციის ხილვას აკისრებს იდენტიფიკაციას (შთაგრძნობას) და მიხვედრას (ინტუიციას). ავტორს დაეთანხმებიან მასში, რომ: თუკი ცნობილია პიროვნების მიზანი, მაშინ ისიც ცხადია, თუ რას ნიშნავს მისი გამოსახულებითი ფორ-

მები, რომ მიზნის ცოდნით გასაგები ხდება ქცევა. მაგრამ საკითხი ეხება სწორედ მიზნის შინაარსის წვდომას: შეუძლია თუ არა აღნიშნულის განხორციელება იდენტიფიკაციის აქტს? იდენტიფიკაციას, აღლერის მიხედვით, შემმეცნებელში გადმოაქვს სხვისი სულიერი მიმდინარეობა. სხვაგვარად ეს იმას ნიშნავს, რომ შემმეცნებელი თუკი აღმოჩნდებოდა იმავე პირობებში და სიტუაციაში, ამავე დროს მას თუ ექნებოდა იგივე სულიერი მოტივაცია, იმასვე მოიმოქმედებდა, რაც შესამეცნებელმა პიროვნებამ განახორციელა. მაგრამ ეს განმარტება არაა პასუხი იმაზე, თუ რეალურად როგორ განხორციელდა არაცნობიერი ერთხელადი შინაარსის მქონე ცხოვრების სტილის წვდომა. როგორ დავადგინოთ, რომ ჩემი სულიერი მოტივაცია იგივეა, რაც სხვისი? იგივეობრივ ობიექტურ გამოსახვით საშუალებათა ამ საქმისთვის გამოყენება გამორიცხულია, რადგანაც, აღლერის მიხედვით, არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი კავშირი გამოვლენილსა და მის საფუძველში მდებარე განმაპირობებელს შორის: „მე“ ინდივიდუალურის შემოქმედია მულამ. გასაგებია შთაგრძნობის ცნების ის შინაარსი, როცა საქმე ეხება ჩემი ცნობიერი ფსიქიკური ვითარების შეტანას, ვადატანას სხვაში და ამ გზით სხვის ფსიქიკურ ვითარებაზე, როგორც ნაცნობზე, მითითება. მაგრამ გაუგებარია, ჩემი ცნობიერი ფსიქიკური ვითარება წარმოვიდგინო სხვისი არაცნობიერი ვითარების ანალოგად, მასზე ვილაპარაკო როგორც გადმოტანილზე.

ავტორი ფსიქიკური კონსტიტუციის ხილვის საქმეს აკისრებს მიხვედრის აქტსაც (ინტუიციას), მაგრამ ამ აქტის ანალიზი, მისი შინაგანი სტრუქტურისა და განხორციელების შესაძლებლობის ცხადყოფა მასთან მოცემული არ არის. აღლერის მოსაზრება ინდივიდუალურის წვდომის გზების შესახებ ანალიზსა და დასაბუთებას მოითხოვს იმდენად, რამდენადაც, ფაქტურად, ავტორი სხვისი ცხოვრების სტილის ხილვის პირველწყაროდ მიიჩნევს გამოსახულებათა ემპირიულ მოცემულობას მიიჩნევს; სენსუალურმა მასალამ უნდა მოგვეცეს პირველი ცნობა სხვისი პიროვნული მიზნის შინაარსის შესახებ. ეს სადავო არცაა; რაც შეეხება ინდივიდუალური მიზნის შემეცნების საბოლოო საქმეს, აღნიშნულის შესახებ ავტორის მოსაზრება დამაჯერებელი არაა.

აღინიშნა, რომ აღლერი დადებით მნიშვნელობას ანიჭებს მარქსიზმთან მისი თეორიის ახლო დგომას, რაც უკავშირდება საზოგადოების ისტორიის მატერიალისტურად გაგების საკითხს: „ამ მოძღვრების მიხედვით, ეკონომიური საფუძველი, ტექნიკური ფორმა, რომლითაც ხალხი არსებობის საშუალებას მოიპოვებს, განაპირობებს იდეოლოგიურ ზედნაშენს, ადამიანის აზროვნებასა და ქცევას. რაოდენ შეესატყვისება ეს ჩვენს გაგებას შემოქმედი ადამიანური ერთად ცხოვრების ლოგიკის შესახებ“<sup>33</sup>; „ისტორიის კოლექტივისტური გაგების აზრი, რომელსაც წარმოვიდგენს ჩვენ მარქსისტული პროგრამა და, აგრეთვე, აზრი ადამიანის დაკავშირებულობისა ეკონომიურ საწარმოო ძალებთან და წარმოების პირობებთან, შეიცავს ინდივიდუალფსიქოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომ ცალკეულის ცხოვრება შეიძლება გაგებული იქნას მხოლოდ როგორც კოლექტიური განცდის ფუნქციის ნაწილი

<sup>33</sup> A. Adler. Menschenkenntnis, Zürich, 1947, გვ. 19.

და მხოლოდ რეალურად მოცემული ადამიანი — დედამიწის მიმართების სისტემის შიგნით<sup>34</sup>.

ინდივიდუალფსიქოლოგიის ზოგი მიმდევარი უფრო შორსაც მიდის, ცდილობს დაასაბუთოს მარქსიზმისა და ინდივიდუალფსიქოლოგიის შინაარსობრივი იგივეობა. ა. რულე-გერსტელი აღნიშნავს: „მარქსიზმი ესაა ინდივიდუალფსიქოლოგია, რომელიც გამოყენებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ“<sup>35</sup>. ა. რულე-გერსტელის აზრი მარქსიზმისა და ინდივიდუალფსიქოლოგიის იგივეობის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ მტკიცებად, რადგანაც არ არსებობს საფუძველი მარქსიზმის როგორც მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის, — კერძო მეცნიერებასთან, ერთ-ერთ პერსონალისტურ თეორიასთან გაიგივებისა. ამიტომ მასზე საგანგებო შეჩერების საჭიროებაც არაა. რაც შეეხება თვითონ ადღერის მოსაზრებას, მის შესახებ უნდა ითქვას, რომ მარქსიზმი არ იქნება წინააღმდეგი, რომელიმე თეორიამ გაიზიაროს პრინციპული მნიშვნელობის დებულება საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი როლის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ. მაგრამ რაც შეეხება ადამიანის, პიროვნების სტრუქტურულ მთლიანობასა და მისი არსის ცხადყოფას, ამ საკითხში ინდივიდუალფსიქოლოგიური კონცეფცია შორს დგას ადამიანის შესახებ მარქსისტული გაგებისაგან. პიროვნების მარქსისტული გაგება შეუთავსებელია ადამიანის იმ კონცეფციასთან, რომელსაც პიროვნება წარმოუდგენია არაცნობიერად აღმოცენებული ცხოვრების სტილის ფატალურ განსაზღვრულობად, რომელიც პრინციპულად გამორიცხავს შეგნებულ და ობიექტურ აუცილებლობათა კუმარტ ცოდნაზე დამყარებულ მიზანშეწონილ მოქმედებას, მაღალ საზოგადოებრივ ღირებულებათა ცნობიერ განხორციელებას.

ბევრი მეცნიერის მიერ სწორადაა მითითებული სიძნელე, რომელიც საერთოდ ახლავს ადღერის კონცეფციის გაგებას, ეს ვითარება გამოწვეულია ადღერის აზროვნების თავისებურებით: იგი მოიხმარს ტერმინებს მათი შინაარსის დადგენაზე საგანგებო ზრუნვის გარეშე, მისი თეორიის ძირითადი ცნებები მოკლებულნი არიან ზუსტ მნიშვნელობას; აღნიშნული განაპირობებს ტერმინების არაერთმნიშვნელოვან გაგებას და, ბევრ შემთხვევაში, ინდივიდუალფსიქოლოგიური კონცეპტის არასწორ გააზრებას (იხილეთ, მაგალითად, ნაკლოვანებისა და კოლექტიურობის გრძნობების ანალიზი); ამ სიძნელეს ერთვის ავტორის არასისტემურობა და ფრაგმენტულობა პრინციპული მნიშვნელობის საკითხებზე, ადღერის აზროვნების უფრო თხრობას ემსახურება, ვიდრე არგუმენტაციას, მისი თხრობა აფორიზმულია.

ადღერის პასუხი კითხვაზე — ინდივიდუალფსიქოლოგიაში ითქვამთ თუ არა რაიმე ახალი სულიერი მთლიანობის შესახებ? — ასეთია: სულიერი მთლიანობის შესახებ არაფერია ვიცით იმაზე მეტი, რაც მოპოვებულია ღრმა ინტუიციით ადამიანზე — ესქილესთან, სოფოკლესთან, ევრიპიდესთან, მოლიერთან, შექსპირთან, შილერთან, გოეთესთან, ტოლსტოისთან და დოსტოევსკისთან; თუკი ვინმეს სურს მეტი ცოდნის მიღება ადამიანის სულის მთლიანობის შესახებ, ის უნდა დაელოდოს ახალი

<sup>34</sup> Handbuch der Individualpsychologie, II, München, 1926, გვ. 12.

<sup>35</sup> A. R ü h l e - G e r s t e l. Der Weg zum Wir (მოყვანილია ი. დონატის მიხედვით, «Über Psychoanalyse und Individualpsychologie», Innsbruck, 1932, გვ. 266).



შექსპირისა და დოსტოევსკის გამოჩენას. ის, რაც მათ დასრულებული ენობრივი ხელოვნებით წარმოადგინეს, მან, აღლერმა, მარტივი და გასაგები გახადა, უფრო ზუსტად თქვა მეცნიერულ ენაზე.

აღლერის პრეტენზია, რომ მან მარტივი და გასაგები გახადა, — მეცნიერულ ენაზე უფრო ზუსტად თქვა ის, — რაც ადამიანის მთლიანობის შესახებ ინტუიციით მოპოვებული იქნა ლიტერატურის დიდ კლასიკოსებთან, ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორიის ძირითადი ცნებების გაცნობისას ეჭვს ბადებს განზრახვის სისრულეში მოყვანის მხრივ.



[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]

Handwritten notes and references at the bottom of the page, including mentions of 'Handbuch der Indiv. Psychologie'.

ბიოგრაფიული

ქენონის პარადოქსები და თანამედროვე მეცნიერების  
ზოგადი აქტუალური პრობლემა

1. რით იწინააღმდეგება ქენონის პარადოქსები მეოცე საუკუნის მეცნიერებს? ქენონის პარადოქსებზე (ანუ აპორიებზე) ბევრია დაწერილი და მათზე რამდენადაა ახლის თქმა თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ქენონის აპორიების მიმართ (რომელთა ჩამოყალიბებიდან, როგორც ცნობილია, გავიდა თითქმის 24 საუკუნე) მეცნიერთა ინტერესი არამც თუ მცირდება, არამედ უფრო და უფრო მატულობს. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ეს აპორიები დაკავშირებულია მეცნიერების ურთულეს, ევრეტოლოგიულ მარადიულ პრობლემებთან (როგორცაა, მაგალითად უსასრულობის, მოძრაობის, სივრცისა და დროის სტრუქტურის პრობლემები და სხვა), რომელნიც განსაკუთრებით აქტუალური გახდნენ სწორედ ჩვენს დროში.

ერთ-ერთი იმ ძირითად ცნებათაგანი, რომელნიც ფიგურირებენ ქენონის აპორიებში, არის უსასრულობის ცნება (ქენონის აპორიები უშუალოდ ეხება სივრცის, დროისა და მატერიის უსასრულოდ გაყოფადობის შესაძლებლობის პრობლემებს). სწორედ ქენონმა აღმოაჩინა უსასრულობის წინააღმდეგობრივი ბუნება, რაც (მოძრაობის წინააღმდეგობრივი ბუნების აღმოჩენასთან ერთად) უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენას წარმოადგენდა. აპორიებში მიუთითებს ამ მნიშვნელოვანი ცნების მეცნიერული დასაბუთების აუცილებლობაზე, მაგრამ უსასრულობის პრობლემა იმდენად რთული და ამოუწურავი აღმოჩნდა, რომ იგი თავსაშტრევი გახდა არა მარტო ძველი საბერძნეთის მოაზროვნეთათვის, არამედ მკვლევართა მომდევნო თაობებისთვისაც. როცა ნიუტონმა და ლაიბნიცმა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა აღმოაჩინეს, ისინი არ ჩაუფიქრდნენ იმას, მუარია თუ არა ახალი თეორიის საფუძველი. მათემატიკოსები იყენებდნენ უსასრულოდ მცირე სიდიდეებს და მათ სრულიადაც არ აღუვებდა ის გარემოება, რომ ეს ცნება არ იყო ჭერ კიდევ საკმარისად დაფუძნებული. ამან გამოიწვია მათემატიკის საფუძვლების მეორე კრიზისი (პირველი კრიზისი დაკავშირებულია ქენონის აღმოჩენებთან).

მეცნიერებთა საუკუნეში შეიქმნა ბოლცანო-კოშის ზღვართა თეორია და დედეკინდის ნამდვილ რიცხვთა თეორია, რის შედეგად მათემატიკამ მოიპოვა ახალი, გაცილებით უფრო მუარო საფუძველი. გასული საუკუნის ბოლო მეხამედში გერმანელმა მათემატიკოსმა ვერტე კანტორმა შექმნა უსასრულო სიმრავლეთა თეორია, რომელშიც ფუნდამენტური როლს თამაშობს აქტუალური (მოცემული ყველა თავისი ელემენტით) უსასრულობის ცნება. 1895 წელს მანვე აღმოაჩინა სიმრავლეთა თეორიის პირველი ანტინომია, რომლისთვისაც მას დიდი მნიშვნელობა არ მიუნიქებია.

სენსაციუ მეცნიერულ სამუაროში გამოიწვია 1902 წელს რახელის მიერ აღმოჩენილი ანტინომია, რომელმაც ექვევეუ დააყენა მთელი სიმრავლეთა თეორიის საფუძველები და თვით ლოგიკის საფუძველებსაც კი დაემუქრა. ამ ანტინომიის შემდეგ აღმოჩენილია ბევრი სხვა, რომელთა დამტყვის ცდებმა გამოავლინა სიმრავლეთზე, რიცხვსა და სხვა ძირითად ცნებებზე აზრთა სხვადასხვაობა და ბიჭვი მისცა თანამედროვე მეცნიერებაში ახალი მიმართულებების შექმნას. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება, რომელიც ცნობილია კონსტრუქტივიზმის სახელიწოდებით, ექვევეუ აყენებს მათემატიკაში აქტუალური უსასრულობის ცნების გამოყენების მართებულობას, თვლას მას არაკონსტრუქციულ ობიექტად, ვინაიდან არ არსებობს ასეთი ობიექტის აგების ევექტური წესი (აღგორითმი) და მოითხოვს სიმ-

1 სიმრავლეთა თეორიის ანტინომიების შესახებ იხ. A. Френкель и И. Бар-Хил-ელ. Основания теории множеств, М., 1966.

რავლეთა თეორიის საფუძვლების გადასინჯვას. ამით დაიწყო მათემატიკის საფუძვლების მე-სამე კრიზისი, რომელიც დღემდე გრძელდება.

როგორც ვნახეთ, სამივე კრიზისი დაკავშირებულია უსასრულობის ცნებასთან. მეოცე საუკუნის უდიდესი მათემატიკოსი პილბერტი წერდა, რომ უძველესი დროიდან არც ერთი სხვა საკითხი ისე არ აღელვებდა ადამიანს, როგორც უსასრულობის საკითხი, მაგრამ არც ერთი სხვა ცნება ისე არ საუბრობებს დასაბუთებასა და განმარტებას, როგორც უსასრულობა<sup>2</sup>. უსასრულობის პრობლემის ინტენსიური კვლევა კი დაიწყო ძენონის პარადოქსების ჩამოყალიბებით. უსასრულობის ცნებასთან შეიძლოდ არის დაკავშირებული უწყვეტობის ცნება. ატომური ფიზიკის სწრაფმა განვითარებამ ახლებურად გააშუქა სივრცის, დროისა და მატერიის უწყვეტობის, მათი უსასრულობის, მათი უსასრულობის პრობლემა. ზოგიერთი მეცნიერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სუბატომურ დონეზე სივრცე დისკრეტულია. ვ. ი. დავითაშვილი სივრცისა და დროის კვანძების არსებობა, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ სივრცის მონაკვეთისა და დროის შუალედის უსასრულოდ გაყოფადობის უარყოფამდე.


ზემოთხსენილი და სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ძენონის ამორიების ამოხსნა, რაც, უოველგვარი ექვსის გარეშე, თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ვარდა ამისა, ამორიები დაკავშირებულია მოძრაობის მეცნიერებაში ასახვის პრობლემებთან, ვ. ი. მატერიალისტური დიალექტიკის ურთულეს პრობლემებთან (ამ მხრივ ძენონის ამორიები დღემდე გადაუჭრელია). ამიტომ განსაკუთრებით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მივბაძოთ არც დიოგენესს, რომელმაც სიარულით დაიწყო მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ძენონის ამორიების კასაბათილებლად და არც XX საუკუნის ფრანგ მათემატიკოსს პოლ ლევეს, რომელმაც ძენონის პარადოქსი — „ქილევსი და კუ“ — აშკარა სისულელედ მიიჩნია, ჩვენ მივყვებით იმ მეცნიერთა მიერ ნაჩვენებ წინა ვინც ძენონის ამორიები სერიოზული ანალიზისა და კვლევის საგნად გაიხადა.

2. ძენონის არგუმენტები მოძრაობისა და სიმრავლის წინააღმდეგ. ძენონის 45 ამორიიდან ჩვენამდე მხოლოდ ცხრამ მოაღწია. ამორიებს ჩვეულებრივ ორ ჯგუფად ყოფენ, რომელთაგან ერთი მიმართულია გრძნობად აღქმავში მოცემული მოძრაობის მოჩვენებითობის დასამტკიცებლად, ხოლო მეორე ჯგუფის ამორიები ცდილობენ სიმრავლის მოჩვენებითობის დამტკიცებას (რაც საბოლოო მიზნად ისახავს იმას, რომ დამტკიცდეს სამყაროში ერთადერთი «საგნის» — პარმენიდეს «ერთის» რეალობა).

მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ არგუმენტებში ძენონი გამოდის იმ დებულებიდან, რომ ყოველი უწყვეტი განფენილი სიდიდე არის უსასრულოდ გაყოფადი, რაც იმდროინდელ მეცნიერებაში უეჭველ დებულებას წარმოადგენდა. ასეთსავე უდავო დებულებას წარმოადგენდა სამყაროში განფენილი და განუფენელი სიდიდეების რეალურად არსებობის აღიარება; ეს აიხსნება იმით, რომ „იმ პერიოდში გეომეტრია როგორც ფიზიკა ჯერ კიდევ არ გამოეყო გეომეტრიის როგორც მათემატიკას“<sup>3</sup>. ძენონის ამორიების შინაარსი ფართოდ ცნობილია, ამიტომ მას მხოლოდ მოკლედ ვაღმოვცემთ. აგრეთვე ვინტელექტუალურად ვ. ი. ლენინის იმ დებულებებით, რომლებიც გამოთქმულია მოძრაობის საკითხის განხილვის პროცესში. მოძრაობა ვ. ი. ლენინის სიტყვებით, „არის უწყვეტობის (დროისა და სივრცის) და წყვეტილობის (დროისა და სივრცის) ერთიანობა. მოძრაობა არის წინააღმდეგობა, წინააღმდეგობათა ერთიანობა“. საკითხი, ვ. ი. ლენინის მიხედვით, ეხება არა იმას, არსებობს თუ არა მოძრაობა, არამედ იმას, თუ როგორ გამოვხატოთ იგი „ცნებათა ლოგიკაში“. ვ. ი. ლენინი წერს, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, გამოვხა-

<sup>2</sup> Д. Гильберт. Основания геометрии, М., 1948, стр. 341.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, ციტ. ნაშრომი, გვ. 12.



ტოტ, გავზომოთ, გამოვსახოთ მოძრაობა, თუ არ შევწყვეტთ შეუწყვეტელს, არ გავამარტივებთ, გავაუხეშებთ, არ გავყოფთ, არ გავამკვდარებთ ცოცხალს. მოძრაობის გამოხატვა აზრის მიერ ყოველთვის არის გაუხეშება, გამკვდარება, — და არა მარტო აზრის მიერ, არამედ შეგარძნების მიერაც, და არა მარტო მოძრაობისა, არამედ ყოველი ცნებისაც<sup>4</sup>.

მაშასადამე, ქენონის აპორიები კი არ ამტკიცებენ მოძრაობის შეუძლებლობას, არამედ გვიჩვენებენ მის დიალექტიკურ ბუნებას (სწორედ ამაშია ქენონის უდიდესი აღმოჩენა).


ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ქენონის აპორია „აქილევის და კუ“.

დავუშვათ, რომ კუ დგას აქილევის წინ და ისინი გარკვეული მანძილით დაშორებული არიან ერთმანეთისაგან. ორივე მათგანი ერთდროულად და ერთი და იმავე მიმართულებით იწყებს მოძრაობას. ვიდრე აქილევის გაივლის იმ მანძილს, რომელიც მას უსსაგან აშორებს, კუ მოასწრებს რაღაც მანძილს გავლას. სანამ აქილევის გაივლის იმ მანძილს, რომელიც კუმ გაიარა, კუ კვლავ წაიწევა წინ და ა. შ. უსასრულოდ. ასე რომ კუ ყოველთვის აქილევის წინ აღმოჩნდება. ეს იმიტომ ხდება, რომ აქილევის გზის ყოველი გარკვეული მონაკვეთის გავლას ანდომებს რაღაც დროს, რომლის განმავლობაში კუ ახალ-ახალ მანძილებს გადის. ამიტომ აქილევის ვერასდროს ვერ დაეწევა კუს.

აქედან ქენონს გამოყავს დასკვნა, რომ არ არსებობს სიჩქარეთა შორის სხვაობა (წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო სწრაფი უნდა დაეწიოს უფრო ნელს და გაუსწროს მას), მაშასადამე საერთოდ არ არსებულა სიჩქარე და მასთან ერთად მოძრაობაც, ვინაიდან ყოველი მოძრაობა გარკვეული სიჩქარით ხასიათდება.

არსებობს მჭიდრო კავშირი ზემომოყვანილ აპორიასა და მეორე აპორიას შორის, რომელსაც ეწოდება «დიქოტომია» (ორზე გაყოფა).

განვიხილოთ მონაკვეთი AB: საგანი მოძრაობს A-დან B-სკენ. ამ მანძალის გასაღველად საჭიროა მისი ნახევრის AC-ს) გავლა, მანძილის დარჩენილი ნახევარი თავისთავად მთელია, და კვლავ დგება ნახევრის ნახევარი მანძილის (cd-ს) გავლის საჭიროება და ა. შ. უსასრულოდ.



ზემოჩამოთვლილი მონაკვეთების მიმდევრობა B წერტილისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ აქტუალურად მას (როგორც ეს მიმდევრობის ზღვარის განმარტებიდან გამომდინარეობს) ვერასოდეს ვერ მიაღწევს, გასაღველი მანძილის ნაშთი, როგორც ფუნქცია, წარმოადგენს უსასრულოდ მცირე სიდიდეს.

მაშასადამე, მოძრაობა არასოდეს არ დამთავრდება, სხეული ვერასოდეს ვერ მიაღწევს B წერტილს. დაახლოებით ასე გადმოსცემს არისტოტელე<sup>5</sup> ამ აპორიას «ფიზიკაში». «დიქოტომიის» სხვა ინტერპრეტაციას იძლევა ჰეგელი, რომლის მიხედვით, შეუძლებელია მოძრაობის არა მარტო დამთავრება, არამედ დაწყებაც. მართლაც, იმისათვის, რომ სხეულმა გაიაროს გასაღველი გზის ნახევარი, მან ჯერ უნდა გაიაროს ამ ნახევრის ნახევარი, ე. ი. Ad (იხ. ნახ. 1, დაყოფის მიმართულება მარცხნივ), მაგრამ ამის წინ მან უნდა გაიაროს Ae და

<sup>4</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ი. თხზულებანი, ტ. 38, გვ. 262, 264.



ა. შ. უსასრულოდ. ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიტყვით, თუ როდის დაიწყო მოძრაობა, რადგან მოძრაობის დაწყება ნიშნავს ადგილიდან დამერას, ე. ი. რაღაც მანძილის გავლას, მაგრამ მანამდე ხომ ამ მანძილის ნახევარი უნდა გავიაროთ და ისევ ვლებულობთ რეგრესს უსასრულობაში. ჩვენი აზრით, უკანასკნელი ინტერპრეტაცია უფრო კარგად ემსახურება თვითონ ძენონის ჩანაფიქრს, თუკი იგი ნამდვილად ისახავდა მიზნად მოძრაობის რეალობის უარყოფას, ვინაიდან პირველ შემთხვევაში (ისევე, როგორც წინა აპორიაში) მოძრაობა მაინც წარმოებს, უკანასკნელ ინტერპრეტაციაში კი არავითარ მოძრაობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან სხეულის ამოძრავებაც კი შეუძლებელია.


ორივე აპორია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ერთი და იმავე აპორიის ორი სხვადასხვა ვარიანტი (სხეულის მოძრაობა მიზნისაკენ), რომელთაგან პირველში ვერ მიიღწევა მოძრავე მიზანი (კუ), მეორეში კი უძრავი (B წერტილი). სიძნელე ვერც მაშინ გადაწყდება, თუ უარყოფთ სივრცისა და დროის უსასრულოდ გაყოფადობას და დაუდგენთ საზღვარს მათს გაყოფადობას ატომების სახით, — ეს ნათელი ხდება აპორია «ისრის» განხილვის საფუძველზე.

დაუშვათ, რომ დრო შედგება განუყოფელი მომენტებისაგან (დროის ატომებისაგან) სივრცე კი ასეთივე განუყოფელი წერტილებისაგან (სივრცის ატომებისაგან). განვიხილოთ გისროლილი ისარი. ყოველ განუყოფელ დროის მომენტში («ახლა») ისრის წვერი იმყოფება სივრცის განსაზღვრულ წერტილში («აქ»). «ახლაში» ისარი ვერ იმოძრავებს, ვინაიდან იგი განუყოფელი და ხანგრძლივობას მოკლებულია (მყისიერია). ვინაიდან დროის მთელი განსახილველი შუალედი შედგება მხოლოდ ასეთი განუყოფელი მომენტებისაგან, რომლებშიც სხეული უძრავია, ამიტომ მოძრაობა წარმოგვიდგება როგორც უძრავობის მდგომარეობათა ჯამი, ეს უკანასკნელი კი ისევ უძრავობის მდგომარეობაა. მაშასადამე, გატყორცნილი ისარი უძრავია.

ამრიგად, სივრცისა და დროის ატომების არსებობის დაშვება გამოსავალს ვერ გვიჩვენებს. გარდა ამისა, აქ იქმნება ახალი პრობლემა: **გ ა ნ ფ ე ნ ი ლ ი ა** თუ არა ეს ატომები? განუფენელი (ხანგრძლივობას მოკლებული) დროის ატომები არის არა დროის ნაწილი, არამედ დროის გამორიცხვა (როგორც ჭერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა). მეორე მხრივ, ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ განუფენელი განუყოფელი ატომების არსებობა, რაშიც აპორია «ასპარეზის» ერთ-ერთი ინტერპრეტაცია გვარწმუნებს<sup>5</sup>.

წარმოვიდგინოთ, რომ დრო შედგება განუყოფელი განუფენელი ატომებისაგან. AB მონაკვეთის ბოლოებში ორი მორბენალია, იმდენად სწრაფი, რომ თითოეულს მთელი AB გზის გასაველად ესაპირობა დროის მხოლოდ ერთი ატომი. დაუშვათ, ორივე ერთდროულად იწყებს მოძრაობას. როდესაც ისინი შეხვდებიან C წერტილში, დროის განუყოფელი ატომი გაიყოფა შუაზე...

ნახ. 2.



მაშასადამე, თუკი დროის ატომები ნამდვილად არსებობს, მათში მოძრაობა შეუძლებელია. ანტიკურ მათემატიკაში ცნობილია ორი დებულება, რო-

<sup>5</sup> ეს ინტერპრეტაცია აღებულია სტატიიდან: С. А. Яновская. Преодолены ли в современной науке трудности, известные под названием «апорий Зенона»? сб. «Проблемы логики», М., 1963, стр. 127.



მელთაც მათემატიკის ძირითად აქსიომებს უწოდებდნენ: პირველი მათგანი ამტკიცებს, რომ რაგინდ მცირე განფენილ სიდიდეთა უსასრულოდ დიდი რაოდენობის ჯამმა აუცილებლად უნდა მოგვეცეს უსასრულოდ დიდი სიდიდე; მეორე ამტკიცებს, რომ განუფენელ<sup>6</sup> სიდიდეთა უსასრულო რიცხვის ჯამი ვერასდროს მოგვეცემს განფენილ სიდიდეს<sup>7</sup>. პირველი აქსიომის მიხედვით აქილევისა და კუს შეხვედრის ადგილი, ისევე როგორც B წერტილი „დიქოტომიაში“, უსასრულოდ დაშორებულ წერტილებს წარმოადგენენ. ამ დებულებიდან გამომდინარე, ყოველი სასრული სიდიდე ხდება უსასრულოდ დიდი, თუ მას განვიხილავთ როგორც სასრულ სიდიდეთა უსასრულო რიცხვის (რომელიც მიღებულია ამ სიდიდის დაყოფის შედეგად) ჯამს. აქვე აღვნიშნოთ, რომ პირველ აქსიომში გამოთქმული აზრი სრულიადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. განვიხილოთ სასრულ რიცხვთა უსასრულო მწკრივი (სიმარტივისათვის ავიღოთ

ის რიგი, რომელიც გვაქვს „დიქოტომიაში“):  $S = 1 + \frac{1}{2} + \frac{1}{4} + \frac{1}{8} + \dots + \frac{1}{2^n} \dots + n$ -ის უსასრულო ზრდასთან ერთად საერთო წევრის სიდიდე

მისწრაფვის ნულისაკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მწკრივს აქვს სასრული ჯამი —  $S = 2$ -ს.

პირველი აქსიომის სიყალბე მეცნიერებებში თუ არავითარ ეჭვს არ იწვევს, ასევე არ ითქმის მეორეზე (წინააღმდეგ ს. ლურის აზრისა, რომლის მიხედვით, ორივე აქსიომა დიდიხანა უარყოფილია მეცნიერების მიერ). ს. ბოგომოლოვი წერს: „გეომეტრია აგებს თავის ობიექტებს განუყოფელი ელემენტებისაგან (წერტილებისაგან) და აღწევს ბრწყინვალე შედეგებს“<sup>8</sup>. მაგრამ განფენილი სიდიდე (მაგ., სხეული) ჩვენთვის ხომ ემპირიულ ფაქტს წარმოადგენს მაშინ, როდესაც წერტილი არის იდეალიზებული მათემატიკური აბსტრაქცია: „რეალურად არსებული სხეულის აბსტრაქტულ წერტილებისაგან აგებამ (თუნდაც თეორიულმა), ბუნებრივად გამოიწვია ზოგიერთი მატერიალისტურად მოაზროვნე მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის შედაგება. ასე, მაგალითად, ნ. ლობაჩევსკი საჭიროდ და აუცილებლად თვლიდა გეომეტრიის საფუძველი დაგვეყარებინა არა წერტილზე, არამედ სხეულზე, წერტილს კი განმარტავდა როგორც გარკვეული წესით ერთმანეთს შემხებ სხეულთა წყვილს“. ამასთან დაკავშირებით ს. იანოვსკაია აღნიშნავს, რომ «სხეული» არის უფრო დაბალი რივის აბსტრაქცია, ვიდრე წერტილი, ვინაიდან შეიძლება ვაჩვენოთ კონკრეტული სხეული, მაგრამ შეუძლებელია ვაჩვენოთ განუფენელი წერტილი<sup>9</sup>. მეორე მხრივ, ს. ბოგომოლოვი თვლის, რომ უწყვეტი განფენილი სიდიდეები შეიძლება განვიხილოთ განუფენელი წერტილებისაგან შედგენილად. მისი აზრით, „აქ წინა ადგილზე გამოდის წესრიგის იდეა, იგი ერთიანობას ანიჭებს ელემენტთა იმ სიმრავლეს, რომელიც კონკრეტულს ახასიათებს, მისი წყალობით, მთელი იძენს თვისებებს, რომელიც არ აქვს მის ნაწილებს“.

<sup>6</sup> უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს რეალურად არსებულ სიდიდეებს ყოფდნენ განფენილ და განუფენელ სიდიდეებად.  
<sup>7</sup> С. Я. Лурье. Теория бесконечно малых у древних атомистов, М.-Л., 1935, стр. 31-32.  
<sup>8</sup> С. А. Богомолов. Актуальная бесконечность, М.-Л., 1934, стр. 39.  
<sup>9</sup> ს. იანოვსკაია. ციტ. ნაშრომი, გვ. 122, 135, მით. 9.



ამრიგად, საკმარისია ავიღოთ წერტილთა ისეთი რაოდენობა, რომ კონტინუუმის სიმძლავრე მივიღოთ, გარკვეული წესის მიხედვით დავალაგოთ ისინი და ჩვენს წინ წარდგება უწყვეტი განფენილი სიდიდე. ასეთი აბსტრაქტული მსჯელობა (თუნდაც იგი მისაღები იყოს მათემატიკური და ლოგიკური თვალსაზრისით) გამოუყენებელია ძენონის აპორიების მიმართ, რომელნიც ფიზიკური რეალობის ობიექტებზე მსჯელობენ. საქმეს არ შველის აქტუალურად უსასრულო ნაწილთა სიმრავლეზე დაყოფილი მონაკვეთის აგების მაგალითი, მოყვანილი ს. ბოგომოლოვის წიგნში, რადგან ეს მოღველი წინასწარ ღებულობს, რომ მონაკვეთი „სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა წერტილების გარკვეულ ერთობლიობას“<sup>10</sup>. ყოველი განფენილი სიდიდე გონებაში არის უსასრულოდ გაყოფადი (თუმცა არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იგი უკვე გაყოფილად, ვინაიდან არ არსებობს გაყოფის უკანასკნელი ელემენტი), მაგრამ ჩვენ არ გვაქვს არაეითარი უფლება, ვაწარმოოთ (თუნდაც გონებაში) უკუპროცესი, ვინაიდან პრინციპულად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ საიდან უნდა დაიწყოს იგი. ამრიგად, მეორე აქსიომას ხელაღებით ვეღარ უარყვოფთ, თუ გავცდებით წმინდა მათემატიკის სფეროს.

ძენონი უშეგბს სივრცისა და დროის უსასრულო გაყოფადობას (სივრცისა და დროის უწყვეტობა) და მიდის წინააღმდეგობამდე, — უარყოფს უსასრულო გაყოფადობას (სივრცისა და დროის დისკრეტულობა) და ისევ მიდის წინააღმდეგობამდე. აქედან ძენონი აკეთებს დასკვნას, რომ სივრცე და დრო (ე. ი. მათში მოძრაობაც) მოჩვენებაა. სინამდვილეში კი აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ სივრცე და დრო წერტილებისაგან და მომენტებისაგან არ შედგება.

იმავე აქსიომებზე დაყრდნობით, ძენონი გამოთქვამს არგუმენტს ბუნებაში სიმრავლის არსებობის წინააღმდეგ: თუკი ბუნება ნამდვილად არსებობს, იგი წარმოადგენს განფენილ საგანთა სიმრავლეს. ასეთ შემთხვევაში, ძენონის მიხედვით, მას ერთდროულად უნდა ჰქონდეს უსასრულო განფენილობაც და ნულოვანი განფენილობაც, — რაც შეუძლებელია. ძენონი ასე მსჯელობს: ყოველ ორ განფენილ სიდიდეს შორის არის მესამე განფენილი სიდიდე, მათი საზღვარი<sup>11</sup>; ამ მესამე სიდიდესა და პირველ ორს შორის არის ორი ახალი სიდიდე და ა. შ. უსასრულოდ. ვღებულობთ, რომ თუ სიმრავლე არსებობს, მაშინ იგი უსასრულოდ ბევრია; რაც უნდა მცირე იყოს თითოეული სიდიდე, მათი უსასრულო რაოდენობის ჯამი მოგვეცემს უსასრულოდ დიდ სიდიდეს. ამ მსჯელობიდან იმავეითვე გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი სასრული სიდიდე არის უსასრულოდ დიდი. მეორე მხრივ, „რამე, სიდიდის მქონე, არ შეიძლება მოვიხზოთ როგორც სიმრავლე, რადგან მაშინ აუცილებლად უნდა მოვიხზოთ იგი როგორც განუყოფელი ნაწილებისაგან შემდგარი; უკანასკნელნი კი, როგორც სრულიად არმქონენი სიდიდისა (რასაც სიდიდე აქვს, ის აზრში გამოყოფადია უსასრულოდ — გ. ხ.), ვერც ერთი რაოდენობით აღებულნი ვერ მოგვემენ სიდიდის მქონე მთელს“<sup>12</sup>. განუფენელ ნაწილთა უსასრულოდ დიდი ჯამიც კი ვერ მოგვეცემს განფენილ სიდიდეს.

<sup>10</sup> მ. ბ. ბ. გ. მ. ო. ლ. ვ. ი. ციტ. ნაშრომი, გვ. 41, 57.

<sup>11</sup> არ უნდა დაევიწყოთ, რომ ელემენტები უარყოფდნენ ცარიელი სივრცის არსებობას, აცხადებდნენ რა მას არარსად.

<sup>12</sup> ს. ბ. ბ. გ. მ. ო. ლ. ვ. ი. ციტ. ნაშრომი, გვ. 36.



ვინაიდან პირველი აქსიომის სიყალბე ნათლად არის ნაჩვენები, ჩვენ შეგვიძლია ქენონის ზემომოყვანილი მსჯელობის პირველი ნაწილი მცდარად ჩავთვალოთ. ამით იხსნება წინააღმდეგობა, მიუხედავად იმისა, ჭეშმარიტია თუ არა მსჯელობის მეორე ნაწილი, რაც სადაო საკითხს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ აღარ შევჩერდებით ქენონის ამორიებზე სიმრავლის წინააღმდეგ და უშუალოდ გადავალთ მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ამორიების ანალიზზე, რომელნიც ვაკილებით უფრო დიდ ინტერესს იწვევენ თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით.

**8. დიალექტიკა და მეტაფიზიკა ამორიებსა და მათთან დაკავშირებულ პრობლემებში.** ქენონის ამორიების პირველი, ყველაზე საფუძვლიანი ანალიზი მოცემული აქვს არისტოტელეს. მან გააანალიზა სივრცისა და დროის უსასრულოდ გაყოფადობის შესაძლებლობა, რომელსაც ამორიები ემყარებიან და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, „უსასრულობის რაოდენობრივი თვალსაზრისით (ე. ი. სიდიდის, საზღვრების მხრივ, — გ. ხ.), შემოსაზღვრულ დროში შეხება არ შეიძლება; გაყოფის თანახმად უსასრულოს კი შეიძლება, რადგან დრო, ამ თვალსაზრისით, თვითონ არის უსასრულო; მაშასადამე, გვიჩდება უსასრულობის უსასრულო და არა შემოსაზღვრულ დროში გავლა და ნაწილთა უსასრულო სიმრავლის უსასრულო და არა შემოსაზღვრული სიმრავლით შეხება“. ამიტომ ქენონი ცდება, როდესაც ამბობს, რომ შეუძლებელია გავიაროთ სასრულო მონაკვეთის გაყოფის შედეგად მიღებულ ნაწილთა უსასრულო სიმრავლე სასრულ დროში (ვინაიდან დროის შუალედი აგრეთვე უსასრულოდ გაყოფადია). მეორე პრობლემა, რომელსაც მიაქცია ყურადღება არისტოტელემ, და რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია სივრცისა და დროის უსასრულო გაყოფადობის დაშვებასთან, არის უძრაობიდან მოძრაობაში და პირუკუ გადასვლის ანუ მოძრაობის დაწყებისა და დასასრულის პრობლემა. ყველა ნათლად ხედავს, თუ როგორ ხდება ეს, მაგრამ ამ მოვლენის მეცნიერული ანალიზი დიდ სიმწელებს აწყდებს. არისტოტელეს მსჯელობა იმაზე დაიყვანება, რომ შეუძლებელია დავადგინოთ, თუ სად (როდის) დამთავრდა უძრაობა და დაიწყო მოძრაობა, რადგან მოძრაობის ყოველი «პირველი» მომენტისათვის მოიძებნება კიდევ უფრო „პირველი“ (ისევ და ისევ დროის უსასრულოდ გაყოფადობის გამო); „მჩხეზი ამისა არის ის, რომ ყველაფერი უძრაობს და მოძრაობს დროში, დროში კი პირველი არ არის, ისევე როგორც არ არის პირველი სიდიდეში და საერთოდ ყველაფერ უწყვეტში, რადგან ყველაფერი ეს გაყოფადია უსასრულოდ“. ერთი შეხედვით, არისტოტელეს სიტყვები არ შეიცავენ არაფერ ახალს, იგი მხოლოდ იმეორებს იმ დასკვნებს, რომელნიც გააკეთა ქენონმა „დექლოტომიაში“. მაგრამ „ფიზიკის“ ამ ადგილის უფრო ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ არისტოტელემ მეცნიერულად ახსნა ის დიალექტიკური სიმწელება, რომელიც ქენონმა აღმოაჩინა. ამრიგად, უძრაობიდან მოძრაობაში გადასვლას პროცესში არ არსებობს პირველი და უკანასკნელი მომენტი. უფრო მეტიც, მათი არსებობა პრინციპულად შეუძლებელია, „რადგან «ახლა» მომენტში შეუძლებელია როგორც მოძრაობა, ასევე უძრაობაც“. ცოტა ქვემოთ, ამორია «ისრის» კრიტიკისას, არისტოტელე ამ აზრს ავითარებს და ამტკიცებს, რომ „დრო არ შედგება განუყოფელ «ახლათაგან», ისევე როგორც არც ერთი



სხვა სიდიდე<sup>13</sup>. ეს აზრი სავსებით შეგვიძლია გავავრცელოთ სივრცის «წერტილებზე».

ძენონმა აღმოაჩინა მოძრაობის წინააღმდეგობრივი ბუნება და ამის საფუძველზე უარყო მისი რეალობა. არისტოტელე გამოდის მოძრაობის როგორც ფაქტის არსებობიდან და ცდილობს მეცნიერულად გაანალიზოს იგი. არისტოტელე აგრეთვე წააწყდა სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს, მაგრამ მისი მსჯელობები და დასკვნები წარმოადგენენ მეცნიერებაში პირველ ცდას ძენონის ნეგატიური დიალექტიკის შეცვლისა პოზიტიური დიალექტიკის თვალსაზრისით. რასაკვირველია, არისტოტელე არ იყო თანმიმდევრული დიალექტიკოსი და მან ვერ შეძლო მოძრაობის დიალექტიკური ცნების შექმნა. ეს ამოცანა შეასრულა ახალი დროის დიდმა დიალექტიკოსმა ჰეგელმა.

ჰეგელის კონცეფციის მიხედვით, „იმოძრავე ნიშნავს იყო გარკვეულ ადგილზე და ამავე დროს არ იყო მასში; ე. ი. იყო ორივე ადგილზე ერთდროულად“<sup>14</sup>. მოძრაობის ეს განსაზღვრა მატერიალისტურ ნიადაგზე განავითარეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა: „თვით მარტივი მექანიკური ადგილგადაცვლება, — წერს ფ. ენგელსი, — შეიძლება მოხდეს მხოლოდ ისე, რომ სხეული დროის ერთსა და იმავე მომენტში ერთ ადგილზეცაა და იმავე დროს მეორე ადგილზეც, ერთსა და იმავე ადგილზე იმყოფება და არც იმყოფება. და მოძრაობა სწორედ ამ წინააღმდეგობის მუდმივი დადგინება და იმავდროული გადაწყვეტაა“<sup>15</sup>.

ე. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეულებში“ განიხილავს მ. ჩერნოვის მეტაფიზიკურ კონცეფციას, რომლის თანახმადაც „მოძრაობა არის სხეულის ყოფნა მოცემულ მომენტში მოცემულ ადგილზე, მეორე, მომდევნო მომენტში კი მეორე ადგილზე“<sup>16</sup>. და აჩვენებს, რომ იგი იმავე ნაკლოვანებებით ხასიათდება, როგორც მოძრაობაზე ანტიკური წარმოდგენა. თუ ჰეგელ-ენგელსის მოძრაობის დიალექტიკურ კონცეფციაში «ერთი და იმავე დროის» ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ დროის ის ინტერვალს, რომლის განმავლობაში წარმოებს სხეულის გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში (ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ განუფენელი დროის შუალედის ან მომენტის არსებობის დაშვება არ შეიძლება), მოძრაობის მეტაფიზიკურ კონცეფციებში «დროის მოცემული მომენტის» გაგებაში იგულისხმება მყისიერება; ე. ი. ყოველგვარი ხანგრძლივობის გამორიცხვა ანუ თვით დროის გამორიცხვა. მაგრამ თანამედროვე ფიზიკამ დაამტკიცა, რომ დროის გარეშე მოძრაობა (მყისიერი მოძრაობა) შეუძლებელია<sup>17</sup>.

«ადგილის» ქვეშ მეტაფიზიკურ კონცეფციას ესმის საგანთა ადგილსამყოფელი, რაღაც ჭურჭელი, რომელიც საგნისაგან დამოუკიდებლად არსებობს. მაგრამ, თუ სივრცე ასეთი აბსოლუტური ადგილებისაგან შედგებოდეს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა გადასვლა ერთი ასეთი ადგილიდან მეორეში. წინააღმდეგ ამისა, დიალექტიკური კონცეფციის მიხედვით, «ადგილი» არის სივრცით

<sup>13</sup> Аристотель. Физика, М., 1936, стр. 107, 119.

<sup>14</sup> Гегель. Сочинения, т. IX, М., 1932, стр. 241.

<sup>15</sup> ფ. ენგელსი. ანტი-დუორინგი, თბ., 1952, გვ. 143

<sup>16</sup> ე. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 38, გვ. 263.

<sup>17</sup> ამის შესახებ იხ. С. Ш. Авваляни, Очерки философии естествознания, Тб, 1968, гл. II.

მიმართებათა ერთობლიობა, მოძრაობა კი არის სივრცით მიმართებათა ცვლილება (ამ კონცეფციის ჩანასახები პირველად გვხვდება არისტოტელესთან).

სწორედ მეტაფიზიკურობაში მდგომარეობს ძენონის კონცეფციის ძირითადი ნაკლოვანება. ვ. ი. ლენინის მიხედვით, აპორია «ისარი» (ისევე, როგორც ჩერნოვის კონცეფცია და ნებისმიერი სხვა მეტაფიზიკური კონცეფცია) შეიცავს სამ შეცდომას: „(1) იგი აგვიწერს მოძრაობის შედეგს და არა თვით მოძრაობას (სხეული იმყოფება «აქ» და «ახლა» მოძრაობის შედეგად, თვით მოძრაობა კი არის მოცემული საზღვრის უწყვეტი გადასვლა — გ. ხ.), (2) იგი არ გვიჩვენებს, არ შეიცავს მოძრაობის შეცდომებს (ვინიდან ღიად რჩება საკითხი, თუ როგორ ხდება თვით მოძრაობის პროცესი, ვ. ი. ამ შემთხვევაში ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა — გ. ხ.), (3) იგი გამოხატავს მოძრაობას როგორც უძრაობის მდგომარეობათა ჯამს, კავშირს<sup>18</sup> (მაშინ როდესაც სინამდვილეში მოძრაობა არ არის უძრაობის მდგომარეობათა ჯამი — გ. ხ.).

მეტეცი შეიძლება ითქვას, ძენონი ფაქტიურად არც ლაპარაკობს მოძრაობაზე, მთელი თავისი მსჯელობის მანძილზე იგი არც ერთხელ არ იხილავს ისარის მოძრაობას, იგი განიხილავს მხოლოდ «უძრაობის მდგომარეობებს». მაგრამ აქ იმალება ძენონის კიდევ ერთი შეცდომა<sup>19</sup>: მას არა აქვს უფლება თქვას, რომ სივრცისა და დროის გარკვეულ წერტილში («აქ» და «ახლა») ისარი უძრაობის მდგომარეობაში იმყოფება, რადგან წერტილში „შეუძლებელია როგორც მოძრაობა, ასევე უძრაობა“ (არისტოტელე), თუ მხედველობაში გვაქვს განუყოფელი განუფენელი წერტილი; ყოველივე ამიდან კი მტკიცდება რომ საქმე ეხება სწორედ ასეთ წერტილს. მაგრამ ასეთი წერტილები იდეალურ ობიექტებს, ფიქციებს წარმოადგენენ და გამოუყენებელია რეალური მოძრაობის განხილვისას. ამით ჩვენ ვაუქმებთ ერთ-ერთ იმ ძირითად წინამძღვართაგანს, რომლებზედაც ძენონი თავის მსჯელობას აგებს.

როგორც ძენონის აპორიების ანალიზი გვაჩვენებს, მათს ერთადერთ სწორ ახსნას დიალექტიკური მატერიალიზმი იძლევა.

**4. ძენონის აპორიები და მათთან დაკავშირებული პრობლემები თანამედროვე მეცნიერების თვალთ.** ძენონის აპორიებთან დაკავშირებული პრობლემებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი პრობლემები, რომელნიც, თავის მხრივ, ქვეპრობლემებად იყოფა:

1) აზროვნებაში მოძრაობის ასახვასთან დაკავშირებული პრობლემები: ა. მოძრაობისა და უძრაობის თანაფარდობა მოძრაობის აღმწერ თეორიებში, ბ. (ფარდობითი) უძრაობის (ფარდობით) მოძრაობაში და პირუკუ გადასვლის პრობლემა, ც. მოძრაობის წყვეტილობისა და უწყვეტობის პრობლემა მაკრო- და მიკროსამყაროში;

2) სივრცის, დროისა და მატერიის სტრუქტურის პრობლემები: ა. წყვეტილობისა და უწყვეტობის მომენტების თანაფარდობა სივრცის, დროისა და მატერიის სტრუქტურაში, ბ. უსასრულო გაყოფადობის პრობლემა და მასთან დაკავშირებული სივრცისა და დროის ქვანტების არსებობის პრობლემა, ც. განუფენლობის, სიდიდისა და სხვა ცნებების მიკროსამყაროში გამოყენებადობის პრობლემა;

<sup>18</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 38, გვ. 263.

<sup>19</sup> იგი შეამჩნია ჯერ კიდევ ბ. რასელმა წიგნში — «Our Knowledge of the External World», L, 1952, p. 142.

3) ბუნებაში აქტუალურ უსასრულო სიმრავლეთა არსებობის პრობლემა უკანასკნელი მეტად რთული პრობლემა ბევრ ასპექტში დაუმუშავებელია და სპეციალური გამოკვლევის საგანს წარმოადგენს, ამიტომ ამ პატარა სტატიაში ჩვენ მას არ შევეხებით.

ზემომოყვანილი და სხვა პრობლემების გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ძენონის აპორიების დაძლევა. მაგრამ ყველა ამ პრობლემას აკავშირებს ყოველი ფილოსოფიის ერთი ფუნდამენტური პრობლემა: გარესამყაროს ადეკვატური ასახვის პრობლემა. ამრიგად, ძენონის აპორიების ძირითადი ასპექტი არის გნოსეოლოგიური ასპექტი. ძენონის აპორიები ასახავენ მოძრაობის წინააღმდეგობრივ, დიალექტიკურ ბუნებას, ამიტომ მათი გადაწყვეტა ფორმალური თეორიის ფარგლებში შეუძლებელია. ამის მიუხედავად, ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ აპორიებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას თითქოს არც უნდა შევხვით, რადგან იგი გადაუწყვეტელიაო (მოძრაობას ვერ მოიაზრებ და, მით უმეტეს, ვერ ასახავ მეცნიერებაში, თუ არ გააჩერე იგი. გაჩერებული მოძრაობა კი მოძრაობა აღარ იქნება), ამიტომ თითქოს თავი უნდა დავანებოთ იმაზე ფიქრს, თუ როგორია მოძრაობა თავისთავად. ასეთი პესიმიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუწყობს ხელს მეცნიერული აზრის განვითარებას.

ამავე დროს, არ შეგვიძლია გავიზიაროთ ზოგიერთი ავტორის ოპტიმიზმიც, რომელნიც აპორიების ფორმალურ-ლოგიკური ან მათემატიკური ასპექტის გადაწყვეტას (რაც თავისთავად მნიშვნელოვანია) აპორიების სრულ გადაწყვეტად ასაღებენ. ამ ავტორთა ყურადღების გარეთ, როგორც წესი, რჩება გნოსეოლოგიური ასპექტი, რაც თავისთავად აპორიების სრული გადაწყვეტის საქმეში მარცხის მომასწავებელია. ძენონის აპორიების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მათი გნოსეოლოგიური ასპექტის გათვალისწინების საფუძველზე, რაც მხოლოდ დიალექტიკურ მატერიალიზმს შეუძლია სპეციალურ მეცნიერებათა უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჰეგელის მიერ მოცემული მოძრაობის დიალექტიკური განსაზღვრა უშუალოდ არ წყვეტს მოძრაობის პრობლემას, არამედ გვიჩვენებს სწორ გზას შემდგომი გამოკვლევებისათვის. ამიტომ ცდება ი. ბაზაროვი, რომელიც ამტკიცებს, რომ „ამ თვისების დადგენამ («აქ» და «იქ» ერთდროულად ყოფნა — გ. ხ.) საშუალება მოგვცა მოგვეხსნა ძენონის აპორიები, რომელნიც ორ ათას წელზე მეტს არსებობდნენ...“<sup>20</sup>. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ს. იანოვსკაიას აზრი, რომლის თანახმად, მეცნიერების განვითარების ყოველ ეტაპზე მოძრაობა აღიწერება იდეალისტიკების საშუალებით, რომელნიც სულ უფრო უახლოვდება ორიგინალს, მაგრამ ვერასდროს ვერ შესძლებს მის ადეკვატურ ასახვას. ამ თვალსაზრისით, ძენონის აპორიები ამოუხსნადია<sup>21</sup>.

მოძრაობის ასახვა მეცნიერებაში მართლაც ურთულესი პრობლემაა. მოძრაობის ფორმულებში გამოსახულია ფაქტიურად არა მოძრაობა, არამედ უძ-

<sup>20</sup> И. П. Базаров. Противоречивость движения и квантовая механика, «ВФ», № 4, 1963, стр. 112.

<sup>21</sup> იხ. ს. იანოვსკაია, ციტ. ნაშრომი.



რაობა. დროში მიმდინარე პროცესი დაშლილია წერტილოვან ხდომილობათა დისკრეტულ მიმდევრობად, და არაფერი არ ითქმის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ერთი წერტილიდან მეორეში გადასვლა. „ეს არის სწორედ ის, რასაც მ. ბერგსონი სინამდვილის კინემატოგრაფიულ წარმოდგენას უწოდებდა“. აქ ჩვენ გადავდივართ მოძრაობის წყვეტილობისა და უწყვეტობის პრობლემაზე. ემპირიულად მოძრაობა ყოველთვის აღიქმება როგორც უწყვეტი. „ეს სწორედ იმ ხასიათის მოსაზრებანია — წერს ბ. რასელი, — რამაც აიძულა ბერგსონი და ბევრი სხვა ჩათევალათ მოძრაობა სინამდვილეში ერთ განუყოფელ მთელად, და არა ცალკეულ მდგომარეობათა თანმიმდევრობად, როგორც ეს მათემატიკოსს აქვს წარმოდგენილი“<sup>22</sup>.

მოძრაობის დიალექტიკური კონცეფციის თანახმად, იგი არის წყვეტილობისა და უწყვეტობის ერთიანობა. მაგრამ უწყვეტობის ცნება ჯერ კიდევ დაზუსტებას მოითხოვს. გ. კანტორის აქტუალურად უსასრულო სიმრავლეთა თეორიაზე დამყარებული უწყვეტობის კონტინუალური კონცეფციის მიღება კი, რომელსაც გვთავაზობს, მაგალითად, ა. გრიუნბაუმი, იწვევს უდიდეს სიძნელეებს (ზოგიერთ მათგანზე კონსტრუქტივისტები მიუთითებენ).

ზოგიერთი მეკლევარი ცდილობს აჩვენოს (არისტოტელეს ზემოგანხილული კონცეფციის წინააღმდეგ), რომ ნამდვილი, ძირითადი სიძნელე აპორიები-სა არის უსასრულოდ მრავალი ნაწილების აქტუალურად გავლის შეუძლებლობა; ეს პროცესი ანალოგიურია საგანთა უსასრულო სიმრავლის დათვლის პროცესისა, რომლის დასრულება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. უფრო მეტიც, ასეთ პროცესს საერთოდ აზრი არ აქვს, ვინაიდან გზის მონაკვეთის უსასრულოდ გაყოფის პროცესის თეორიული განხილვის შედეგად ვლენბულობით წერტილთა არათვლად რაოდენობას (ნებისმიერ ორ წერტილს შორის ჩნდება მესამე, ე. ი. ყოველ ორს შორის ჩნდება უსასრულო რაოდენობა წერტილებისა). მოცემული წერტილისთვის არ არსებობს მომდევნო წერტილი, რაც პროცესს შეუძლებლად ხდის. მაგრამ მონაკვეთის უსასრულოდ გაყოფის პროცესის ბოლომდე მიყვანა, სასრული მონაკვეთის ნაწილთა აქტუალურად უსასრულო სიმრავლის სახით წარმოდგენა და, მით უმეტეს, მოძრაობის წარმოდგენა გზის მონაკვეთთა აქტუალურად უსასრულო სიმრავლის თანმიმდევრული გავლის სახით იდეალიზაციაა. ამიტომ კითხვა, მიიღწევა თუ არა რეალურად მოძრაობის სხეული გზის ბოლო წერტილს, თუ მოძრაობა განიხილება იდეალიზებული, ჩვენი აზრით, უმართებულოა. მართებული იქნებოდა გავეხილა სხეულის მიერ გზის ბოლო წერტილის იდეალიზებული მიღწევა, რაც სრულიად არ მოითხოვს გზის მონაკვეთთა უსასრულო არათვლადი სიმრავლის თანმიმდევრულ გავლასა და გზის ბოლო წერტილის შემცველი ბოლო მონაკვეთის არსებობას. აქ უბრალოდ ზღვარის არსებობა უკვე საკმარისია პრობლემის გადასაწყვეტად და არის საშუალება სხეულის მიერ გავლილი გზის გამოთვლისა ამოწურვის მეთოდით, რომელიც ქენონის თანამედროვეებისთვისაც იყო ცნობილი. ზემოთქმული ეხება როგორც «დიქტომიას», ასევე «კუსა და აქილევსსაც». ელემენტარული მეთოდებით (მაგალითად, გეომეტრიული პროგრესის ჯამის ფორმულის საშუალებით) შეგვიძლია ადვილად გამოვთვალოთ აქილევსისა და კუს შესხედრის ადგილი. თუკი ჩვენ აუცილებლად მოვიტხოვთ ყველა წერტილის გავლას, უსათუოდ ჩიხში მოვექ-

<sup>22</sup> B. Russell. Our Knowledge of the External World, p. 145,179.



ცევით, ვინაიდან „ობიექტურ სინამდვილეში პროცესები საერთოდ არ ატარებენ ისეთ დისკრეტულ ხასიათს, რომლის დროსაც ყოველთვის შეიძლება დეს მათი დაშლა ერთმანეთისაგან განცალკევებული, მკვეთრად განსხვავებული ნაბიჯების მიმდევრობად“<sup>23</sup>. ამ პრობლემას უწოდებენ უსასრულო მწკრივის დასრულებულობის პრობლემას. აპორიების ზემომოყვანილი ინტერპრეტაციიდან გამომდინარე სინელეთა გადალახვის მიზნით, ა. გრიუნბაუმი წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც არ არის აუცილებელი არსებობდეს სივრცისა ან დროის შუალედთა მწკრივის უკანასკნელი წევრი და, მით უმეტეს, შესაძლებლობა მისი ჩვენებისა ან გამოთვლისა, იმისათვის რომ სხელემა გაიაროს გზის მთელი მონაკვეთი და მიაღწიოს ბოლო წერტილს. უბრალოდ ეს ოპერაცია ადამიანს განუხორციელებლად ეჩვენება, რადგან ადამიანის მიერ დროის ემპირიულ აღქმას აქვს უმცირესი ქვედა საზღვარი, რომლის გავლის შემდეგაც ადამიანი კარგავს გარკვეული პროცესების (მაგალითად, დათვლის პროცესის) გონებაში განხილვის უნარს<sup>24</sup>.

ა. გრიუნბაუმის კონცეფცია (რომელიც წარმოადგენს დასრულებულობის ცნების შერბილების ცდას) შეიძლება შევადაროთ ს. ბოგომოლოვის აზრს, რომლის თანახმად, თუ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ უსასრულო ერთობლიობანი მოცულობის მიხედვით (ე. ი. ჩამოვთვალოთ მათი ელემენტები — გ. ხ.), ჩვენ გვრჩება შესაძლებლობა განვსაზღვროთ ისინი შინაარსის მიხედვით (ე. ი. დავახასიათოდ ნებისმიერი მათი ელემენტი — გ. ხ.), რომელიც გვადლევს საშუალებას, რომ ვიჭონიოთ მათზე ჰეშმარიტი ცოდნა“<sup>25</sup>. აქ ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს; ა. გრიუნბაუმის კონცეფცია დასრულებულობის შერბილების შესახებ შეიძლება მისაღები იყოს, მაგრამ, თუ ჩვენ გავიხსენებთ ს. ბოგომოლოვის სიტყვებს, — „ცვლადს არ შეუძლია მიაღწიოს თავის ზღვარს, მაგრამ თუ ჩვენ მივმართავთ რეალურ სამყაროს, დავინახავთ, რომ მართალი იყო ნიუტონი“<sup>26</sup>. ჩვენ თვალწინ ცვლადები ყოველ ნაბიჯზე ადვილად აღწევენ თავიანთ ზღვრებს დროის სასრულ მონაკვეთში“<sup>27</sup>, — დავინახავთ, თუ სად შეუძლია პრობლემას მიიყვანოს მეცნიერი, როდესაც ზუსტად არ დაიცავს ზღვარს აბსტრაქციასა და რეალობას შორის. აქ ჩვენ გვაქვს მოძრაობის მათემატიკური მოდელების ონტოლოგიზაციის ნათელი მაგალითი.

რაც შეეხება გ. კანტორის უსასრულო სიმრავლეთა თეორიის საფუძველზე შექმნილ ა. გრიუნბაუმის სივრცისა და დროის კონტინუალურ კონცეფციას, იგი ხასიათდება იგივე ნაკლოვანებებით, რაც ს. ბოგომოლოვის ზემოაღნიშნულ კონტინუალურ კონცეფციას გააჩნია. ამ კონცეფციის (და სივრცისა და დროის სხვა კონტინუალური მოდელების) სხვა ნაკლოვანებებზე მიუთი-

<sup>23</sup> Ю. А. Петров. Логические проблемы абстракций бесконечности и осуществимости. М., 1967, стр. 17, 73, 74, ამ ავტორის მიერ ჩატარებული გამოთვლების შედეგად ელემენტობა, რომ განვილილია გზა უღრის AB-ს („დიქტომია“).

<sup>24</sup> A. Grünbaum. Can an Infinitude of Operations Be Performed in a Finite Time? «BJPS», 1969, Vol. 20, №3, p.p. 203, 206, 208.

<sup>25</sup> ს. ბოგომოლოვი. ციტ. ნაშრომი, გვ. 68.

<sup>26</sup> როგორც ცნობილია, ი. ნიუტონი თვლიდა, რომ ცვლადები აქტუალურად აღწევენ თავიანთ ზღვრებს. მაგალითად, უსასრულოდ მცირე სიდიდების მას აბსოლუტურ ნულზეად მიაჩნდა. ეს გამომდინარეობდა მისი მეტაფიზიკური კონცეფციიდან.

<sup>27</sup> ს. ბოგომოლოვი, ციტ. ნაშრომი, გვ. 77.

თებს ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ა. პანჩენკო, რომელიც ჯ. უიტროუსა და ა. გრიუნბაუმის პოლემიკის ანალიზისას წერს, რომ ჯ. უიტროუს თვალსაზრისი, რომელიც არ თვლის დროის კონტინუალურ მოდელს დროის სპეციფიკის ასახვისათვის შესაფერად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. „ნამდვილად, ეს უკვე იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ მოდელში ძნელია დროული «ადრე-გვიან» მიმართების განსაზღვრა (დამყარება), რადგან წერტილთა კონტინუუმში არ არის (არ არსებობს — გ. ხ.) მოცემული წერტილის უშუალოდ მომდევნო წერტილი“<sup>28</sup>; ამიტომ „ან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა დროის უსასრულო გაყოფადობის იდეის უარყოფის აუცილებლობის შესახებ. ანდა, თუკი სასურველად მიგვაჩნია ამ სქემის გამოყენება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს, მართებულად რომ ვთქვათ, ლოგიკური ფიქცია“<sup>29</sup>.

სივრცისა და დროის უსასრულო გაყოფადობის პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულია მიკროსამყაროში სივრცის, დროისა და მატერიის სტრუქტურის, აგრეთვე მოძრაობის პრობლემები. კვანტური ფიზიკის ფილოსოფიური პრობლემების კვლევაში შეინიშნება სხვადასხვა თვალსაზრისი: ა) სივრცე და დრო მიკროსამყაროში დისკრეტულ ხასიათს ატარებს, ბ) სივრცესა და დროს მიკროსამყაროში სულ სხვა (და ჭერჭერობით გაურკვეველი) თვისებები აქვს, ვიდრე მაკროსამყაროში, ც) სივრცე და დრო მიკროსამყაროში არ არსებობს. ფიზიკოსთა უმრავლესობას აქვს მიდრეკილება იმისკენ, რომ დაუშვას სივრცისა და დროის ქვანტების არსებობა, ე. ი. მათი გაყოფადობის ზღვარი დასვას. მაგალითად, ი. ტამი სივრცეს მიკროსკოპიულ მასშტაბებში თვლის დისკრეტულად. ამასთან ერთად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დისკრეტულობა, რომელიც არ გამორიცხავს უწყვეტობის არსებობას, და აბსოლუტური დისკრეტულობა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ უწყვეტობასა და მასთან ერთად მიკროსამყაროში სივრცისა და დროის არაწინააღმდეგობრივად მოაზრების ყოველგვარ შესაძლებლობას. ფიზიკოსების მიერ აქამდე მიღებული ექსპერიმენტული მასალა არ იძლევა საშუალებას რაღაც გარკვეული პოზიცია დავიჭიროთ ამ საკითხში. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ფიზიკის მიერ გამორკვეულია შემდეგი: არსებობს მინიმალური სიგრძე  $l_0$  და დროის ელემენტარული შუალედი (ქრონონი), რომლის გავლის შემდეგაც სივრცეზე და დროზე კლასიკური წარმოდგენები კარგავენ აზრს. გარდა ამისა, არსებობენ ელემენტარულ სიგრძეთა სხვადასხვა მნიშვნელობები, რომელნიც გამოყოფენ ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული სივრცულ-დროული მახასიათებლების მქონე არეებს<sup>30</sup>. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ, თუ თანამედროვე მეცნიერების პოზიციებიდან ვიმსჯელებთ, მაშინ ძენონს არ ჰქონდა უფლება თავის მსჯელობაში გამოეყენებინა უსასრულო გაყოფადობა, ვინაიდან, თუ გავცდით გარკვეულ დონეს, იქ უკვე მაკროსამყაროს კანონებისაგან თვისებრივად განსხვავებული კანონები ბატონობენ.

აანალიზებს რა შექმნილ მდგომარეობას, ი. ცეხმისტრო წერს: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძენონის აპორიების ნამდვილი შინაარსი უნდა იყოს მიჩნეული

<sup>28</sup> А. И. Панченко. Апория Зенона и современная философия, «ВФ», 1971, № 7, стр. 181.

<sup>29</sup> Дж. Уитроу. Естественная философия времени, М., 1964, стр. 196.

<sup>30</sup> еб. Р. А. Аронов. Материальные взаимодействия и прерывность пространства и времени. Сб. Некоторые философские проблемы физики. Выпуск III, М., 1970.

4. „მაინე“, ფილოსოფიის... სერია, 1974, № 4



იმაში, რომ მათში განიხილება განფენილობის შესახებ წარმოდგენის გამოყენებადობის საზღვრების საკითხი“. ი. ცხმისტროს აზრით, ელემენტარული ნაწილაკების დონეზე აუცილებელია გავცილდეთ განფენილობის ცნების საზღვრებს და თვლის, რომ „განფენილობისა და ხანგრძლივობის მინიმალური ქვანტები ყოველგვარ გეომეტრიულ ბუნებას არიან მოკლებული“<sup>31</sup>.

თანამედროვე კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვ. ჰაიზენბერგი წერს, რომ „თანამედროვე ფიზიკის განუყოფელ ელემენტარულ ნაწილაკს სივრცის დაკავების თვისება ისევე არ ახასიათებს, როგორც, ვთქვათ, ფერის ან სიმაგრის თვისება“<sup>32</sup>. ანალოგიური პოზიცია უჭირავს ედინგტონს და კვანტური მექანიკის კომპენზაციური ინტერპრეტაციის სხვა დამკველებს.

ჩვენი აზრით, ყველაზე მართებული იქნებოდა სივრცის, დროისა და მოძრაობის ორმაგი (სინათლის ანალოგიურად), უწყვეტი და დისკრეტული სტრუქტურის დაშვება, რომელიც უფრო გამომხატავს მათს დიალექტიკურ ბუნებას.

სტატის დასასრულს მოკლედ შევეხებით ს. კუანის კონცეფციას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან. ს. კუანმა, ზოგიერთ სხვა ავტორთან ერთად, გამოყო ძენონის აპორიებში კიდევ ერთი, ე. წ. «დრამატიული» ასპექტი, რომლის მიზანია უსასრულობის მტკივნეული საკითხის თავიდან აცილება და წინა პლანზე სულ სხვა პრობლემის წამოწევა: შეიძლება თუ არა მივადწიოთ მიზანს, თუ ჩვენ პერიოდულად ვერვით ობიექტის მიერ თავისი მიზნის მიღწევის პროცესში და ახალ-ახალ პირობებს უყენებთ მას, როგორც ამას ძენონი აკეთებს «აქილეესსა» და «დიქოტომიაში». ს. კუანმა დაამტკიცა, რომ სწორედ ჩვენი ჩარევა ხდის მოძრაობას შეუძლებლად და მიზანს კი მიუწვდომლად, რადგან ჩვენ მოძრაობის პროცესზე მსჯელობის დროს ყოველთვის ვცვლით თავდაპირველად დასახულ მიზანს ახალი, წინასწარი მიზნით, რაც მიიღწევა თავიდან არჩეული მოძრაობის წესის ახალი წესით პერიოდული შეცვლით<sup>33</sup>.

არისტოტელე «ფიზიკაში» წერდა (ეს არის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ძენონის წინააღმდეგ): „ვინც უწყვეტ ხაზს ყოფს ორ ნახევრად, ის სარგებლობს ერთი წერტილით, როგორც ორით, რადგან ხდის მას დასაწყისად (მეორე ნახევრისა — გ. ხ.) და დასასრულად (პირველი ნახევრისა — გ. ხ.). ასე იქცევა ის, ვინც ითვლის, და ის, ვინც ყოფს შუაზე. ასეთი გაყოფის დროს არც ხაზი და არც მოძრაობა აღარ იქნებიან უწყვეტნი...“<sup>34</sup>. არისტოტელეს არგუმენტებზე დაყრდნობით, ს. კუანი აკეთებს დასკვნას, რომ ძენონს არა აქვს უფლება მიმართოს უსასრულოდ გაყოფადობას (რომელიც უწყვეტობაზეა დამყარებული), რადგან მის მსჯელობაში მონაწილეობს მხოლოდ და მხოლოდ წყვეტილი მოძრაობა, რომელსაც ასეთად ხდის ჩვენი ჩარევა (ჩვენ მიერ მოძრაობის პროცესის პერიოდულად გაჩერება). კუან-არისტოტელეს კონცეფციიდან, სხვათა შორის, ისიც გამომდინარეობს, რომ აქილეესი ვერ დაეწევა კუს

<sup>31</sup> И. З. Цехмистро. Апории Зенона глазами XX века, «ВФ», № 3, 1966, стр. 68, 67?

<sup>32</sup> В. Гейзенберг. Философские проблемы современной атомной физики, М., ИЛ., 1953, стр. 49.

<sup>33</sup> Stanislaus Q u a n. The Solution of the achilles Paradox. «Review of metaphysics», 1969, Vol. 16, № 3. მისივე, S. Q u a n. The Solution of Zeno's First Paradox. «Minds», 1968, Vol. 77, N 306, p.p. 206—221.

<sup>34</sup> არისტოტელე, ციტ. ნაშრომი, გვ. 163.

არა მარტო თეორიულად, არამედ რეალურადაც, თუ ვაიძულებთ მას იმოძრაოს ისე, როგორც ამას ძენონი ავალგებს.

ს. კუანის მიერ მოცემული ძენონის აპორიების ამოხსნის ცდა საინტერესო და ორიგინალურია, მაგრამ სწორედ არ მიგვაჩნია ჯერ ერთი ის, რომ იგი ვადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ დროს, რომელიც გაჩერებას სჭირდება და ამაში ხედავს იმის ერთ-ერთ მიზეზს, რომ მიზანი არ მიიღწევა. გზის მონაკვეთის დაყოფისა და მოძრაობის პერიოდული გაჩერების პროცესი თავისთავად საკმარის საფუძველს გვაძლევს აპორიების ამოხსნისათვის თვით კუანის კონცეფციის საფუძველზე. მეორეც, კუანი ცდება, როდესაც წერს, რომ ძენონის მსჯელობაში მოცემული გასავლელი გზის მონაკვეთის შუაზე გაყოფის წესს («დიქოტომია») არა აქვს უპირატესობა კუანის მიერ მოცემულ წესთან (ტოლი გზის მონაკვეთების გავლა) შედარებით, რომელიც გვაძლევს საშუალებას ძალიან ადვილად მივადწიოთ მიზანს. გზის გაყოფის წესზე და მოძრაობის წესის შერჩევაზე, როგორც ეს არისტოტელემ და კუანმა აჩვენეს, მართლაც, ბევრი არის დამოკიდებული, მაგრამ ძენონის მიერ გასავლელი გზის შუაზე გაყოფის შერჩევას დიდი ფსიქოლოგიური და ლოგიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც კუანს (რომელიც აპორიების «დრამატიულ», ე. ი. ფსიქოლოგიურ ასპექტს იკვლევს) ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩენოდა.

დაბოლოს, კუანი ფიქრობს, რომ აპორიებს უსასრულობასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. უსასრულობასთან კავშირს არ იძლევა არც მანძილი, არც დრო, არც მოძრაობა და არც მიზანი. „მაშ რა არის პასუხისმგებელი იმისათვის, რომ ჩვენი გონება კონტაქტში მოდის «უსასრულობასთან»? „უსასრულობასთან“ კონტაქტი ჩნდება მაშინ, როცა ჩვენ ვჩერდებით გაყოფის წერტილებში და ვავხედავთ იმ ნაწილს, რომელიც ყოველთვის გასავლელი რჩება“<sup>35</sup>.

ამრიგად, ს. კუანის კონცეფცია მთლად ვერ გათავისუფლდა უსასრულობის ცნებისაგან და რაღაცნაირად მაინც გულისხმობს მას (მან თავიდან აიცილა აქტუალური უსასრულობის ცნება, რომელიც დაკავშირებულია უსასრულო გაყოფადობასთან, მაგრამ ზემომოყვანილ ციტატაში ნათლად ვხედავთ პოტენციალურად უსასრულო პროცესის მაგალითს). ს. კუანის კონცეფციის მაგალითი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ძენონის აპორიებისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა შეუძლებელია უსასრულობის ცნების გამოყენების გარეშე, უსასრულობის პრობლემა კი, როგორც აღინიშნა, რთულ და ბევრ ასპექტში დაუმუშავებელ პრობლემას წარმოადგენს.


რაც შეეხება მოძრაობის დასაწყისისა და დასასრულის პრობლემას, რომელიც გარკვეულ სიძნელეებს ქმნის მოძრაობის ასახვისა და მოაზრების დროს, მისი ძირითადი სირთულე, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ ის, რაც ჩვენ მოძრაობის დასაწყისად გვეჩვენება (მისი, ასე ვთქვათ, უძრაობიდან «გაჩენად»), სინამდვილეში მის რაოდენობრივ მახასიათებელთა ცვლილებას ან მისი ფორმის ცვლილებას წარმოადგენს, რადგან აბსოლუტური უძრაობა არ არსებობს: უძრაობა (ისევე, როგორც მოძრაობა) ფარდობითია; მეორე მხრივ, მოძრაობის ხასიათი ბევრად არის დამოკიდებული ათვლის სისტემის შერჩევა-

<sup>35</sup> S. Q u a n. The Solution of Zeno's First Paradox, p. 215.



ზე: ის, რაც მოძრავად გვეჩვენება ერთი ათვლის სისტემის მიმართ, შეიძლება უძრავად მოგვეჩვენოს მეორე ათვლის სისტემის მიმართ.

ანტიკური მეცნიერების დიდი წარმომადგენლის ძენონის აპორიების კვლევა (ისევე, როგორც მათთან დაკავშირებული პრობლემებისა) რთულ და მრავალი ასპექტის მქონე ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადაწყვეტა მეცნიერების რომელიმე ერთი დარგის წარმომადგენელთა ძალებს აღემატება. წინამდებარე სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მკითხველის ყურადღების გამახვილება ზოგიერთ იმ სიძნელეზე, რომელიც ძენონის აღმოჩენებმა წარმოშვეს.





Г. Т. МАРГВЕЛАШВИЛИ

## ВОПРОСЫ ЭТИКИ В ЭКЗИСТЕНЦИАЛЬНО-ОНТОЛОГИЧЕСКОМ УЧЕНИИ М. ХАЙДЕГГЕРА

1) **Понятие нигилистического гуманизма и хайдеггеровская критика традиционной метафизики.** Исходный тезис, который ставится в очерке М. Хайдеггера «О гуманизме»<sup>1</sup>, заключается в следующем: традиционное понятие гуманизма не является в достаточной мере — а в пределах указанного очерка это значит «не в экзистенциально-онтологическом смысле» — историчным. Этот тезис имеет в названном очерке различные формулировки. Приведем некоторые из них<sup>2</sup>:

«... человека возможно представить себе как существо среди других существ. Однако и в этом случае он остается связанным с миром животных даже тогда, когда в нем выделяют отличительные признаки..., когда он рассматривается как субъект, как личность, как дух. Таким толкованием сама сущность человека недооценивается, не осмысливается ни ее происхождение (Wesensherkunft), ни ее влияние на будущее (Wesenszukunft) человека как на существо историческое» (указ. соч. стр. 13):

В другом месте того же сочинения Хайдеггер говорит о возможности вернуть слову гуманизм его подлинный исторический смысл, который «древнее чем его наиболее древние истолкования» (указ. соч. стр. 31).

Там же при отграничении экзистенциально-онтологической философии от теизма и атеизма подчеркивается и ее главная задача, которая состоит в том, чтобы указать «на ныне забытое первичное и основополагающее измерение (anfängliche Dimension) истории человека» (указ. соч. стр. 37).

Что такое суть всей истории человечества, — это становится, согласно Хайдеггеру, наиболее ясным там, где в силу этой же истории само это главное большей частью потеряно, где оно будто совсем исчезло, уступив своему противоположному. Это противоположное — нигилизм, который определяется у Хайдеггера еще и как «забвение бытия» (Seinsvergessenheit)<sup>3</sup>. Как отрицательный итог истории, нигилизм исключает бытие; в этой исторической фазе «все выглядит так, будто нет бытия» (указ. соч. стр. 34), будто ничего нет, ради которого человеку стоило бы жить. При нигилизме, как эпохе забвения бытия человек видит только сущее (das Seiende). Бытие же, т. е. то, что по теории Хайдеггера является главным моментом в экзистенциальной структуре человека, либо вообще исчезает из такой сугубо онтической перспективы, либо понимается оно как сущее, т. е. также только онтично<sup>4</sup>. Нигилизм в экзистенциально-онто-

<sup>1</sup> Martin Heidegger. Über den Humanismus, Frankfurt A. M., 1955.

<sup>2</sup> Для краткости все выдержки из сочинений Хайдеггера переводятся не дословно, а по смыслу.

<sup>3</sup> M. Heidegger. Zur Seinsfrage, Frankfurt A. M., 1959, стр. 41.

<sup>4</sup> M. Heidegger. Über den Humanismus, стр. 26.



логическом понятии хайдеггеровского учения о бытии есть, таким образом в первую очередь эпоха нивелирования человека до уровня наиболее низких вещных интересов. Это период, в котором большинство людей живет неподлинной, обывательской жизнью, т. е. жизнью ради мелочей, ради того, что не способствует подлинно творческому развитию каждого индивидуума. Это — время, при котором все большее количество людей погружается в неподлинное, безличное и бесправное бытие<sup>5</sup>.

Если традиционный смысл понятия гуманизм для Хайдеггера в недостаточной мере историчен, то это в первую очередь потому, что, по мнению этого философа, в этом смысле нельзя ни понять, ни преодолеть исторические корни всех нигилистических течений в бытии человека, потому, что старый гуманизм не только не смог предотвратить эти течения, но он даже явился одним из важнейших условий их развертывания среди наций. По Хайдеггеру традиционный гуманизм уже самого себе нигилистическое явление. Это явствует, например, из его положения о том, что «нигилизм является по существу основным движением в истории Запада и что дальнейшее развитие этого движения может лишь привести к катастрофам мирового масштаба<sup>6</sup>. Выражением—«история Запада» (*Geschichte des Abendlandes*) Хайдеггер указывает на исторический объем, в который входят все основные концепции гуманизма, возникшие по ходу этой истории: прежде всего греческая, римская и христианская. Вышеуказанным полжением Хайдеггера об общей нигилистичности западного мира и сам гуманизм этого мира объявлен как нечто нигилистичное.

Свою резкую оценку европейской культуры Хайдеггер обосновывает соответствующим критическим разбором ее идейного содержания. При этом он исходит из экзистенциально-онтологического понятия нигилизма как состояния забвения и потери бытия (*Seinsvergessenheit*, *Seinsverlassenheit*) т. е. из понятия нигилизма как состояния человека нивелированного в тотальном смысле, растворенного в предметном мире и тем самым отчужденного от настоящей жизни в подлинном бытии. Слово «отчуждение» (*Entfremdung*)<sup>7</sup> служит Хайдеггеру дополнительным термином для выражения экзистенциально-онтологической сути европейского нигилизма, т. е. выражения процесса отчуждения от бытия в жизни человека. Оно чередуется в текстах еще со словом «безродность» (*Heimatlosigkeit*, указ. соч. стр. 25), употребляемым в той же функции. Понятие «heimatlos» в этой связи определяет человека, потерявшего связь с бытием, т. е. с тем, что согласно Хайдеггеру является основополагающим структурным принципом человеческого рода. Нигилизм как экзистенциально-онтологическая отчужденность и безродность человека является по словам Хайдеггера основным процессом (*Grundvorgang*) в эволюции европейских народов, а область, где появляется и развивается европейский нигилизм — европейская метафизика<sup>8</sup>. Эта

<sup>5</sup> M. Heidegger. Zur Seinsfrage, стр. 27.

<sup>6</sup> M. Heidegger. Holzwege, Frankfurt A. M., 1952, стр. 201, 203, 204.

<sup>7</sup> M. Heidegger, Über den Humanismus, стр. 27.

<sup>8</sup> M. Heidegger. Holzwege, стр. 201, 204.

последняя для Хайдеггера по существу не что иное, как проявление воли и власти познающего субъекта, а поскольку «власть есть воля, которая себя хочет» (*Macht ist der Wille, der sich will*), европейская метафизика понимается Хайдеггером как выражение и вместе с тем как измерение воли к воле (*des Willens zum Willen*). В пределах этого исторического измерения европейский нигилизм достигает, согласно Хайдеггеру своей высшей фазы там, где сама европейская метафизика реализует свои последние и крайние возможности, т. е. там, где эта абсолютная воля в ней претендует на власть над всем сущим, где она хочет располагать, всем, что есть (*in durchgängiger Bestellbarkeit*)<sup>9</sup>. В этой связи Хайдеггер упоминает в частности о Гегеле (указ. соч. там же). Однако в истории европейской метафизики фаза заверченного нигилизма как фаза абсолютного властвования над сущим начинается по теории Хайдеггера с Декарта. Так *cogito* в картезианской формуле *cogito ergo sum* Хайдеггер анализирует как *co-agitatio*, — как сбор всех знаний в познающем субъекте, как сбор в объеме субъективности его *ego* (*im Sich-selbst-Wissen versammelt sich alles Wissen*)<sup>10</sup>. Существенно важный структурный момент самого *cogito* есть по Хайдеггеру воля, неограничиваемая жажда власти над сущим, которая является по его мнению основным и наиболее фатальным признаком субъективности субъекта (*der Subjektivität*).

Властвующая воля картезианского субъективизма разворачивается затем все больше и становится тем, чем она по теории Хайдеггера являлась с самого начала, а именно: выражением европейского нигилизма в эпоху завершенной метафизики. Под этой эпохой Хайдеггер понимает всю новую историю Европы по сегодняшний день. Основной формой проявления воли к власти в этой эпохе является по Хайдеггеру, современная техника. В этой связи словом «техника» обозначаются у Хайдеггера все отрасли современной науки как системы, которая направлена к подчинению всего предметного мира воле человека, как могучего средства для реализации этого подчинения. В этой своей важной инструментальной сущности, т. е. в своей основной функции как средство подчинения, европейская наука является также орудием воинствующей воли. Все ее пагубное влияние, вся уничтожающая сила этой питающейся из метафизики власти становится по словам Хайдеггера особенно ощутимой в общественной жизни европейцев, т. е. в той области, которая всецело подчинена политике воли к власти (*der gemachten Politik*). Здесь в борьбе за все большую, за глобальную власть готовится по Хайдеггеру крушение старого, основанного на традиционной (европейской) метафизике мира, тотальное опустошение земли как окончательный и наиболее нигилистический результат этой метафизики (*Der Untergang vollzieht sich, zumal durch den Einsturz der von der Metaphysik geprägten Welt und durch die aus der Metaphysik stammende Verwüstung der Erde*)<sup>11</sup>.

<sup>9</sup> М. Heidegger. Zur Seinsfrage, стр. 32, 34.

<sup>10</sup> М. Heidegger, Holzwege, стр. 225.

<sup>11</sup> М. Heidegger. Vorträge und Aufsätze, Pfullingen, 1954, 80, 72.

2) Забвение бытия как первопричина европейского идейного нигилизма. Сам процесс развития и укрепления в мире нигилистической (властвующей) воли европейской метафизики есть, по Хайдеггеру прямое следствие феномена забвения бытия (*Sinsvergessenheit*), который в истории впервые засвидетельствован в мышлении Платона. Это мышление устремлено к познанию идеи, а для такого познания необходимо обладать соответствующей способностью видеть (*ἰδεῖν*), ибо идею обнаружить может только тот, кто имеет правильный глаз (*den richtigen Ideenblick*). В познавательном акте моментом первого и решающего значения стала, таким образом, правильность (*ὀρθότης, die Richtigkeit des Blickens*). Правильность же предполагает и согласование (*ὁμολογίαις*) умозрительного акта с идеями. По Хайдеггеру, таким образом уже в платоновском учении об идее истина поставлена в прямую зависимость от правильности (согласованности) суждений субъекта. Уже здесь она становится наиболее отличительным качеством познавательного поведения человека (...*zur Auszeichnung des menschlichen Verhaltens zum Seienden*). Если платоновское учение и явилось объективным по своему общему характеру, то оно, тем не менее, сориентировало всю последующую метафизику на субъект (на субъективную сторону процесса познания). Согласно Хайдеггеру, это то учение, которое и предопределило нигилистичный курс развития всей метафизики, которое перевело ее на путь постепенного превращения в опору абсолютно властвующего субъективизма, в идейную платформу современного планетного нигилизма. Платоновское учение об истине идеи расценивается у Хайдеггера по-прежнему не как одна определенная форма традиционного метафизического мышления, а как учение, которое в основополагающем смысле действительно и в истории современности: *als... durchherrschende Grundwirklichkeit der in ihre neueste Neuzeit anrollenden Weltgeschichte des Erdballs*<sup>12</sup>.

Согласно Хайдеггеру это и есть первое философское учение, которое «забыло о бытии», которое порвало с истинной и наиболее ценной онтологической традицией, существующей в др.-греческой философии еще задолго до Платона. Выражением этого доплатоновского понимания бытия Хайдеггер считает др.-греческое слово для понятия истины «ἀλήθεια», которое он, специально учитывая его отрицательный префикс α-, переводит буквально как «нескрытость» (*Unverborgenheit*). В этом буквальном смысле др.-греческого слова ἀλήθεια по мнению Хайдеггера для онтологии в высшей степени значительно то, что в нем стражается один определенный, онтологически основополагающий экзистенциальный модус человека. Это то, что человек (*Dasein*), как разумное существо, отнесен первым долгом к нескрытости или открытости бытия<sup>13</sup>. По Хайдеггеру человек только благодаря этой отнесенности способен открывать более конкретные истины (*Wahrheiten im zweiten Sinn*). Существуя в первой из всех истин, в открытости самого бытия, будучи тем самым уже по своей собственной экзистенции открытым для истины (для познания) существом, человек способен

<sup>12</sup> M. Heidegger, *Platons Lehre von der Wahrheit*, Bern, 1947, стр. 41.

<sup>13</sup> M. Heidegger, *Über den Humanismus*, стр. 35.

и лично ошибаться, способен быть в неистине, во лжи, которая по замыслу экзистенциальной аналитики классифицируется как вид экзистенциально-онтологической закрытости (*Verschlossenheit*). По учению Хайдеггера истина (в вышеуказанном смысле др.-греческого понятия «*ἀλήθεια*») представляется как структурный фактор, которым обуславливается также возможность возникновения неистинного в этом бытии<sup>14</sup>.

Как измерение истинного и неистинного, нескрытость (или открытость) бытия есть по Хайдеггеру первичное место увязки объективного с субъективным, т. е. место, где только и может осуществляться встреча этих двух сторон, где только и могут протекать все познавательные процессы. Об этом месте Хайдеггер говорит также как о «промежутке», в пределах которого только и возможно всякое отношение между субъектом и объектом (*das «zwischen», ... innerhalb dessen eine «Beziehung» vom Subjekt zum Objekt «sein» kann*)<sup>15</sup>.

Открытая промежуточность бытия есть в хайдеггеровском понятии, также и измерение первичной равномерной координации субъективного и объективного, сфера возникновения и уравновешенного взаимоотношения этих двух сторон. Как выражение первейшего и потому наиболее чистого (непосредственного) опыта др.-греческой онтологической мысли, как выражение открытости бытия (*der Offenheit des Seins*) слово *ἀλήθεια* означает и то, что по Хайдеггеру является первым и основным смыслом др.-греческого логоса. Этот смысл заключается в выводе сущего из скрытости в открытость, в его выявлении (*Offenbarmachung*)<sup>16</sup>, которое как познавательный акт мыслимо только в связи с тем, что обозначено др.-греческим словом *ἀλήθεια* в связи с открытостью бытия. Выявление выявляет (выводит) в эту открытость. Выявляющий логос, т. е. логос как *ἀπόφανσις*, целиком основан на понимании бытия как открытого промежутка. В этом смысле он является, по мнению Хайдеггера одним из наиболее ценных достижений др.-греческой философии до Платона, т. е. тем, чем он впоследствии в результате все большего усиления субъективного в развитии метафизики, уже не мог больше быть, а именно, логосом равновесия, т. е. логосом, не имеющим еще никакой преимущественной позиции относительно бытия и других сущих, а наоборот, подчиняющимся целиком первичной и в онтологическом смысле наиболее существенной структуре открытости бытия, логосом целиком входящим в эту структуру и понимающим себя только лишь исходя из нее.

Но для платоновского учения об идеях первоначальный смысл открытости бытия в древнем понятии *ἀλήθεια* уже перестал быть определяющим. Основным для этого учения оказалось новое понятие истины, основанное на идее. Это было понятие, которым истинное рассматривалось уже преимущественно со стороны субъекта, понятие, которое, следовательно, больше не могло являться выражением первоначального «логоса равновесия». У Платона *ἀλήθεια* оказалась, согласно Хайдеггеру, под игмом идеи<sup>17</sup>. Платоновское учение Хайдеггер видит, таким об-

<sup>14</sup> M. Heidegger. *Sein und Zeit*, Tübingen, 1967, стр. 220, 222.

<sup>15</sup> M. Heidegger. *Über den Humanismus*, стр. 36.

<sup>16</sup> M. Heidegger. *Sein und Zeit*, стр. 32, 219.

<sup>17</sup> M. Heidegger. *Platonms Lehre von der Wahrheit*, стр. 41.



разом, как начало подавления истинного смысла *ἀλήθεια*, как открытости бытия в пределах европейской метафизики. Оно открыло эпоху забвения этой открытости в пользу все усиливающегося гносеологического субъективизма.

ცხრილში მოყვანილია ცდის პირთა ორი ჯგუფის მონაცემები, რომლებიც ეხებიან თითოეული მოჭადრაკის შეფასებას. ერთ ჯგუფში შედიან ის ცდის პირები, რომელთაც ივარაუდეს ბ. სპასკის გამარჯვება (A<sub>1</sub>—B<sub>1</sub> ჯგუფი); მეორეში — ის ცდის პირები, რომელთაც ივარაუდეს რ. ფიშერის მოგება (C<sub>1</sub>—D<sub>1</sub> ჯგუფი). მონაცემები გვიჩვენებენ, რომ C<sub>1</sub>—D<sub>1</sub> ჯგუფმა შეიცვალა შეფასება ბ. სპასკისა და ტ. პეტროსიანის მიმართ, სადაც შეცვლა სათანადოდ ტოლია 0,39-ისა და 0,35-ის; ხოლო A<sub>1</sub>—B<sub>1</sub> ჯგუფმა შეიცვალა შეფასება ბ. სპასკის, ტ. პეტროსიანისა და მ. ტალის მიმართ, სადაც შეცვლა შესაბამისად უდრის 0,53-ს; 0,51-სა და 0,36-ს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ A<sub>1</sub>—B<sub>1</sub> ჯგუფის ცდის პირები ყველა მოჭადრაკის შეფასების დროს, C<sub>1</sub>—D<sub>1</sub> ჯგუფის ცდის პირებთან შედარებით, უფრო მეტად ცვლიან შეფასებებს. ამ მონაცემების განხილვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოება: როდესაც ვლაპარაკობთ პოზიციის შეცვლაზე სემანტიკურ სივრცეში, ჩვენ ვგულისხმობთ d-ს ცვლილებას; თუმცა იმის თქმა, რომ შეცვლა მოხდა დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით, ყოველთვის არ შეიძლება. იმისათვის, რომ შეცვლა ჩათვალოთ დადებითად ან უარყოფითად, ამ ორ მონაცემს შორის სხვაობა მნიშვნელოვანი უნდა იყოს. გავითვალისწინებთ რა ამ გარემოებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯგუფმა, რომელმაც ივარაუდა ბ. სპასკის გამარჯვება, ბ. სპასკის შეფასება შეცვალა უარყოფითი მიმართულებით, ხოლო ტ. პეტროსიანისა და მ. ტალის შეფასება — დადებითი მიმართულებით. ჯგუფმა, რომელმაც ივარაუდა რ. ფიშერის გამარჯვება, არც ერთი მოჭადრაკის მიმართ დადებითი და უარყოფითი მიმართულებით შეფასება არ შეიცვალა მნიშვნელოვნად.

ცდის პირთა მიერ მატჩის შედეგის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ მონაცემების განხილვის დროს ჩვენ ვილაპარაკებთ მოსული ინფორმაციისა



და ცდის პირთა საწყისი პოზიციების ურთიერთობის შესახებ. მაგონებამა გამოკვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო დიდია წინააღმდეგობა საწყისი პოზიციასა და ინფორმაციას შორის, მით უფრო მეტად არის მოსალოდნელი პოზიციის შეცვლა (1, 2, 6). შევხედოთ ამავე თვალსაზრისით მიღებულ შედეგებს.  $A_1-B_1$  ჯგუფის ცდის პირებმა მალალი შეფასება (საწყისი პოზიცია) მისცეს ბ. სპასკის პირველ გამოკითხვაში და, ამავე დროს, ივარაუდეს მისი გამარჯვება. მატჩის შედეგმა ამ ცდის პირებს მოუტანა ისეთი ინფორმაცია, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება როგორც პირველადს შეფასებას, ასევე — გამოთქმულ ვარაუდს. ამის გამო მათ შეცვალეს ბ. სპასკის მიმართ პოზიცია უარყოფითი მიმართულებით (ინფორმაციის მიმართულებით); გარდა ამისა, ამავე ჯგუფის ცდის პირებმა შეიცვალეს პოზიციები სხვა მოჭადრაკეების მიმართაც, კერძოდ, თუ პირველ გამოკითხვაში, ამ ჯგუფში მიღებული შედეგების მიხედვით, ყველაზე მალალი შეფასება მიიღო ბ. სპასკიმ, მეორე გამოკითხვაში ყველაზე მალალი შეფასება აქვს მ. ტალს (მისმა შეფასებამ აიწია 0,36 ერთეულით). ამავე ჯგუფში ტ. პეტროსიანის შეფასებაც მნიშვნელოვნად დადებითი გახდა. ცდის პირთა საწყისი პოზიციების საწინააღმდეგო ინფორმაციამ განაპირობა არა მარტო იმ მოჭადრაკის მიმართ პოზიციის შეცვლა, რომელსაც ეს ინფორმაცია უშუალოდ ეხებოდა, არამედ სხვა მოჭადრაკეთა შეფასების შეცვლაც გარკვეული კანონზომიერებით.

განვიხილოთ რა შეფასებაში მომხდარი ცვლილება ინფორმაციისა და წინასწარ გამოთქმული ვარაუდის ურთიერთობის თვალსაზრისით, დგება შემდეგი საკითხი: სემანტიკური სივრცის რომელ ფაქტორში მოხდა ყველაზე დიდი შეცვლა? როგორც ვიცით ობიექტის პოზიცია სემანტიკურ სივრცეში განსაზღვრულია სამი ფაქტორით: შემფასებლობითი, აქტივობისა და პოტენციურობის. საინტერესოა სურათს იძლევა ზემოაღნიშნული შედეგების დახასიათება ამ ფაქტორების გათვალისწინებით. შეფასების შეცვლის სიდიდეები თითოეული ფაქტორისა მოყვანილია მიქვემოცხრობაში.

მოჭადრაკეთა პოზიციების შეცვლა სემანტიკური სივრცის ცალკეულ ფაქტორში  $A_1-B_1$  და  $C_1-D_1$  ჯგუფების ცდის პირებთან

ცხრილი 6

	სპასკი		ტალი		ფიშერი		პეტროსიანი		ლარსენი	
	ს. პ.	შეცვლა	ს. პ.	შეცვლა	ს. პ.	შეცვლა	ს. პ.	შეცვლა	ს. პ.	შეცვლა
I ფაქტორი	1,60	+0,04	1,71	+0,19	3,68	+0,14	2,73	+0,36	2,89	+0,22
II ფაქტორი	1,60	-0,29	1,78	+0,14	1,45	+0,03	2,58	+0,21	2,03	+0,12
III ფაქტორი	2,09	-0,44	2,75	+0,27	1,75	-0,24	2,65	+0,28	2,82	-0,17
I ფაქტორი	2,05	+0,03	1,73	+0,13	2,60	-0,19	2,95	+0,33	2,85	+0,09
II ფაქტორი	1,72	-0,16	1,79	+0,03	1,27	-0,03	2,56	+0,07	2,11	-0,11
III ფაქტორი	2,36	-0,27	2,66	+0,11	1,51	-0,02	2,66	+0,05	2,78	+0,12

ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი მონაცემები:  $A_1-B_1$  ჯგუფის ცდის პირები, რომლებმაც შეიცვალეს ბ. სპას-

კის შეფასება უარყოფითი მიმართულებით, შეცვლის ყველაზე დიდ მაჩვენებელს ავლენენ პოტენციურობის ფაქტორში ( $-0,44$ ); ამავე ფაქტორში შეიცვალა დადებითი მიმართულებით მ. ტალის შეფასება ( $+0,27$ ), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ ცდის პირებთან მოქადრაყეთა შეფასებაში „მ. ტალმა დაიკავა ბ. სპასკის ადგილი“. რაც შეეხება ტ. პეტროსიანის შეფასებას, ამ ჯგუფში მისი პოზიციის დადებითი მიმართულებით შეცვლაში ყველაზე დიდი წონა აქვს შეცვლას შემფასებლობითს ფაქტორში ( $+0,36$ ).

**4. სემანტიკური სივრცის ცალკეული ფაქტორების დახასიათება ცდის პირთა საწყისი პოზიციების გათვალისწინებით.** გამოკვლევის შესავალ ნაწილში აღნიშნული იყო, რომ შეფასებითი მსჯელობის რაგვარობის ერთ-ერთი ძირითად დეტერმინანტს წარმოადგენს ცდის პირის საწყისი პოზიცია ანუ, ობიექტის პირველადი შეფასება. ესლა განვიხილოთ ცალკეულ მოქადრაყეთა შეფასებები ცდის პირთა საწყისი პოზიციების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით შედარებით დაწერილებით დავახასიათებთ შემფასებლობითს ფაქტორში მომხდარ ცვლილებებს. მონაცემები მოყვანილია მეშვიდე ცხრილში.

მოქადრაყეთა შეფასებაში მომხდარი ცვლილებები და ცდისპირთა საწყისი პოზიციები (შემფასებლობითი ფაქტორი)

ცხრილი 7

სპასკი		ტალი		ფიშერი		პეტროსიანი		ლარსენი	
საწყ. პოზ.	შეცვლა								
1,37	-0,19	1,43	+0,05	1,80	-0,43	1,43	-0,47	1,75	-0,52
1,88	+0,06	2,01	+0,27	2,35	-0,35	1,95	-0,14	2,37	+0,03
3,13	+0,93	3,19	+0,99	3,98	+0,11	2,52	-0,08	3,30	+0,29
				5,68	+0,14	3,38	+0,51	3,52	+0,44
						4,35	+0,70	5,10	+1,35
						5,23	+1,30		

ცხრილში მოყვანილი შედეგებიდან ჩანს, რომ ბ. სპასკის შეფასებაში შეცვლა მოხდა მის მიმართ შედარებით უარყოფითი პოზიციების მქონე ცდის პირებთან, სადაც შეცვლა უდრის  $+0,93$ ; ამავე დროს, უარყოფითი მიმართულებით შეცვლის ტენდენცია სახეზეა დადებითი პოზიციის მქონე ცდის პირებთანაც. რ. ფიშერის მიმართ უარყოფითი მიმართულებით შეცვლა მიღებულია ყველაზე დადებითი პოზიციის მქონე ცდის პირებთან, სადაც შეცვლა სათანადოდ ტოლია  $-0,43$ -ისა და  $-0,35$ -ის, ხოლო შეფასების დადებითი მიმართულებით შეცვლის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიღებულია იმ ცდის პირებთან, რომლებსაც აქვთ მის მიმართ შედარებით უარყოფითი პოზიციები. მ. ტალის შეფასების შეცვლის მიმართულება ყველაზე დადებითია და ყველაზე დიდ ოდენობას იგი აღწევს 3,19 პოზიციის მქონე ცდის პირებთან, სადაც შეცვლა ტოლია  $+0,99$ -ისა. ტ. პეტროსიანისა და ბ. ლარსენის შეფასებაში შეცვლა უარყოფითი მიმართულებით მოხდა მათ მიმართ უკიდურესად დადებითი პოზიციების მქონე ცდის პირებთან, სათანადოდ,  $-0,47$  და  $-0,52$ , ხოლო დადებითი მიმართულებით შეცვლის ყველაზე დიდი მაჩვენებელი მიღებულია უარყოფითი პოზიციის მქონე ცდის პირებთან:  $+1,30$  და  $+1,35$ . ამ-



დენად, შეგვიძლია დავასვენათ: ცდის პირები, რომელთა საწყისი პოზიციები უკიდურესად დადებითია, ავლენენ უარყოფითი მიმართულებით შეფასების შეცვლის ტენდენციას, ხოლო უარყოფითი პოზიციების მქონე ცდის პირები — დადებითი მიმართულებით. იგივე სურათი ნათლად ვლინდება აქტივობისა და პოტენციურობის ფაქტორებშიც (იხ. ცხრილები: 8 და 9 შესაბამისი გრაფიკებით).

მოჰადრატო შეფასებაში მომხდარი ცვლილებები და ცდის პირთა საწყისი პოზიციები (აქტივობის ფაქტორი)

ცხრილი 8


სასკი		ტალი		ფიშერი		პეტროსიანი		ლარსენი	
საწყ. პოზ.	შეცვლა								
1,14	-0,61	1,31	-0,29	1,05	-0,21	1,18	-0,82	1,20	-0,44
1,76	-0,17	2,08	+0,26	1,79	+0,45	1,84	-0,39	1,97	+0,01
3,25	+1,10	2,87	+1,21	3,29	+0,99	2,52	+0,07	2,87	+0,32
						3,58	+0,56	3,52	+0,81
						4,11	+1,34		
						5,32	+1,76		

მოჰადრატო შეფასებაში მომხდარი ცვლილებები და ცდის პირთა საწყისი პოზიციები (პოტენციურობის ფაქტორი)

ცხრილი 9

სასკი		ტალი		ფიშერი		პეტროსიანი		ლარსენი	
საწყ. პოზ.	შეცვლა								
1,68	-0,82	1,84	-0,54	1,18	-0,33	1,71	-0,56	1,63	-0,63
2,41	-0,20	2,56	+0,13	2,02	+0,30	2,54	+0,26	2,38	-0,10
3,61	+0,62	3,20	+0,45	3,38	+0,93	3,16	+0,17	2,80	-0,21
		3,90	+1,12			3,92	+0,69	4,03	+0,88
						5,05	+1,60	4,75	+1,68

როგორც ვხედავთ, ცდის პირთა საწყისი პოზიციებს აქვთ — გარკვეული მნიშვნელობა შეფასების შეცვლაში; ამასთან, მონაცემების ანალიზის დროს ჩვენ წინაშე დადგა შემდეგი საკითხი: შესაძლო თუა, რომ მიღებული შედეგები მიევაწეროთ არა ინფორმაციის ანუ მატჩის რეზულტატის გავლენას ცდის პირთა საწყისი პოზიციებზე, არამედ ე. წ. ცდის პირთა პოზიციების სკალის ცენტრისაკენ რეგრესიის ტენდენციას? საკითხის ნათელსაყოფად მივმართოთ 7, 8 და 9 ცხრილების შესაბამის გრაფიკებს (იხ. გრაფიკი 1, 2 და 3), რომლებშიც ასახულია საწყისი პოზიციებისა და შეფასების შეცვლის შორის დამოკიდებულება.




გრაფიკებზე მოყვანილი დამოკიდებულება შეფასებასა და საწყის პოზიციებს შორის უდავოდ მიგვიჩვენებს იმაზე, რომ ყოველი მოჭადრაკის შეფასებაში მომხდარ ცვლილებას აქვს გარკვეული კანონზომიერება, რომელიც სრულიად არ ემთხვევა ცენტრისაკენ რეგრესიის ტენდენციის სკალას: შეფასებაში მომხდარი ცვლილებები არ მოძრაობენ საერთო ცენტრის მიმართულებით. მაგალითად, შემფასებლობით ფაქტორში ყველაზე უარყოფითი შეფასებისაკენ ცვლილების ტენდენცია აღმოჩნდა რ. ფიშერის მიმართ, ხოლო ყველაზე დადებითი, დაახლოებით ერთნაირი, მ. ტალისა და ბ. სპასკის მიმართ. რაც შეეხება ტ. პეტროსიანისა და ბ. ლარსენის შეფასებათა ცვლილების ტენდენციას, იგი თანაბარია და ოდენობით — საშუალო. აქტივობისა და პოტენციურობის ფაქტორების მიხედვით, რ. ფიშერის შეფასებაში შეცვლის ტენდენცია, დანარჩენებთან შედარებით, ყველაზე დადებითი მიმართულებით მიდის.


მიღებული შედეგები შესაძლებლობას იძლევიან, რომ გამოვთქვათ შემდეგი ჰიპოთეზა: მოჭადრაკეთა მიმართ შეფასების შეცვლაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ცდის პირთა საწყისი პოზიციებისა და მოსული ინფორმაციის ურთიერთობას და არა რეგრესიის ტენდენციას: ცდის პირთა პოზიციების ცვლილება ხდება მატჩის შედეგად მოსული ინფორმაციის მიმართულებით.

სანამ შევაჯამებდეთ კვლევის შედეგებს, გვინდა შევჩერდეთ ზოგიერთ გარემოებაზე, რომელთა გათვალისწინება მომავალში ანალოგიური კვლევის დროს აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტში მონაწილეობდა ცდის პირთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, ჩვენ მაინც გარკვეულად ვიყავით შეზღუდულნი იმით, რომ პირველ გამოკვლევაში ცდის პირთა მიერ მოჭადრაკეთა შეფასებები საკმაოდ მაღალი ანუ დადებითი იყო, რამაც არ მოგვცა საშუალება, რომ დაგველაგებინა ეს მონაცემები სკალის მთლიან კონტინუუმზე. ამ პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია და, ალბათ — აუცილებელიც, შემდეგი საკითხების შესწავლა: 1) ობიექტის შეფასების შეცვლა უნდა დაუკავშირდეს მატჩის შედეგის ინტერპრეტაციას (ჩვენთან ამის განხორციელება ზემოთ აღნიშნული გარემოების გარდა შეუძლებელი იყო

იმის გამო, რომ მეორე გამოკითხვაში მოცემული პასუხები არათანაბრად იყო განაწილებული, რამაც შეუძლებელი გახადა ცდის პირთა საკმარისად დიდი ჯგუფების შექმნა); 2) შეფასებაში მომხდარი ცვლილება შესაძლოა დაეკავშიროთ სოციალური ობიექტისადმი მიკერძოების ანუ ჩართულობის ფაქტორ-



თან, რისი ექსპერიმენტული მანიპულაცია ჩვენს შემთხვევაში გვესახება ცდის პირთა შემდეგნაირი დაჯგუფების მეშვეობით: ა) ვინც ივარაუდა ბ. სპასკის გამარჯვება და იგი შეაფასა რ. ფიშერზე მაღლა, ბ) ვინც ივარაუდა ბ. სპასკის გამარჯვება და იგი შეაფასა რ. ფიშერზე დაბლა, გ) ვინც ივარაუდა რ. ფიშერის მოგება და იგი შეაფასა ბ. სპასკზე მაღლა, დ) ვინც ივარაუდა რ. ფიშერის მოგება და იგი შეაფასა ბ. სპასკზე დაბლა, ე) ვინც ივარაუდა რ. ფიშერის მოგება და იგი შეაფასა ბ. სპასკზე მაღლა, 3) ვინც ივარაუდა ერთის ან მეორ-



რის მოგება და ორივე შეაფასა ერთნაირად (ამგვარი დაჯგუფების დროს ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ შემფასებლობითი ფაქტორი, რადგან, რო-

გორც თვით სემანტიკური დიფერენციალის მეთოდის შემქმნელები აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს ფაქტორი გამოხატავს პიროვნების განწყობისეულ დამოკიდებულებას ობიექტის მიმართ). ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაციებიდან მიკერძობების ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ ა და გ ვითარებები. შემდგომ კვლევაში ანალოგიური დაჯგუფება უფრო ნათელ სურათს მოგვცემს სოციალური გავლენის ფენომენის შესახებ.

#### მიღებული შედეგების შეჯამება

ჩვენ შევისწავლეთ სოციალური მოვლენის გავლენა შეფასებითს მსჯელობაზე. წინამდებარე გამოკვლევაში სოციალურ მოვლენად აღებული გვეყონდა სპასკი-ფიშერის 1972 წლის მატჩი. შეფასების ობიექტებს წარმოადგენენ ბ. სპასკი, რ. ფიშერი, მ. ტალი და ბ. ლარსენი. ობიექტების შეფასებათა გაზომვა წარმოებდა სემანტიკური დიფერენციალის მეთოდით, სპასკი-ფიშერის მატჩის შედეგის შეფასების რაგვარობას ვადგენდით სპეციალური კითხვების მეშვეობით. ექსპერიმენტი ჩავატარეთ ორჯერ გაზომვის ტექნიკით: მატჩის დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ. მიღებული მონაცემების სანდოობის დასადგენად შევადარეთ ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების შედეგები. ექსპერიმენტულმა მონაცემებმა გვიჩვენეს, რომ სოციალური მოვლენის ეფექტურობა, ადამიანის შეფასებითს მსჯელობაზე გავლენის თვალსაზრისით, განსაზღვრული აღმოჩნდა ამ მოვლენისადმი და მასთან დაკავშირებული ობიექტებისადმი სუბიექტის დამოკიდებულებით. ანუ, ჩვენს შემთხვევაში, მატჩის რეზულტატის შესახებ გამოთქმული ვარაუდითა და მოჭადრაკეთა პირველადი შეფასებებით: 1. სოციალურმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მხოლოდ იმ ობიექტის შეფასებაზე, რომლის შესახებაც მან მოიტანა უარყოფითი ინფორმაცია და გავლენა ვერ მოახდინა იმ ობიექტის შეფასებაზე, რომლის მიმართაც მან მოიტანა დადებითი ინფორმაცია: მატჩის რეზულტატმა შეცვალა ბ. სპასკის შეფასება უარყოფითი მიმართულებით და არ შეცვალა რ. ფიშერის შეფასება დადებითი მიმართულებით; 2. შეფასება შეცვალეს ძირითადად იმ ადამიანებმა, რომელთაც თავდაპირველად მაღალი შეფასება მისცეს შეხვედრაში დამარცხებულს და, აგრეთვე, ივარაუდეს მისი გამარჯვება; 3. ერთი ობიექტის შეფასებაში მომხდარმა შეცვლამ გამოიწვია სხვა ობიექტების შეფასებათა ცვლილება გარკვეული კანონზომიერებით — ბ. სპასკის პოზიციის გადანაცვლებას სემანტიკურ სივრცეში უარყოფითი მიმართულებით თან სდევდა მ. ტალისა და ტ. პეტროსიანის პოზიციების გადანაცვლება დადებითი მიმართულებით. ამასთან, ბ. სპასკისა და მ. ტალის შეფასებათა შეცვლა მოხდა სემანტიკური სივრცის პოტენციურობის ფაქტორში, რაც ფაქტურად მათი ადგილების გადანაცვლებას გამოხატავს, ვინაიდან ადამიანთა შეფასებითი მსჯელობის სისტემაში მეორემ დაიკავა პირველის ადგილი; 4. ობიექტის შეფასების შეცვლის ტენდენციებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ სკალის კონტინიუმზე ცდის პირთა საწყისი პოზიციების ადგილმდებარეობასთან მხოლოდ მოსულ ინფორმაციასთან ურთიერთობის თვალსაზრისით მიენიჭა გარკვეული მნიშვნელობა; 5. სოციალური მოვლენის „თვისებრივ“ ინტერპრეტაციაში გარკვეული როლი ითამაშა მის შესახებ წინასწარ გამოთქმულმა ვარაუდმა — ცდის პირთა იმ ჯგუფმა, რომელმაც ივარაუდა ბ. სპასკის გამარჯვება იმ ჯგუფებთან შედარებით, რომლებმაც იწინასწარმეტყველა

რ. ფიშერის მოგება, მატჩის შედეგი ნაკლებ კანონზომიერად ჩათვალა; მეორე მხრივ, მატჩის შედეგის „რაოდენობრივ“ ინტერპრეტაციაზე გავლენა ვერ მოახდინა წინასწარმა ვარაუდმა: ორივე ჯგუფის წარმომადგენლებმა ერთნაირად მიიჩნიეს მატჩის შედეგი როგორც დიდი უპირატესობის გამომხატველი.

#### ლიტერატურა

1. ჩარკვიანი დ., დამარწმუნებელი ცნობით შექმნილი კომუნიკატორული წინაღმდეგობის ხარისხები და სოციალური გაწყობის შეცვლა, „მაცნე“, 4, 1972.
2. Ядов В. А., Социологическое исследование, из-во „Наука“, Москва, 1972.
3. Deutsch M. and Gerard H. A study of normative and informational social influences upon individual judgement, Psychological foundation of attitudes, ed Greenvald A., Brock T. and Ostrom T., New York and London, 1968.
4. Osgood C. Suci G. and Tannenbaum P., The Measurement of Meaning, Urbana: Univ. of Illinois Press, 1957.
5. Osgood C. and Tannenbaum P. The principle of congruity in the prediction of attitude change, Psychol. rew., 62, 1955.
6. Ostrom T. and Upshaw H. Psychological perspective and attitude change, Psychological foundation of attitudes, ed. Greenvald A., Brock T. and Ostrom T., New York. and London, 1968.
7. Sherif M. and Hovland C. Social judgement, New Haven: Yale Univ. Press, 1961.



მარიამ ბალიაშვილი

## სოციალურ განწყობასა და მცემას შორის არათანხაობა — სოციალური განწყობის შეცვლის პირობა

I. სოციალური ფიქსირებული განწყობის (attitude) ფორმირება-შეცვლა სოციალური ფსიქოლოგიის უველაზე ფართო და მნიშვნელოვანი საკითხია. იგი გულისხმობს სოციალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებების გავლენით ახალი განწყობების შემუშავებისა და ძველი განწყობების შეცვლის პროცესებს. გარემოდან მოსულ ზეგავლენას, ჩვეულებრივ, უპირისპირდება არსებული ფიქსირებული განწყობის სტრუქტურა, რომელიც გარეგნომკმედების შედეგად უფრო სრულქმნილი, გაწონასწორებული და ახალი სიტუაციისადმი ადექვატური ხდება. სოციალურ ფიქსირებულ განწყობათა რეორგანიზაცია — სტაბილიზაცია, ინტეგრაცია, მარმონიზაცია — მუდმივად მიმდინარეობს და ამ გზით ყალიბდება ერთიანი პროვინული ორიენტაცია სოციალური მოვლენების მიმართ. ამ პროცესების კანონზომიერებათა კვლევა განწყობის ფორმირება-შეცვლის სფეროს განეკუთვნება.

სოციალური გარემოდან მოსულ ზეგავლენასა და პროვინების შინაგან მდგომარეობას შორის განსვლა, წინააღმდეგობა (discrepancy) წარმოადგენს სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებული თითქმის ყოველი თეორიის მნიშვნელოვან მომენტს: ბალანსის (F. Heider, 1946), კონგრუენტობის (Ch. Osgood, R. Tannenbaum, 1955)<sup>1</sup>, ადაპტაციის დონის (H. Helson, 1959), ასიმილაცია-კონტრასტის (M. Sherif, C. Hovland, 1961) თეორიებისას; ხოლო კონსისტური დისონანსის თეორიისათვის (L. Festinger, 1957)<sup>2</sup> იგი ამოსავალი დებულებაა. ეს თეორიები ცალკეულ ფსიქოლოგიურ მოვლენათა ახსნას ისახავენ მიზნად, სოციალური მოტივაციის ცალკეულ მხარეს შეისწავლიან და ყოველი მათგანი თავდაპირველი მოტივაციური ვითარების აღსაწერად განსვლის ცნებას მიმართავს. ყველა ამ თეორიისათვის ერთნაირად არის დამახასიათებელი ზანგამა იმისა, რომ განსვლას მოჰყვება შინაგანი სტრუქტურის რეორგანიზაცია და შედეგად ამისა — უფრო სრულქმნილი სტრუქტურის ჩამოყალიბება.

განწყობის შეცვლის შესახებ ლიტერატურაში განსვლა გამოკვლეულია როგორც რადიკალური თვალსაზრისით: დამოკიდებულება მის სიდიდე-მიმართულებას და განწყობის შეცვლის სიდიდე-მიმართულებას შორის, ასევე პრინციპულად — განსვლა როგორც განწყობის შეცვლის აუცილებელი პირობა. მაგრამ, კონკრეტული პასუხი ამ საკითხებზე არ გავაჩნია, რადგან განსვლა განსხვავებული შინაგანი ფსიქოლოგიური ვითარებების ობიექტურ გამოხატულებას წარმოადგენს და ფუნქციონალური და სტრუქტურული ფაქტორების გავლენა განსვლის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკურია.

ჩვენი კვლევის ზოგად მიზნად დავსახეთ სოციალური ქცევის უმნიშვნელოვანეს დეტერმინანტზე — სოციალურ განწყობაზე — კონკრეტული განწყობისეული ქცევის უკუგავლენის შესწავლა. ცნობილია, რომ სოციალური განწყობის ფუნდამენტური ნიშანი არის ქცევაზე მისი წარმმართველი, მარეგულირებელი გავლენა. სოციალური განწყობა არის წინასწარი მზაობა, დისპოზიცია ობიექტის მიმართ დადებითი ან უარყოფითი ხასიათის რეაქციების გამოვლენისა, „სოციალური ობიექტისადმი დადებითი ან უარყოფითი შეფასებების, სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობებისა და pro ან contra მოქმედების ტენდენ-

<sup>1</sup> W. Mcg Guire. The Current status of Cognitive Consistency Theories (გრებულისა და Cognitive Consistency. Ed. by Shell Feldman A. P. N—Y, 1966).

<sup>2</sup> K. Insko. Theories of Attitude Change A. C. C. N-Y, 1967.

ციების მყარი სისტემა<sup>3</sup>. მაშასადამე, სოციალური განწყობა ვლინდება შეფასებითი ხასიათის მსჯელობებში, გრძნობებში და აქტივობაში პიროვნების პოლარულ-ვალენტური დამოკიდებულების სახით. დადებითი განწყობის გამოხატულება ქცევაში დიამეტრულად განსხვავდება უარყოფითი განწყობის გამოხატულებისაგან; და თუ „სოციალური დაკვეთა“ პიროვნებას თავისი განწყობის საწინააღმდეგოდ მოქმედების აუცილებლობის წინაშე დააყენებს, ეს ვითარება გახდება სოციალური განწყობის შეცვლის პირობა, რადგან შეუსატყვისობა, განსვლა სოციალურ განწყობასა და ქცევას შორის პიროვნებაში ქმნის დისკომფორტის, დარღვეული წონასწორობის მდგომარეობას, რომლიდან გამოსვლის ერთ-ერთ მოდუსად (წონასწორობის აღდგენის სხვა მოდუსების გვერდით) მიჩნეულია პიროვნების განწყობის შეცვლა შესრულებული ქცევის მიმართულებით. ჩვენ ვვინდოდა შემდეგი საკითხის გარკვევა: იცვლება თუ არა პიროვნების სოციალური განწყობა, როდესაც კონკრეტული ამოცანა, რომელიც მის წინაშე დგას, გულისხმობს საკუთარი განწყობისაგან განსხვავებულ აქტიობას? სახელდობრ, კონკრეტული განწყობისეული პოზიციის გამომხატველი დებულების არგუმენტაცია გამოიწვევს თუ არა სოციალური განწყობის სტატისტიკურად მნიშვნელოვან შეცვლას და რამდენად მართებაში აღმოჩნდება განწყობის შეცვლის სიდიდე განსვლის სიდიდესთან? ამრიგად, ჩვენს წინაშე დადგა ამოცანა განსვლის კანონზომიერებების კვლევისა.

აღსანიშნავია, რომ ქცევა, რომლის შესრულების საჭიროების წინაშე დგება პიროვნება კონკრეტული ამოცანის ხასიათს ატარებს, მისი შესრულების მოტივები განსხვავებული შეიძლება იყოს და საერთოდ, ერთი და იგივე ქცევა შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს დანახული პიროვნების მიერ, — დამოკიდებულებით იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვან მოთხოვნისუბებს აკმაყოფილებს იგი. საკუთარი ქცევა შეიძლება აღიქმებოდეს როგორც განწყობისადმი საწინააღმდეგო, როგორც ნეიტრალური ან ირელევანტური მის მიმართ, ზნეობრივად გაუმართლებელი და სხვ. ამავე დროს, იმის გამო, რომ სოციალური განწყობა დიფუზურ-განცდადი, ნახევრად განცდადი, ზოგჯერ გაუცნობიერებელი მდგომარეობაა, ექსპერიმენტული დავალების შესრულების დროს პიროვნებას შესაძლებელია ზუსტი წარმოდგენა არა ჰქონდეს თავისი განწყობის რაგვარობის შესახებ და, ამდენად, განწყობასთან ობიექტურ შეუსაბამობაში მყოფი ქცევა არ იწვევდეს განწყობის შეცვლას, თუკი სუბიექტური შეუსატყვისობა განცდილი არ იქნება. ობიექტური განსვლისა და სუბიექტური განსვლის დამოკიდებულების ანუ განსვლის გაცნობიერების საკითხი მნიშვნელოვანია სოციალური ფიქსირებული განწყობის კანონზომიერებების შესწავლისათვის და მისი კვლევის საწყის საფეხურად მივიჩნით პიროვნების მიერ საკუთარი განწყობისეული პოზიციის გაცნობიერების საკითხის გარკვევა; რადგან არსებული გამოკვლევები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ საწყისი პოზიციის გაცნობიერება პირობაა განსვლის ცნობიერებისა, თუმცა, რასაკვირველია, ეს ვარაუდი საგანგებო ექსპერიმენტულ დასაბუთებას საჭიროებს.

<sup>3</sup> Krech, Cruchfield and Ballachey. Individual in Society, N-Y, 1962, p. 139.



**მეთოდი.** კვლევისათვის, Thurstone-ს თანაზომიერი ინტერვალების შეთოდით, აგებული იქნა ორი იდენტური შვიდსაფეხურიანი სკალა. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა სოციალური ფიქსირებული განწყობა მრავალშვილიანობის საკითხის მიმართ. განვიხილოთ სკალების ნიმუშები:

I

1. მრავალშვილიანობა ოჯახის კულტურულ დონეს უკან სწევს;
2. მრავალშვილიანობა აიძულებს ადამიანებს მხოლოდ ოჯახური საზრუნავით იცხოვროს;
3. საზოგადოება ქებას უნდა ასხამდეს მრავალშვილიან მშობლებს;
4. ბევრი შვილი მშობლებს ნაადრევად აბერებს;
5. მრავალშვილიანობა მეუღლეებს პირადი ბედნიერების შესაძლებლობას უსპობს;
6. მრავალშვილიანობას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს;
7. ადამიანის სწრაფვას უკვდავებისადმი ხორცი ესხმება მრავალშვილიანობაში;
8. მრავალშვილიანობას უფრო მეტი დადებითი მხარე გააჩნია, ვიდრე — უარყოფითი;
9. გზას აცდენილი ბავშვები უმეტესად მრავალშვილიანი ოჯახებიდან გამოდიან;
10. შვილი იმდენი უნდა გყავდეს, რამდენის ღირსეულად აღზრდა შეგვიძლია;
11. მრავალშვილიანობა კაცთმოყვარეობის გამოვლინებაა;
12. ბევრი შვილის ყოლა მშვიდი, უზრუნველყოფილი სიბერის საწინდარია;
13. რაც მეტი ბავშვია ოჯახში, მით მეტად აკლდება თითოეულს მშობლის ყურადღება;
14. მრავალშვილიანობა მშობელთა უპასუხისმგებლობის შედეგია;
15. მრავალშვილიან ოჯახში ბავშვის მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბების ხელსაყრელი პირობებია;
16. მრავალშვილიანობა სამშობლოს სიყვარულის უმაღლესი გამოხატულებაა;
17. ოჯახში შვილთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ რიცხვს, რომელიც, საზოგადოებრივი აზრით, სასურველად არის მიჩნეული;
18. მრავალშვილიანობაში ადამიანი თავისი სიცოცხლის გამართლებას ნახელობს;
19. მრავალშვილიანობის საკითხი არ მიმაჩნია საჭირბოროტო საკითხად;
20. მრავალშვილიანობა ქვეყანაში ცხოვრების დონის დაქვეითებას განაპირობებს;
21. მრავალშვილიანობა ქალის ჯანმრთელობას ენებს;
22. მრავალშვილიანობა — დანაშაულია;
23. ჩვეულებრივ, მრავალშვილიან ოჯახებში სისიამოვნო აღმოსდგება;
24. მშობლებსათვის შვილთა რაოდენობის დაწესება უაზრობაა;
25. მრავალშვილიანობა ოჯახის ბედნიერების არსებითი პირობაა;
26. ბევრი შვილის გაზრდაზე უკეთესს ადამიანი ვერასოდეს ვერაფერს გააკეთებს;
27. მკაცრად დასაჯობია მრავალშვილიანი ხალხი.

II

1. მრავალშვილიანობა ქალისათვის თავისუფლების აღკვეთას უდრის;
2. ბევრი ბავშვის გაზრდა ძალიან ძნელია;
3. სრულფასოვანი ოჯახის სახელს მხოლოდ მრავალშვილიანი ოჯახი იმსახურებს;
4. მრავალშვილიანობა მშობლებს ხელფებს უბოროტავს;
5. მრავალშვილიანობა — მძიმე ტვირთია;
6. ვერ ვიტყვი, მისასალმებელია მრავალშვილიანობა, თუ — დასაჯობია;
7. მრავალშვილიანობა აახალგაზრდავებს საზოგადოებას და ქვეყნის წინსვლას განაპირობებს;
8. მრავალშვილიანობა სასურველი მოვლენაა;
9. შეუძლებელია მრავალშვილიან ოჯახში ბედნიერება და ჰარმონია სუფევდეს;
10. ოჯახში შვილთა რაოდენობის საკითხი ბუნებრივი გრძნობების კარნახით უნდა გადაწყდეს;
11. საზოგადოდ, წესიერი და კაცთმოყვარე ბავშვები მრავალშვილიანი ოჯახებიდან გამოდიან;
12. მრავალშვილიანობა მეუღლეთა ერთგულების საწინდარია;
13. მრავალშვილიანობა აქვეითებს ოჯახის ეკონომიკურ დონეს;
14. მრავალშვილიანი ოჯახები ღირსეულ მოქალაქეებს ვერ ზრდიან;
15. მრავალშვილიანი ხალხი ბატონიცემას იმსახურებს;



16. მრავალშვილიანობა სამშობლოს სიყვარულის უმაღლესი გამოხატულებაა;
17. და-ძმის ყოლა ბავშვის პარმონიული განვითარების აუცილებელი პირობაა;
18. მრავალშვილიანობის შესახებ გარკვეული აზრი არ გამაჩნია;
19. მრავალშვილიანობა დედამიწის გადატვირთვის საფრთხეს უქმნის;
20. როგორც წესი, მრავალშვილიანობა ადამიანს გონებაშეზღუდულს ხდის;
21. მრავალშვილიანობა უქულტურობისა და უფიცილის მაჩვენებელია;
22. ჩვეულებრივ, მრავალშვილიანი მშობლები ცუდი აღზრდელბან;
23. მშობლებისათვის შვილთა რაოდენობის დაწესება უაზრობაა;
24. მრავალშვილიანობა ოჯახის ზნეობრივი სიჯანსაღის გამოხატულებაა;
25. სუყეთესო მოქალაქეები მრავალშვილიანი ოჯახებიდან გამოდიან;
26. ბევრი შვილის გაზრდაზე უყეთეს ადამიანი ვერასოდეს ვერაფერს გააკეთებს.
27. მაკრად დასაგმობია მრავალშვილიანი ხალხი.

განსვლის სხვადასხვა დონე შექმნილი იქნა ორი ფაქტორის — ცდისპირთა საწყისი პოზიციებისა და დასაცავ დებულებათა სკალური პოზიციების თანაფარდობით; გამოყოფილ იქნა რამოდენიმე ჯგუფი, სადაც ცდისპირებს განსხვავებული სკალური პოზიცია ქონდა და სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული სკალური პოზიციის გამომხატველი დებულება ეძლეოდა დასაცავად. ამ გზით შედგა განსვლის მნიშვნელოვანი სიდიდის დიაპაზონი და არიდებულ იქნა საწყისი პოზიციის რავგარობიდან გამომდინარე ეფექტები აღრვის საშიშროება საკუთრივ განსვლის ეფექტებთან. (იხ. ცხრილი 1).

#### I ექსპერიმენტი

**ექსპერიმენტის აღწერა.** ცდები ჩატარდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების 256 სტუდენტზე. გამოიყენებოდა სოციალური განწყობის ორჯერადი გაზომვის ტექნიკა უშუალოდ ექსპერიმენტული ზემოქმედების წინ და ზემოქმედების შემდგომ.

**ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურა.** ექსპერიმენტული ზემოქმედება მდგომარეობდა შემდეგში: ცდისპირთა ჯგუფს დავალებად ეძლეოდა საკუთარი განწყობისაგან განსხვავებული აზრის — პოზიციის — წერილობითი ფორმით დაცვა-დასაბუთება. დავალებად მიღებული თემები სხვადასხვა ჯგუფებში იყო (—3), (—2), (—1), 0, 1, 2, 3 სკალური პოზიციის შესაბამისი. დასაცავი დებულებები განწყობის კითხვარიდან იყო ამოღებული. თემების სათაურები იყო: „მრავალშვილიანობა დანაშაულია — (სკალური პოზიცია —3); „მრავალშვილიანობა მძიმე ტვირთია“ (სკალური პოზიცია —2); „ბევრი ბავშვის გაზრდა ძალზე ძნელია“ (სკალური პოზიცია —1); „მშობლებისათვის შვილთა რაოდენობის დაწესება უაზრობაა“ (სკალური პოზიცია 0); „მრავალშვილიანობა სასურველი მოვლენაა“ (სკალური პოზიცია 1); „მრავალშვილიანობა ოჯახის ზნეობრივი სიჯანსაღის გამოხატულებაა“ (სკალური პოზიცია 2); „მრავალშვილიანობა სამშობლოს სიყვარულის უმაღლესი გამოხატულებაა“ (სკალური პოზიცია 3).

ცდისპირს მოეთხოვებოდა მიღებული დავალების — თემის — გაშლანგანვითარება, არგუმენტირება. ამ საქმიანობას 20—25 წუთი ეთმობოდა. ინსტრუქცია, რომელიც მათ ეძლეოდა, ამგვარი იყო: „დავალებად გეძლევათ თემა „.....“; გთხოვთ (სულ ერთია ეთანხმებით მას თუ არა), სკადლოთ, მოიყვანოთ საბუთები, მოსაზრებები, მაგალითები, რომლებიც ამ აზრის მართებულობას დამტკიცებენ. რაც მეტ დამაჯერებელ საბუთს მოიყვანთ, — უყეთესია. დავალების შესასრულებლად თქვენი განათლება საკმარისი უნდა



იყოს“. მითითებული იყო აგრეთვე, ნარკვევის სასურველი სიდიდე. ცდაში დაცული იყო ცდისპირის ანონიმურობა. ექსპერიმენტულ დავალებას ცდისპირი ასრულებდა მხოლოდ და მხოლოდ ცდის ხელმძღვანელის თხოვნით, რომელსაც რაიმე სანქციისათვის არ მიუმართავს.

საწყის და დაცულ პოზიციათა შორის არსებული წინააღმდეგობის დონეების მიხედვით, გამოვყავით ცდისპირთა ჯგუფები და გამოვიკვლიეთ განსვლის დონეებსა და სოციალური განწყობის შეცვლას შორის დამოკიდებულების საკითხი.

**მიღებული შედეგების განხილვა.** ექსპერიმენტული ზემოქმედების წინ სოციალური განწყობის გაზომვამ გვიჩვენა, რომ ცდისპირთა საწყისი სკალური პოზიციები შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი 1):

ბანაჟობის საწყისი სკალურ პოზიციათა განაწილება

ლიბაზონი	-3-2	-2-1	-1 0	0 1	1 2	2 3
რაოდენობა		12	37	73	110	32

ცხრილიდან ჩანს, რომ ცდისპირთა საწყისი პოზიციები არ არის თანაბრად განაწილებული, რაც გვარწმუნებს, რომ განსვლის განსხვავებულ დონეთა შესაქმნელად რამოდენიმე განსხვავებული სკალური პოზიციის გამომხატველი დებულების დაცვა აუცილებლად უნდა შემოგვეყვანა ცდაში

თუ როგორ იცვლება ცდის პირის საწყისი პოზიცია, როდესაც იცვლება განსვლის სიდიდე დასაცავ დებულებასა და ცდისპირის საწყისი პოზიციის შორის — მიმართება, რომელიც ჩვენი კვლევის მთავარ საკითხს წარმოადგენდა, მოცემულია მომდევნო ცხრილში:

განსვლის სიდიდე და ბანაჟობის შეცვლის სიდიდე

განსვლის სიდიდე	0,57	1,47	2,33	3,44	4,31	
შეცვლის სიდიდე	-0,05	0,15	0,22	0,66	0,56	

შეცვლა მნიშვნელოვანია  $t=2,8 p<0,01$ .

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია განსვლის ზრდასთან ერთად განწყობის შეცვლის მაჩვენებლების ზრდისა და ის, რომ განწყობის შეცვლა მნიშვნელოვან დონეს აღწევს 3-4 სკალურ საფეხურზე.

შემდგომი კვლევისათვის გვჭირდებოდა ვაგვერკვია საკითხი — აქვს თუ არა მნიშვნელობა განწყობის შეცვლაში განსვლის დადებითობა-უარყოფითობას? დადებით განსვლად მივიჩნიეთ განსვლა, როდესაც დასაცავი დებულების სკალური პოზიცია სკალის დადებით პოლუსთან მეტად არის მიახლოებული, ვიდრე საწყისი პოზიცია; ხოლო უარყოფით განსვლად, როდესაც დასაცავი დებულების სკალური პოზიცია უახლოვდება უარყოფით პოლუსს მეტად, ვიდრე საწყისი პოზიცია; ე. ი. ჩვენ



გვანტერესებდა გავვეგო: განწყობის კონტინუუმზე განსვლის მიმართულება ერთგვაროვან ცვლილებებს იწვევს თუ არა? მონაცემები მოყვანილია მესამე ცხრილში.

განსვლის მიმართულება და განწყობის შეცვლის სიდიდე

ცხრილი 3

განსვლის აბსოლუტური სიდიდე	შეცლა (-) განსვლის დროს	შეცლა (+) განსვლის დროს
0,57	-0,06	-0,04
1,47	0,27	0,07
2,33	0,23	0,21
3,44	0,63	0,70
4,31	0,51	—

ცხრილიდან ჩანს, რომ განსვლის მიმართულებას არა აქვს გადამწყვეტ გავლენა განწყობის შეცვლაზე და მნიშვნელობა აქვს განსვლის აბსოლუტური სიდიდეს. როგორც ვხედავთ, ცხრილის II და III სვეტების მონაცემებს შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება; მაშასადამე, განწყობის შეცვლის ფაქტორად ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ავიღოთ განსვლის სიდიდე.

II შესაბამისობა

ზემომოყვანილ ექსპერიმენტში ცდის პირთა ჯგუფები განაწილებული იქნა საწყის პოზიციასა და დასაცავი დებულების სკალურ პოზიციას შორის განსვლის განსხვავებული დონეების მიხედვით (იხ. ცხრილი 2), სადაც განსვლის სიდიდე განლაგდა 0,57; 1,47; 2,33; 3,44 და 4,31 სკალურ საფეხურებად. აღვნიშნეთ ისიც, რომ 0,57-დან — 3,44 სკალურ საფეხურამდე განწყობის მნიშვნელოვანი შეცვლა არა ხდებოდა, თუმცა განწყობის შეცვლის მაჩვენებლებში მატების ტენდენცია დადასტურდა ანუ ნულოვანი წინააღმდეგობის დროს განწყობის შეცვლას ადგილი არ ჰქონია.

ნულოვანი წინააღმდეგობის ვითარება ავირჩიეთ ჩვენთვის საინტერესო მეორე საკითხის საკვლევად: აქვს თუ არა პიროვნებას ზუსტი წარმოდგენა საკუთარი განწყობის ეული პოზიციის შესახებ? რადგან ნულოვანი წინააღმდეგობის ვითარებაში შედარებით ადვილად და მეტი სიზუსტით გაირკვევა ცდისპირისათვის თავისი განწყობის ეული პოზიციის სუბიექტური მოცემულობის საკითხი, „საკუთარი პოზიციის დაცვა-დასაბუთების ინსტრუქციის“ გამოყენება, რაც თავისთავად ნულოვან წინააღმდეგობას გულისხმობს, უშუალოდ მოგვეცემა ჩვენთვის საინტერესო მასალასა და შესაძლებლობას განწყობაზე ამგვარი ქცევის გავლენის შედარებისა ობიექტური (გაზომვით მოპოვებული) ნულოვანი განსვლის ეფექტთან. გარდა ამისა, ნულოვანი განსვლის დროს ადვილია შესრულებული დავალების — განწყობის ეული მსჯელობის შინაარსეული ანალიზი და საწყის პოზიციისთან მისი შედარება ცდისპირთა მნიშვნელოვანი რიცხვის გამოყენებით.

**ექსპერიმენტის აღწერა.** ცდა ჩატარდა თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის 35 სტუდენტზე. გამოიყენებოდა სოციალური განწყობის ორჯერადი გაზომვის ტექნიკა — უშუალოდ ექსპერიმენტული ზემოქმედების წინ და ზემოქმედების შემდგომ.

**ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურა.** ექსპერიმენტული ზემოქმედება მდგომარეობდა შემდეგში: ცდისპირთა ჯგუფს დავალებ-



ბად მიეცა საკუთარი განწყობისეული პოზიციის სისწორის არგუმენტირება — რაც შეიძლება უკეთ, ამომწურავად და დამაჯერებლად.

**მიღებული შედეგების განხილვა.** ექსპერიმენტული ზემოქმედების წინ სოციალურ განწყობის გაზომვამ გვიჩვენა, რომ ცდისპირთა საწყისი სკალური პოზიციები შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი 4):

განწყობის საწყისი სკალურ პოზიციათა განაწილება

ცხრილი 4

დიაპაზონი	3 2	2 1	1 0	0-1	-1-2	-2-3
რაოდენობა	9	12	4	7	3	

ცდისპირთა პოზიციების განმეორებითმა გაზომვამ გვიჩვენა, რომ საწყისი და საბოლოო პოზიციებს შორის განსხვავება არ არის და, მაშასადამე, განწყობის შეცვლას ადგილი არა ჰქონია. გარდა ამისა, შესრულებული ამოცანის — საკუთარი პოზიციის მართებულობის არგუმენტაციის — შინაარსეული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცდისპირთ სწორად გადმოიყვით საკუთარი პოზიცია, არ გადიან მის ფარგლებს გარეთ და ასახულებენ იმ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება მათს განწყობისეულ პოზიციას.

საკუთარი პოზიციის მართებულობის არგუმენტაციამ არ გამოიწვია განწყობის შეცვლა; აგრეთვე, არგუმენტაციის შინაარსეულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ „საკუთარი პოზიციის არგუმენტაციის“ მიღებულმა დავალებამ არ გამოიწვია ცდისპირთა დეზორიენტაცია — და ამ გარემოებამ გამოავლინა, რომ ისინი თავიდანვე სწორად აფასებენ საკუთარ დამოკიდებულებას სოციალური ობიექტის მიმართ.

სოციალური განწყობის დიფუზური, ნახევრადგანცდადი ბუნებიდან გამომდინარე, თავიდან არ იყო მოკლებული აზრს დაშვება, რომ საკუთარი განწყობის გამოვლენის, არგუმენტაციის დროს გამააშკარავებოდა ცდისპირთა დიდი რიცხვის უუნარობა საკუთარი განწყობის ზუსტი კვალიფიციტებისა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცდისპირებს საკუთარი განწყობისეული პოზიცია თავიდან მკაფიოდ ქონდათ მოცემული.

**დასკვნა.** ჩვენი გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელი არის შემდეგი დასკვნების გამოტანა. უწინარეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას ზოგადი ხასიათის დებულებას, რომ პიროვნებას როგორც მოქმედ სისტემას ახასიათებს შინაგანი კანონზომიერება და ეს კანონზომიერება, თავის მხრივ, ერთიანობის ცნებით ხასიათდება. პიროვნების მიერ შესრულებული ქცევა, მისი რაგვარობა განურჩეველი არ არის ამ პიროვნებისათვის; თუ ქცევა შეუთავსებელია პიროვნების სოციალური ფიქსირებული განწყობების სისტემასთან, და თუ პიროვნებაში იქმნება შეუთავსებადობის მდგომარეობა, ეს გარემოება გარკვეულ კვალს ტოვებს პიროვნებაში, — მისი სოციალური განწყობა ცვლილებას განიცდის. მაშასადამე:

1. პიროვნების სოციალური ფიქსირებული განწყობისაგან განსხვავებულა ქცევა იწვევს სოციალური ფიქსირებული განწყობის შეცვლას;

2. პიროვნების სოციალური ფიქსირებული განწყობა ცვლილებას განიცდის შესრულებული ქცევის პოზიციის მიმართულებით, რაც გამოხატავს პიროვნების აკომოდაციას შესრულებული ქცევისადმი;

3. განწყობის შეცვლაში მნიშვნელოვანი როლი აქვს განსვლას პიროვნების საწყის განწყობისეულ პოზიციასა და ქცევაში ნაგულისხმევ პოზიციას შორის. მისი სიდიდე აღმოჩნდა განწყობის შეცვლის განმსაზღვრელი ფაქტორი;

4. განწყობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შეცვლა ხდებოდა განსვლის 3—4 სკალურ საფეხურზე (გაზომვა ტარდებოდა 7 საფეხურიანი სკალის საშუალებით);

5. პიროვნებას აქვს საკუთარი განწყობისეული პოზიციის იდენტიფიკაციის უნარი.

ნოდარ ბარამიძე

## დრო როგორც აღამიანის ქცევის ერთ-ერთი ფაქტორი<sup>1</sup>

(შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობანი  
უფროს სასკოლო ასაკში)

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში საქმად გავრცელებული შეხედულების მიხედვით, აღამიანის ქცევის — როგორც იმპულსურის, ისე ნებისმიერის — ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მოთხოვნილება. მაგრამ არიან ავტორები, რომლებიც არ იზიარებენ ამ შეხედულებას, მათი აზრით, მართალია, მოთხოვნილება არის ყველაზე უფრო ძირითადი ფაქტორი აქტივობისა (არ არსებობს ქცევა რომელსაც მხედველობაში არა აქვს მოთხოვნილება), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნების ქცევა ყოველთვის აღიჭრება და წარმართება მოთხოვნილებას ცოცხალი პროცესით (შ. ჩხარტიშვილი). მოთხოვნილება არის აქტივობის ისეთი წყარო, რომელიც საერთოა ცხოველისა და ადამიანისათვის. ადამიანს აქვს ამ საერთოსაგან განმასხვავებელი აქტივობის სპეციფიკური წყაროც. სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყაროს ნებისყოფა წარმოადგენს.

ჩვენ ვიზიარებთ ამ შეხედულებას და (პროფ. შ. ჩხარტიშვილის შემდგომ) ნებისყოფით განსაზღვრულ ქცევას ნებისმიერ ქცევას ვუწოდებთ, მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას კი — იმპულსურ ქცევას განურჩევლად იმისა თუ როგორი მოთხოვნილებითაა აღძრული იგი, ცნობიერების რომელ დონეზე მიმდინარეობს ეს ქცევა და რა წინააღმდეგობის გადალახვა უნდება მას. საყურადღებოა, რომ ქცევის აღნიშნული ორი ძირითადი ფორმის გამოყოფა მიზანშეწონილია არა მარტო მათი აღმქვრელი მექანიზმების მიხედვით, არამედ მოტივთა თავისებურებებიდან გამომდინარეც. ეს საკითხი სპეციალურად იკვლია შ. ჩხარტიშვილმა<sup>2</sup>. იმპულსური და ნებისმიერი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლის საფუძველზე მან უჩვენა, რომ იმპულსური ქცევის მოტივის წარმოადგენს ემოციური განცდის ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება. ეს ემოციური განცდა აღმოცენდება იმპულსური ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ქცევის აქტთან უშუალო კავშირში და გამოხატავს იმ ღირებულებას, რომელიც აქვს ამ აქტებს თვით ქცევის სუბიექტისათვის. იმპულსური ქცევის მოტივი, სუბიექტური ღირებულება-მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის ერთობლივ ფუნქციას წარმოადგენს; მისი ხილდე იცვლება მოთხოვნილების სუბიექტის მდგომარეობის ცვალებადობის შესაბამისად: მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების კვალობაზე მცირდება.

განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან, ნებისმიერი ქცევის მოტივი უშუალოდ ქცევის აქტთან არაა დაკავშირებული: თუკი იმპულსური ქცევა მისი სუბიექტის მომენტალურ ცხოვრებას ემსახურება, თვითონ მის საფუძველში არსებული მოთხოვნილებას დაკმაყოფილებას ენერჯის და სხვას არაფერს ითვლისწინებს, ნებისმიერ ქცევას, როგორც წესი, ობიექტური ღირებულება აქვს მხედველობაში. ნებისმიერი ქცევა ხორციელდება არა იმისათვის, რასაც ადვილი აქვს ქცევის მიმდინარეობაში, არამედ იმისათვის, რაც რჩება ქცევის დასრულების შემდეგ როგორც გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე რეზულტატი. ნებისმიერი ქცევა ყოველთვის ობიექტურ ღირებულებაზე არის მიმართული, — სწორედ ეს ობიექტური ღირებულება ახრულებს ნებისმიერი ქცევის მოტივის

<sup>1</sup> გამოკვლევა წარმოადგენს ერთ თავს ავტორის სადისერტაციო შრომისა, რომელიც შესრულებულია პროფ. შ. ჩხარტიშვილის ხელშეწყობით.

<sup>2</sup> შ. ჩხარტიშვილი. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1958.

ფუნქციას. ობიექტური ღირებულება, როგორც ნებისმიერი ქცევის მოტივი, ლოგიკური მსჯელობის ფორმაში ეძლევა ადამიანს და იმპულსური ქცევის მოტივივით სუბიექტის მდგომარეობის მიხედვით არ ცვალბადობს.

როგორც ვხედავთ, ადამიანის ქცევის ორი ძირითადი ფორმა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულია არა მარტო მათი აღმქვრელი მექანიზმების მიხედვით, არამედ — მოტივთა თავისებურებებითაც. ქვემოთ, სადაც კი ლაპარაკი იქნება ადამიანის ქცევის ამა თუ იმ ფორმაზე, ყველგან მხედველობაში გვექნება იმპულსური და ნებისმიერი ქცევის მოტივის. შემოადინებული გაგება. სწორედ იგი (ეს გაგება) დაედება საფუძვლად ქცევის აღნიშნული ორი ძირითადი ფორმის გამოყოფას, მათს ურთიერთგამიჯნებს.

რაც შეეხება შორეულ მოტივაციურ ქცევას, ასეთი ქცევის ქვეშ ჩვენ გავსმის ადამიანის ისეთი აქტივობა, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს აქტუალურ მოთხოვნილებასთან. ეს ქცევა, დ. უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, არასდროს არ ეყრდნობა აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს<sup>3</sup>. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი<sup>4</sup>. ამასთანავე, შორეული მოტივაციური ქცევის შედეგი შეიძლება გამიჯნული იყოს როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა ადამიანების, კოლექტივის ან საზოგადოების ინტერესებისათვისაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, შორეული მოტივაციური ქცევა მხოლოდ ისეთი შედეგისაკენ შეიძლება იყოს მიმართული, რომელსაც გარკვეული ობიექტური ღირებულება აქვს. აქედან გამომდინარე, ვასაგებია, რომ შორეული მოტივაციისა არ სუბიექტად, ნებისმიერი ქცევის მოტივაციისაა; შორეული მოტივაციური ქცევა კი ნებისმიერი ქცევა.

ადამიანის ქცევა, როგორც ვნახეთ, ყოველთვის რაიმე ღირებულებისაკენ არის მიმართული. ერთ შემთხვევაში ეს ღირებულება შეიძლება იყოს სუბიექტური, მეორე შემთხვევაში კი — ობიექტური. სუბიექტური ღირებულება, როგორც ჩანს, გამოდის იმპულსური ქცევის მოტივის როლში, ობიექტური ღირებულება კი — ნებისმიერი ქცევის მოტივის როლში. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ, მართალია, ადამიანს უმეტეს შემთხვევაში გაცნობიერებული აქვს ამა თუ იმ ქცევის ღირებულება, მას კარგად ესმის, რომელი ქცევა არის უფრო მეტი ღირებულების მომცემი და რომელი — ნაკლების, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის როდი ახერხებს მეტი ობიექტური ღირებულების მქონე ქცევის განხორციელებას. იმ ფაქტორებს შორის, რომელთა გამოც ადამიანი, მიუხედავად თავისი სურვილისა, ყოველთვის ვერ ახერხებს უფრო მეტი ობიექტური ღირებულების მქონე ქცევის განხორციელებას და მასთანავე, მოცემულ კონკრეტულ მომენტში ვერ გვევლინება ნებისმიერი ქცევის სუბიექტად, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის დროს. ადამიანის ქცევაზე, მის ყოველდღიურ საქმიანობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ორი ან მეტი შესაძლებელი ქცევიდან ადამიანი ხშირად იმ ქცევის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას, რომლის შედეგსაც ახლა, ან უახლოეს დროში აქვს მისთვის მნიშვნელობა და ამით, ფაქტიურად, იგი უარს აცხადებს ისეთი ქცევის განხორციელებაზე, რომელსაც ვაცილებით მეტი ღირებულება აქვს, მაგრამ რომლის შედეგიც შორეულ მომავალში შეიძლება იქნას მოხმარებული. ეს ფაქტი, როგორც ექსპერიმენტმა გვიჩვენა, განსაკუთრებით შეიძინევა დაბალ ასაკში, მაგრამ ამას ადგილი აქვს უფროსებთანაც, რაც, აგრეთვე, გამოირკვა ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტიდან. წინამდებარე შრომაში ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ უფროსი ასაკის მოსწავლეებზე ჩატარებული ექსპერიმენ-

<sup>3</sup> დ. უზნაძე. შრომები, ტომი III—IV, გვ. 181.

<sup>4</sup> ნ. ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მაცნე, ფილოსოფიის... სერია, № 1, 1973.

ტის შედეგებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ადამიანის ქცევაზე დროს ფაქტორის გავლენის შესახებ ვილაპარაკოთ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ქცევა ძირითადად დასრულებული სახითაა წარმოდგენილი.

ექსპერიმენტი ჩავატარეთ თბილისის 154-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებზე. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 22-მა მოსწავლემ. ექსპერიმენტი ერთობ საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის, ვინაიდან იგი პირდებოდა მათ ქალაქარეთ ექსკურსიას კულტურის რომელიმე ძეგლის დასათვალიერებლად. ექსპერიმენტი შედგებოდა ორი ეტაპისაგან. პირველ ეტაპზე ჩვენ ვადგენდით, თუ რა ღირებულება ქონდა ამა თუ იმ მიმართულებით ექსკურსიის მოწყობას თითოეული მოსწავლისათვის. მეორე ეტაპზე კი ვარკვევდით იცლებოდა თუ არა ექსკურსიათა წინასწარ დადგენილი ღირებულება დროს ზეგავლენით. ამ მიზნით მოსწავლეებს ვთავაზობდით მონაწილეობა მიეღოთ ერთ-ერთ ექსკურსიაში სხვადასხვა ღირებულების მქონე ორი მიმართულების ექსკურსიიდან, რომელთაგან ნაკლებად ღირებული (ნაკლებად საინტერესო) მიმართულებით ექსკურსიის მოწყობა განზრახული იყო ახლა — ამ კვირაში, უფრო მეტი ღირებულების მქონე მიმართულებით კი — სამი თვის შემდეგ მოსწავლეს ევალეობდა ამოერჩია ერთ-ერთი მიმართულების ექსკურსია მიითითებული ორიდან. იმის მიხედვით, თუ რომელს აირჩევდა მოსწავლე, ჩვენ ვმსჯელობდით დროს ფაქტორის გავლენის შესახებ მის ქცევაზე.

ექსპერიმენტის პირველი ეტაპი ჩავატარეთ ოცდაორივე მოსწავლეზე ერთად. ცდები მიმდინარეობდა საკლასო ოთახში. თითოეული მოსწავლე იჭდა ცალკე მერხზე. მას ევალეობდა დამოუკიდებლად შეესრულებინა მოსწავლეთა მთელი ჯგუფისათვის მიწოდებული ინსტრუქცია. მოსწავლეებზე კონტროლის გაწევის მიზნით მათ მუშაობას ჩვენთან ერთად თვალყურს ადევნებდა სკოლის მასწავლებელიც. ჯგუფს ეძლეოდა ასეთი ინსტრუქცია:

„სკოლის ღირქცია, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებასთან ერთად, განზრახული აქვს მოაწიოს ექსკურსია თქვენი კლასის მოსწავლეებისათვის. ექსკურსია მოეწყობა უახლოეს დღეებში. განათლების სამინისტრომ მოითხოვა, ანგარიში გაგვეწია თვით თქვენი სურვილებისათვის. ამ მიზნით, შედგენილი იქნა სია იმ ობიექტებისა, სადაც შეიძლება მოეწყოს ექსკურსიები. სიაში მოცემულია 12 საექსკურსიო ობიექტი. მე დაგირიგებთ ახლა ამ სიას. თითოეულმა დაკვირვებით წაითხუთ იგი და ამოარჩიეთ სად უფრო მეტად გაინტერესებთ წასვლა პირადად თქვენ. ამასთანავე, ყოველი საექსკურსიო ობიექტი შეაფასეთ ნიშნით 10 ბალიანი სისტემის ფარგლებში. ე. ი. სადაც ყველაზე უფრო მეტად ვინდათ წასვლა, იმ ობიექტს დაუწერეთ ყველაზე უფრო მაღალი ნიშანი — 10-იანი. ობიექტი, რომელიც შედარებით ნაკლებად გაინტერესებთ, შეაფასეთ უფრო ნაკლები ნიშნით, ვთქვით 9-იანით ან 8-იანით. ამაზე უფრო ნაკლები ღირებულების ობიექტს დაუწერეთ უფრო ნაკლები ნიშანი. ხოლო საექსკურსიო ობიექტი, რომელიც სიაში ჩამოთვლილებს შორის ყველაზე უფრო ნაკლებად საინტერესოა თქვენთვის, შეაფასეთ 1-იანზე. ამავე დროს, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ სიაში ჩამოთვლილ ორ ან მეტ ობიექტს ერთნაირი ღირებულება აქვს თქვენთვის, ერთნაირად გაინტერესებთ იქ წასვლა თქვენ, მაშინ ეს ობიექტები შეაფასეთ ერთნაირი ნიშნით. ამ მონაცემებს ჩვენ გულდასმით დავამუშავებთ, გავითვალისწინებთ თქვენს სურვილებს და რამდენიმე დღეში გამოგიცხადებთ თუ სად და როდის მოეწყობა ექსკურსია თქვენთვის“.

მოსწავლეებისადმი მიცემულ ფურცლებზე ჩამოწერილი იყო შემდეგი საექსკურსიო ობიექტები:

1. მცხეთა (უძველესი დედაქალაქი),
2. მცხეთა (უძველესი დედაქალაქი) — საგურამო (ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი),
3. მცხეთა (უძველესი დედაქალაქი) — საგურამო (ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი) — ჩარგალი (ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი),
4. სააკაძის კარმიდამო (კასპის მახლობლად),
5. თელავი (მეფე ერეკლეს სახლ-მუზეუმი),
6. წინანდალი (ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი) — თელავი (მეფე ერეკლეს სახლ-მუზეუმი), გრემი (ციხე-გალავანი),
7. გორი (სტალინის სახლ-მუზეუმი),
8. უფლისციხე (მცხეთა-თინვალის გზაზე),
9. ბეთანიის ეკლესია (ყოფორისკენ მიმავალ გზაზე).
10. ვარძია (ქალაქი კლდეში),
11. დავით გარეჯის მონასტერი (კახეთში),
12. წინანდალი (ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი).

ეს საექსკურსიო ობიექტები სხვადასხვა მოსწავლეს ეძლეოდა სხვადასხვა თანმიმდევრობით, რასაც შეეძლო გარკვეულად გაერთულებინა მოსწავლეთა ურთიერთგავლენა შეფასების პროცესში. ჩვენი ვარაუდის თანახმად, თუ რომელიმე მოსწავლე, მასწავლებლისა და ჩვენი მეთვალყურეობის მიუხედავად, მინც გადაავლებდა თვალს მასთან ახლო მყოფი ამხანაგის ფურცელს, ეს უკანასკნელი მის მიერ აღქმული იქნებოდა როგორც თავისის არაადექვატური ფურცელი, ვინაიდან ამ ფურცლების შესაბამის (ერთსა და იმავე) ადგილებზე მოცემული იყო სხვადასხვა საექსკურსიო ობიექტები. ამიტომ ეს მოსწავლეც, ჩვენი აზრით, იძულებული უნდა გამხდარიყო, და ასეც ხდებოდა, დამოუკიდებლად გაეგრძელებინა მუშაობა.

აღნიშნული საექსკურსიო ობიექტები მოსწავლეებს შევაფასებინეთ 10-ბალიანი სისტემის ფარგლებში. ამ სისტემაზე შეჩერება იმიტომ იყო მიზანშეწონილი, რომ იგი ათავისუფლებდა შემფასებელს ნიშნით შეზღუდულობისაგან და უზრუნველყოფდა უფრო დიფერენცირებულსა და, ამდენად, უფრო ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. როდესაც მოსწავლე შეაფასებდა, ე. ი. დაუწერდა თითოეულ საექსკურსიო ობიექტს ნიშანს, ვართმევდით მას ფურცელს და ვუშვებდით გარეთ. ასეთნაირად ვაგროვებდით ყველა მოსწავლის მონაცემს.

მეორე დღეს მარტო შევდიოდით იმავე ჯგუფში და, როდესაც აღტაცებული მოსწავლეები ჩვენი დაპირებისამებრ მოელოდნენ ჩვენგან საექსკურსიო ადგილისა და დღის გამოცხადებას, ჩვენ მათ, გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე (რომლის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ), ვუცხადებდით: ფურცლები, რომლებიც შევავსებინეთ გუშინ მათ, გვეწყო სამუშაო მაგიდაზე. სამწუხაროდ, დღეს დილით ისინი დამლაგებელს შეცდომით გადაუყრია. ასე რომ ის მასალა დაიკარგა; ამიტომ დღეს ჩვენ მოგვიხდება იმავე სამუშაოს ხელმეორედ ჩატარება. ამის გამოცხადების შემდეგ მოსწავლეებს ხელახლა ვურიგებთ საექსკურსიო ობიექტების სიას და ვთხოვდით კიდევ ერთხელ შეეფასებინათ ისინი. ამასთანავე, თუ პირველ შემთხვევაში (გუშინ) საექსკურსიო ობიექტები ეძლეოდა მოსწავლეს ერთი თანმიმდევრობით, მეორე შემთხვევაში. ე. ი. დღეს ეს თანმიმდევრობა დარღვეული იყო. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, აძნელებდა მეხსიერების არასასურველ ჩარევას, მეხსიერებაზე დაყრდნობას ხელმეორედ შეფასების დროს. ყოველ შემთხვევაში, საექსკურსიო ობიექტების შეცვლილი თანმიმდევრობით მოწოდება აფერხებდა ასოციაციური მეხსიერებით სარგებლობის შესაძლებლობას და იძულებდა მოსწავლეს ხელმეორედ შეფასების

დროსაც ისეთივე აქტიური ყოფილიყო როგორც პირველ შემთხვევაში. ხელნედავად ამისა, შეფასების დროს თუ მოსწავლეს გაახსენდებოდა, ვთქვათ, რომ „თელავი“ გუშინ შეაფასა 7-ზე და დღესაც ამის მიხედვით შეაფასებდა ამ საექსკურსიო ობიექტს, ვფიქრობთ ეს დიდი სირთულის წინაშე არ დავაყენებ-და. საქმე ის არის, რომ, საყოველთაოდ ცნობილი კანონზომიერების მიხედ-ვით<sup>8</sup>, მოსწავლეს პირველ რიგში მხოლოდ იმ საექსკურსიო ობიექტის შეფა-სება დაამახსოვრდებოდა და, მაშასადამე, იმას გაიხსენებდა, რომელიც მან მართლაც აქტიურად შეაფასა და რომლის ნიშანიც საკუთარი ინტერესების, თითოეული საექსკურსიო ადგილის ღირებულების გათვალისწინების საფუძ-ველზე გამოიყვანა. ჩვენი მიზანიც ხომ ასეთნაირად შეფასების მიღწევაში მდგომარეობდა. რაც შეეხება შემთხვევით დაწერილ ნიშანს, უყურადღებოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით მიკუთვნებულ შეფასებას, ვფიქრობთ, იშვიათად თუ დაამახსოვრდებოდა მოსწავლეს ასეთი შეფასება. ასე რომ, ხელმეორედ შეფასებისას, თუ მაინც შეიძლება მესხიერების ჩარევაზე ლაპარაკი, როგორც ვნახეთ, ეს მხოლოდ ჩვენთვის ხელსაყრელ შემთხვევაში და ჩვენთვის ხელსაყ-რელი მიმართულებით ხდება. დასასრულს, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეფა-სების პროცესში მოსწავლეებს არა ქონდათ რაიმეს დამახსოვრების გა-ნაზრახვა, კიდევ უფრო ნათელი გახდება, რომ ძალიან საეჭვოა მესხიერებით ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი აღნიშნულ შემთხვევაში. მართლაც, შეფასების დროს მოსწავლეების ქცევაზე უბრალო დაკვირვებაშიც გვიჩვენა, რომ მათი მუშაობა ატარებდა არა რეპროდუქციული, არამედ პროდუქციული აქტივო-ბის ხასიათს.

რატომ იყო საჭირო აღნიშნული სამუშაოს ორჯერ ჩატარება? ჩვენ ვფიქრობდით: თუ მოსწავლე რომელიმე საექსკურსიო ობიექტს ორივეჯერ ერთნაირი ნიშნით შეაფასებდა, ეს შეფასება ყველაზე უფ-რო სწორად გამოხატავდა მოცემული ობიექტის ღირებულებას ამ მოსწავლი-სათვის. თუ პირველ და მეორე შეფასებას შორის განსხვავება დიდი იყო, კერ-ძოდ, თუ იგი აღემატებოდა 3-ს, მაშინ ვვარაუდობდით, რომ ეს ობიექტი ამ მოსწავლის მიერ ან არასერიოზულად იყო შეფასებული, ანდა მას საკმარისი ცოდნა არ გააჩნდა ამ ობიექტის შესახებ და ასეთ შეფასებას საკითხზე მსჯე-ლობის დროს საერთოდ არ ვიღებდით მხედველობაში. ხოლო თუ აღნიშნულ შეფასებებს შორის განსვლა 3-ს არ აღემატებოდა, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნ-და ასეთი განსვლა აღწერილ პირობებში და ვთვლიდით, რომ ამ შეფასებების საშუალო არითმეტიკული სიდიდე გამოხატავდა მოცემული ობიექტის რეალურ ღირებულებას ამ მოსწავლისათვის. ასე ვადგენდით აღნიშნული საექსკურსიო ობიექტების ღირებულებას თითოეული ცდის პირისათვის. საექსკურსიო ობი-ექტების ორივეჯერ შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 20-მა მოსწავლემ (22-დან). ორი მოსწავლე განმეორებით შეფასების დღეს სკოლაში არ გამოცხადე-ბულა. აღნიშნული 20 მოსწავლიდან 11 იყო ვაჟი, 9 კი — გოგონა.

როგორც ცხრილი 1 გვიჩვენებს, სხვადასხვა მოსწავლის მიერ ერთი და იმავე საექსკურსიო ობიექტის შეფასებაში (გარდა ვარძიისა) დიდი განსვლა აღმოჩნდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსწავლეები ადგენდნენ საექსკურსიო ობიექტების არა ობიექტურ ღირებულებას (არა იმას თუ რას წარმოადგენენ

<sup>8</sup> П. И. Зинченко. Непроизвольное запоминание, М., 1961; А. А. Смирнов. Психология запоминания, М., 1948.

ტ-თა რიგი	საექსპურსიო ობიექტები																							
	მცხეთა		მცხეთა-საგურამო		მცხეთა-საგურამო-ჩაიგალი		წინადალი		თელავი		წინადალი-თელავი-გვიჩი		უფლისციხე		ბეთანის კლესია		ლაითი გარეის მონასტერი		სააკაძის კარმიდამო		გორი		ვარძია	
	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II
	შეფასება I და II კლასის მიხედვით 10-ბალანიანი სისტემის ფარგლებში																							
1	8	7	9	7	10	10	8	6	7	8	8	10	2	1	1	1	2	1	9	8	8	5	10	10
2	6	2	8	4	9	8	7	4	9	7	10	10	4	5	5	9	8	7	4	8	8	6	10	10
3	3	4	7	6	8	8	4	7	5	6	10	10	4	10	5	9	6	7	7	8	4	4	10	10
4	1	1	4	3	8	5	6	7	4	6	8	9	1	4	2	1	4	2	3	2	9	8	10	10
5	5	1	7	6	8	7	9	9	9	8	10	9	10	10	8	10	7	3	5	4	6	6	10	10
6	3	5	3	6	10	7	4	4	3	3	10	10	3	5	3	3	3	3	4	7	5	6	10	10
7	1	4	2	5	8	6	8	8	6	5	9	9	7	9	1	4	1	5	7	2	3	3	10	10
8	3	6	6	7	7	9	6	4	8	6	9	8	5	4	2	2	8	6	4	8	6	7	10	10
9	2	3	5	4	8	5	8	8	4	7	9	9	7	9	5	6	6	8	3	4	1	3	10	10
10	2	7	9	8	10	9	1	4	8	8	9	9	10	10	1	1	9	2	8	7	5	5	10	10
11	4	5	6	7	9	10	8	5	3	6	9	9	7	5	5	8	9	9	3	6	5	5	10	10
12	6	5	7	7	8	8	7	7	8	9	10	10	5	6	7	6	10	8	6	6	5	5	10	10
13	4	3	4	4	7	5	6	4	6	4	7	5	7	9	8	7	9	6	7	5	4	3	10	10
14	2	3	4	4	5	5	3	4	4	4	5	5	3	5	3	3	3	2	4	2	4	4	10	10
15	2	1	3	2	5	5	4	6	8	6	9	8	9	9	3	2	4	4	8	7	5	5	10	10
16	1	3	2	4	3	5	4	2	3	5	5	6	3	4	5	6	4	6	3	3	4	5	10	10
17	7	4	8	5	9	8	8	6	9	8	10	9	7	5	8	7	8	6	7	7	10	7	10	10
18	7	5	8	7	9	9	8	7	9	8	10	9	7	8	4	4	5	6	6	5	8	7	10	10
19	6	4	7	6	8	7	7	6	8	7	10	9	9	8	5	6	10	9	4	5	4	5	10	10
20	2	2	3	3	4	5	6	6	7	8	8	9	1	7	3	7	9	4	2	1	5	4	10	10

ისინი თავისთავად), არამედ თითოეულ ობიექტს ისინი აფასებდნენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, — ა. ნ. ლეონტიევის გამოთქმა რომ ვინმართ, მოსწავლეები აღგენენ საექსპურსიო ობიექტების არა საერთო „მნიშვნელობას“, არამედ პირად „საზრისს“<sup>6</sup>, — გასაგები ვახდება, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო: სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ მოსწავლეს. ერთ რომელიმე საექსპურსიო ობიექტი რამდენჯერმე ქონდა ნანახი მაშინ, როცა მეორეს ეს ობიექტი ერთხელაც არ ენახა. რაც შეეხება ცალკეულ მოსწავლესთან საექსპურსიო ობიექტების პირველ და მეორე შეფასებას შორის განსვლას, ძალიან ცოტა აღმოჩნდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ეს განსვლა აღემატებოდა 3-ს. ამიტომ გადაწყვიტეთ ჩვენ ეს შემთხვევებიც მიგველო მხედველობაში თითოეული ობიექტისათვის საერთო საშუალო შეფასების გამოანგარიშების დროს. ეს მიზანშეწონილი იყო იმიტომაც, რომ იგი შესაძლებლობას იძლეოდა ცალკეული საექსპურსიო ობიექტისათვის საშუალო შეფასება გამოგვეანგარიშებინა შეფასებათა ერთნაირი რიცხვიდან, რაც მათემატიკური სტატისტიკის ერთ-ერთ მოთხოვნასაც შეესაბამებოდა. აღსანიშნავია, რომ საექსპურსიო ობიექ-

<sup>6</sup> А. Н. Леонтьев. Психологические вопросы сознательности учения. Изв. АПН РСФСР. № 7. 1947.

ტებს შორის მხოლოდ ვარძია აღმოჩნდა ისეთი ობიექტი, რომელმაც როგორც პირველი, ისე მეორე შეფასების დროს 20-ვე მოსწავლის უმაღლესი შეფასება — 10 ბალი დაიმსახურა (ვარძიის I და II შეფასებათა შორის არავითარ განსვლას არ ჰქონდა ადგილი).

თითოეული საექსკურსიო ობიექტის შეფასების საშუალო მაჩვენებლებს (ცხრილი 2) რომ გადავავლოთ თვალი, ვნახავთ, რომ ყველაზე დაბალი შეფასება — 3,9 ბალი მიიღო მცხეთამ, ყველაზე მაღალი — 10 ბალი — კი ვარძიამ. პირველი და მეორე შეფასების საშუალოებს შორის განსვლა ვარძიის შემდეგ ყველაზე დაბალი აღმოჩნდა თელავის შემთხვევაში — 0,1 ბალი, ყველაზე მაღალი კი დავით გარეჯის მონასტერის შემთხვევაში — 1,75 ბალი (იხ. ცხრ. № 2).

ცხრილი 2

საექსკურსიო ობიექტები	შეფასებათა რიგი (I და II)	შეფასებათა ჯამი	შეფასებათა (წილ- თა) საშუალო სი- ღღე	განსვლა I და II შეფასების საშუალო სიღ. შორის.	საერთო საშ. სიღი- ღე																																																																																																
მცხეთა	I	75	3,7	0,3	3,9																																																																																																
	II	81	4,1			მცხეთა-საგურამო	I	111	5,5	0,2	5,4	II	107	5,3	მცხეთა-საგურამო-ჩარბალი	I	152	7,6	0,45	7,4	II	143	7,1	წინანდალი	I	122	6,1	0,4	5,9	II	114	5,7	თელავი	I	127	6,3	0,1	6,4	II	129	6,4	წინანდალი-თელავი-გრემი	I	175	8,7	0,15	8,7	II	172	8,6	უფლისციხე	I	111	5,5	1,1	6,1	II	133	6,6	ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5	II	96	4,8	დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10
მცხეთა-საგურამო	I	111	5,5	0,2	5,4																																																																																																
	II	107	5,3			მცხეთა-საგურამო-ჩარბალი	I	152	7,6	0,45	7,4	II	143	7,1	წინანდალი	I	122	6,1	0,4	5,9	II	114	5,7	თელავი	I	127	6,3	0,1	6,4	II	129	6,4	წინანდალი-თელავი-გრემი	I	175	8,7	0,15	8,7	II	172	8,6	უფლისციხე	I	111	5,5	1,1	6,1	II	133	6,6	ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5	II	96	4,8	დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0						
მცხეთა-საგურამო-ჩარბალი	I	152	7,6	0,45	7,4																																																																																																
	II	143	7,1			წინანდალი	I	122	6,1	0,4	5,9	II	114	5,7	თელავი	I	127	6,3	0,1	6,4	II	129	6,4	წინანდალი-თელავი-გრემი	I	175	8,7	0,15	8,7	II	172	8,6	უფლისციხე	I	111	5,5	1,1	6,1	II	133	6,6	ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5	II	96	4,8	დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0															
წინანდალი	I	122	6,1	0,4	5,9																																																																																																
	II	114	5,7			თელავი	I	127	6,3	0,1	6,4	II	129	6,4	წინანდალი-თელავი-გრემი	I	175	8,7	0,15	8,7	II	172	8,6	უფლისციხე	I	111	5,5	1,1	6,1	II	133	6,6	ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5	II	96	4,8	დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																								
თელავი	I	127	6,3	0,1	6,4																																																																																																
	II	129	6,4			წინანდალი-თელავი-გრემი	I	175	8,7	0,15	8,7	II	172	8,6	უფლისციხე	I	111	5,5	1,1	6,1	II	133	6,6	ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5	II	96	4,8	დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																																	
წინანდალი-თელავი-გრემი	I	175	8,7	0,15	8,7																																																																																																
	II	172	8,6			უფლისციხე	I	111	5,5	1,1	6,1	II	133	6,6	ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5	II	96	4,8	დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																																										
უფლისციხე	I	111	5,5	1,1	6,1																																																																																																
	II	133	6,6			ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5	II	96	4,8	დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																																																			
ბეთანიის ეკლესია	I	83	4,1	0,65	4,5																																																																																																
	II	96	4,8			დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0	II	103	5,1	სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																																																												
დავით გარეჯის მონასტერი	I	138	6,9	1,75	6,0																																																																																																
	II	103	5,1			სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3	II	112	5,6	გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																																																																					
სააკაძის კარმიდამო	I	100	5,0	0,6	5,3																																																																																																
	II	112	5,6			გორი	I	106	5,3	0,2	5,2	II	102	5,1	ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																																																																														
გორი	I	106	5,3	0,2	5,2																																																																																																
	II	102	5,1			ვარძია	I	200	10,0	0,0	10	II	200	10,0																																																																																							
ვარძია	I	200	10,0	0,0	10																																																																																																
	II	200	10,0																																																																																																		

მას შემდეგ, რაც გაირკვა რა ღირებულება ჰქონდა ამა თუ იმ საექსპურსიო ობიექტს თითოეული მოსწავლისათვის, ჩვენ გადავედით ექსპერიმენტის მეორე (ძირითად) ეტაპზე. ექსპერიმენტის ამ ეტაპის ამოცანას, როგორც ვიცით, შეადგენდა გამოგვერკვია იცვლებოდა თუ არა საექსპურსიო ობიექტების და, მაშასადამე, შესატყვისი ექსპურსიების წინასწარდღვენილი ღირებულება დროის ფაქტორის გავლენით. ამ მიზნით იგივე მოსწავლეებს ინდივიდუალური წესით ვთავაზობდით ექსპურსიას მათთვის სრულიად განსხვავებული ღირებულების მქონე კულტურის ორი ძეგლის, კერძოდ, თელავისა და ვარძიის, დასათვალისწინებლად იმ პირობით, რომ თელავში (შედარებით ნაკლებად ღირებულ ობიექტზე) ექსპურსია მოეწყობოდა ახლა — ამ კვირაში, ვარძიაში (უფრო მეტი ღირებულების მქონე ობიექტებზე) კი — სამი თვის შემდეგ. მოსწავლეს ევალებოდა ამ ორი საექსპურსიო ადგილიდან ამოერჩია ერთ-ერთი. იმის მიხედვით თუ რომელს აირჩევდა მოსწავლე, ჩვენ ვმსჯელობდით დროს ფაქტორის გავლენის შესახებ მის აქტივობაზე.

რატომ თელავი და ვარძია ავირჩიეთ ჩვენს ცდებში საექსპურსიო ობიექტებად? როგორც წინასწარი ცდებიდან გაირკვა ვარძიაში ექსპურსიას უკლებლივ ყველა მოსწავლე უმაღლეს შეფასებას აძლევდა. თელავი კი არცერთ მოსწავლეს არ შეუფასებია უმაღლეს ნიშანზე — 10-ზე. ამასთან, თელავის წინასწარი შეფასებები უფრო სტაბილური აღმოჩნდა. პირველ და მეორე შეფასებას შორის განსვლა აქ ყველა სხვა შემთხვევაზე ნაკლები იყო. ამიტომ, მოსწავლის გადაწყვეტილებაზე, მის ქცევაზე დროს ფაქტორის გავლენა, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო რელიეფურად უნდა გამოვლენილიყო სწორედ ამ ორი საექსპურსიო ობიექტის ერთმანეთთან დაპირისპირების მაგალითზე. ამ დაპირისპირებას უნდა გამოერკვია რამდენად ახერხებენ მოსწავლეები ორი შესაძლო ქცევიდან იმის განხორციელების გადაწყვეტას, რომელსაც მართალია, მეტი ღირებულება აქვს, მაგრამ იგი, ეს ღირებულება, მათთვის მხოლოდ საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ იქნება პრაქტიკულად მისაწვდომი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ცდები საშუალებას გვაძლევდა გვეჩხა აღნიშნულ ორ საექსპურსიო ობიექტს შორის არჩევანში რა როლს ითამაშებდა დროს ფაქტორი: უმაღლესი პიროვნული ღირებულების ექსპურსიას ხომ არ დაეცემოდა ფასი უფრო დაბალი პიროვნული ღირებულების ექსპურსიასთან შედარებით, იმის გამო, რომ პირველი მეორესთან შედარებით დროში უფრო შორს იყო გადატანილი? ერთი სიტყვით, ამ ცდებს ნათელი უნდა გაეხადა ჩვენი ც/პირების შესაძლებლობანი ისეთი სტრუქტურის მქონე ქცევის განხორციელების საქმეში, რომელიც ჩვენს მიერ კვალიფიცირებულია როგორც შორეული მოტივაციური ქცევა.

ექსპერიმენტის მეორე (ძირითადი) ეტაპის კონკრეტული მიმდინარეობა ასეთი იყო: ც/პირები თითო-თითოდ შეგვეყვავდა ცდებისთვის გამოყოფილ ოთახში. მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ცდებში, ვერ ხვდებოდნენ იმ მოსწავლეებს, რომელთაც ცდები უნდა გაეკვლიათ. ამიტომ ისინი ამ უკანასკნელებისათვის რაიმე ინფორმაციის მიწოდებას, ჩვენი ცდების ხასიათის შესახებ, ვერ ახერხებდნენ. ექსპერიმენტის ამ ეტაპზე ც/პირებს ვაძლევდით ასეთ ინსტრუქციას: „სკოლის ღირეკციამ პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებასთან ერთად გაითვალისწინა თითოეული თქვენთაგანის სურვილი და ამის მიხედვით გამოყო თქვენთვის ორი საექსპურსიო ობიექტი,

რომელთაგან ერთი ვარძია, ხოლო მეორე — თელავი. ვინაიდან ახლა ზამთარი (ცდები ტარდებოდა იანვარში) და ასეთ პირობებში არაა მიზანშეწონილი ვარძის მიმართულებით მგზავრობა, ამიტომ გადაწყვეტილია ვარძიაში ექსკურსია მოეწყოს სამი თვის შემდეგ, თელავში კი — ახლა, ამ კვირაში. შენ გვეალება აირჩიო ერთ-ერთი საექსკურსიო ობიექტი ამ ორიდან, ე. ი. ან თელავი ახლა, ამ კვირაში, ან ვარძია სამი თვის შემდეგ. ამასთანავე, გახსოვდეს, რომ ხს მოსწავლე, რომელიც აირჩევს თელავში ექსკურსიას ამ კვირაში, ვერ წავა ვარძიაში სხვებთან ერთად სამი თვის შემდეგ და პირიქით, ის ვინც სამი თვის შემდეგ ვარძიაში წასვლას ამჯობინებს, ვერ გაემგზავრება თელავის მიმართულებით ამ კვირაში. მაშასადამე, შენ უნდა აირჩიო ან ექსკურსია თელავში ახლა, ანდა ექსკურსია ვარძიაში სამი თვის შემდეგ. გახსოვდეს, რომ მხოლოდ შენი არჩევანი განსაზღვრავს ექსკურსიის მიმართულებას შენთვის“.

ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ ცდის პირის წინ ვლებდით ფურცელს, რომელზედაც მკაფიო ასოებით ეწერა:

თელავი (მეფე ერეკლეს სასახლე) — ახლა, ამ კვირაში

ვარძია (ქალაქი კლდეში) — სამი თვის შემდეგ

— და ვთხოვდით მას ამორჩეული საექსკურსიო ობიექტი აღენიშნა ჯვრით. როგორც ცხრილი № 3 გვიჩვენებს, 20 მოსწავლიდან ამჯერად მხოლოდ 12-მა აირჩია ვარძიაში ექსკურსია, 8-მ კი თელავში წასვლა ამჯობინა. ამრიგად, თუ დროის ფაქტორის მხედველობაში მიღების გარეშე 20-დან 20-ვეს ვარძიაში გამგზავრება ქონდა გადაწყვეტილი, როგორც კი საქმეში ჩაერია დრო, მოსწავლეების 40%-მა ზურგი შეაქცია ვარძიას და უფრო ნაკლები ღირებულების მქონე ობიექტი — თელავი აირჩია საექსკურსიოდ, ე. ი. ამ 8 მოსწავლის შემთხვევაში ფაქტიურად უარი ეთქვა უფრო ღირებული, მაგრამ გაცილებით შორეული ქცევის განხორციელებას და ეს მოსწავლეები მოცემულ მომენტში მოგვევლინენ არა როგორც შორეული მოტივაციური ქცევის, არამედ როგორც ახლო მოტივაციური ქცევის სუბიექტები. მათი აქტივობის განმსაზღვრელი მოტივის როლში ამჯერად გამოვიდა არა ობიექტური ღირებულება, არამედ უფრო სუბიექტური ღირებულება და ამდენად, ეს აქტივობაც იმპულსური ქცევის ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე ნებისმიერი ქცევისას.

რამ გამოიწვია ეს? რატომ ვერ წარმართა ობიექტურმა ღირებულებამ ყველა მოსწავლის ქცევა? ჩვენი აზრით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში დროის ფაქტორმა ან შეცვალა ღირებულებათა ადრე არსებული თანაფარდობა აღნიშნულ ორ საექსკურსიო ობიექტს შორის და ის ობიექტი და მაშასადამე, ის ქცევა მოაჩვენა ც/პირთა ერთ ნაწილს უფრო ღირებულად, რომელიც უფრო ადრე აკმაყოფილებდა მათ ცნობისმოყვარეობას, — ანდა დროის ფაქტორის ზეგავლენამ, ქცევის ობიექტური ღირებულებების არსებითი გადაფასების გარეშე, ხელი ააღებინა ამ ც/პირებს შორეული, თუმცა მათთვის გაცილებით ღირებული, ქცევის განხორციელებაზე და აიძულა ისინი გაყოლოდნენ არა გონების, არამედ უფრო გრძნობის კარნახს.

საგულისხმოა, რომ ჩვენს ამ ვარაუდს ერთგვარად ამართლებს ცხრილში (№ 3) მოყვანილი მონაცემებიც. ვიდრე მათზე შეგჩერდებოდით, გარკვევისა-



თვის აუცილებელია აღნიშნოთ შემდეგი: ექსპერიმენტის მეორე (ძირითადი) ეტაპი მხოლოდ საექსკურსიო ობიექტის არჩევით როლა მთავრდებოდა. მართალია, მოსწავლეთა ერთი ნაწილისათვის იგი ამით ამოიწურებოდა, მაგრამ მეორე ნაწილისთვის ექსპერიმენტი ამის შემდეგაც გრძელდებოდა. მეორე ნაწილს შეადგენდნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც საექსკურსიოდ აირჩიეს ნაკლები ღირებულების მქონე ობიექტი — თულავი. ჩვენს ცდებში ასეთი იყო სულ 8 მოსწავლე. ამ მოსწავლეებს, არჩევანის შემდეგ, ჩვენ ვთხოვდით ერთხელ კიდევ შეეფასებინათ თორმეტივე საექსკურსიო ობიექტი იმავე — 10 ბალიანი სისტემის ფარგლებში. შეფასებისას მათ მხედველობაში არ უნდა მიეღოთ სად და როდის იყო დანიშნული ექსკურსია. ე. ი. ფაქტიურად ისეთივე შეფასება უნდა მოეხდინათ როგორც ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე ახდენდნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად საექსკურსიო ობიექტები ფასდებოდა უკვე მიღებული გადაწყვეტილების (არჩევანის) შემდეგ.

როგორც ცხრილი № 3 გვიჩვენებს, აღნიშნული 8 მოსწავლიდან 1-მა დაუქლო თულავს შეფასება, 2-მა იგივე ნიშანი დაუტოვა, 5-მა კი აღრინდელთან

ცხრილი 3

კბ-თა რივი	საექსკურსიო ობიექტები							
	თულავი		ვარძია		თულავი	ვარძია	თულავი	ვარძია
	I და II შეფასების შედეგები				ექსპერიმენტის ძირითადი ეტაპის შედეგები (არჩევანი)		შეფასება არჩევანის შემდეგ	
	I	II	I	II				
1	7	8	10	10				
2	9	7	10	10	+	+	10	10
3	5	6	10	10		+		
4	4	6	10	10		+	7	10
5	8	8	10	10	+			
6	3	3	10	10		+		
7	6	5	10	10		+	7	10
8	8	6	10	10	+			
9	4	7	10	10				
10	8	8	10	10				
11	3	6	10	10				
12	8	9	10	10	+		9	10
13	6	4	10	10				
14	4	4	10	10				
15	8	6	10	10	+		7	10
16	3	5	10	10	+		8	9
17	9	8	10	10				
18	9	8	10	10				
19	8	7	10	10	+		10	10
20	7	8	10	10	+		8	10
					ჯამი			
					8	12		
					40%	60%		

შედეგებით გაცილებით მაღალი შეფასება მისცა მას. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ამ 5-დან 2-მა მოსწავლემ უმაღლესი ნიშანი — 10 ბალი დაუწერა თულავს. და ეს მაშინ, როდესაც პირველ ეტაპზე შეფასების დროს 40 შესაძლებლობიდან 10-ზე, შეფასების არცერთ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი. თა-

ნაფარდობა ამ შემთხვევაში ასეთია: პირველი შეფასების დროს 40-დან არცერთი, მეორე ეტაპზე შეფასების დროს კი 8-დან 2. ეს, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევი ფაქტია. რაც შეეხება ვარძიას, 8 მოსწავლიდან 7-მა ისეთივე მაღალი შეფასება მისცა მას როგორც პირველ ეტაპზე, მხოლოდ 1-მა დაუკლო აღრინდელ შეფასებას. 8-დან 1 თავისთავად შეიძლება არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ 40-დან არცერთი ყოფილა ასეთი, ამ 1-ს გარკვეული წონა მოემატება.

ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, საექსპურსიო ობიექტის არჩევის შემდეგ გაკეთებულმა შეფასებამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ღირებულებათა (შეფასებათა) აღრე არსებული თანაფარდობა თელავსა და ვარძიას შორის. ეს ცვლილება ძირითადად მოხდა თელავის, ე. ი. იმ ობიექტის შეფასებათა შეცვლის ხარჯზე, რომლის სასარგებლოდაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, კერძოდ, თუ არჩევამდე გაკეთებული შეფასების მიხედვით თელავმა მიიღო საშუალო 7,2 ბალი, მისი არჩევის შემდეგ ამ შეფასებამ შეადგინა 8,3 ბალი. მაშასადამე, იმ ობიექტმა, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, მიიღო უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე გადაწყვეტილებამდე ჰქონდა მას. რამდენად მნიშვნელოვანია შეფასების აღნიშნული ცვლილება? იქნებ ასეთივე განსხვავება მიიღებოდა ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე, მესამედ რომ შეეფასებინათ მოსწავლეებს ეს საექსპურსიო ობიექტები? ამ საკითხის გამოსარკვევად ვისარგებლეთ ე. წ. სტიუდენტის კრიტერიუმით (t), რომელიც ადგენს საშუალოთა შორის განსხვავების სანდოობის დონეს. ჩვენს შემთხვევაში  $t=2,7$ , რაც მნიშვნელოვანია სანდოობის  $p<0,02$  დონით.

ამრიგად, სტატისტიკური გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ თელავის შეფასების მომატება არაა შემთხვევითი მოვლენა, რომ იგი მოხდა სწორედ გადაწყვეტილების საფუძველზე. რაც შეეხება თვით გადაწყვეტილების საფუძველს, ასეთი საფუძვლის როლში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოვიდა დრო, რომლითაც დაკმაყოფილების პროცესი იყო გაშუალებული. თავისთავად გასაგებია, რომ თელავის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოსწავლეთა ქცევის წამყვანი მოტივი იყო არა ობიექტური ღირებულება, არამედ ამ ქცევის სუბიექტური ღირებულება. ეს მოსწავლეები მისწრაფოდნენ არა ისეთი აქტივობისაკენ, რომლის შედეგიც უზრუნველყოფდა ექსპურსიონალში მათი მოთხოვნილების (ცნობისმოყვარეობის) უფრო სრულად დაკმაყოფილებას, არამედ ისეთი აქტივობისაკენ, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა მათ რაც შეიძლება სწრაფად დაეკმაყოფილებინათ აღნიშნული მოთხოვნილება. მაგრამ თუკი ეს ასეა, მაშინ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ამ მოსწავლეებთან ადგილი ჰქონდა არა შორეული მოტივაციური, არამედ ახლო მოტივაციური ქცევის ფაქტს, მათი აქტივობის ძირითადი წამყვანი ძალა იყო არა ნებისყოფა, არამედ მოთხოვნილების იმპულსი და ამიტომ, ეს აქტივობაც იმპულსური ქცევის ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე ნებისმიერი ქცევისას. სწორედ იმპულსური ქცევის სუბიექტისათვის არის დამახასიათებელი მისწრაფება — რაც შეიძლება სწრაფად იქნას დაკმაყოფილებელი მოთხოვნილება, რომელიც ქცევის აღმძვრელია<sup>7</sup>.

<sup>7</sup> Ш. Н. Чхартишвили, Проблема воли в психологии, „Вопросы психологии“, 1967, № 4.

ამრიგად, ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ უფროს სასკოლო კლასებში, ღირებულებათა საკმაოდ ნათელი ცნობიერების მიუხედავად, შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების შესაძლებლობანი რამდენადმე შეზღუდულია. მოსწავლე ყოველთვის ვერ ახერხებს უფრო მეტი ობიექტური ღირებულების მქონე ქცევის განხორციელებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებიდან გამოიკვია, არის დრო, რომელიც სუბიექტს აშორებს დაკმაყოფილების პროცესს. სხვა ფაქტორებთან ერთად დროს ფაქტორიც არსებითადაა ჩართული ადამიანის ქცევის სტრუქტურაში. ამიტომ, თუ როგორი იქნება შორეული მოტივაციური ქცევის (როგორც მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი ქცევის) შესაძლებლობანი ამა თუ იმ ასაკში, ეს ბევრადაა დამოკიდებული იმ დროზეც, რომელიც მოსამზადებელი ქცევის აქტებსა და მოხმარების ქცევის აქტებს ერთმანეთს აშორებს.

Յ. ԹԱԿՆԱՆՅԱՆ, Ո. ՆՅԱՆԻՍԻ

## ՄԻՋՈՒԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԳՐԱՐԱՆՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ ԴԱՏԱՎՈՐՈՒԹՅԱՆ ԵՐԱՅԻՆ ԿՈՄԻՏԵ

Կրթության նախարարի և Կրթության մեթոդական կենտրոնի միջոցով կատարված հետազոտությունների արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

Վերջին տարիներին կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

1. Կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

2. Կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

Սակայն, արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

Մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

Սակայն, արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

Սակայն, արդյունքները ցույց են տալիս, որ միջուկային կրթության մեթոդները և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունները մեծ նշանակություն ունենում են միջուկային կրթության մեթոդների և մեթոդական կենտրոնի կողմից կատարվող հետազոտությունների համակարգի մշակման և կիրառման համար։

1 Н. Игнатов. Психофизиологические основы труда шофера, М., 1969.

2 С. В. Амбарцумян, В. В. Амбарцумян. Исследование некоторых профессиональных качеств водителя, влияющих на безопасность движения автомобиля, в сб. «Научная организация труда на автомобильном транспорте», Ереван, 1971.

საერთოდ, დალლას ყოფენ ორ კატეგორიად — ფიზიკური და ფსიქიკური დაღლა. მძღოლის მუშაობა, ფიზიკური დაძაბვის თვალსაზრისით, მსუბუქად ითვლება. მსუბუქი ავტომობილის მართვა ითხოვს 1 კ/კალ/წთ, სატვირთო კი 1-5 კ/კალ/წთ ენერჯიას. ფიზიკური დაძაბვის თვალსაზრისით, ერთადერთ სიძნელეს წარმოადგენს სტატიკური დატვირთვა სხეულის მუდმივად უცვლელი მდგომარეობის გამო, ე. წ. ჰიპო დინამიის ეფექტი<sup>3</sup>. ამავე დროს აღვილად შეიმჩნევა ფსიქიკური დაღლის მაღალი დონე ც. ნ. სისტემის დიდი დატვირთვის გამო. ეს იმიტია გაპირობებულო, რომ მძღოლი მუდმივად იმყოფება მზაობის მდგომარეობაში. მზაობა მიმართულია ცვლადი სიტუაციების შეფასებაზე და მათს გათვალისწინებაზე მართვის დროს.

დაღლის გამომწვევი მრავალი ფაქტორი არსებობს და, ვინაიდან მისი ბუნება საესეებით დადგენილი არ არის, სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ ფაქტორებს ასახელებს<sup>4</sup>. მძღოლის მუშაობისას დაღლის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებია: მართვის ხანგრძლივობა; ჰიპოდინამია; მართვა ცუდი განათების პირობებში; მოძრაობის სისწრაფე, მოძრაობის მონოტონურობა; საგზაოსატრანსპორტო სიტუაციები; სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; ხმაური, ვიბრაცია, არეკლილი სინათლე და სხვა; გონებრივი დაძაბულობა; ალკოჰოლი; სამუშაოთი უკმაყოფილება და ა. შ.

დაღლისას მძღოლი იწყებს სიგნალების დაგვიანებით შემჩნევას, საგზაო ნიშნებს ამჩნევს უფრო მოკლე მანძილზე, ვიდრე დაღლამდე; ხელსაწყოთა ჩვენებიდან გადახრას არ ასწორებს დროზე, არამედ ქაშინ, როცა ჩვენება მნიშვნელოვნად აღემატება ნორმას. მძღოლს უჭირს შეინარჩუნოს ავტომობილის საჭირო მდგომარეობა და სიჩქარე, იგი ველარ აფასებს ზოგად საგზაო სიტუაციას, არამედ რეაგირებას ახდენს ცალკეულ ელემენტებზე; ქვეითდება მისი ყურადღება, ეცემა მოქმედების კოორდინაცია.

ამერიკელთა გამოკვლევებით, დაღლასთან ერთად უარესდება რეაქციის დრო და სხვადასხვა ტესტური მაჩვენებლები, ხოლო მანძილის აღქმა არ იცვლება. პულსი და სისხლის წნევა ოდნავ გაუარესდა, სიმჟავე შარდში საერთოდ არ შეიცვალა. დაღლის პროცესი ყველა მძღოლთან არ მიმდინარეობს ერთნაირად. იგი დამოკიდებულია ასაკზე, ავტომობილის მოძრაობის ხასიათზე და განრიგზე, დასვენების ორგანიზაციაზე, კვებაზე, სქესზე და ა. შ.

ავტომობილის მართვისას დაღლის ობიექტური ნიშნების განსაზღვრა უკეთესია ე. წ. პრაქტიკული გზით. ასეთ მაჩვენებელს წარმოადგენს საგზაოსატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობის დამოკიდებულება სამუშაოს ხანგრძლივობაზე და დაღლის თანხმლებ სხვა პირობებზე. დაადგინეს, რომ 8 საათის მუშაობის შემდეგ იზრდება ავარიები და უბედური შემთხვევების რიცხვი; ამასთან, დასაწყისში — 10 საათამდე, უმნიშვნელოდ, ხოლო შემდეგ ძალზე

<sup>3</sup> Психологические исследования утомляемости водителя автомобиля в зависимости от возраста и продолжительности работы, Перевод № 1172, М., 1969.

<sup>4</sup> Э. Бена, И. Госковец, И. Штикор. Психология и физиология шофера, М., 1965;

Л. Брух. Основные пути изучения процесса труда водителей, в сб. «Научная организация труда на автомобильном транспорте», Ереван, 1971;

А. Когенман, С. Сатановский. Влияние режима работы водителя на безопасность движения, «Условия труда водителя автомобиля и безопасность движения», М., 1969.

სწრაფად. ქვემოთ მოცემული ცხრილი 1 ამ მოვლენას კარგად ახასიათებს. ავტორები აკეთებენ შენიშვნას, რომ მძღოლთა უმრავლესობა, ცხადია, 8 საათს მუშაობს<sup>5</sup>.

ცხრილი 1

სამუშაოთა ცვლის დიაბაზონი	შემთხვევათა რაოდენობა	დაზარალებულთა რიცხვი 100 შემთხვევაზე	
		გარდაცვლილი	დაშავებული
7 საათამდე	68,2	22	96
7—12 საათი	25,2	29	87
12 საათს ზევით	6,6	34	86

სსრკ შსს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობით, მძღოლებზე, რომლებიც მუშაობენ 7 საათზე მეტს, მოდის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების  $\frac{1}{3}$ . 12 საათზე მეტხანს მუშაობის შემდეგ ავარიები სიკვდილიანობით 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე 8 საათიანი მუშაობისას; თუ 7-დან 12 საათამდე მუშაობისას ჩაძინების გამო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები ორჯერ მეტია, ვიდრე 7 საათის მუშაობისას, 12 საათს ზევით ეს რიცხვი 9-ჯერ იზრდება<sup>6</sup>. დალა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ავტობუსების მძღოლებზე 12 საათიანი მუშაობის დროს. აქ უფრო ფსიქიკური დაძაბვაა, რადგან მძღოლმა მტკიცედ უნდა დაიცვას მოძრაობის გრაფიკი (გადახრა  $\pm 2$  წთ) და შეასრულოს სხვადასხვა მანიპულაცია — გაჩერებების გამოცხადება, საგზაორო ტალონების გაყიდვა და სხვა.

ავტომობილის მართვა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მიეკუთვნება ძალზე დაძაბული და დამღლელი შრომითი მოქმედების ფორმას. მძღოლის მუშაობა მიმდინარეობს მუდმივი და მნიშვნელოვანი ნერვულ-ემოციური დატვირთვის პირობებში, რაც ღრმავდება სიცოცხლისა და მატერიალურ ფასეულობათა მიმართ პასუხისმგებლობის შეგნებით. მუშაობის დროს მძღოლის დადლის ერთ-ერთი კრიტერიუმია არის სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელი ძალისხმევის გაზრდა. მისი შემოწმება ხდება ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდებით:

ფიზიოლოგიური მეთოდებიდან ცნობილია გოლშტეინის მიერ სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევა მუშაობისა და დასვენების დროს, სისხლის წნევისა და პულსაციის ცვლილებების შესწავლა; გრაფი იკვლევდა დღის განმავლობაში კანის წინააღმდეგობას ელექტრული გაზომვის გზით; იკვლევენ აგრეთვე გრძნობის ორგანოების მგრძნობელობის ცვლილებებს, ბიოპოტენცილების ცვალებადობას და ა. შ.

ფსიქოლოგიური მეთოდებით ცდილობენ დაადგინონ ც. ნ. სისტემასთან დაკავშირებული დალა, ამ მეთოდებით შეისწავლიან: იმპულს-

<sup>5</sup> Психологические исследования утомляемости водителя автомобиля в зависимости от возраста и продолжительности работы, перевод № 1172, М., 1969. Э. Бена, И. Гокоев, И. Штикар. Психология и физиология шофера, М., 1965.

А. Когенман, С. Сатановский. Влияние режима водителя на безопасность движения, «Условия труда водителя автомобиля и безопасность движения», М., 1969.

<sup>6</sup> Э. Коган. О режиме труда и отдыха водителей, «Условия труда водителя автомобиля и безопасность движения», М., 1969.



ზე რეაქციის დროის ცვლილებას, მოქმედების სიზუსტის დაცემას, ყურადღების ფუნქციის დაქვეითებას, იმპულსისადმი მგრძობიანობის შემცირებას, მუშაობის ბუნებრივი ტემპის შესუსტებას, აბათიას, აგრესიულობას, ილუზიებს, შფოთვის დონის გაზრდას და ა. შ. გამოკვლევით დადგენილია, რომ 10 საათის თუნდაც დაბალ სიჩქარეზე მუშაობის შემდეგ ეცემა შემდეგი ფუნქციები (ვაიზომა სამუშაოს დაწყებამდე და დამთავრებისას):

სენსომოტორული კოორდინაცია	13%
ყურადღება	12%
მხედველობის სიმახვილე	3%
რეაქციის სისწრაფე	15%

ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისას ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ ნორმალური დადლისას ძირითადი ცვლილებები ხდება არა ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ პარამეტრებში, არამედ ფსიქოლოგიურში. ერთერთი გამოკვლევით დადგინდა, რომ 8-10 საათის მუშაობის შემდეგ ჯანმრთელ მძღოლებს 250-300 კმ მარშრუტზე არ ეცვლებათ სისხლის წნევა და პულსაცია, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიურ ფუნქციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა<sup>7</sup>. ამას ნათლად გვიჩვენებს ცხრილი 2:

ცხრილი 2

ფუნქციების პროცენტული დაქვეითება

ავტომობილის მძღობის დრო (საათებში)		4	6	12
ფსიქოლოგიური ფუნქციები	1. რეაქციის სტაბილობა	6,3	30	47
	2. დაკვირვების სისწრაფე და დიაბაზონი	1,5	15	30
	3. მუშაობის ტემპი და მოქმედების სისწრაფე	0,8	7	12
	4. ყურადღება	1,5	15	30
	5. რეაქციის სისწრაფე	0,07	5	8
	6. კინესთეტიკური მგრძობიანობა	2	13	3

მკვლევარები შენიშნავენ, რომ 4 საათისათვის არსებული ცვლილებები უმნიშვნელო და დასაშვებია, შემდეგ კი ეს ცვლილებები ძალზე მნიშვნელოვანი ხასიათისაა. მძღოლთა დადლის საკითხის შესწავლისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ბუნებრივად დადგა მის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. არსებობს სხვადასხვა სახის რეკომენდაცია, რომელთა ძირითადი აზრი ისაა, რომ შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმები. ზემოთ ჩვენ მიერ განხილულ შრომებში მოყვანილია სხვადასხვა ქვეყანაში შემუშავებული რეკომენდაციები.

აშშ-ის ზოგიერთი სატრანსპორტო ფირმა იძლევა რეკომენდაციას, რომ 3 საათის უწყვეტი მუშაობის შემდეგ გაკეთდეს 15-წუთიანი შესვენება, მომდევნო 3 საათის შემდეგ — შესვენება არა ნაკლებ 30 წუთისა. თუ სამუშაო ცვლა განსაზღვრულია 4, 5 ან 6 საათით, ყოველი საათის შემდეგ უნდა ხდებოდეს 5-10 და 15-წუთიანი შესვენება. სამუშაო ცვლებს შორის აუცილებელია 10 საათიანი დასვენება. შვეიცარიაში პროფესიონალი მძღოლისათვის რეკომენდებულია შემდეგი რეჟიმი: 3 საათის უწყვეტი მუშაობისას შესვენება სა-

<sup>7</sup> Психологические исследования утомляемости водителя автомобиля в зависимости возраста и продолжительности работы, перевод № 1172, М., 1969.

ვალდებულო არაა, 3 საათიდან 5 საათამდე მუშაობისას 5 წუთიანი შესვენება ყოველი საათის შემდეგ, ხოლო 2 და 4 საათის შემდეგ უფრო ხანგრძლივი შესვენება მსუბუქი საკვების მიღებით, 5 საათზე მეტი მუშაობისას აუცილებელია ყოველი საათის შემდეგ 5-წუთიანი შესვენება, ყოველი 2 საათის შემდეგ 10-15-წუთიანი, ხოლო 4 საათის შემდეგ შესვენება 30 წთ მაინც. მძღოლს სამუშაო კვირის განმავლობაში უნდა ჰქონდეს თავისუფალი დრო არანაკლებ 32 საათისა. თუ მძღოლი მარტოა, შეიძლება იმდეროს ანდა რადიომიმდები მომართოს რაიმე ცოცხალ, მხიარულ მუსიკაზე. მუსიკის ხასიათი ძალზე მნიშვნელოვანია. წყნარ, სერიოზულ მუსიკას შეუძლია გამოიწვიოს მონოტონურობა. გამოფხიზლებისათვის მძღოლმა შეიძლება გამოიყენოს ორბირი ქარი ან დაბანვა ცივი წყლით. მკვლევრები მიუთითებენ აგრეთვე ფიზიკური ვარჯიშების დადებითს როლზე, სამუშაო პოზის შეცვლაზე, გამხმარი ხილის ღეჭვაზე და ა. შ. აშშ, გფრ, კანადა და ზოგიერთი სხვა ქვეყანა დაღ მნიშვნელობას ანიჭებს შრომისა და დასვენების დადგენილი რეჟიმების დაცვას (განსაკუთრებით შორეულ რეისებზე). კონტროლისათვის ზშირად იყენებენ ხელსაწყოს — ტახოგრაფს, რომელიც საშუალებას იძლევა აღრიცხულ იქნას მოძრაობისა და გაჩერებათა ხანგრძლივობა, მოძრაობის სისწრაფე და ა. შ. საფრანგეთში საქალაქთაშორისო ავტობუსების მძღოლისათვის შემოღებულია სპეციალური საგზაო ბარათი, რომელზედაც გარკვეული სიმბოლოებით აღნიშნულია სვლის დაწყებისა და დამთავრების, დასვენების, ძილის, საკვების მიღების — წინასწარ დაგეგმილი დრო. რეჟიმის შესრულებას ამოწმებს სატრანსპორტო პოლიცია.

ზემოთ განხილული საკითხები ნათელს ჰფენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მძღოლის დაღილობის შესწავლა და მასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებების შემუშავება. ჩვენს რესპუბლიკაში, ამ თვალსაზრისით, მუშაობა აქამდე არ ჩატარებულა. სანამ ექსპერიმენტულად შევისწავლიდით, თუ როგორ იცვლება მძღოლის სხვადასხვა ფსიქოფიზიოლოგიური პარამეტრი სამუშაო ცვლის განმავლობაში, ჩვენ გავანალიზებთ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკური მასალა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკისათვისა და მახასიათებელი.

1971-72 წლებში მძღოლების მიზეზით მოხდა 3350 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, მათ შორის 2 საათამდე მუშაობისას — 457 (13,6%), 4 საათამდე — 459 (13,7%), 8 საათამდე — 1170 (35%), 12 საათამდე 700 (21%) და 12 საათზე მეტხანს მუშაობისას 564 (16,8%).

არსებული მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, თუ რამდენი ავტომობილი მოძრაობდა დროის თვითეულ მონაკვეთში, მაგრამ საზოგადოდ ცნობილია, რომ პირველი 8 საათის განმავლობაში მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე შემდეგ. მიუხედავად ავტომანქანების სიჭარბისა, პირველ 4 საათში მოხდა შედარებით ნაკლები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (27,3%), ვიდრე 12 საათისათვის და 12 საათს ზევით (37,8%). ის ფაქტიც ნიშანდობლივია, რომ 4 საათიდან 8 საათამდე პერიოდში მკვეთრად გაიზარდა ავარიულ შემთხვევათა რაოდენობა. ამ მონაკვეთში ავტომანქანების რაოდენობაც ბევრია და უკვე მძღოლთა დაღაც იჩენს თავს.

დაღლასთან გარკვეული მიმართება აქვს იმ სტატისტიკასაც, რომელშიც აღნიშნულია ავარიათა რაოდენობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ავარიათა უდიდესი ნაწილი (40,9%) მოდის 16-22 საათებზე, მათ შორის: 16-18 საათებ-

ში — 13,4%, 18-20 საათებში — 14,4% და 20-22 საათებში — 14,1%; ეს პერიოდი, მართალია, „პიკის“ საათებსაც ემთხვევა, მაგრამ თუ ამ მონაცემებს შევადარებთ დღის „პიკის“ საათებს (8-10 სთ. პერიოდს), სადაც ავარიულ შემთხვევათა რაოდენობა 7,6%-ია, განსხვავება ნათელი იქნება. დაღლილობის ფაქტორი ნათლად ჩანს კიდევ ერთ შედარებაში: 22-24 საათებში, როცა მოძრაობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, მოხდა 1576 შემთხვევა (8,5%), ხოლო 8-10 საათის პერიოდში — 1403 (7,6%).

როგორც ზემოთ განხილული ნაშრომებიდან ჩანს, გამოკვლევის დროს ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმის შესწავლაზე, თუ როგორ იცვლება მძღოლის ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციები სამუშაო დღის ბოლოს მუშაობის საწყის პერიოდთან შედარებით. შედეგები ყველგან ერთნაირი ხასიათისაა: დაღლის გამო სამუშაო დღის ბოლოს აღინიშნება ფუნქციების მნიშვნელოვანი დაქვეითება.

აქვეს კი მართლაც ასეთი სწორხაზო ბრძოლა ხასიათი დაღლის მატებას სამუშაო დღის განმავლობაში? ემპირიული დაკვირვება და სტატისტიკური მონაცემები ხშირად ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ. ამ მხრივ სინტერესოა, აგრევე, ვ. პუშკინის გამოკვლევებში\* რომლებიც, თუმცა მოწოდებულია ექსტრენული მოქმედებისათვის პიროვნების მზაობის შესასწავლად, მაგრამ ამ მეთოდით დაღლის გამოკვლევაც შეიძლება. ექსპერიმენტში, რომელიც სამ საათს გრძელდება, ჩანს, რომ მზაობის ცვლილება არ ატარებს სწორხაზობრივ ხასიათს და არ არის აუცილებელი მისი გაუარესება ცდის ბოლოსათვის. ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სამუშაო ცვლის მხოლოდ საწყისი და ბოლო შედეგების შედარება არ მოგვეცემს ნათელ სურათს იმის გასაგებად, თუ რა ხასიათი აქვს ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციების ცვლილებას მუშაობის პერიოდში. ამიტომ გადაწყვიტედ ამ ფუნქციების შესწავლა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში, რისთვისაც გამოვიყენეთ ჩვენ მიერ სპეციალურად შემუშავებული მეთოდიკა საჭირო აპარატურის და ტესტების გამოყენებით.

**კვლევის მეთოდი.** ცნობილია, რომ ფსიქოფიზიოლოგიური პარამეტრებიდან მძღოლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეაქციას, ყურადღებას, მხედველობის ადაპტაციას დამაბრმავებელი სინათლის შემოქმედების შემდეგ და ა. შ. თავდაპირველად ჩვენ სწორედ ამ ფუნქციების შესწავლა განვიზრახეთ.

შესწავლილია მძღოლის რეაქციის დრო — როგორც მარტივი, ისე რთული; კერძოდ, რეაქციის სისწრაფე, სტაბილობა და განწყობის ფაქტორის მოქმედება რეაქციაზე — ე. წ. გადანაცვლება. ექსპერიმენტი ტარდებოდა რეაქციის დროის საკვლევი სპეციალური აპარატით — HP-1. დრო აღირიცხებოდა ელექტრული წამმზომის საშუალებით. რეაქციის სისწრაფის მაჩვენებელია დაუყოვნებელი პასუხი გამიზიანებელზე. სტაბილობის კვლევისას მნიშვნელობა ენიჭება შედეგების გაფანტულობას, ე. ი. გადახრებს საშუალო მაჩვენებლიდან: თუ გადახრა აღემატება  $1/8-1/12$  ნაწილს, მაშინ შედეგი არასტაბილურად

\* В. П у ш к и н. Готовность к экстренному действию (бдительность) как разновидность рабочей установки, «Вопросы профессиональной пригодности оперативного персонала энергосистем», М., 1966. В. П у ш к и н, Л. Н е р с е с я н. Железнодорожная психология - М., 1972.

ითვლება.<sup>9</sup> განწყობის ფაქტორის კვლევისას ცდისპირს ზედიზედ 10—15-ჯერ ეძლევა ერთი და იგივე გამლიზიანებელი, ხოლო შემდეგ ეუცვლით მას სხვა გამლიზიანებლით (ჩვენს შემთხვევაში ერთი ციფრი იცვლება მეორით).

გამოკვლევულია მძლოლის ყურადღება, კერძოდ მისი კონცენტრაციის, გადანაცვლებისა და განაწილების ფაქტორები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღების საკვლევი ტესტები გამოიყენება ცდისპირთა ერთჯერადი შემოწმებისათვის და, რადგან ჩვენი კვლევის ამოცანა მძლოლთა რამდენიმეჯერ შემოწმებას ითვალისწინებდა, ამიტომ ერთგვარად გავზარდეთ მათი გამოყენების არე და საჭიროების გამო შევქმენით, სპეციალური ტესტიც კი რომელიც წარმოადგენს გარკვეული სიხშირით დალაგებული საგზაო ნიშნების ერთობლიობას. მძლოლთა ყურადღების კონცენტრაცია შესწავლილია ჩვენს მიერ შედგენილი ტექსტით, სადაც ცდისპირს ევალება რაც შეიძლება სწრაფად გადახაზოს ორი საგზაო ნიშანი. მუშაობის სისწორე გამოითვლება ფორმულით —  $Q = \frac{C-O}{C+V}$ , სადაც Q არის სისწორის კოეფიციენტი, C —

ამოსაშლელი ნიშნების რაოდენობა, O — შეცდომების რაოდენობა, V — გამოტოვებული ნიშნების რაოდენობა. აქვე გამოითვლება მუშაობის ნაყოფიერება ფორმულით:  $E = A \cdot Q$ , სადაც E ნაყოფიერების კოეფიციენტი, A — გადათვალისწინებული ნიშნების რაოდენობა.

ყურადღების გადანაცვლების შესწავლისათვის ვიყენებდით ბურღონის ტესტის ქართულ და რუსულ ვარიანტებს, რომლებიც გარკვეული სიხშირით დალაგებული ასოებისაგან შედგება. ცდისპირს ევალება პირველ ორ მწკრივში გადახაზოს ორი ასო (მაგალითად, ბ და ც), შემდეგ ორ მწკრივში კი — სხვა ორი ასო (მაგალითად, გ და შ) და მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში ასეთნაირად ხდება გადანაცვლება. ყურადღების გადანაცვლების ხარისხი გამოითვლება ფორმულით  $C = 100\% \cdot \frac{A}{B}$ , სადაც C არის გადანაცვლების შეცდომა პროცენტობით. A — არასწორად დამუშავებული სტრიქონების რაოდენობა, B — დამუშავებულ სტრიქონთა საერთო რაოდენობა.

ყურადღების განაწილების შესასწავლად გამოვიყენეთ შტერცინგერის ტესტი და მეტრონომი. შტერცინგერის ტესტი წარმოადგენს გარკვეული სიხშირით დალაგებული ერთნიშნა რიცხვების წყვილებს. ცდისპირმა ერთმანეთს უნდა მიუმატოს და ქვეშ მიუწეროს ამ წყვილების ჯამი და, ამავდროს, თვალს მეტრონომის დარტყმები. ყურადღების განაწილების კოეფი-

ციენტი გამოითვლება ფორმულით  $n = \frac{S-m}{m+1} \cdot \frac{k}{|k-k_1|+1}$ , სადაც S აღნი-

შნავს შეკრებილი წყვილების საერთო რაოდენობას, m — შეცდომების რაოდენობას, K — მეტრონომის დარტყმების რაოდენობას, K<sub>1</sub> — ცდისპირის მიერ დათვლილი დარტყმების რაოდენობას.

მძლოლის ყურადღების თვითიული ფაქტორის შესწავლისათვის განკუთვნილი იყო 1,5 წთ და იზომებოდა დღის განმავლობაში რამდენჯერმე, აღნიშნული ფაქტორების გარდა ჩვენ შევისწავლეთ მძლოლის მხედველობის ადაპტაცია სპეციალური ხელსაწყოთა — ადაპტომეტრის საშუალებით. შესწავ-

<sup>9</sup> Время реакции и годность к вождению, перевод № 1053, М., 1967.

ლილია, აგრეთვე, ცვლილებები პულსაციაში და ძალისხმევაში. ძალა იზომებოდა DC—200 დინამომეტრის საშუალებით.

ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ ქ. თბილისის მუდმივი მარშრუტის ავტობუსებისა და ტაქსების I და II კლასის 20-60 წლის ასაკის მძღოლები, მათი შემოწმება ხდებოდა 7 საათიდან 23 საათამდე ყოველ 1,5-2 საათში ერთხელ. ექსპერიმენტში სულ მონაწილეობა მიიღო 100-მდე მძღოლმა.

**ექსპერიმენტის შედეგები და მათი ანალიზი.** დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტში მიღებული შედეგები დალაგებული იქნა დროითი ინტერვალების, სამუშაო დღისა და სამუშაო ცვლის სხვადასხვა მონაკვეთების მიხედვით; მიღებული შედეგები დაკონკრეტებული იქნა მძღოლთა ასაკის, კლასისა და იმის მიხედვით, — არის იგი ავტობუსის თუ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი. ექსპერიმენტის ზოგადი შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში. აქ ნაჩვენებია ის ძირითადი ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ჩვენ მიერ შემოწმებულ მძღოლებს მათი ასაკის, კლასისა და იმის მიუხედავად, — არიან ისინი ავტობუსის თუ სამარშრუტო ტაქსის მძღოლები.

ცხრილი 3

დროითი ინტერვალები	მარტივი რეაქციის დრო (წმ)	რთული რეაქციის დრო (წმ)	გადანაცვლების დრო (წმ)	Q	E	n	C(%)	პულსი ა	პულსი ბ	ძალა (კგ)
7—9	0,37	1,01	1,07	0,58	139	57	40	82	76	189
9—11	0,40	1,13	1,40	0,72	146,5	33	42	84	87	182
11—13	0,24	1,11	1,08	0,79	195	45	51	92	85	167
13—15	0,25	1,09	1,26	0,55	138,4	41	63	87	100	184
15—17	0,28	1,13	1,14	0,72	211,2	61	58	89	92	161
17—19	0,29	1,18	1,40	0,67	130,6	37	62	90	97	156
19—21	0,25	1,14	1,12	0,73	199,1	89	32	87	95	151
21—23	0,26	1,19	1,13	0,73	102	39	80	88	84	144
საშუალო დღის I ნახევარი	0,29	1,12	1,17	0,69	165,6	45	54	87	90	166
დღის II ნახევარი	0,30	1,03	1,19	0,88	161	43	51	85	88	182
სამუშაო ცვლის I ნახევარი	0,27	1,15	1,16	0,71	174	49	59	88	92	158
სამუშაო ცვლის II ნახევარი	0,32	1,11	1,22	0,69	163	45	52	86	88	172
საშუალო	0,25	1,13	1,13	0,69	168,6	46	56	88	92	160

ცხრილიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ფსიქოფიზიოლოგიური პარამეტრის ცვლილებას არა აქვს სწორხაზობრივი ხასიათი, არამედ იგი უფრო მრუდ-ხაზობრივი ბუნებისაა. ეს ვითარება ადასტურებს ჩვენი ჰიპოთეზის სისწორეს, რომლის თანახმად, არ უნდა ხდებოდეს ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციების თანაბარი დაქვეითება სამუშაო დღის განმავლობაში ისე, რომ დღის ბოლოს გვქონდეს ყველაზე ცუდი შედეგები. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ცვლილებები უფრო დიდი და მნიშვნელოვანია სამუშაო ცვლის სხვადასხვა დროით ინტერვალში, ვიდრე საწყის და ბოლო მომენტებს შორის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, სამუშაო დღის ბოლოს უკეთესი შედეგებიც კი გვაქვს. ასე, მაგალითად, სამუშაო ცვლის I ნახევარში მარტივი რეაქციის დრო უდრის 0,32 წმ. II ნახევარში კი იგი 0,25 წამის ტოლია. სხვაობა აქ მნიშვნელოვანია — 22%; სხვა მონაცემების მიხედვით, სხვაობა უმნიშვნელოა. ასევე უმნიშვნელოა განსხვავება ფსიქოფიზიოლოგიურ

ფუნქციებში ცვლილებების მიხედვით დღის I ნახევარსა (7-15 საათის პერიოდში) და დღის II ნახევარს (15-23 სთ) შორის.

როცა ექსპერიმენტის შედეგებს ვადარებთ უკვე ცნობილ მონაცემებს, რომლებიც მიღებულია ჩვენში თუ საზღვარგარეთ, ნათლად ვხედავთ მნიშვნელოვან განსხვავებას. ეს განსხვავება გამოწვეულია ექსპერიმენტის ხასიათით, რომ იგა ტარდებოდა მძღოლების მუშაობის პერიოდში, და ცდისპირთა ფსიქოფიზიოლოგიური თუ ფიზიკური მდგომარეობით.

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ მარტივი რეაქციის დრო საშუალოდ უდრის 0,20 წმ. ჩვენი ექსპერიმენტის მიხედვით საშუალო მონაცემი 0,29 წამია. განსხვავება ამ შემთხვევაში 31% აღწევს. ამაზე არ ვგინდა ძირითადი აქცენტის გაკეთება, რადგან მარტივი რეაქციის დრო არ წარმოადგენს მძღოლისათვის ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია რთული რეაქციის დრო. ეს დრო სხვადასხვა გამოკვლევის მიხედვით განსხვავებულია. საბჭოთა მკვლევარების მიხედვით<sup>10</sup>, რთული რეაქციის დრო 0,86=087 წამის ტოლია. იტალიელები<sup>11</sup> აღნიშნავენ, რომ ეს დრო 0,6-0,8 წამის ტოლია დაძაბული ყურადღების შემთხვევაში, 0,7-0,9 წამს უტოლდება ნორმალური ყურადღების დროს, 1 წამს — შესუსტებულ ყურადღებაზე. ჩვენს ექსპერიმენტში რთული რეაქციის დრო 1,12 წამის ტოლი აღმოჩნდა. განსხვავება ყველა შედეგისაგან აშკარაა.

მე-3 ცხრილში მოცემულია გადანაცვლების დროის შედეგები, რაც აღნიშნავს ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადართვისათვის საჭირო დროს. ეს ფენომენი განწყობისეულ ხასიათს ატარებს და ჩვენთან პირველად იქნა გამოკვლეული. ამ ფენომენის არსებობაზე მიუთითებს ჯემელი<sup>12</sup>, მაგრამ მას გამოკვლევაში არ მოაქვს არც კვლევის მეთოდი, არც რიცხვობრივი მონაცემები. ამის გამო, ცხადია, არა გვაქვს საშუალება, ჩვენი მონაცემები შევადაროთ სხვა გამოკვლევის შედეგებს. აღნიშნული ფენომენი განწყობისეულია როცა ვამბობთ, შეხედველობაში გვაქვს მისი სრული მსგავსება განწყობის კლასიკურ ექსპერიმენტებთან, რომლებიც საყოველთაოდაა ცნობილი „უზნაძის ეფექტის“ სახელწოდებით. განწყობის ექსპერიმენტებში ხდება რაიმე მდგომარეობის ფიქსირება და შემდეგ განსხვავებული მდგომარეობის წინაშე ცდისპირის დაყენება. ხშირად ასეთ ექსპერიმენტებში იმის გამოკვლევა ხდება, თუ რამდენად სწრაფად მოახდენს ცდისპირი დაფიქსირებული მდგომარეობიდან თავის დაღწევას და ახალ სიტუაციაზე გადანაცვლებას. ჩვენს შემთხვევაში ცდისპირს ჯერ ვუტარებთ ცდას მარტივ რეაქციაზე — 10—15-ჯერ ვაძლევთ ერთსადანიმევე გამღიზიანებელს, ხოლო შემდეგ ვეუბნებით ზუთ ციფრს და ვაფრთხილებთ, რომ ესეა ეკრანზე გამოჩნდება ერთი მათგანი, რაზედაც მას მოუწევს რეაგირება; აქ იზომება ერთგვარი მზაობა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისათვის, — წინა მდგომარეობით შექმნილი განწყობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ცდისპირს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება მისი დაძლიერებისათვის. მართლაც, თუ მარტივი რეაქციის დრო საშუალოდ 0,29 წამს უდრის, გადანაცვლების დრო — 1,17 წამია. საინტერესოა ამ მონაცემის შედარება რთული რეაქციის დროსთან, რომლის გამოსაკვლევე ექსპერიმენტშიც

<sup>10</sup> В. Дымерский, И. Ильясов, Г. Кликовштейн, Р. Мушегян. Психофизиология труда и подготовка водителей автомобилей, М., 1969.

<sup>11</sup> Время реакции и годность к вождению, НИИАТ, перевод № 1053, М., 1967.

<sup>12</sup> იქვე.



ასევე ხუთი ციფრიდან ერთ-ერთზე უხდება ცდისპირს რეაგირება. თითქოს სიტუაცია ერთნაირია, მაგრამ გადანაცვლების დრო მეტია (არჩევის რეაქციის დრო 1,12 წმ უდრის). ეს განსხვავება ალბათ მეტი იქნებოდა, რომ შესაძლებლობა გვექონოდა, შეგვექმნა განწყობისეული ექსპერიმენტის სრული იმიტაცია, — რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა მოულოდნელი უნდა იყოს; ჩვენ კი წინასწარ ვუსახელებთ ცდისპირს ხუთ ციფრს, რომლიდანაც მოხდება არჩევა. ეს ექსპერიმენტი ერთგვარად საცდელ ხასიათს ატარებდა, მისი დეტალური შესწავლა და მძოლის ფსიქოლოგიის სფეროში გამოყენება კი მომავლის საქმეა.

როგორც ვნახეთ, რთული რეაქციის დროის ჩვენ მიერ მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა მკვლევართა შედეგებს. იტალიელები, როგორც აღნიშნული იყო, რეაქციის დროის გაზრდას ყურადღების შესუსტებას უკავშირებენ. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ჩვენს შედეგებს, რომლებიც მძოლის ყურადღების ფაქტორს ეხება, მაშინ ასე უცნაურად აღარ მოგვეჩვენება რეაქციის დროის სიდიდე. მე-3 ცხრილში მოცემული ყურადღების Q, E, II და C მაჩვენებლები მიუთითებენ მძოლთა ყურადღების დაბალ დონეზე. მაგალითად: C-ის პროცენტული სიდიდე 54-ს უდრის, ე. ი. შეცდომების რაოდენობა ნახევარზე მეტია. ცხადია, ყურადღების ასეთი დონის შემთხვევაში რეაქციის დროის ნორმალური სიდიდის მიღებაზე ლაპარაკი ძნელია. არც სხვა მონაცემების მიხედვით თავსდება მძოლთა ფსიქოფიზიოლოგიური პარამეტრები ნორმის ფარგლებში და გადახრა ყველგან ფუნქციათა გაუარესების მიმართულებითაა. მე-3 ცხრილში მოცემული პულსი ა და ბ ერთგვარ განმარტებას მოითხოვს. პულსი ა გამოხატავს მონაცემს, რომელიც გაზომილია მაშინვე, როგორც კი მძოლმა გააჩერა ავტომობილი (ე. ი. სანამ დაისვენებდა). მეორე მონაცემი (პულსი ბ) აღებულია მას შემდეგ, რაც მძოლმა დაისვენა რამდენიმე წუთი. მიჩნეულია, რომ ადამიანთა მაჩისცემა საშუალოდ უდრის 72 დარტყმას წუთში; იგი ადამიანის მოქმედების დროს იწვევს მაღლა, ხოლო 0,5-1 წუთის შესვენების შემდეგ უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას. გამოკვლევამ აჩვენა, რომ, ჯერ ერთი, როგორც დროითი ინტერვალების, ისე სხვა მონაცემების მიხედვით, მძოლებთან პულსაცია მაღალია, ვიდრე საზოგადოდაა მიღებული. უფრო საინტერესოა მეორე მონაცემი, რომ პულსი ა და ბ ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება (პულსი ა ოდნავ მეტიც კია); ეს ნიშნავს, რომ მძოლები იმყოფებიან მუდმივი ავზნებულობის მდგომარეობაში და რამდენიმე წუთიანი დასვენება მათზე ვერავითარ დადებითს ზემოქმედებას ვერ ახდენს, დაღლის მდგომარეობიდან გამოსვლის თვალსაზრისით.

მძოლის ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციების მდგომარეობის დასახასიათებლად ძალზე მნიშვნელოვანია რეაქციის დროის სტაბილობისა და მხედველობის ადაპტაციის მონაცემები. ჩვენს ექსპერიმენტში აღრიცხული რეაქციებიდან ნახევარზე მეტი არასტაბილურია და ზოგადი შედეგი მნიშვნელოვნად სცილდება სტაბილობის საზღვრებს — გადახრა საშუალო შედეგიდან უდრის 0,2 წამს. ის შედეგები, რომლებიც სტაბილობის ფარგლებში თავსდება ასევე საკმარის მაღალია და სტაბილობა-არასტაბილობის ზღარზეა. რაც შეეხება მხედველობის ადაპტაციას, დამაბრმავებელი სინათლის ზემოქმედების შემდეგ, აქ დადგინდა მეტად საინტერესო შედეგი, რომელიც პირველ რიგში მძოლთა ასაკობრივ განსხვავებას უკავშირდება. აღმოჩნდა, რომ ადაპტაციის

დრო საშუალოდ 16 წმ უდრის, მაგრამ მძლოლთა ასაკის მატებასთან ერთად იგი იცვლება. დასაწყისში ეს ცვლილება არ არის მნიშვნელოვანი, 50 წლის ასაკისათვის კი კრიტიკულ ზღვარს აღწევს — ადაპტაციისათვის საჭირო დრო 40-50 წამს უტოლდება. ამ ასაკის ცდისპირებში ისეთებიც იყვნენ, რომლებიც დამაბრმავებელი სინათლის ზემოქმედების შემდეგ ველარ ახერხებდნენ ადაპტომეტრის ტაბლოზე მოცემული ციფრების სწორად აღქმას. შემოწმებულ მძლოლებს შორის ასეთი შედეგები აღმოაჩნდა 49 წლის ასაკის ორ მძლოლს და 50-60 წლების ასაკობრივ ჯგუფში უმრავლესობას.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ იცვლება მძლოლთა ფსიქოფიზიოლოგიური ფუნქციები სამუშაო სმენის განმავლობაში. როგორც ცხრილი 3 გვიჩვენებს, სამუშაო სმენის საწყის და ბოლო შედეგებს შორის სხვაობა ძირითადად უმნიშვნელოა. უფრო საყურადღებოა სხვაობა სხვადასხვა დროითს ინტერვალებს შორის. მაგალითად: რეაქციის გადანაცვლების დრო 7-9 საათის პერიოდისათვის 1,07 წამია, ხოლო 9-11 საათისათვის — 1,40 წმ; ეს სხვაობა მნიშვნელოვანია: მეორე შედეგი 24%-ით უარესია პირველზე, 11-13 საათისათვის ეს დრო ისევ მკვეთრად მცირდება და 7-9 საათის დონეს აღწევს; ასეთივე ხასიათის ცვლილებებს აქვს ადგილი სხვა დროითს ინტერვალებშიც. იგივე სურათია, მაგალითად, ყურადღების E კოეფიციენტის შემთხვევაშიც: 9-11 საათის მონაცემსა და 11-13 საათის შედეგს შორის სხვაობა 26% აღწევს. შემდეგ დროითს ინტერვალებს შორის სხვაობა უფრო ნათელია და, ამდენად, უფრო მნიშვნელოვანია. დროითს ინტერვალებს შორის არსებული მკვეთრი ცვალებადობა მიუთითებს მძლოლთა შრომის ნაყოფიერების უთანაბრობაზე, რაც გამოწვეულია მათი გადაღლით და სხვა მავნე ფაქტორების ზეგავლენით.

ზემოთ განხილული ყველა მონაცემის მიხედვით თუ ეიმსჯელებთ მძლოლთა ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის შესახებ, დაბეჭითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდგომარეობა საგანგაშოა და მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩარევას. მძლოლთა უმრავლესობის მდგომარეობა ჯერ კიდევ მუშაობის დაწყების წინ კრიტიკულია და მეტ-ნაკლები ცვალებადობით ასეთნაირივე რჩება მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მძლოლთა ნერვულ-ფსიქიკურ გამოფიტვასთან, ქრონიკულ გადაღლასთან, რასაც გამოკითხვის დროს თვით მძლოლებიც აღნიშნავენ. ეს მდგომარეობა შეიძლება, გამოწვეული იყოს ზედმეტი დაძაბული მუშაობით, ალკოჰოლის ხშირი მიღებით; შრომის და დასვენების, ასევე კვების არასწორი რეჟიმით და ა. შ. თუ დავაკვირდებით მძლოლთა შრომითს საქმიანობას, ვნახავთ, რომ ყოველი ეს ფენომენი მათი ცხოვრების ხშირი თანამგზავრია. ასე, მაგალითად, ისინი ხშირად იღებენ ალკოჰოლურ სასმელს სამუშაო სმენის დამთავრების შემდეგ და, ბუნებრივია, მეორე დღეს მათგან არ უნდა ველოდეთ ნორმალურ ფუნქციონირებას.

შედეგები, — რომლებშიც გამოხატულია მძლოლთა განსხვავება ასაკის, კლასის და ტრანსპორტის სახეობის მიხედვით, — მეტად საგულისხმოა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს შედეგი ზოგადად ეთანხმება იმ სურათს, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი ძირითადი მონაცემების განხილვის დროს. ყველა შედეგი საშუალო დონიდან გადახრილია გაუარესების მიმართულებით. უკვე გაკეთებული ანალიზი ამ შემთხვევისთვისაც სავსებით მისაღებია, მაგრამ ზოგი მონაცემის გამოყოფა მაინც საინტერესოა. ყველა მონაცემის მი-

ხედვით თუ ვიმსჯელებთ, შედარებით უკეთესი მაჩვენებლები აქვთ 30-40 წლის ასაკის I კლასის და სამარშრუტო ტაქსის მძღოლებს. ყველაზე ცუდი შედეგები აქვთ 50-60 წლის ასაკობრივი ჯგუფის მძღოლებს. მძღოლთა შედეგებთან შედარების მიზნით, ჩავატარეთ საკონტროლო ექსპერიმენტი იმავე ფაქტორების გამოსავლენად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ცდისპირთა უმრავლესობას ყავს საკუთარი ავტომობილი და მუდმივად უხდება მისი მართვა. ამ ორი ექსპერიმენტის შედეგების შედარებამ ნათლად აჩვენა, რომ პროფესიონალ მძღოლებს ბევრად უარესი მონაცემები აქვთ ყველა მაჩვენებლის მიხედვით (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

ცდისპირები	მარტვი რეჟიმის დრო (წმ)	ჩრდილო რეჟიმის დრო (წმ)	გაღონა/ცვლილის დრო (წმ)	Q	E	n	C(%)	ბუკსი	ძალა (ძმ)	აღბატცია (წმ)
მძღოლები	0,29	1,12	1,17	0,69	165,6	45	54	90	166	16
სხვა პირობი	0,21	0,91	0,93	0,81	221	630	38	81	180	8
განსხვავება ნატურალურ სიდიდებში	0,08	0,21	0,24	0,12	55,4	585	16	9	14	8
განსხვავება %ობით	28	19	21	15	25	93	30	10	8	50

ცხრილში გამოხატული სხვაობა აშკარაა და ეს შედარება გვიჩვენებს, რომ მძღოლთა დაბალი ტესტური მონაცემები მათი ცუდი ფიზიკური, მორალური და ფსიქოფიზიოლოგიური დონის მაჩვენებელია, რაც დაუყოვნებელ გამოსწორებას მოითხოვს. მძღოლთა გადაღლა გამოწვეულია სამუშაოს არასწორი ორგანიზაციით, შრომისა და დასვენების, აგრეთვე კვების რაციონალური რეჟიმების უქონლობით, პირადი ცხოვრებისათვის განკუთვნილი თავისუფალი დროის ურეჟიმო ფლანგვით, ალკოჰოლური სასმელების ხშირი მიღებით და სხვა ფაქტორებით. ყოველივე ეს იწვევს მძღოლთა ქრონიკულ დაღლას და მათ პოტენციურ მეავარიედ აქცევს. აღნიშნული არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების გატარება:

1. აუცილებელია განხორციელდეს მძღოლთა დეტალური სამედიცინო და ფსიქოფიზიოლოგიური შემოწმება და შედეგება შეტანილი უნდა იქნას სპეციალურ ანკეტაში, რომელშიც მოცემული იქნება პასუხები ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორის მდგომარეობის შესახებ, — ასეთი ანკეტა უნდა იყოს თვითეულ მძღოლზე;

2. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს მძღოლების მიერ ალკოჰოლის მიღებაზე არა მხოლოდ სამუშაო საათებში, არამედ არასამუშაო პერიოდშიც;

3. უნდა მოეწყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ბანაკები მძღოლთათვის ქალაქში თუ ქალაქგარეთ, რათა მათ მოახერხონ თავისუფალი დროის სასარგებლო გამოყენება, — ასეთი ბანაკები განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს უქმე დღეებში; მსგავსი ბანაკების მოწყობის პრაქტიკა კარგა ხანია არსებობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ და ხშირად აღინიშნება ხოლმე მათი დადებითი როლი მშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში;

4. აუცილებელია მძღოლთა შრომის, დასვენებისა და კვების რეჟიმის ძირეული შეცვლა. მძღოლმა სამუშაო დღის განმავლობაში უნდა შეისვენოს არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე 5-10 წუთის ოდენობით; ასეთი შესვენებები მიზანშეწონილია მოეწყოს საშუალოდ ყოველი 1,5 საათის გამოშვებით. შესვენებების დროს სასურველია გამამხნეველები ვარჯიშის შესრულება ჰიპოდინამიის ეფექტის მოსახსნელად და მსუბუქი საკვების მიღება; შედარებით ხანგრძლივი შესვენება (25-30 წთ) მძღოლს მიეცემა სადილისათვის მუშაობის დაწყებიდან დაახლოებით 4 საათის შემდეგ;

5. ამგვარი რეჟიმის შემოღება მოითხოვს სადისპეტჩრობთან დასასვენებელი კუთხეებისა და სასადილოების მოწყობას.

ასეთი საშუალებებით შეიძლება ვებრძოლოთ მძღოლთა ქრონიკულ გადაღლას, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ასიათასობით ადამიანის მსხვერპლი და უდიდესი მორალური თუ მატერიალური ზარალი.

Г. М. МЕРАБИШВИЛИ, И. Г. СВАНИДЗЕ

## ИЗМЕНЕНИЕ ПСИХОФИЗИОЛОГИЧЕСКИХ ФУНКЦИЙ ВОДИТЕЛЯ ИЗ-ЗА УТОМЛЕНИЯ

Резюме

Автомобиль является самым распространенным транспортным средством, сегодня их число превышает 280 млн. единиц. Рост автомобильного парка сопровождается повышением дорожно-транспортных происшествий (ДТП). Как показывает статистика ДТП, около 70% из этих случаев происходит по вине водителей, т. е. в их основе лежит человеческий фактор.

Одной из основных причин аварий является фактор утомления, который, по общему мнению, предопределяет 50-60% всех ошибок, совершаемых водителями.

Работа водителя в смысле физического напряжения считается легкой, его утомление вызвано в основном психическим напряжением. Существует множество физиологических и психологических методов определения степени утомления. В последнее время внимание как советских, так и зарубежных исследователей уделяется работам, в которых изучаются изменение психофизиологических функций к концу рабочего дня по сравнению с начальным периодом работы. Результат везде одинаковый: из-за утомления к концу дня наблюдается спад этих функций.

Имеет ли такой прямолинейный характер нарастание утомления в течение рабочего дня? — Для решения этого вопроса мы исследовали изменение некоторых психофизиологических параметров водителей автобусов и такси постоянных маршрутов г. Тбилиси в течение рабочей смены. В частности, каждые 1,5-2 часа измеряли время реакции, ее быстроту, стабильность и влияние фактора установки на время реакции; концентрацию, распределение и переключение внимания; адаптацию к среде после воздействия ослепляющего света на зрение. Мы также определяли изменения в пульсации и силе.

Было установлено, что изменение этих параметров носит не прямолинейный, а ярко выраженный криволинейный характер. Выявлены факторы, вызывавшие нервно-психическое истощение, хроническое переутомление водителей и намечены пути для выправления существующего положения.



გზგული მალრადი

გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი  
განწყობა და კონფორმულობა

აღამიანს მრავალგვარ სოციალურ ჯგუფში უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა; ამათგან ზოგი მისთვის წარმოადგენს შემთხვევითს ჯგუფს, ზოგან კი მას ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს ჯგუფის წევრებთან. ყოველ ჯგუფს გააჩნია თავისი სტრუქტურა, თავისი მიზნები, ამოცანები, ღირებულებები, ორიენტაციები, ქცევის ნორმები. ჯგუფის წევრთა უფლება-მოვალეობანი განსხვავებულია; სხვადასხვაა თვითთული წევრის ადგილი, სტატუსი; ყოველი წევრი გარკვეული მოტივითაა გაერთიანებული ჯგუფში და, ბოლოს, ჯგუფის თვითთული წევრი განუშეორებელ ინდივიდუუმს წარმოადგენს და ჯგუფის საერთო სურათი სწორედ ამ განსხვავებული ინდივიდებისაგან იქმნება. მიუხედავად მასში შემავალი წევრების განსხვავებულობისა, თვითთული სოციალური ჯგუფი რაღაც ერთს, მოლიანს წარმოადგენს, რომელსაც თავისი, მხოლოდ ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა აქვს და ეს მის წევრებზეც ვრცელდება (ჩვენ ვარჩევთ, რომ ესა თუ ის ინდივიდი ამ ჯგუფის წარმომადგენელია, ის ინდივიდი იმ ჯგუფისა და ა. შ.). როგორ იმსგავსებს ჯგუფი თავის წევრებს, როგორ ააშენს აქვს მის წევრებს, რომ ეს განსხვავებული ინდივიდები (როგორც პიროვნული თვისებების, ისე ჯგუფში გაერთიანების მოტივების, მიზნების, ამოცანების მხრივ) მსგავსი შეხედულებების, ორიენტაციების, ატიტუდების, ღირებულებების მატარებლები არიან და ქცევის მსგავსი ფორმები აქვთ?

ჩვენ არ შეგვხებთ ყველა იმ ფსიქოლოგიურ მექანიზმს, რითაც ჯგუფი გავლენას ახდენს და იმსგავსებს თავის წევრებს. ჯგუფი ინდივიდზე მოქმედებს როგორც არაპირდაპირი გზით (ზემოქმედება საზოგადოებაში მიღებული სოციალური როლების მეშვეობით), ისე პირდაპირი, უშუალო ზემოქმედებით. ჯგუფის უშუალო გავლენას ინდივიდზე სოციალურ ფსიქოლოგიაში აღნიშნავენ კონფორმიზმის ცნებით. რას უწოდებენ კონფორმიზმს? კონფორმიზმი არის ცვლილება ინდივიდის ქცევაში, შეხედულებაში, ატიტუდში, რომელიც ხდება რეალური ან წარმოსახული ჯგუფის გავლენით. სოციალურ ფსიქოლოგიაში დიდხანს ბატონობდა აზრი, რომ, ჯგუფის გავლენის მიღების თვალსაზრისით, აღამიანები შეიძლება გაიყონ კონფორმულად და დამოუკიდებლად: ვინც ექცევა ჯგუფის გავლენის ქვეშ კონფორმულია, ხოლო ვინც წინააღმდეგობას უწევს ჯგუფს და არ ექცევა მისი გავლენის ქვეშ — დამოუკიდებელია. ასეთ დაყოფას დასაბამი მისცა ამერიკელი ფსიქოლოგის სტრომონ აშის ექსპერიმენტულმა კვლევამ. აშმა შეიმუშავა სპეციალური მეთოდიკა ინდივიდზე ჯგუფის გავლენის შესასწავლად. მისი ექსპერიმენტული ტექნიკა იძლევა ინდივიდზე ჯგუფის გავლენის პირობების მართვა-მანიპულირებასა და გავლენისადმი ინდივიდის მზაობის გაზომვის შესაძლებლობას.

ექსპერიმენტი შემდგენიარად ტარდება: ცდის პირი (ცპ) ჯგუფი ექსპერიმენტატორის თხოვნით იკრიბებოდა ლაბორატორიაში ვიზუალური შეფასების ფსიქოლოგიურ კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. ისინი სხდებოდნენ მაგიდის ირგვლივ და ეძლეოდათ ინსტრუქ-

ცია: „თქვენს წინაშეა ფურცლების წყვილი. ერთ-ერთზე დახატულია ერთი ხაზი ე. წ. სტანდარტი. მეორეზე 3 ერთმანეთისაგან განსხვავებული სიგრძის ხაზი, ერთ-ერთი ამ 3 ხაზიდან არის სტანდარტის ტოლი. თქვენ უნდა შეაფასოთ, რომელი იქნება სტანდარტის ტოლი და ხმათა დასახელებით ამ ხაზის ნომერი (ხაზები დანომრილია 1, 2, 3). სულ მოგეცემათ რამდენიმე ასეთი შედარება, რომელშიც სტანდარტის და შესადარებელი ხაზების სიგრძეები იცვლება. გვიპასუხეთ რიგრიგობით — მარცხნიდან მარჯვნივ“.

ექსპერიმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფში ყველა, გარდა ერთისა, წინასწარ გაფრთხილებულია ექსპერიმენტატორის მიერ, თუ როგორი პასუხი უნდა გაიცეს; ეს ერთი არის ნამდვილი ცპ — ე. წ. გულუბრყვილო სუბიექტი, რომელმაც არაფერი იცის ჯგუფისა და ექსპერიმენტატორის წინასწარი შეთანხმების შესახებ. ექსპერიმენტში მონაწილენი ისე სხედან, რომ გულუბრყვილო ცდის პირმა უნდა უპასუხოს ბოლოდან მეორემ. წინასწარ გაფრთხილებული ცდის მონაწილენი პასუხობენ ერთსულოვნად და მცდარად, რითაც ნამდვილ ცპ-ს ექმნება კონფლიქტური სიტუაცია: ან უნდა უპასუხოს ისე, როგორც ხედავს, ან — ისე, როგორც ჯგუფი ამბობს (სამ შესადარებელ ხაზში ყოველთვისაა ერთ-ერთი სტანდარტის ტოლი). განსხვავება კი ჯგუფის მიერ სტანდარტის ტოლად დასახელებულ ხაზის სიგრძესა და სტანდარტს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია (ზოგჯერ 4,4 ხზ).

ს. აშის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეობდა 123 ცპ, რომელთაგან 37%-მა გაიმეორა ჯგუფის შეფასება, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა მისი საკუთარი მხედველობის მონაცემებს. ყოველი ექსპერიმენტის შემდეგ ცპ-საგან ინდივიდუალურად იღებდნენ ინტერვიუს და ცპ გადმოსცემდა ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მიღებულ საკუთარ შეთხზულებას.

კონფორმულობას მაშინაც აქვს ადგილი, როცა ინდივიდები არ არიან ერთმანეთის პირისპირ. ევრარდმა და კრაფილდმა<sup>2</sup> გამოიყენეს კონფორმულობის შესასწავლად მეთოდი, რომლის დროსაც ცდის მონაწილენი ვერ ხედავენ ერთმანეთს: ცპ ზის ცალკე კაბინაში, კაბინები დგას ერთმანეთის გვერდით; კაბინა წინ ღიაა ისე, რომ ეკრანი, რომელზეც შესადარებელი მასალა უნდა გამოჩნდეს, ყველასათვის საერთოა; კაბინაში ცპ-ს წინ არის პანელი ნათურებით და 3 ლილაკით. ცპ-ს ეუბნებიან, რომ თავისი პასუხი უნდა გადმოსცეს შესაბამის ლილაკზე თითის დაჭერით (თუ A არის სწორი, თითი უნდა დაჭიროს A ლილაკს) და პასუხი აღინიშნება პანელზე შესაბამისი ნათურის ანთებით. ცდაში ჯგუფის გავლენა იქმნება იმით, რომ თვითნებური ცპ ხედავს თავის პასუხამდე პანელზე სხვების პასუხს. ამ ექსპერიმენტული სიტუაციის ეკონომიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერიმენტატორი თვითონ უგზავნის პასუხებს თვითნებურ ცპ-ს და ამდენად, ყველა მონაწილე მისთვის ნამდვილ ცპ-ს წარმოადგენს. კრაფილდის ექსპერიმენტში, გარდა ხაზების სიგრძეების შედარებისა, ცპ-ნი გამოთქვამდნენ თავის თანხმობა-უთანხმოების სხვადასხვა შეხედულებებისადმი; ამასთან, ზოგი საკითხი ძნელი იყო, ზოგი — ადვილი.

კონფორმულობას ადვილი ჰქონდა, როცა ჯგუფი აღიარებდა, რომ „20 სმ სიგრძის ხაზი 16 სმ-ის ტოლია“, ანდა რომ „აშშ-ში აღარა დგას მოსახლეობის სიმჭიდროვის პრობლემა, რადგან სან-ფრანცისკოდან ნიუ-იორკამდე 6000 მილია“.

ს. აშის შემდეგ ჩატარებულია მრავალი გამოკვლევა, რომლებშიც იცვლებოდა შესადარებელი მასალა (ხაზების ნაცვლად — შეხედულებები, შეფა-

სებანი), შესწავლილი იქნა სხვადასხვა სიტუაციური ფაქტორების გავლენა კონფორმულობის ხარისხზე (ჯგუფის ზომა, ჯგუფის შედგენილობის ერთგვაროვნება, ჯგუფის წევრების სტატუსი, ჯგუფთან შემდგომი ურთიერთის დაკისრების ეფექტი, ჯგუფის ინფორმაციულობის გავლენა და სხვა). გამოკვლეულია სხვადასხვა პიროვნებისეული ფაქტორები, რომლებიც აღმოჩნდნენ კორელაციაში პიროვნების კონფორმულობასთან (ინდივიდის სქესი, „მეს“ ძალა, „მეს“ კონცეფცია, პროფესიული ინტერესები, აუტორიტარობა-დემოკრატიულობა, ინტელექტის კოეფიციენტის კორელაცია კონფორმულობასთან და სხვა). აღნიშნული კვლევის შედეგად შემუშავდა გარკვეული სურათი, თუ როგორი ადამიანები უფრო არიან კონფორმულნი, რა ფაქტორები უწყობენ ხელს კონფორმულობის ხარისხის მატება-კლებას და სხვა.

საზღვარგარეთულ სოციალურ ფსიქოლოგიაში მიღებულია დებულება, რომელიც ამერიკელმა ფსიქოლოგმა კრაჩფილდმა<sup>2</sup> გამოთქვა: „კონფორმულობა გაპირობებულია ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებით, კერძოდ, ადამიანის ფსიქიკის დამყოლობით. კონფორმულობის ტენდენცია არის პიროვნების ფუნდამენტალური თვისება“. ამ თვალსაზრისითაც, ადამიანები იყოფა 2 ჯგუფად: კონფორმულები და დამოუკიდებლები (როგორც ეს იყო ს. აშთან). რიგი ფსიქოლოგების აზრით ასეთი დაყოფა არის ფაქტური ვითარების გამარტივება. მრავალ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში, რომელიც ეხება იმ ინდივიდების ერთგვაროვან ქცევას, რომლებიც მოცემულ სოციალურ ჯგუფში შედიან და ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის სიტუაციაში იმყოფებიან; მათი ქცევები აღწერილია ისეთს სხვადასხვა ტერმინებში, როგორიცაა: შეთანხმებულობა, შთაგონებადობა, სუგესტივობა, კონფორმულობა, მორჩილება და სხვა. მაგრამ რეალური სხვადასხვაობა ამ ცნებებისა გხება არსებითად არა პიროვნების ქცევის ფაქტებს (აქ ყველა შემთხვევაში გვაქვს პიროვნების პოზიციის თანხმობა ჯგუფის პოზიციასთან), არამედ — შინაგან ფსიქიკურ მექანიზმებსა და მოტივებს; ეს იძლევა გარეგნულად ერთგვაროვანი ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური შინაარსების მიხედვით კლასიფიკაციის საშუალებას.

საბჭოთა მკვლევარი პეტროვსკი<sup>3</sup>, — იმ შინაგანი მდგომარეობის მიხედვით, რომელიც თავს იჩენს ინდივიდის ჯგუფისადმი ერთგვაროვანი ქცევის სახით. — ასხვავებს 3 ფენომენს:

1. ჯგუფში გაერთიანება განისაზღვრება როგორც ჯგუფის ზემოქმედებით პიროვნების მიერ გაუცნობიერებელი განწყობა, როგორც უკონფლიქტო შინაგანი და გარეგნული თანხმობა ჯგუფთან;

2. კონფორმულობა — გაცნობიერებული გარეგნული თანხმობა ჯგუფთან მის პოზიციასთან შინაგანი განსვლისას, ინდივიდის გაცნობიერებული შეგუებადობა. საბჭოთა მკვლევარმა საფინმა<sup>4</sup> გამოაკვლია ექსპერიმენტულად ჯგუფში გაერთიანებასა და კონფორმულობას შორის განსხვავება. ცბ-თა ერთმა ნაწილმა, მიიღო რა ჯგუფის პოზიცია (ესა თუ ის შეფასება ან თვითშეფასება), ხანგრძლივად შეინარჩუნა ეს პოზიცია მაშინაც კი, როცა ჯგუფის ძალდატანება აღარ არის (შთაგონებადობისკენ ტენდენცია), მეორე ნაწილი ცბ-ებისა იღვილდ ამბობს უარს ჯგუფის გავლენით მიღებულ პოზიციაზე და უბრუნდებიან პირვანდელს (ტენდენცია კონფორმულობისაკენ). ამერიკელი ფსიქოლოგები — კესლერები<sup>4</sup> გარეგნულად ამ 2 ერთგვაროვან ქცევას განასხვავებენ როგორც კონფორმულობის ორ სახეს: პირველს უწო-

დებენ თანხმობას, მეორეს — მიღებას. მათვე მოჰყავთ ზოგერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს თანხმობას და მიღებას; ამასთან აღნიშნავენ, რომ დღემდე გამოკვლევებში ძირითადად შეისწავლებოდა თანხმობა და არ იყო განსხვავება კონფორმულობის ამ 2 სახეს შორის. კესალერები გვაზიარებენ სავარაუდო ექსპერიმენტულ ტექნიკას, რითაც უნდა ხდებოდეს კონფორმულობის მეორე სახის — მიღების კვლევა.

3. ინდივიდის ჯგუფისადმი ერთგვაროვანი ქცევის მესამე, სახედ პეტროვსკი თვლის კოლექტივიზმს ან კოლექტივისტურ თვითგანსაზღვრას. მისი აზრით, სწორედ კოლექტივიზმის ცნება უპირისპირდება კონფორმისმის ცნებას და არა „პიროვნების სიმყარის“ ცნებას. კოლექტივიზმში იგულისხმება პიროვნების მიერ კოლექტივის ამოცანებისა და ღირებულებების მიმართ გაცნობიერებული სოლიდარობის შედეგად წარმოშობილი ჯგუფის მსგავსი ქცევა. კოლექტივის ამოცანები გატანილია ჯგუფის ფარგლებს გარეთ და გამომდინარეობს საზოგადოების იდეოლოგიიდან. სწორედ პიროვნების კოლექტივისტური თვითგანსაზღვრა და არა კონფორმულობა და არა პიროვნების სიმყარე (რომელსაც შეუძლია შენიღბოს ნეგატივიზმი და ნიჰილიზმი საზოგადოებრივად ღირებული მოთხოვნების მიმართ) — გამოდიან კონფორმულობის ალტერნატივის როლში.

როგორც ვხედავთ, პიროვნების ჯგუფისადმი ერთგვაროვან ქცევაში განსხვავებული შინაგანი ფსიქიკური მექანიზმები იგულისხმებიან. ასეთივე ვითარებას აქვს ადგილი, როცა პიროვნება უჩვენებს ისეთს ქცევას, რომელიც ეწინააღმდეგება ჯგუფის სტანდარტებს, იმ ქცევებს, რომელთაც ჯგუფი მოითხოვს მისგან. ამ გარეგნულად ერთგვაროვან ქცევას (ყოველთვის პიროვნება ჯგუფის საწინააღმდეგო ქცევას ამქადაგებს) შეესატყვისება სხვადასხვა ფსიქიკური შინაარსი. ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგებმა ვილისმა და ჰოლანდერმა პირველებმა მიაქციეს ამ ფაქტს ყურადღება და აღნიშნეს, რომ ჯგუფში პიროვნების ქცევის ორგანოზომილებიანი მოდელი კონფორმისტი — არაკონფორმისტი, როგორც ამას ადგილი აქვს ამის მიერ თავისი ცდების შედეგების ინტერპრეტაციაში, არაა მართებული. არაკონფორმულობა არ არის ერთგვაროვანი: მასში უნდა განვასხვავოთ ანტიკონფორმულობა და დამოუკიდებლობა ანტიკონფორმული პიროვნება აქტიურად ეწინააღმდეგება ჯგუფს, მისდამი ნეგატივისტურადაა განწყობილი და განუდგება მას. ანტიკონფორმული პიროვნება ახდენს არა თავისი ქცევის და შეხედულების დაცვას, არამედ ჯგუფთან დაპირისპირებას. იგი აღრმავებს უთანხმოებას თავის თავსა და ჯგუფს შორის. ანტიკონფორმული პიროვნება ყოველნაირად უარყოფს ჯგუფის შეხედულებებს და მოქმედებებს მაშინაც კი, როცა აღიქვამს ჯგუფის სისწორეს. ანტიკონფორმული პიროვნებისთვის ჯგუფი უარყოფითი ეტალონური ჯგუფის ფუნქციას ასრულებს, ხოლო დამოუკიდებელი პიროვნება თავისი შეხედულებების მიხედვით იქცევა — ის არც სავსებით პასიურად ემორჩილება ჯგუფის გავლენას, კონფორმული პიროვნების მსგავსად, და არც გადამტეხულ ნეგატივიზმს იჩენს ჯგუფის მიმართ, ანტიკონფორმული პიროვნების მსგავსად.

შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ესა თუ ის ინდივიდი მოცემულ ჯგუფში იქნება კონფორმული ანტიკონფორმული ან დამოუკიდებელი? მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილი მრავალი პიროვნებისეული ცვლადის კორელაცია ინდივი-



დის კონფორმულობასთან, ეს არ იძლევა საშუალებას, ვივარაუდოთ, ჩვენი წყვეტილი პიროვნების ქცევის როგორ სახესთან გვექნება საქმე კონფორმულობის თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ, თუმცა პიროვნული ნიშნების მიხედვით, ესა თუ ის პიროვნება უნდა ყოფილიყო კონფორმული, მაგრამ იგი ხშირად ამჟღავნებს მოცემულ წგუფში არაკონფორმულ ქცევას. იმავე პიროვნებამ, მსგავსი ამოცანის შესრულებისას, სხვა სოციალურ წგუფში გამოამჟღავნა კონფორმული ქცევა. ამან ჩვენს წინაშე დააყენა საკითხი: პიროვნების კონფორმულობისათვის, სხვა თანაბარ პირობებში, გადაამწყვეტ ფაქტორს ხომ არ წარმოადგენს პიროვნებისადმი? თვითიული სოციალური წგუფისადმი, რომელშიც პიროვნება იმყოფება, მას აქვს გარკვეული ნიშნის დამოკიდებულება, განწყობა (გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებული სახის). ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც პიროვნება გაშლის წგუფში, ყოველთვის მიმდინარეობს ამ დამოკიდებულების, განწყობის ფონზე. სოციალური ფსიქოლოგიაში დადასტურებულია, რომ პიროვნებისთვის არაა სულერთი, თუ რომელ წგუფში უწევს საქმიანობა; მისთვის მიმზიდველ წგუფში პიროვნების ქცევას დიდად განსაზღვრავს სწორედ ის ფაქტი, რომ მას მოსწონს ეს წგუფი.

წგუფის მიმზიდველობაში გულისხმობენ ინდივიდის დადებითს დამოკიდებულებას წგუფის წევრებისა და წგუფის როგორც მთელის მიმართ. წგუფის მიმზიდველობის ფაქტორებიდან ჩვენ აღვნიშნავთ რამდენიმეს:

**1. შეხედულების მსგავსება.** როცა ინდივიდმა იცის, რომ სხვას იგივე სწამს, რაც მას, მაშინ მას მოეწონება ეს სხვა. ჰეიდერმა ხაზი გაუსვა ინდივიდუალური სუბიექტის ფენომენოლოგიას და წამოაყენა თვალსაზრისი, რომ ადამიანებს ძირითადად სჯერათ, რომ, თუ ისინი დაეთანხმებიან ერთმანეთს, მათ აგრეთვე მოეწონებათ ერთმანეთი. ჰეიდერის ფენომენოლოგიურ ტერმინოლოგიაში: P — აღმქმელია და O — სხვა პიროვნება. დებულება ასე გამოითქმის: P ეთანხმება O-ს გულისხმობს, რომ P-ს მოწონს O. ფენომენოლოგიური ურთიერთმიმართება ასევე ადვილად მუშაობს შებრუნებული მიმართულებით. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ P-ს მოწონს O გულისხმობს, რომ P ეთანხმება O-ს. ეს დებულება წარმოადგენს ტენდენციას ადამიანთა ნაწილისას, რომლებიც ეთანხმებიან იმათ, ვინც მოსწონთ და მათ მოსწონთ ისინი ვისაც ეთანხმებიან.

**2. პასუხის ინსტრუმენტალური ღირებულება.** სუბიექტმა ისწავლა, რომ შეხედულების მსგავსებას მოყვება მოწონება, ამიტომ თუ ადამიანები მონდომებული არიან მოაწონონ თავი მიმზიდველ სხვებს, მათ უნდა შეცვალონ თავისი შეხედულება ისე, რომ უფრო დაეთანხმონ მიმზიდველ სხვებს. პასუხის, როგორც საშუალების, გამოყენება ემყარება ორ დებულებას: 1. თუ ჩვენ მოგწონს ან ვიქცევით სხვების მსგავსად, მათ უფრო მოგეწონებით, 2. ჩვენ წარსულში ხშირად მივიღია ჯილდო სხვების მსგავსად მოქცევის გამო. ეს ჯილდოები გამომდინარეობენ არა მხოლოდ სხვებისაგან, არამედ წგუფის სხვა წევრების ან წგუფის გარეთ მყოფი ინდივიდებისაგანაც.

**3. თავისი თავის განსაზღვრა.** კელმანმა<sup>6</sup> წამოაყენა თვალსაზრისი, რომ ჩვენ მიერ ჩვენივე თავის განსაზღვრა დაკავშირებულია ჩვენს ატიტუტებსა და ჩვენ მიერ სხვებისაგან გავლენის მცდელობების მიღებაზე. თავისი თავის დაღებითად განხილვისათვის (რასაც უმეტესი ადამიანები აკეთებენ) ადამიანს

უნდა ჰქონდეს მიმზიდველი სხვების მსგავსი და არა მიმზიდველი სხვებისაგან განსხვავებული ატიტუდები. თუ შევებრუნებთ იმ დებულებას, მივიღებთ, რომ დადებითი სხვების მსგავსი და ნეგატიური სხვებისაგან განსხვავებული ატიტუდის ფლობა არის ერთ-ერთი გზა საკუთარი თავის დადებითად განხილვისათვის.

**4. ყურადღების ფაქტორები.** მიმზიდველი სხვების გავლენის ეფექტი შეიძლება ნაწილობრივ გამომდინარეობდეს ყურადღების ფაქტორიდან. ჩვენ, შესაძლოა, მეტად ვაქცევდეთ ყურადღებას, რასაც მიმზიდველი სხვები ამბობენ მსგავსად ფიგურა-ფონის ეფექტის აღქმაში. ჩვენ ვასკენით, რომ უფრო მიმზიდველი სხვები დგანან უფრო ახლოს ჩვენს ფენომენოლოგიურ ველში და ხშირად მეტ ყურადღებას ვაქცევთ მათ. როცა მიმზიდველი სხვა ან მიმზიდველი ჯგუფი არ გვეთანხმება, ჩვენ უფრო ვიგებთ უთანხმოებას და შეეცვლია ჩვენს შეხედულებას, ვიდრე, როცა ნაკლებ მიმზიდველი არ გვეთანხმება.

**5. ნდობა.** თუ ინდივიდმა ისწავლა წარსულში მიმზიდველი სხვებისადმი ყურადღების მიქცევა, ამას შეიძლება მოყვეს ნდობისა და რწმენის ზრდა მიმზიდველის სხვებისადმი, როგორც ძირითადი კომუნიკატორებისადმი. როცა მიმზიდველი სხვა არ გვეთანხმება, ჩვენ არა თუ უფრო ვიგებთ უთანხმოებას, არამედ უფრო ვასკენით, რომ ის რაც მან თქვა, არის ჭეშმარიტი (ან წარმოადგენს სოციალურ რეალობას), ვიდრე მაშინ, როცა არამიმზიდველი ამბობს იმავეს. ატიტუდის შეცვლაზე არსებული ლიტერატურა (ზიმბარდი და ებესენი)<sup>7</sup> უჩვენებს, რომ კომუნიკატორის სანდობას აქვს ძლიერი ეფექტი შეხედულების ცვლაზე. განსაზღვრული აზრის ჯგუფი შეიძლება განიხილებოდეს როგორც გარკვეული შეხედულებისა (ე. ი. ნორმის) და სურვილის მქონე კომუნიკატორი, რომ დაითანხმოს სხვები. სანდობა შეიძლება იყოს ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანი, რაც ხელს უწყობს მიმზიდველობის ემპირიულ ეფექტს გავლენის მიღებაზე. ამ ფაქტორების არსებობა-არარსებობა მონაწილეობს იმაში, თუ როგორი განწყობა შეექმნება პიროვნებას მოცემული ჯგუფისადმი.

ჯგუფისადმი განწყობაში ჩვენ ვგულისხმობთ მთლიანი პიროვნების დამოკიდებულებას მოცემული ჯგუფისადმი და ამ განწყობის ფორმირებაში აღნიშნული ფაქტორები ამა თუ იმ დონით შეიძლება მონაწილეობდნენ. ეს მთლიანი პიროვნებისეული განწყობა ვლინდება პიროვნების მიერ ამა თუ იმ ჯგუფის მიღება-მიუღებლობის განზომილებაში.

გამოვდივართ რა ამ თვალსაზრისიდან, ჩვენ მიერ ფორმულირებულია შიბოთეზა, რომ კონფორმულობა არსებითად განსაზღვრული უნდა იქნას ჯგუფისადმი დამოკიდებულებით: თუ პიროვნებას რაიმე მიზეზის გამო ჯგუფისადმი შეექმნა დადებითი განწყობა, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ ჯგუფში ის უფრო კონფორმულ ქცევას გამოამჟღავნებს და, პირიქით, ისეთ ჯგუფში, რომლის შინაარსი პიროვნება უარყოფითადაა განწყობილი, იგი გამოავლენს ჯგუფისაგან განსხვავებულ ქცევას, — იგი არ დაეთანხმება ჯგუფს, მაგრამ ეს არ იქნება დამოუკიდებელი პიროვნების არდათანხმება, ეს იქნება ანტიკონფორმული პიროვნების ართანხმობა, რომლისთვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ჯგუფი უარყოფით ეტალონურ ჯგუფს წარმოადგენს.

ჩვენი შიპოთეზის ექსპერიმენტული შემოწმებისთვის ჩვენ ჯერ გამოვიკვლიეთ ინდივიდის ქცევა ისეთ სოციალურ ჯგუფში, რომლის მიმართ პიროვნებას დადებითი განწყობა აქვს. ასეთ სოციალურ ჯგუფად ჩვენ ავირჩიეთ საკუთარი სპეციალობის ადამიანების ჯგუფი.

პიროვნების ფორმირებაში, სამყაროს სურათის ჩამოყალიბებაში, ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სხვებს, რომელთა არსებობის გათვალისწინება ხდება ყოველთვის იმ ემოციური დამოკიდებულებების ფონზე, რაც ადამიანს გააჩნია ამა თუ იმ „სხვის“ მიმართ. ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგი შიპტანი<sup>8</sup> აღნიშნავს: „Если у человека сформировались дизъюнктивные чувства по отношению к значимым другим, которые поддерживают status quo, или конъюнктивные чувства по отношению к тем, кто выступает против существующего положения, он будет восприимчив к изменениям и отступит от своих обязанностей, как только возникнет благоприятная возможность. Напротив, если у человека сформировались конъюнктивные чувства по отношению к значимым другим, которые поддерживают status quo или дизъюнктивные чувства по отношению к тем, кто ищет перемен, он будет болезненно воспринимать нарушения конвенциональных норм и противодействовать изменениям“.

ყველა სხვას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ — ე. წ. მნიშვნელობის მქონე სხვას. საბჭოთა მკვლევარი შჩედრინა აღნიშნავს, რომ პიროვნება აქტიურადაა ორიენტირებული ადამიანთა გარკვეული ნაწილის პოზიციისადმი, რომელთა აზრი განსაკუთრებით საყურადღებოა მისთვის და რომელიც ქმნიან მისთვის რეფერენტულ წრეს. პიროვნებას ახსიათებს აქტიური არჩევითი მიზანსწრაფვა მათკენ და განურჩეველი სხვებისკენ, რომელთა შორის შესაძლოა იყვნენ მაღალი სოციომეტრული სტატუსის მქონე პირებიც. გ. ჩაგანავემ გამოიკვლია, რომ პიროვნების მიერ გარკვეული ქცევების შეფასებისას სპეციფიკურად ფასდება ქცევა იმის მიხედვით, მისთვის მნიშვნელოვანი პიროვნების მიერაა განხორციელებული ეს ქცევა თუ მისთვის მნიშვნელოვანი პიროვნებისადამია მიმართული იგი.

მნიშვნელობის მქონე სხვებში ადამიანისათვის ყოველთვის შედიან მისი სპეციალობის წარმომადგენლები, კოლეგები. თანამედროვე ადამიანისთვის თავისი სპეციალობისადმი კუთვნილების განცდა გარკვეულად განაპირობებს სამყაროს თუ სოციალური მოვლენების მიმართ შეხედულებათა სისტემის ფორმირებას: პიროვნება-ინჟინერი და პიროვნება-ფილოსოფოსი გარკვეული აზრით სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სამყაროს თუ სოციალურ მოვლენებს. უმეტეს შემთხვევაში პიროვნებას თავისი სპეციალობის მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს (ამ დებულებას ამტკიცებს კელმანის მიერ გამოთქმული აზრიც, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ გვ. 9). ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ამა თუ იმ სპეციალობის ადამიანს თავისი სპეციალობის ადამიანთა ჯგუფისადმი ექნება დადებითი განწყობა.

ექსპერიმენტული კვლევისათვის, თუ რა გავლენას ახდენს რომელიმე ჯგუფისადმი დადებითი დამოკიდებულება პიროვნების კონფორმულობაზე, შევიმუშავეთ მეთოდოლოგია. სადაც გარკვეული საკითხის შესახებ დაწერილი იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულება:

„არსებობს ერთი შეხედვლება, რომ ადამიანის ფსიქიკური უნარები, და მათ შორის ნიჭი, თანშობილია; ადამიანი იბადება ნიჭის გარკვეული ნასახით, და ამაზეა დამოკიდებული მისი ინტელექტუალური განვითარების დონე.“

მეორე შეხედვლების მიხედვით, ადამიანის ნიჭიერება-უნიჭობას განსაზღვრავს გარემო პირობები, ყველა ადამიანი ერთნაირი მონაცემებით იბადება, გარემო, აღზრდა განაპირობებს ადამიანის ინტელექტუალური განვითარების დონეს.“

საკონტროლო ცხრილში ცდის პირებს ეძლეოდათ ეს დებულებები შემდეგი ინსტრუქციით:

„წაიკითხეთ ორივე დებულება და გვიხსენით, რომელს ეთანხმებით.“

საკონტროლო ცდებში მონაწილეობდა სხვადასხვა სპეციალობის 66 სტუდენტი, ამათგან: 16 იყო გეოგრაფი, 9 — გეოლოგი, 14 — ფილოლოგი, 12 — ეკონომისტი, 8 — ფიზიკოსი, 3 — იურისტი, 2 — ქიმიკოსი, 1 — ექიმი, 1 — აგრონომ-დეკორატორი.

საკონტროლო ცდების შედეგებმა უჩვენეს, რომ პირველ დებულებას დაეთანხმა ცდის პირთა 63,6%, მეორე დებულებას დაეთანხმა — 36,4%.

კრიტიკული ცდების ერთ ვარიანტში პირველი დებულება მიეწერებოდა ფსიქოლოგებს, მეორე — ბიოლოგებს. ცდების მეორე ვარიანტში მდგომარეობა შებრუნებული იყო. ის დებულება, რაც პირველ ვარიანტში მიეწერებოდა ფსიქოლოგებს, — ახლა მიეწერებოდა ბიოლოგებს და, პირიქით. ცდებს გატარებდით სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებზე. ცპ შემოგვყავდა ლაბორატორიაში და მას ვაცნობდით ინსტრუქციას:

„თქვენ ფსიქოლოგიის (ან ბიოლოგიის) ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტს ალბათ გაქვთ გარკვეული შეხედვლებები ამა თუ იმ საკითხის შესახებ. იცით, რომ ფსიქოლოგებს (ბიოლოგებს) და მონათესავე სპეციალობის წარმომადგენელთა შორის არსებობს სხვადასხვაობა ზოგიერთი საკითხის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საკითხის შესახებ გვიანტერესებს თქვენი II (ან III) კურსელი ფსიქოლოგის (ან ბიოლოგის) აზრი, რომელ შეხედვლებას ეთანხმებით თქვენ?“

გაწვდით ფურცელს, რომელზეც დაბეჭდილი იყო შემდეგი:

ექსპერიმენტის პირველ ვარიანტში:

„ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანის ფსიქიკური უნარები და მათ შორის ნიჭი თანშობილია. ადამიანი იბადება ნიჭის გარკვეული ნასახით და ამაზეა დამოკიდებული მისი ინტელექტუალური განვითარების დონე.“

ბიოლოგები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის ნიჭიერება-უნიჭობას განსაზღვრავს გარემო პირობები. ყველა ადამიანი ერთნაირი მონაცემებით იბადება, გარემო, აღზრდა განაპირობებს ადამიანის ინტელექტუალური განვითარების დონეს.“

ექსპერიმენტის მეორე ვარიანტში ზუსტად იგივე დებულებები იყო, მხოლოდ ახლა პირველი მიეწერებოდა ბიოლოგებს, მეორე — ფსიქოლოგებს.

ფურცელს ბოლოს დართული აქვს გრაფა, რომელშიც თვითნებური ცდის პირი წერს სახელს, გვარს, სპეციალობას, კურსს და ვის აზრს ეთანხმება — ფსიქოლოგებისას თუ ბიოლოგებისას.

ცდები ტარდებოდა ორ სერიად. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 25 პირველ კურსელზე ჩატარებული იქნა ცდა მასალის პირველი ვარიანტის გამოყენებით. ცდის მეორე სერიაში ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 23 მეორე კურ-

სელზე ჩატარებული იქნა ცდა მასალის მეორე ვარიანტის გამოყენებით. ბიოლოგებთან ცდის პირველ სერიაში მონაწილეობდა 13 მეორეკურსელი — ცდები ტარდებოდა პირველი ვარიანტით, მეორე სერიაში 13 მესამეკურსელი — ცდები ტარდებოდა მეორე ვარიანტით.

კრიტიკული ცდების შედეგების საკონტროლო ცდების შედეგებთან შედარება შემდეგ სურათს იძლევა:

საკონტროლო ცდებში პირველ დებულებას დაეთანხმა ცდის პირთა 63,6%, კრიტიკულ ცდებში ამავე დებულებას დაეთანხმა ცდის პირთა 94,7%, როცა ეს დებულება მისი სპეციალობის ჯგუფს მიეწერებოდა.

საკონტროლო ცდებში მეორე დებულებას დაეთანხმა ცდის პირთა 36,4%. კრიტიკულ ცდებში ამავე დებულებას, როცა ეს დებულება მიეწერებოდა მისი სპეციალობის ჯგუფს, დაეთანხმა ცდის პირთა 63,9%.

ჩვენს შედეგებში ექსპერიმენტულად დადასტურდა, რომ ადამიანების უმრავლესობისათვის ძირითადად მისაღებია საკუთარი სპეციალობის წარმომადგენელთა აზრი. რომ დებულებას თავის თავად არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ გადამწყვეტი იყო ის, თუ ვის მიეწერებოდა ეს დებულება, უჩვენა ცდის პირთა შედეგების რიცხოზობივმა განაწილებამ.

რამდენად ხელსაყრელია ჩვენი ექსპერიმენტული სიტუაცია კონფორმულობის გამოსავლენად აშის და კრაჩფილდის ცნობილ ექსპერიმენტებთან შედარებით?

აშის ექსპერიმენტულ სიტუაციაში ცდის პირისთვის ძნელია არ დაეთანხმოს ჯგუფს, რამდენადაც მას პირდაპირ უწევს ჯგუფთან ყოფნა და საჯაროდ თავისი აზრის გამოთქმა, რომელიც განსხვავებულია ჯგუფის აზრისაგან. კრაჩფილდთან ინდივიდები გამოცალკევებულნი არიან ერთმანეთისაგან, მათ მხოლოდ ეძლევათ ჯგუფის შეფასება როგორცაა, ისე რომ ჯგუფის წევრებს არ ხედავენ. უერარდმა, დოიჩმა, ლევიმ სპეციალურად იკვლიეს და უჩვენეს, რომ ინდენტური პუნქტების წარმოდგენისას ამ ორი ტიპის სიტუაციაში კონფორმული ქცევის საშუალო რაოდენობა მეტია აშის სიტუაციაში.

ჩვენს ექსპერიმენტში ცდის პირს უშუალოდ არ უწევს ჯგუფთან პირისპირ ყოფნა. მას ეძლევა მისთვის სასურველი ჯგუფის აზრი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისთვის მისაღები ჯგუფი იქვე რომ ყოფილიყო, კონფორმულობა მეტი იქნებოდა.

რაც შეეხება შესადარებელ მასალას, აშთან ძნელია ცდის პირისთვის დაეთანხმოს ისეთ აშკარა უზუსტობას, როგორიცაა მაგ. ჯგუფის მიერ გამოთქმული შეფასება, რომ 16 სმ ხაზი 20 სმ ხაზის ტოლია, როცა იქვე გვაქვს ზუსტად 16 სმ ხაზი. კრაჩფილდთან საქმე ეხება რაიმე დებულებისადმი თანხმობა-უთანხმობის გამოთქმას, ამდენად აქ უფრო ადვილია ცდის პირისთვის დაეთანხმოს ჯგუფს.

ჩვენს ექსპერიმენტშიც საქმე ეხება გარკვეული საკითხის შესახებ გამოთქმულ 2 ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებიდან ერთერთისადმი უპირატესობის მინიჭებას. პრინციპულად ორივე დებულება შეიძლება იყოს მართებული, მაგრამ ცდის პირთა უმრავლესობა ირჩევს იმ დებულებას, რომელიც მისი სპეციალობის ადამიანებს მიეწერებათ.

მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ამ ორი, პრინციპულად ორივე შესაძლებელი დებულებიდან, ერთ-ერთი მიეწერებოდა მისი სპეციალობის წარმომადგენლებს, ცდის პირთა უმრავლესობაში (I დებულებას — 94,7%, II დებულ-



ბას — 63,9%) იწვევს თანხმობას იმ დებულებისადმი, რომელიც გამოდის, როგორც მისი სპეციალობის წარმომადგენელთა აზრი. ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ ცოდნა მისთვის მისაღები ჯგუფის აზრისა იწვევს კონფორმულობას ცდის პირთა უმრავლესობაში.

კვლევის შემდგომ ეტაპზე ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა ექსპერიმენტული სიტუაცია, რომელშიც ცდის პირს პირისპირ მოუხდებოდა მისთვის დადებით და მისთვის უარყოფით ჯგუფში ჯგუფისგან განსხვავებული საკუთარი აზრის დაცვა. შევიმუშავეთ შემდეგი მეთოდიკა.

ჩვენ შევდიოდით ჯგუფში, როგორც ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი. რომელსაც თავისი საკანდიდატო შრომისთვის ინტერესებს ახალგაზრდების ზოგიერთი პრობლემის კვლევა, რისთვისაც ვატარებთ ექსპერიმენტებს არა მხოლოდ აღნიშნულ დაწესებულებაში, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის ინსტიტუტის და სხვა სტუდენტებზე. ვინც გამოთქვამდა სურვილს ექსპერიმენტებში მონაწილეობისა, შეგვყავდა ლაბორატორიაში 2—2 ან 3—3 ცდის პირი. თვითველ მათგანს ვსვავდით ცალკე მაგიდასთან, ვურიგებდით ფურცელს, ფანქარს და კონვერტს და ვაძლევდით შემდეგ ინსტრუქციას:

„ადამიანს ურთიერთობა უწევს უამრავ ადამიანთან. თვითველი ადამიანის მიმართ მას აქვს გარკვეული დამოკიდებულება. ზოგი ძალიან მოსწონს, ზოგი ნაკლებ, ზოგი სრულებით არ მოსწონს და ა. შ. თქვენს ჯგუფში 30 სტუდენტი. ცხადია თვითველ თქვენგანს ვიღაც თქვენი ჯგუფიდან უფრო მეტად მოგწონთ, ვიღაც სრულებით არ მოგწონთ. ეს არ ნიშნავს, რომ ის, ვინც თქვენს პირადად არ მოგწონთ, საერთოდ ცუდია. შესაძლოა სხვას სწორედ ის პიროვნება მოსწონს. ყველა თავისი სუბიექტური შეხედულებების მიხედვით ირჩევს თავისთვის მოსაწონ თუ არ მოსაწონ ადამიანებს. ალბათ, თქვენ უკვე მოახდინეთ ასეთი დიფერენციაცია თქვენს 30 კაციან ჯგუფში. მე გთხოვთ ამ ფურცელზე დამიწეროთ 3 ისეთი პიროვნების გვარი და სახელი. ვინც ყველაზე მეტად მოგწონთ თქვენს ჯგუფში და 3 ისეთი პიროვნების სახელი და გვარი, რომელიც ყველაზე უფრო არ მოგწონთ. მე არ გთხოვთ თქვენი სახელის და გვარის მიწერას, რადგანაც მე ის კი არ მაინტერესებს ვის ვინ მოსწონს ან არ მოსწონს, არამედ რამდენად ერთნაირი კრიტერიუმით აფასებენ ადამიანები ერთმანეთს, იქნება თუ არა თქვენს ჯგუფში პიროვნებები, რომლებიც უმრავლესობას მოსწონს ან უმრავლესობას არ მოსწონს. ასევე სხვა ჯგუფებშიაც — თუ აღმოჩნდა, რომ ძირითადად ერთდღივივე პიროვნება იმსახურებს უმეტეს დადებით ან უარყოფით ხმას, შესაძლებელი გახდება დასკვნის გაკეთება, რომ ადამიანები ძირითადად ერთნაირ კრიტერიუმებს იყენებენ სხვების შეფასებაში. თქვენ გვევალებათ დაწეროთ თქვენთვის მოსაწონი 3 პიროვნების და არ მოსაწონი 3 პიროვნების გვარი, ჩალოთ ფურცელი კონვერტში, დააწებოთ კონვერტი და ჩამაბაროთ“.

ასეთი ინსტრუქცია იმიტომ იყო საჭირო, რომ ცდის პირს არ შეპარვოდა ეჭვი, რომ ჩვენ გვაინტერესებს ვის აირჩევდა და ყოფილიყო დარწმუნებული, რომ გერაგენ ვერ გაიგებდა, რომელმა რა დაწერა.

დაჯალაბის შესრულების შემდეგ ცდის პირები ტოვებდნენ ოთახს. ყოველ დაწესებულებაში ექსპერიმენტატორს ყავდა დამხმარე (პედაგოგიურ სასწავლებელში კომპაჟიურის კომიტეტის მდივანი, პუშკინის სახ. ინსტიტუტში ჯგუფიდან). ცდამდე ან ცდის შემდეგ ისინი ატყობინებენ ცდის ხელმძღვა-

ნელს. ვინ მონაწილეობდა ცდაში. მაშინვე კონვერტზე იწერებოდა მისი შემავსებლის სახელი და გვარი. ასე რომ ნათელი იყო ვის ვინ მოსწონდა ან არ მოსწონდა

ექსპერიმენტის მეორე ეტაპზე შევდიოდით იმავე ჯგუფში 1—2 კვირის შემდეგ და გამოვიძახებდით 4 ცდის პირს ერთად. ეს 4 ისე იყო შერჩეული, რომ 1 იყო ნამდვილი ც. პ. 3 ისეთი, რომლებიც მან აირჩია, როგორც ყველაზე მოსაწონი ან ყველაზე ნაკლებად მოსაწონი ჯგუფში. ვაძლევდით შემდეგ კითხვას: „ჩვენ გვიანტერესებს თანამედროვე ახალგაზრდების აზრი ზოგიერთ საკითხზე. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციაზე და დასვენების 2 ძირითად ტიპს არჩევენ: კომფორტით დასვენება (სანატორიუმი ან სასტუმრო) ან ე. წ. „ველურად“ დასვენება (კარავში). ვთქვით გაქვთ ორკვირიანი შევბუღება, როგორ დასვენებას აირჩევდით და რატომ? მიპასუხეთ რიგ-რიგობით“. ზოგჯერ ეძლეოდათ მეორე კითხვა: „იმუშაოს თუ არა გათხოვილმა ქალმა, თუ მატერიალურად ოჯახს არ სჭირდება მისი შემოსავალი და ქალიც ორდინარულ, რიგით სამუშაოს ასრულებს, პყავს 2 შვილი და არაეინ არ ეხმარება“. პირველად ვეკითხებოდით, რა აზრის იყო ნამდვილი ცდის პირი. შემდეგ ვეკითხებოდით სხვებს. სხვები გაფრთხილებულნი იყვნენ წინასწარ, რომ უნდა მოეცათ ნამდვილი ცდის პირის საპირისპირო პასუხები. შემდეგ ეძლეოდათ რამდენიმე წუთი (5—7 წთ.) საკამათოდ, თუ მივიღოდნენ რაიმე საერთო აზრამდე. წინასწარ გაფრთხილებულ ცდის პირებს მიცემული ჰქონდათ დავალება, რომ სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით მოეხდინათ ვაცლენა, რათა ნამდვილი ცდის პირისთვის შეეცვლებინებინათ პირვანდელი აზრი. კამათის ბოლოს ხელახლა ვიწერდით მათ შეხედულებებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

სულ ექსპერიმენტი ჩატარდა 87 ცდის პირზე. ამათგან 47 იყო მოთავსებული ისეთი 3 პიროვნებისაგან შემდგარ ჯგუფში, რომლებიც მან ექსპერიმენტის I ეტაპზე აირჩია, როგორც მისთვის ყველაზე უფრო მოსაწონი 40 იყო ისეთიც. პირი, რომლებიც კამათობდნენ მისთვის არამოსაწონი პიროვნებათაგან შემდგარ ჯგუფში.

ცდებში მონაწილეობდნენ პუშკინის სახ. პედაგოგიური და ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტები. ამ ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჯგუფისადმი დადებითი განწყობის მქონე 47 ცდის პირიდან 35-მა შეიცვალა თავისი პირვანდელი აზრი და დაეთანხმა ჯგუფს (ე. ი. ცდის პირთა 80,8%). არ შეიცვალა თავისი აზრი 9 ცდის პირმა (19,2%).

ჯგუფისადმი უარყოფითი განწყობის მქონე 40 ცდის პირიდან 8 შეიცვალა თავისი პირვანდელი შეხედულება და დაეთანხმა ჯგუფს (20%), არ შეიცვალა 32 ცდის პირი (80%).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ექსპერიმენტში მონაწილეობდა ერთი ფაქტორი, რომელიც სოციალურ ფსიქოლოგიაში ცნობილი გამოკვლევების მიხედვით ამცირებს კონფორმულობას. სახელდობრ ის ფაქტი, რომ როცა ცდის პირი ჯერ საჯაროდ აცხადებს თავის პასუხს და შემდეგ იგებს, რომ ჯგუფი სხვა აზრისაა, საზოგადოდ ამცირებს კონფორმულობას. პიროვნებისთვის მიღებულთა ასე მომენტალურად უარი თქვას თავის აზრზე, როცა ყველამ სულ რამდენიმე წამის წინ გაიგონა მისი განსხვავებული პასუხი. ცდის პირს ჯერ რომ გაეგონა ჯგუფის პასუხი და შემდეგ უწევდეს თავისი პასუხის თქმა, უფრო ადვილად შეცვლის თავის აზრს. პასუხის საჯაროობა ამცირებს კონ-

ფორმულობას. ამ ფაქტორის შეტანით ჩვენ შევამცირეთ კონფორმულობა ე. ი. თუმცა დადებით ჯგუფში ცდის პირთა 80,8% იყო კონფორმული, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ ფაქტორის გარეშე კონფორმული პასუხების რიცხვი გაიზარდებოდა: უარყოფით ჯგუფში ცდის პირთა 20% დაეთანხმა ჯგუფს, ამ ფაქტორის გარეშე კი ალბათ მეტი დაეთანხმებოდა. გვეკინებოდა კი ჩვენს ექსპერიმენტში ამ ფაქტორის შეტანა? ამ ფაქტორის შეტანით გამოირკვეოდა ცდის პირის მიერ გამოთქმული აზრის შემთხვევით თანხვედრა ჯგუფთან აზრთან. მაშინ არ გვეკინებოდა უფლება, გვეთქვა, რომ ეს 80,8% მართლაც იმ ცდის პირების რაოდენობაა, რომლებმაც კონფორმული ქცევა გამოამჟღავნა, რადგან ამ რიცხვში შევიდოდნენ ის ცდის პირებიც, რომლებსაც შესაძლოა მისამდეგ ჰქონდათ ჯგუფისნაირი აზრი. რადგან ჩვენს ექსპერიმენტში ჩვენ ჯერ ვისმენდით ცდის პირის აზრს და შემდეგ წინასწარ გაფრთხილებულს, ჯგუფი ყოველთვის ცდის პირის საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა, ცდის პირის მიერ თავისი პირვანდელი აზრის შეცვლა — არ შეცვლა მართლაც კონფორმულობის მაჩვენებლად გამოდის. ასეთი სიტუაციის შექმნა კონფორმულობის კვლევის დროს აუცილებელია, რადგან როგორც ამერიკელი ფსიქოლოგები კესლერებთან აღნიშნავენ, კონფორმულობაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საწყისი შეხედულება, ქცევა, ატიტუდი განსხვავებულია იმისგან, რასაც ჯგუფი ახვევს ინდივიდს თავს.

კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ არ გავვიმიჯნავს კონფორმულობის რომელ სახესთან გვექონდა საქმე — ცდის პირების მიერ ჯგუფისადმი დათანხმება იყო მხოლოდ თანხმობა თუ მიღება. ჯგუფის აზრის მიღებას მაშინ აქვს ადგილი, როცა პიროვნება მხოლოდ მოცემულ მომენტში კი არ ეთანხმება ჯგუფს, არამედ იმდენად იღებს ჯგუფის აზრს, რომ ჯგუფიდან გასვლის შემდეგაც იცავს იმ აზრს, რომელსაც ჯგუფი ამტკიცებდა და რომელიც მან ამ ჯგუფში მიიღო. ჯგუფის აზრისადმი თანხმობის შემთხვევაში პიროვნება მოცემულ მომენტში ვერ უწყევს ჯგუფს აშკარა წინააღმდეგობას და ეთანხმება, თუმცა ეს დათანხმება მხოლოდ დროებითი ხასიათისაა. ჩვენს ექსპერიმენტებში მისთვის დადებით ჯგუფში ცდის პირთა 80,8% დაეთანხმა ჯგუფს, მისთვის უარყოფით ჯგუფში ცდის პირთა 20%. ორივე ამ შემთხვევაში კონფორმულობის ის ფორმა, რომელსაც თანხმობას ვუწოდებთ, სახეზეა. მაგრამ არის თუ არა მათ შორის მიღების შემთხვევები და რამდენია, ამაზე პასუხის გაცემის საშუალება გვეკინებოდა მაშინ, თუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კვითხავდით ცდის პირებს რა შეხედულების არიან იგივე საკითხების შესახებ, რაც ჯგუფში განიხილეს. თუ ცდის პირის პასუხი იქნებოდა ის, რომელსაც ჯგუფი ახვევდა თავს და რომელიც მან ჩვენი ექსპერიმენტის დროს მიიღო, გვეკინებოდა ცდის პირის მიერ ჯგუფის აზრის მიღება. თუ ცდის პირი მოგვეცემდა ისევ თავის პირვანდელ პასუხს, რომელიც ჯგუფის აზრისადმი დათანხმებამდე მოგვცა, ჩვენს ექსპერიმენტში ასეთი ცდის პირის პასუხი ყოფილა კონფორმიზმის იმ სახის მაჩვენებელი, რასაც თანხმობას ვუწოდებთ.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესო იყო არა ეს საკითხი, არამედ რამდენად შეიცვალის ან არ შეიცვალის ინდივიდი თავის აზრს, როცა მას ეწინააღმდეგება ჯგუფი, რომლის მიმართ მას დადებითი ან უარყოფითი განწყობა აქვს.

ექსპერიმენტის მიმდინარეობამ გვიჩვენა, რომ თუ ჯგუფისადმი დადებითი განწყობის მქონე ცდის პირთა უმრავლესობამ (80,8%) შეიცვალა თავისი აზრი და დაეთანხმა ჯგუფს, იმ ცდის პირთა უმრავლესობამ (80%), რომლებ-

საც ჭგუფისადმი უარყოფითი განწყობა ჰქონდა არა თუ შეიცვალა თავისი აზრი. არამედ კამათის ბოლომდე თავგამოდებული ცდილობდა არამც და არამც არ დამდგარიყო ჭგუფის პოზიციაზე, გაექარწყლებინა ჭგუფის არგუმენტები, ხშირ შემთხვევაში საგნებით უგულვებელყო ჭგუფის მიერ მოყვანილი საბუთები, ზოგიერთი ასეთი ცდის პირი აცხადებდა კიდევ: „მაგათ რაც არ უნდა თქვან, მე მაინც ამ აზრის ვარ“. მსგავსი ნეგატივიზმის შემთხვევა არასდროს არ გვაქვს პიროვნებისთვის დადებით ჭგუფში. თვით ის 19,8%, რომელიც მისთვის დადებით ჭგუფში იმყოფებოდნენ და არ შეიცვალეს აზრი ჭგუფის აზრისადმი დათანხმების მიმართულებით, ყურადღებით უსმენენ ჭგუფს არგუმენტებს და აღნიშნავენ „აღბათ, მათ აქვთ გარკვეული საბუთები და გამოცდილება ასე გადაჭრან ეს საკითხი, მაგრამ მე მაინც ჩემი აზრის ერთგული ვრჩები“. ამდენად ეს 19,8%, ცდის პირებისა რომელიც არ იცვლის თავის აზრს ჭგუფის აზრისადმი დათანხმების მიმართულებით მისთვის დადებით ჭგუფში და ის 80%, რომელიც ასევე არ იცვლის თავის აზრს მისთვის უარყოფით ჭგუფში, მიუხედავად გარეგნულად გამოვლენილი ქცევის ერთგვარობისა (ორივე შემთხვევაში გვაქვს არათანხმობა ჭგუფთან), არ შეიძლება ჩაითვალოს ერთნაირ პიროვნებად მათი ქცევის განმაპირობებელი ფსიქიკური მენაარსის მიხედვით.

ცდის პირების ქცევა თვითულ ზემოთ აღწერილ შემთხვევებში უჩვენებს რომ მისთვის დადებით ჭგუფში არ დათანხმება პიროვნების დამოუკიდებლობის ან სიმყარის (როგორც ასეთ პიროვნებას ბოყოფიჩი, ჩუდნოვსკი<sup>9</sup>) და სხვა საბჭოთა მკვლევარი უწოდებენ) მახვენებელია, მაშინ როცა მისთვის უარყოფით ჭგუფში პიროვნების მიერ ჭგუფისადმი არდათანხმების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნათლად გამოხატულ ანტიკონფორმულობასთან.

ჭგუფისადმი პიროვნების განწყობის როლი კარგად გამოიკვეთა ჩვენს ექსპერიმენტში იმის გამოც, რომ საკამათოდ მიცემული იყო საგნებით ნეიტრალური საკითხი, რომლის ასე თუ ისე გადაჭრას არაერთი პიროვნული ღრებულება არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ მისი ასე თუ ისე გადაჭრით ცდის პირს შეეძლო ხაზი გაესვა თავისი და ჭგუფის წევრების განსხვავებულობისთვის ან გამოეხატა თავისი კონვენიალობა ჭგუფის დანარჩენ წევრებისგან.

ჩვენ არ ვეხებით ისეთ საკითხებს, როგორცაა პიროვნების სიმყარე — კოლექტივისტურობის საკითხი, რომელიც რიგ ავტორთა აზრით (პეტროვსკი და სხვები) უპირისპირდება კონფორმისტ-ანტიკონფორმისტის ცნებას. კონფორმისტი ხშირად კოლექტივისტია, მყარი პიროვნების აბრას ხშირად ევარება ანტიკონფორმისტი. ამ ცნებების დაზუსტება და ერთმანეთისაგან გამოყვანა საჭიროა არა მხოლოდ თეორიული მსჯელობის, არამედ ექსპერიმენტულ კვლევის დროსაც, მაგრამ ეს საკითხი დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს.

ჩვენ ამოვდიოდით იმ ჰიპოთეზიდან, რომ კონფორმული ქცევის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმას, როგორცაა კონფორმულობა — ანტიკონფორმულობა განაპირობებს პიროვნების განწყობა, დამოკიდებულება ამა თუ იმ სოციალური ჭგუფისადმი. ჩვენმა ექსპერიმენტულმა მეთოდმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა პიროვნების ჭგუფისადმი განწყობის გავლენა პიროვნების კონფორმულობაზე. იმის მიხედვით, როგორ ჭგუფში არიან, რა განწყობა აქვთ ამ ჭგუფის მიმართ, პიროვნებები განსხვავებული სახის კონფორ-

მულ ქცევას ამჟღავნებენ. სოციალურ ჯგუფში, რომლის მიმართ პიროვნებას ლაღებითი განწყობა აქვს, იგი ამჟღავნებს კონფორმულ ქცევას. ისეთ ჯგუფში კი, რომლის მიმართ პიროვნებას რაიმე მიზეზების გამო შეექმნა უარყოფითი განწყობა, იგი გამოავლენს ანტიკონფორმულ ქცევას.

#### ლიტერატურა

1. Asch S. "Studies of independence and conformity. A minority of one against a unanimous majority". Psych. monograph. 1956.
2. Krech D. Crutchfield R. S. and Ballachey E. L. "Individual in Society". New York, 1962.
3. Петровский „Опыт построения социально-психологической концепции групповой активности“. Вопросы психологии № 5. 1973.
4. Kiesler C. A. and Kiesler S. "Conformity" 1969.
5. Hollander E. P. and Willis R. H. "Some current issues in the psychology of conformity and nonconformity". Ps. bulletin, 1970. Vol. 68.
6. Kelman H.C. and Eagly A. H. Attitude toward the communication, perception of communication content and attitude change. Jour. of personal and social psychology 1965.
7. Zimbardo P. G. and Ebbesen E. "Influencing attitudes and changing behavior". Addison-Wesley. 1969.
8. Шибутани Т. „Социальная психология“ М., 1969.
9. Чудновский В. Э. „О некоторых исследованиях Конформизма в зарубежной психологии“, вопросы психологии. 1971. № 4.
10. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1974, № 4

Л. Г. КАНЧАВЕЛИ

ДИНАМИЧЕСКАЯ СТРУКТУРА — «УСТАНОВКА-  
ОБЪЕКТИВАЦИЯ» И ЕЕ РОЛЬ В САМООБУЧЕНИИ  
АВТОНОМНЫХ СИСТЕМ

Разработка принципиальных вопросов современного работостроения связана с построением теории автономных систем, способных самостоятельно принимать решения в изменяющихся средах. Трудности, возникновение при создании теории автономных систем, обладающих искусственным интеллектом, заставляют обратиться к исследованию процесса решения проблем человека, поскольку человек до сих пор является идеальной автономной системой, а его процесс мышления может рассматриваться в качестве основы самоорганизации поведения.

Многочисленные исследования по психологии мышления свидетельствуют о том, что человеческая интеллектуальная деятельность должна рассматриваться в качестве результата функционирования определенной целостной системы психологической саморегуляции (см., например, Л. Г. Канчавели и др. (4)). Впервые представление о психике как системе саморегуляции было выдвинуто задолго до возникновения кибернетики в исследованиях Д. Н. Узнадзе (7), (8), — в его теории установки. Закладывая основы своей теории, он не применял при анализе психической деятельности понятия самоуправляемой системы. Однако анализ этой теории прямо свидетельствует о том, что ее создатель подходил к структуре психической деятельности именно как к системе саморегуляции. Действительно, в теории установки может быть вычленен управляемый уровень (например, уровень восприятия) и план регулирующий (уровень установки). Сама психическая деятельность выступает как взаимодействие этих уровней, причем оказывается, что форма существования и работа регулирующего уровня не осознается субъектом.

Этот впервые использованный Л. Н. Узнадзе системный подход к психологии, с одной стороны, позволил решить ряд принципиальных теоретических вопросов развития психологической науки; с другой — он оказался эффективным при современном анализе психической деятельности с точки зрения путей ее моделирования.

В настоящем докладе делается попытка использования некоторых понятий теории установки Д. Н. Узнадзе для экспериментального анализа мышления как основы самоорганизации поведения человека. Мышление в данном случае может быть рассмотрено как процесс познания свойств тех элементов, из которых складывается проблемная ситуация (5), (6). В ходе этого познавательного процесса у человека в данной проблемной ситуации происходит формирование установки как регулирующего уровня деятельности.

При этом может быть два случая: В первом случае, при непредвиденном столкновении с проблемной ситуацией, человек формирует адекватную этой ситуации установку, работа которой приводит к решению проблемы. Но возможно столкновение субъекта с такой ситуацией, относительно которой у него ранее сформировалась адекватная установка; она должна быть разрушена для построения новой регулирующей системы отношений, отвечающей особенностям данной ситуации (1), (8), (9), (10), (12). Этот процесс формирования адекватных

и разрушения неадекватных установок осуществляется на основе познавательной мыслительной деятельности. Составным компонентом этой деятельности является процесс, который был назван Л. Н. Узнадзе объективацией. Все это дает основание рассматривать процесс мышления как результат работы системы «установка-объективация».

Впервые роль объективации в разрушении неадекватных мыслительных установок была рассмотрена еще при жизни Д. Н. Узнадзе в исследованиях, выполненных под его руководством Н. Л. Элиава (12). Нашу экспериментальную работу мы рассматриваем как прямое продолжение того направления в психологии установки, которое было намечено в этих исследованиях. Для исследования функционирования системы «установка-объективация» в мышлении прежде всего необходимо создать условия для формирования такой системы отношений между элементами проблемной ситуации, которая выполняет функцию регулятора деятельности по решению проблем. Такую систему мы будем называть интеллектуальной установкой. В отличие от установки, формируемой, например, в процессе восприятия, этот вид психологической регуляции характеризуется полнотой, т. е. многозначностью отношений между отображаемыми объектами.

В наших экспериментах интеллектуальная установка формировалась в процессе последовательного решения однотипных пространственно-комбинаторных задач, которые были названы В. М. Фетисовым эквивалентными задачами (4). Используемый в эксперименте цикл задач строился на основе известной игры «5», в которой от некоторого расположения фишек на шести клетках нужно было, пользуясь пустой клеткой, перейти в другое заданное расположение. Среди всей совокупности задач игры «5» могут быть выбраны такие, которые, при всем их отличии друг от друга, по существу является одной проблемной ситуацией.

Так, например, задача преобразовать  $\begin{matrix} 1 & 5 & 2 \\ & 4 & 3 \end{matrix}$  в ситуацию  $\begin{matrix} 5 & 3 & 4 \\ & 1 & 2 \end{matrix}$  и преобразовать  $\begin{matrix} 4 & 2 & 3 \\ & 5 & 1 \end{matrix}$  в ситуацию  $\begin{matrix} 2 & 1 & 5 \\ & 4 & 3 \end{matrix}$  лишь на первый взгляд кажутся разными задачами. На самом деле обе эти задачи могут быть выражены следующей обобщенной схемой, которую целесообразно записать в буквенной форме: преобразовать  $\begin{matrix} \Gamma & A & D \\ & B & B \end{matrix}$  в ситуацию  $\begin{matrix} A & B & B \\ & \Gamma & D \end{matrix}$ . Эта обобщенная схема позволяет создать многие десятки эквивалентных задач, в которых имеет место одно и то же соотношение исходной ситуации с точки зрения ситуации конечной.

В ходе последовательного решения задач такого рода испытуемый не сразу понимает их общность и обнаруживает обобщенную схему в процессе их последовательного решения. Есть все основания думать, что при последовательном решении таких эквивалентных задач у испытуемого формируется определенная установка. Этот процесс формирования установки при последовательном решении эквивалентных задач может быть сопоставлен с процессом фиксации установки в классических экспериментах Д. Н. Узнадзе. Сформированная на основе интеллектуальной деятельности по решению задач установка может быть обнаружена с помощью приема, который в нашем эксперименте был охарактеризован как смена эквивалентности. Прием состоял в том, что на определенном этапе испытуемому без предупреждения предъявляли задачу, относящуюся к другой обобщенной схеме. При этом предполагалось, что установка, сформированная при решении задач первого типа эквивалентности, будет противоречить новой ситуации, что приведет к изменению различных параметров процесса решения; из-

меняется время решения, характер познавательной деятельности, — станут иными ведущие к цели попытки преобразования ситуации. Именно этот прием смены эквивалентности, в принципе аналогичный переходу от неравных объектов к равным — в классических экспериментах по установке позволил в наших опытах обнаружить интеллектуальную установку.

Для количественной характеристики той познавательной деятельности, на основе которой осуществляется формирование и смена интеллектуальных установок, задачи игры «Б» предъявлялись испытуемому таким образом, что фишки с цифрами в исходной и конечной ситуации были перевернуты и скрыты от него. Для того, чтобы прочесть исходную и конечную ситуации и осуществить процесс решения, испытуемый вынужден был переворачивать каждую фишку в отдельности. Все перевернутые фишки в процессе решения могут быть расклассифицированы на две группы. Одна группа включает в себя действия по первоначальному осмотру исходной и конечной ситуаций, по запоминанию этих ситуаций. Результатом такого первоначального ознакомления является понимание испытуемым требований задачи и формулирование им для себя цели, которую надо достигнуть. Другие осмотры возникают в процессе решения. Испытуемый еще и еще раз обращается к той или иной фишке. Некоторые из этих повторных осмотров можно отнести к области памяти — человек как бы уточняет расположение фишки. Но, по крайней мере, некоторые из повторных осмотров могут быть квалифицированы как выражение познавательной деятельности. В теории Д. Н. Узнадзе такого рода повторные осмотры объектов, из которых складывается ситуация, получили название объективации.

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში წარმოიშვა ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს ადამიანის შესახებ მეცნიერებისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართება ისე გაიგოს, რომ შესაძლებლად იქნას მიჩნეული ადამიანისა და მისი ქცევის შესახებ ცოდნაში თეორიული სინთეზის მიღწევა სხვადასხვა პარტიკულარისტული ფსიქოლოგიური თეორიების ეკლექტიკური მორიგებით. გ. ოლბორტი ამ მიმდინარეობას ეკლექტიზმის „მასპინძელს“ უწოდებს, და ასეთად თანამედროვე ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიურ მიმდინარეობას ასახელებს. ამის ნათელსაყოფად გ. ოლბორტს მოყავს Van Kaam-ის შეხედულებები. ვან კაამი, წერს ოლბორტი, — მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიაში აღწევენ ადამიანის ქცევის მხოლოდ იზოლირებული პროფილების შემეცნებას. ამ იზოლირებული მონაცემების სრული ინტეგრაციისათვის, მისი აზრით, სრულად არაა საკმარისი არც მათემატიკური, არც სტატისტიკური, არც ფიზიოლოგიური, არც ბიოქიმიური და სხვა ამგვარი კონსტრუქციები. ვან კაამს მიაჩნია, რომ ამ ნაწილობრივი ასპექტების ურთიერთდაკავშირება ადამიანის არსების შესახებ იმ მთლიანობითი ფილოსოფიური თეორიის საფუძველზეა მხოლოდ შესაძლებელი, რასაც გვთავაზობს ეგზისტენციალისტური მიმართულება. ეს მიმართულება მაქვს მე მხედველობაში, როდესაც ჩემს წერილში აღვნიშნავ: ამ შეხედულების მიხედვით გამოდის, რომ „ადამიანისა და მისი პიროვნების შესახებ სინთეზური, მთლიანობითი თეორიის აგება მხოლოდ ფილოსოფიური განზოგადების დონეზეა შესაძლებელი“. ამასთანავე დავსძენ: ფილოსოფიური თეორიის მნიშვნელობის ასეთი გაგება იმის აღიარებას ნიშნავს, რომ „ადამიანისა და მისი პიროვნების შესახებ მეცნიერული ცოდნა პრინციპულად ეკლექტიკურია და იგი არ შეიძლება სინთეზური და სისტემატური იყოს“ (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 25). გამოდის, რომ მხოლოდ და მხოლოდ ეკლექტიზმი რჩება ფსიქოლოგიის ხედვრად ადამიანისა და მისი ქცევის შესახებ ცოდნის სისტემის აგების საქმეში. ამ კონცეფციაში ადამიანის ფილოსოფიური ცოდნა გააზრებულია, როგორც ადამიანის ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებზე „მაღლა მდგომი“ „მეტათეორია“.

მიმაჩნია რა ასეთი შეხედულება მცდარად, ვწერ: „თანამედროვე საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს თვითონ შესწევთ ძალა მთლიანად ადამიანისა და მისი ბუნების შესახებ ჩამოაყალიბონ ერთიანი სისტემატური ცოდნა, სინთეზური თეორია. თუ ვინმე ამ ამოცანას ისევ ფილოსოფიის საგნად მიიჩნევს, ეს ფაქტობრივად ფილოსოფიას უსაგნოდ ტოვებს“ (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 25).

ჩემი ამ დებულების თაობაზე ა. ბოჭორიშვილი წერს: „რას ველოდით და რა მივიღეთ? იმის ნაცვლად, რომ მოგვემინა ფილოსოფიის როლის შესახებ ფსიქოლოგიის მუშაობაში, ადამიანისა და მისი პიროვნების შემეცნებაში, ა. ფრანგიშვილი გვეუბნება: ეს მთლიანად სპეციალური მეცნიერების საქმეა და ფილოსოფია აქ ზედმეტია, — მისი ჩარევა ამ საქმეში მომაკვდინებელია თვითონ ფილოსოფიისათვის, ეს მისი უსაგნოდ დატოვება; ლაბარაკი ფილოსოფიის დადებითი ფუნქციის შესახებ ადამიანის შესწავლის საქმეში უსაფუძვლოა და საზრიანი. ასეთია ა. ფრანგიშვილის გამოკვლევის შედეგი“ (ა. ბოჭორიშვილი. დასახ. წერილი, გვ. 170). ამის მსგავსს მე არაფერს ვამტკიცებ! პირიქით, ჩემს წერილში ნაჩვენებები მაქვს სწორედ „ფილოსოფიის როლი ფსიქოლოგიის იმ მუშაობაში“, რომელიც მიმართულია ფსიქოლოგიაში „მეცნიერული მონიშმის“, მეცნიერული სინთეზის მისაღწევად. ადამიანის ქცევაში ურთიერთდაპირისპირებული ტენდენციების — „ავტომატიზმისა“ და „ავტონომიზმის“ და ა. შ. — ერთ სინთეზურ თეორიაში წარმოდგენა ბურჟუაზიულმა ფსიქოლოგიამ ვერ შეძლო, ამიტომაც სინთეზური თეორიის აგების ამოცანა „თანამედროვე ინტელექტის ლიმიტების ფარგლებს გარეთ მდებარედ“ (გ. ოლპორტი) იქნა მიჩნეული. ჩემს წერილში ვეცადე გამოვჩინო, რომ მხოლოდ დიალექტიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ ლენინური მოძღვრების შუქზე ხდება ნათელი, რომ ერთი და იმავე მოვლენაში ურთიერთდაპირისპირებული ტენდენციებისა და მხარეების დადგენა წარმოადგენს ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში თეორიული სინთეზის მიღწევის საფუძველს; გარკვეული იქნა ესეც: ასახვის ლენინური თეორია ნათელს ხდის, რომ ადამიანის ქცევის შესახებ მოძღვრებაში „ავტომატიზმისა“ და „ავტონომიზმის“ თეორიების ერთნაირად დასაბუთებულობის ფაქტიდან არაფრით არ გამომდინარეობს ფსიქოლოგიაში მეცნიერული სინთეზის ეკლექტიზმით შენაცვლების აუცილებლობა, რის დამტკიცებასაც ცდილობდა გ. ოლპორტი თავის მოხსენებაში მეცნიერული ფსიქოლოგიის XVII საერთაშორისო კონგრესზე. ჩემს წერილში მთელი მსჯელობა ისეა მიმართული, რომ საფუძველს მაძლევს დავასკვნა სწორედ „ფილოსოფიის როლის შესახებ ფსიქოლოგიის მუშაობაში“: „ამრიგად, ნათქვამია წერილის დასკვნაში, მატერიალისტური დიალექტიკის, ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზეა შესაძლებელი სწორად იქნეს ვაგებულოცა და დაძლეულიც ფსიქოლოგიური მეცნიერების სისტემის აგების სიმწეუნე“ (ა. ფრანგიშვილი დასახ. წერილი, გვ. 32). ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ა. ბოჭორიშვილი სწორად არ ვადმოცემს საქმის ნამდვილ ვითარებას, როდესაც წერს, თითქოს მე ვემზრობოდე „ადამიანის შესწავლის საქმეში ფილოსოფიის დადებითი ფუნქციის მტკიცების უსაფუძველობას“ (ა. ბოჭორიშვილი. დასახ. წერილი, გვ. 170). პირიქით, ჩემს გამოკვლევაში ნაჩვენებია სწორედ „ფილოსოფიის როლი ფსიქოლოგიის მუშაობაში“; მაგრამ საქმე ისაა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ფილოსოფიის მნიშვნელობა ფსიქოლოგიაში თეორიული სინთეზის პრობლემასთან დაკავშირებით.

როგორც აღვნიშნე, მე ამ საკითხს მხოლოდ ერთ ასპექტში განვიხილავ; სახელდობრ, იმ მხრივ, რომ ვაჩვენო: დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის ლენინური განსაზღვრა გამორიცხავს ადამიანის შესახებ ფილოსოფიურ თეორიასა და ადამიანის მეცნიერულ, ფსიქოლოგიურ მოძღვრებას შორის ურთიერთდამოკიდებულების ისეთ ვაგებას, რომელსაც ავითა-

რებს, მაგალითად, ვან კაში, გამომდინარე ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიის პრინციპებიდან. ა. ბოკორიშვილი ცდილობს ეს კონცეფცია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიიდან გამომდინარედ წარმოგვიდგინოს.

ადამიანის ფილოსოფიურ და მეცნიერულ ცოდნას შორის ურთიერთობის შესახებ ზემოაღნიშნული ეგზისტენციალისტური კონცეფცია, არსებითად, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების სისტემის, ეკლექტიზმის ნიადაგზე აგებას აკანონებს. ეკლექტიზმის მეთოდოლოგიის ლენინური კრიტიკის შუქზე კინათელია, რომ ეკლექტიზმის მეთოდოლოგია მეცნიერებას საბოლოოდ ამორებს მისი ჰერმეტიკი ამოცანის გადაწყვეტისაკენ მიმავალ გზებს (ა. ფრანგიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 25).

დიალექტიკური მატერიალიზმის მთავარი პრინციპის ლენინური განსაზღვრებიდან გამომდინარეობს ეგზისტენციალიზმის იმ შეხედულების მცდარობა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ფილოსოფიური თეორია, როგორც მეცნიერებაზე „მაღლა მდგომი მეტათეორია“, წარმოადგენს ფსიქოლოგიაში ადამიანის ქცევის ცალკე ასპექტების შესახებ არსებული მონაცემების ინტეგრაციას. დიალექტიკური მატერიალიზმის მთავარი პრინციპის ლენინური განსაზღვრების თანახმად, „დიალექტიკურ მატერიალიზმს არ ესაჭიროება არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა იდგეს“. აქედან ის გამომდინარეობს, აღნიშნულია ჩემს წერილში, რომ „ბუნებისმეტყველებას და საზოგადოებრივ მეცნიერებებს თვითონ შესწევთ ძალა მთლიანად ადამიანის შესახებ ჩამოაყალიბონ ერთიანი სისტემატური ცოდნა და განავითარონ ადამიანის ბუნების შესახებ სინთეზური თეორია“. ჩემს წერილში აგრეთვე აღვნიშნე: როდესაც ფილოსოფიის განვითარების თანამედროვე საფეხურზე დგება ადამიანის შესახებ ფილოსოფიური მოძღვრების ჩამოყალიბების ამოცანა, ამ შემთხვევაში თუ ვინმე დაივიწყებს დიალექტიკური მატერიალიზმის ლენინურ პრინციპს<sup>3</sup> და ადამიანის ბუნების შესახებ სინთეზური თეო-

<sup>3</sup> ამ მიმართულებით „გულშემაფხობის“ ფაქტი ა. ბოკორიშვილის საპასუხო წერილშიაც აღინიშნა. ა. ბოკორიშვილი აღნიშნავს: „ა. ფრანგიშვილის მოღვაწეობაში აღრეც შეიმჩნეოდა ვ. ლენინის დამოწმება ისეთ საქმეზე და იმგვარად, რაზედაც ვ. ლენინს საერთოდ არაფერი უთქვამს, და, რომც ეთქვა, იმას მაინც არ იტყოდა, რასაც მას მოაწერს ა. ფრანგიშვილი“ (ა. ბოკორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). ა. ბოკორიშვილს დიდი შრომა გაუწევია იმისათვის, რათა როგორმე ასეთი ვანცხადების გაკეთებისათვის რაიმე „საბუთის“ მოეხაზა. მას არ დაზარებია 40 წლის ხანდაზმულობის სამეცნიერო არქივს გაცნობილი და ასეთი საბუთის „აღმოჩენა“ მიუზღწევია ერთი ადგილი ჩემ მიერ 1934 წელს გამოქვეყნებულ წერილში. მე მიწერია: „...პედოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა, მოთხოვნის მისი თეორიული საკითხების „განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფების თვალსაზრისით“ განხილვის, როგორც ამოძრავა ამხ. ლენინ... (იხ. ა. ბოკორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). ამ ფრაზის შესახებ ა. ბოკორიშვილი წერს: „ვ. ი. ლენინის ნაშრომი არ არის მითითებული, არც შეიძლება იყოს მითითებული: ვ. ი. ლენინს არსად უხსენებია „პედოლოგია“ (იხ. Справочный том к полному собранию сочинений В. И. Ленина, часть I, Москва, 1969), და არც მისი დაცვა უცხირია“ (იქვე, გვ. 179).

ჩემი წერილიდან ა. ბოკორიშვილის მიერ ამოღებულ ფრაზაში მე ვავითარებ საკუთარ დებულებას პედოლოგიის თეორიული საკითხების განხილვის წესის თაობაზე; კერძოდ, ვიცავ მოსაზრებას ამ საკითხების პარტიულობის პრინციპის მიხედვით განხილვის აუცილებლობის შესახებ. პარტიულობის პრინციპის მიხედვით საკითხების განხილვის შინაარსი კი დამოცემული მაქვს ლენინის სიტყვებით. ამ წინადადებაში ის, რაც მოტანილია როგორც ლენინის გამოთქმა, მართლწერის წესის მიხედვით, ბრჭყალებშია ჩასმული — ესაა გამოთქმა: — „განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფების თვალსაზრისით“. ა. ბოკორიშვილი ცდილობს მიჩქმალოს ეს ფაქტი, შეცდომაში შეიყვან-

რის ამოცანას ისევ ფილოსოფიის საგნად მიიჩნევს, იგი ფაქტიურად ადამიანის შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებას უსაგნოდ დატოვებს.

ა. ბოქორიშვილია ჩემი ასეთი დასკვნები ისე წარმოადგინა, ვითომ მე ვამტკიცებდე, რომ „ფილოსოფიის ეკრძალება ადამიანის შესწავლა“, „რომ ადამიანის შესწავლაში ფილოსოფიის ჩაბრუნება დაუშვებელია“ (გვ. 178) და მოვიტხოვდე „ადამიანისა და მისი პიროვნების შესწავლას საქმიდან ფილოსოფიის საბოლოო ჩამოცილებას“ (ა. ბოქორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). არსად არაფერს ამგვარს ჩემს წერილში მე არ ვამტკიცებ. ამას ის ადგილებიც მოწმობენ, რომლებიც ჩემი წერილიდან მოყავს ა. ბოქორიშვილს. ჯერ ერთი, ჩემს წერილში მე არ განმიხილავს, საერთოდ, ადამიანის როგორც ფილოსოფიის საგნის საკითხი. გარდა ამისა, ადამიანის შესახებ ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის ურთიერთმიმართების შესახებ არა ყოველგვარო, არამედ სრულიად გარკვეული შეხედულება მიმაჩნია შეუთავ-

ნოს მკითხველი და საქმის ვითარებას ისე წარმოადგენს, თითქოს მოყვანილ ციტატაში როგორც ლენინის გამოთქმა მოტანილი იყოს მთელი ეს ფრაზა დაწყებული სიტყვა „პედოლოგიით“.

ვიწივრებ, რაც ამ ციტატაში ნამდვილად მოტანილია როგორც ლენინის გამოთქმა, ის, სათანადო წესის დაცვით, ბრჭყალებშიცაა ჩასმული.

ახლა ისაა გასარკვევი, ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ლენინს ის გამოთქმა, რომელიც ა. ბოქორიშვილის განცხადებით, მე მივთვრე ლენინს, თორემ თვითონ ლენინს ასეთი გამოთქმა არსად არ აქვს ნახშირი. მოვიყვან მთელ წინადადებას, საიდანაც ჩემს წერილში ციტირებული გამოთქმა ამოღებული. ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი“ წერს: „მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას გ ა ნ ს ა ზ რ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ი ქ ე უ ფ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ს ე“ (ხაზი ჩვენი, ა. ფ.)— იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, ტ. I, გვ. 481. ცნობილია, რომ ჩვენ მიერ დამოწმებული გამოთქმა გამოხატავს ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ ლენინური თეორიის დედაბარს. ა. ბოქორიშვილი წერს, რომ მე ზემოთყვანილ ფრაზაში „ლენინს ვიმოწმებ ისეთ საქმეზე, რაზედაც ვ. ლენინს საერთოდ არაფერი უთქვამს“ (ა. ბოქორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 178). გამოდის, რომ ლენინს არაფერი უთქვამს ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

მე 1934 წელს არ ჩავთვალე საჭიროდ ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ ლენინის ზემოთყვანილი კლასიკური გამოთქმის წყაროს დასახელება, რადგანაც იგი მეტად ცნობილად მიმაჩნდა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ 40 წლის შემდეგ— 1974 წელს — ფილოსოფიის დარგის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი ლენინის თხზულებათა სრული გამოცემის „საცნობარო ტომშიაც“ ვერ მონახავდა იმ ადგილს, სადაც მითითებულია ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ ლენინის გამოთქვების პირველწყაროები! ა. ბოქორიშვილი წერს, რომ მან ვერ ნახა გამოცემაში — «Справочный том к полному изданию собрания сочинений В. И. Ленина», т. I, М., 1969 — მითითება ლენინის იმ გამოთქმაზე, რომელიც ჩემი წერილიდან მის მიერ ამოღებულ ფრაზაშია ნახსენებული. ა. ბოქორიშვილიც ვალდებული იყო მართლწერილობის წესებზე დაეთვალისწინებინა და ლენინის თხზულებათა გამოცემის «Справочный том»-ში ექებნა იმ გამოთქვების პირველი წყარო, რომელიც ჩემს ფრაზაში, როგორც ლენინის გამომოქმედა, ბრჭყალებშია ჩასმული; მაშინ ის ადვილად მიაგნებდა იმ ადგილს სადაც აღნიშნულ გამოცემაში ამ გამოთქმის პირველი წყაროა მითითებული. ამ გამოცემაში აღნიშნული გამოთქმის პირველი წყარო მითითებულია დანაყოფში: «Партийность в общественной науке и философии», I, 418—419 (Справочный том к полному собранию сочинений В. И. Ленина, т. I, Москва, 1972, стр. 455). ფილოსოფიაში პარტიულობის პრინციპის შესახებ ლენინური მოძღვრების პირველი წყაროების კვლავ და კვლავ მოგონება მით უფრო საჭირო და აუცილებელია, რომ ჯერ კიდევ, და არც ისე იშვიათად, ვხვდებით ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერის ისეთ გამოკვლევებს, რომლებიც ოდნავადეც არ აცნობიერებენ იმ მოთხოვნას, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფიის თეორიების ყოველი შეფასების დროს სავალდებულოა დადგინა „გ ა ნ ს ა ზ რ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ი ქ ე უ ფ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ს ე“, როგორც ამბობდა ამხ. ლენინი.

სებლად მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიასთან. დიას! კატეგორიულად ვამტკიცებ: მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიასთან სრულიად შეუთავსებელია ადამიანის ფილოსოფიური ცოდნისა და მეცნიერული, ფსიქოლოგიური ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხის გადაჭრა ეგზისტენციალიზმის ფილოსოფიიდან მომდინარე თვალსაზრისის მიხედვით (ვან კამი), რომელსაც გამოექომაგა ა. ბოჭორიშვილი. ეს თვალსაზრისი იმის მტკიცებაზეა აგებული, რომ მეცნიერული, ფსიქოლოგიური ცოდნა მხოლოდ ეკლექტიკურია, რომ მეცნიერებას არ მოეთხოვება ადამიანისა და მისი პიროვნების შესახებ სინთეზური თეორიის განვითარება, და ასეთი თეორიის შემუშავება მეცნიერებაზე „მალა მდგომად“ წარმოდგენილი ფილოსოფიის კომპენტენციაში შედის, და არა მეცნიერებისა. ადამიანის შესახებ ფილოსოფიური და მეცნიერული, ფსიქოლოგიური ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხის გადაწყვეტის ყოველგვარი ცდა, რომელიც აღნიშნული ხასიათის მტკიცებას არ გამოირიცხავს, სრულიად შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიურ მოძღვრებასთან, რომელსაც არ ესაჭიროება „არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მალა იდგეს“. ვინც ადამიანის შესახებ ფილოსოფიური ცოდნის კანონიერებას სხვა გზით ვერ დაამტკიცებს, თუ არა ადამიანის ბუნების შემსწავლელ მეცნიერებაზე „მალა მდგომი“ ფილოსოფიური „მეტათეორიის“ არსებობის აუცილებლობის დამტკიცების ცდით, ის ჰემმარტიად უსაგნოდ დატოვებს ადამიანის შესახებ ფილოსოფიურ მოძღვრებას. ადამიანის შესახებ სინთეზური თეორიის დამუშავება მეცნიერებას მოეთხოვება და მის კომპენტენციაში შედის. ამას გვასწავლის დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია. ა. ბოჭორიშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დიალექტიკის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ მოძღვრება თავისთავად უკვე იმას ნიშნავს, რომ „სპეციალურ მეცნიერებას არ შეუძლია საკუთარი ძალებით ააგოს ადამიანის, მისი ქცევისა და მისი პიროვნების შესახებ ერთიანი სინთეზური თეორია“. ამის მიხედვით, ასე გამოდის, რომ მეცნიერების კომპენტენციად არ იგულისხმება ადამიანის შესახებ სინთეზური თეორიის აგება (ა. ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 176). დიალექტიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის მნიშვნელობის ასეთ ინტერპრეტაციას რომ არაფერი აქვს საერთო მარქსისტულ ფილოსოფიასთან, ამას მოწმობს ენგელსის ცნობილი დებულება: „მატერიალიზმი არსებითად დიალექტიკურია და აღარ საჭიროებს სხვა მეცნიერებაზე მალა მდგომ ფილოსოფიას. როგორც კი თვითივე ცალკე მეცნიერებას წაუყენებთ მოთხოვნას, ნათლად გამოარკვეოს თავისი ადგილი საგნებსა და საგნების შესახებ ცოდნის საყოველთაო კავშირში, ყოველი განსაკუთრებული მეცნიერება ამ საყოველთაო კავშირის შესახებ ზედმეტი ხდება. მაშინ ის, რაც ადრინდელი ფილოსოფიიდან დამოუკიდებელ მნიშვნელობას კიდევ ინარჩუნებს, არის მოძღვრება აზროვნებისა და მისი კანონების შესახებ — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა ყოველივე დანარჩენი შედის პოზიტიურ მეცნიერებაში ბუნებისა და ისტორიის შესახებ (ხაზი ჩვენია, — ა. ფ.). (იხ. ფ. ენგელსი — „ანტიდუირინგი“, გვ. 32, 1952, სახელგამი).

ცნობილია, რომ დისკრეტულობა — უწყვეტობის ერთ სინთეზურ თეორიაში გაერთიანება და გააზრება „მეცნიერებაზე მალა მდგომ“ ფილოსო-

ფიურ მეტათეორიაში მეცნიერების ეკლექტიკური თეორიების „შერიგების“ წყალობით კი არ მოხდა, არამედ იმის შედეგად, რომ ეს განცალკევებულად გააზრებული დაპირისპირებულობანი ერთ სინთეზურ თეორიაში გაერთიანებულად წარმოადგინა ქვეანტიკამ მექანიკამ ფიზიკური მიკროობიექტების მიმართ. განწყობის თეორიამ ერთ სინთეზურ თეორიაში გააზრა ადამიანის ქცევის დეტერმინაციისა და მიზანმიმართულობის ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციათა ერთიანობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული სინთეზი გულისხმობს თვით ობიექტური სამყაროს საწინააღმდეგო მხარეების ან ტენდენციების რეალური ერთიანობის გახსნას მეცნიერული შემეცნების გზით. დაპირისპირებულთა ერთიანობის მეცნიერული შემეცნების გზით მიიღწევა თეორიული სინთეზი, — ესაა „კატეგორიული იმპერატივი“ ფსიქოლოგიის თეორეტიკოსებისათვის, გამომდინარე ლენინური მოძღვრებიდან დიალექტიკის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ. აქედან ნათელია, რომ დიალექტიკის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდის შესახებ მოძღვრება იმის მტკიცებას კი არ გულისხმობს, რომ მეცნიერებას არ შეუძლია მხოლოდ საკუთარი ძალებით ააგოს ერთიანი სინთეზური თეორია, როგორც ფიქრობს ა. ბოჭორიშვილი, არამედ პირიქით, იმ შეხედულების განვითარებას, რომ ყველაფერი, რაც შეეხება სინთეზურ თეორიასა და მოთხოვნას, რათა მეცნიერებამ გამოარკვიოს „თავისი ადგილი საგნებსა და საგნების შესახებ ცოდნის საყოველთაო კავშირში“ (ენგელსი), ეს მთლიანად „შედის პოზიტიურ მეცნიერებაში“, როგორც ამბობს ენგელსი. „წინანდელი ფილოსოფიისაგან რჩება „მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა“. დიალექტიკა კი, მარქსის გაგებით, აგრეთვე ჰეგელს თანახმად, შეიცავს იმას, რასაც ახლა უწოდებენ შემეცნების თეორიას“ (ვ. ლენინი, თხ. ტ. XXI, გვ. 48—49, 1951).

ზემოთქმულიდან სულაც არ გამომდინარეობს იმის უარყოფა, რასაც აღნიშნავს ა. ბოჭორიშვილი თავისი საპასუხო წერილის დასკვნით ნაწილში. სწორია, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე აქტუალურია „ადამიანისა და მისი პიროვნების ფილოსოფიური შესწავლა დიალექტიკურ მატერიალიზმში“. უთუოდ დადებით შეფასებას იმსახურებს ა. ბოჭორიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ადამიანის რაობის, მისი არსის ფილოსოფიური თეორია, რომელიც ემყარება ასახვის ლენინურ თეორიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიად იწოდება, არის უშუალო მეთოდოლოგიური (ხაზი ჩვენია, — ა. ფ.) ხელმძღვანელი სპეციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერული დისციპლინებისა, რომლებიც თავის მხრივ აწვდიან ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას ახალ მასალას მისი მეთოდოლოგიის (ხაზი ჩვენია, — ა. ფ.) განვითარებისათვის“ (ა. ბოჭორიშვილი, დასახ. წერილი, გვ. 179). ამასთან დაკავშირებით, ჩვენს წერილში ნათქვამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ თუ „ადამიანის რაობისა და მისი არსის ფილოსოფიური თეორია“ ისევ აიგე-

ბა მეცნიერული ცოდნის ეკლექტურობის მტკიცებაზე და მეთოდოლოგიის მნიშვნელობა ადამიანისა და მისი ქცევის შესახებ მეცნიერების თეორიული სინთეზის კვლავ ფილოსოფიით შენაცვლებაში იქნება დანახული, მაშინ ადამიანის შესახებ ფილოსოფიური თეორია ისევ უსაგნოდ დარჩება. ახალი ვითარების შესატყვისად ადამიანის შესახებ ფილოსოფიური პრობლემის გადაჭრის ახალი გზების დასახვა საჭირო და არა „სხვა მეცნიერებებზე მალა მდგომი ფილოსოფიის“ (ენგელსი) შესახებ უკვე უპუგდებული კონცეფციის აღწარმოება.



[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]



ბიორბი შუხანაშვილი

## ბ. რასელის აზრი ლოგიკისა და ფილოსოფიის ურთიერთობაზე

ლოგიკა და ფილოსოფია, რასელის გაგებით, არის ერთი და იგივე; ამ საკითხის შესახებ მას გამოთქმული აქვს თავისი აზრი წიგნში — „ჩვენი ცოდნა გარეგანი ქვეყნის შესახებ“, რომლის ერთი თავი — „ლოგიკა როგორც ფილოსოფიის არსება“ — ეხება ლოგიკის ბუნების გაგებას. მისი მეორე წიგნის — „მისტიციზმი და ლოგიკის“<sup>1</sup> — ერთ-ერთი თავი („მეცნიერული მეთოდი ფილოსოფიაში“) უფრო ახლო მიდის საკითხთან და ასაბუთებს ფილოსოფიისა და ლოგიკის იგივეობას, ადგენს, თავისი გაგებით, ფილოსოფიის საგანს. „ლოგიკა როგორც ფილოსოფიის არსება და მეცნიერული მეთოდი ფილოსოფიაში“ გამოქვეყნებულია 1914 წელს.

ჩვეულებრივი გაგებით, ლოგიკა არის ფილოსოფიის ნაწილი. ამით იგულისხმება, რომ ლოგიკის გარდა კიდევ არის ფილოსოფიის მნიშვნელოვანი დარგები. ფილოსოფიად ითვლება მოძღვრება მთელი არსებული სინამდვილის არსებისა და საწყისის შესახებ, მოძღვრება შემეცნების საფუძვლების, მისი განმსაზღვრელი კანონების შესახებ. რასელის თვალსაზრისით, ფილოსოფია უნდა იყოს მეცნიერული, იგი უნდა დაფუძნდეს მეცნიერულ მეთოდზე; ამ თვალსაზრისით, ერთადერთ ფილოსოფიად, რომელიც მეცნიერული ხასიათისაა ლოგიკა უნდა ჩაითვალოს.

ჰეგელმა შექმნა ლოგიკა, მაგრამ იგი მეტაფიზიკას ემთხვევა და მისი დებულებების მეცნიერული მეთოდით დასაბუთება შეუძლებელია. რასელი მოითხოვს ისეთ ლოგიკას, რომელიც შეიძლება მეცნიერულად იქნეს დაფუძნებული. დღემდე ფილოსოფოსები მიზნად ისახავდნენ სისტემების შექმნას, რომლებშიც, მათი აზრით, მთელი სინამდვილე უნდა ასახულიყო. ფილოსოფიური სისტემა მთლიანი სინამდვილის შესახებ ცოდნის მომცემი უნდა ყოფილიყო, ასეთი ფილოსოფოსებისათვის სინამდვილე არის სრული და წარმოადგენს რელიგიურ-ეთიკური მიზნის განხორციელებას. რასელი ასეთ ფილოსოფოსებს მიაკუთვნებს პლატონს, სპინოზას, ჰეგელს. რასელის აზრით, ეთიკურ-რელიგიური ინტერესი აბრკოლებდა სინამდვილის მეცნიერულ განხილვას, ხელს უშლიდა ფილოსოფიის მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებას, რადგან მეცნიერების ამოცანა არის საგნის ისე შესწავლა, როგორც ის არსებობს; ხოლო რელიგიურ-ეთიკური ამოცანით, სინამდვილის განხილვა — მისი მიზნის მიხედვით განხილვია. რასელი ამოდის იმ დებულებიდან, რომ სინამდვილე როგორც ერთიანი მთლიანი არ არსებობს, ამიტომ არც შეიძლება არსებობდეს ფილოსოფია, რომელსაც ეს არარსებული ერთიანი მთლიანი სინამდვილე შემეცნების საგნად აქვს. ერთი მთელი იყო პლატონთან იდეა, სპინოზასთან — სუბსტანცია,

<sup>1</sup> B. Russell: Our Knowledge of the external World 1914. Logic as essence of philosophy 1914. Wytstissim and Logic, on scienjijic method in philosophy. 1914.

პეგელთან — თვით შემმეცნებელი იდეა; ისინი ყველაფერს თავისში შეტყვენ, ყველაფერი მათშია, ყველაფერი მათი გამოხატულებაა, ყველაფერს ისინი წარმოშობენ და ისევ თავისში შთანთქავენ. რასელი გაუგებრად თვლის ისეთ შეხედულებას, რომლის მიხედვით ქაოსიც მთელია იმით, რომ ის არსებობს; ე. ი., მისი აზრით, არსებობა და მთელის არსებობა ერთმანეთს არ ემთხვევა. რასელი აქ მართალი არ უნდა იყოს. არსებობა ყველა არსებულს თავისში მოიცავს, მასში ხდება ყველაფრის წარმოშობა და მოსპობა, არაფერი არ არის არსებობის ამ კანონის გარეშე. ამიტომ არსებობა ნამდვილად წარმოადგენს ყველა საგნის ერთიანობას და ეს ერთიანობა, რამდენადაც ის ადამიანის შემეცნებას მოცემული აქვს, შეიძლება ფილოსოფიის საგანი იყოს.

ცნობილია, რომ ცალკეული მეცნიერებანი სინამდვილის სხვადასხვა მხარეებს სწავლობენ, ფილოსოფიამ კი უნდა შეისწავლოს ის როგორც მთელი და იგულისხმება, რომ ეს მთლიანობა არსებობს როგორც ამ ნაწილებისაგან განსხვავებული რეალობა. რასელი იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ ასეთი მთლიანობა არ არსებობს და ამიტომ მის შესახებ არც ფილოსოფია შეიძლება არსებობდეს. აზრი სინამდვილეზე როგორც ერთ მთლიანზე, არის, რასელის თვალსაზრისით, წინაყოპერნიკული ასტრონომიული სისტემის შედეგი. ამ სისტემის მიხედვით, ცის სხეულების ცენტრში დედამიწა იმყოფება. ეს სისტემა დაამსხვრია კოპერნიკალურმა ასტრონომიამ, რომლის შედეგად საფუძველი გამოეცალა იმ რწმენას, თითქოს ადამიანი არის ამ სამყაროს ცენტრში და შეუძლიან ეს სინამდვილე განაგოს. კოპერნიკულმა ასტრონომიამ ნათელი გახადა, რომ დედამიწა წარმოადგენს ცის სხეულთა მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და არა მის შუაგულს. სინამდვილე არის არა რაღაც სისტემა, არამედ ფაქტების გროვა, სინამდვილე შედგება ფაქტებისაგან და არაფერი არ არის ისეთი, რაც ამ ფაქტების მთლიანობას ჰქმნის ანუ არაფერია ისეთი, რაც ფაქტი არ არის და რაც თვითონ ფაქტების საფუძველს წარმოადგენს. ფაქტების ერთიანობაში მომყვანი რომ არსებობდეს, მაშინ ვიტყოდით, რომ ფილოსოფიის საგანი სწორედ ის არის; რასელის აზრით კი, ასეთი რამ არ არის, — ასეთი არსებობის დაშვება შეუძლებელია, რადგან მის არსებობას არაფერი არ ღდასტურებს. რასელი მართალია იმაში, რომ არ არსებობს რაღაც, რომელიც საგნის საფუძველია და საგნისაგან დამოუკიდებელია, საგანში „ზის“ როგორც მისი მხარეების ერთიანობის საფუძველი; მაგრამ მაინც უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ საგნებში არის რაღაც საერთო იგივეობრივი, რაც ყველას მათ აერთიანებს და, ამდენად, მათს საფუძველს წარმოადგენს, ხოლო ყოველი საგანი ამ საერთოს წარმოადგენს. ყოველი საგანი იბადება და ისაობა, ხოლო ის, რისაგანაც ეს საგნებია შედგენილი, მუდმივია და მოუსპობადია; ასეთი რამ არც ენერგიაა, არც მასა, — ესენი ცვალებადნია; ასეთი არის ის, რაც მათი დროულ-ვრცეული გარკვეულობაა. დროულ-ვრცეულობა მუდმივი და უცვლელი ნიშანია რომლის გარეშე არც ერთი საგანი არაა, დროსა და სივრცეშია ის რაც იცვლება და თან ამ ცვალებადობაში უცვლელი და უწყვეტია; სინამდვილე რომ მხოლოდ ცვალებადობა იყოს, ამ ცვლაში დამთავრდებოდა; სინამდვილის არსებობა, თუ მასში არ იქნებოდა ის, რაც ამავე დროს უცვლელია, არ გაგრძელდებოდა, არსებობის ადგილს მისი არ არსებობა დაიჭერდა.

რასელის აზრით ფაქტი ობიექტურია, დამოუკიდებელია ჩვენგან. ფაქტში იგულისხმება არა მხოლოდ საგანი, არამედ — მისი რიცხობრიობა, თვისებრიო.

ბა და მისი მიმართება საგანთან; მაგალითად: A არის დიდი B-ზე, X არის Y-ის მიზეზი და სხვა. ჩვენ მოცემული გვაქვს ფაქტები, რომლებიც ურთიმანეთისაგან განსხვავდებიან და არა ერთიანი მთლიანი სინამდვილე. რასელის ამ აზრის შესახებ ის უნდა ითქვას, რომ მას აქვს მსჯელობა — „უსამყარო არის ფაქტების გროვა“, ამ მსჯელობაში მას სამყარო როგორც მსჯელობის სუბიექტი აღებული აქვს როგორც მთელი, რომელსაც პრედიკატად მიეწერება „ფაქტების გროვა“ ისე, რომ რასელი მთელს როგორც ასეთს თავიდან ვერ იშორებს და, ამდენად, მეტაფიზიკიდან ვერ გადის; სინამდვილე როგორც ფაქტების გროვა დასრულებულად, მთლიანად არასდროს არა გვაქვს მოცემული, ჩვენ ყოველთვის ის გვაქვს მოცემული, რაც გამოცდილებაში გვეძლევა; ამიტომ თუ საკითხი შეეხება ერთიანობას, ჩვენ გვაქვს მხოლოდ გამოცდილებაში მოცემული ფაქტების ერთიანობა და არა მთელი არსებული სინამდვილის მთლიანობა. რაკი სინამდვილის ნაწილი გვაქვს მოცემული, ფილოსოფიურ განზოგადებას არასდროს არ შეუძლიან ცოდნა მოგვცეს მთელს არსებულ სინამდვილეზე. რადგან შემეცნებას მხოლოდ სინამდვილის ნაწილი აქვს მოცემული. რასელის აზრით არ არსებობს არავითარი საფუძველი იმის დასკვნისათვის, რომ როგორც არის მოცემული სინამდვილე, ისეთივეა ის, რაც ჯერ მოცემული არ არის; ამიტომ ისეთი ზოგადი კანონების დადგენა, რომელსაც ექნება უნივერსალური და აბსოლუტური ხასიათი, შეუძლებელია.

რასელის ამ აზრის ჭეშმარიტება დღეს უდავოა, ეს არ არის მისი აღმოჩენა, ეს ინდუქციური დასკვნის თავისებურებაა; მაგრამ რასელი იმაშია შემცდარი, რომ ფილოსოფიისაგან მოითხოვს სინამდვილის აბსოლუტურ ცოდნას. თუ მეცნიერება არის მიახლოებითი ცოდნის მომცემი და ის მაინც არსებობს როგორც ცოდნის დარგი, — რატომ არ შეიძლება არსებობდეს ფილოსოფია როგორც სინამდვილის შესახებ მიახლოებითი ცოდნის მომცემი, ფილოსოფია მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე სინამდვილის იმ ზოგად სურათს დაადგენს, რომელიც აბსოლუტური არ იქნება, რადგან მეცნიერების შემდგომი განვითარება ისეთ რამეს აღმოაჩენს, რომელიც სინამდვილეზე ახალა გაგების საფუძველი შეიძლება გახდეს. აქ არის არა ფილოსოფიის უარყოფის საფუძველი, არამედ იმის საფუძველი, რომ ის არ შეიძლება სინამდვილეზე აბსოლუტური ცოდნის მომცემი იყოს ისევე, როგორც ასეთი ცოდნის მომცემი მეცნიერება არ არის. რასელის აზრით, ერთადერთი ზოგადი არის ლოგიკის კანონები, ბუნებას არა აქვს ზოგადი კანონები. ეს ზოგადი კანონი შემუშავებული გვაქვს ჩვევის ნიადაგზე, რომლის საფუძველი ჩვენს ნერვულ სისტემაშია. როდესაც აზროვნებას ვიწყებთ და ვაღწევთ გარკვეულ წარმატებას, მაშინ ვცდილობთ ამ ჩვენს მოქმედებას გამოვუნახოთ გარკვეული წესები და რასაც ამ მიმართულებით ვაღწევთ, არის შემდეგი: A ყოველთვის მისდევს B-ს, სავნები მიმდინარეობენ ყოველთვის ასე. ჩვენ არა გვაქვს ლოგიკური საფუძველი იმ ფაქტიდან, რომ, თუ ახლა მოვლენები გარკვეულ კანონებით მიმდინარეობენ, მომავალშიც ასე წავლენ მოვლენები, მომავალშიც ამავე კანონს დაექვემდებარებიან ისინი; ისე, რომ კანონის ზოგადობას აქვს არა ლოგიკური საფუძველი, არამედ ფსიქოლოგიური საფუძველი.

ფილოსოფია, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი უნივერსალური კანონების სინამდვილეში აღმოჩენას არის მცდარი. ზოგადი კანონების აღიარებას აქვს მხოლოდ ორნაირი პრაქტიკული მნიშვნელობა: 1) რაკი მოცემული მოვლენების ჯგუფი ამგვარად ხდება, ვასკენით, რომ მისი მსგავსი მოვლენებიც მის გვარად მოხდება; 2) თუ რაიმე მოვლენა ისე არ მოხდა, როგორც მოველოდით, მაშინ ვაყენებთ ახალ ჰიპოთეზას, რომელიც ამ ახალი მოვლენების ასახსნელად გამოგვადგება.

ამგვარად, რასელი ასაბუთებს, რომ სინამდვილე არ არის რაღაც ერთიანი, ზოგად კანონებს დამორჩილებული; უკველ შემთხვევაში ჩვენ ასეთი კანონების არსებობის შესახებ არაფერი არ ვიცით. ფილოსოფიას არ შეუძლია დაეწინააღმდეგოს მეცნიერებას, განაზოგადოს ის და მოგვეცეს ცოდნა ერთიან მთელ სინამდვილეზე, რადგან მეცნიერებაში მიღებული ცოდნა არ არის ზუსტი და ურყევი. თანამედროვე ცოდნა ატომის გულის შესახებ არის სავარაუდო, რომელიც ცოდნის განვითარების ახალ საფეხურზე შეიცვლება. არ არსებობს არავითარი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ დღეს მიღწეული ცოდნა სინამდვილის კანონების შესახებ არის უკანასკნელი და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია სინამდვილის მთლიანი სურათის მოცემა. მაშასადამე, ჩვენს ხელთ არის არა მთლიანი სინამდვილე და მისი აბსოლუტური კანონები, არამედ — გამოცდილებაში მოცემული სინამდვილე და მისი კანონები, რომელთაც აქვთ მიახლოებითი მნიშვნელობა. რა შეიძლება ითქვას რასელის აქ გადმოცემული თვალსაზრისის მიმართ? უნდა აღინიშნოს, რომ რასელის აზრი აბსოლუტური სისტემის აგების შეუძლებლობის შესახებ მართებულია. ეს გარემოება აღნიშნა ფრიდრიხ ენგელსმა ცნობილ ნაშრომში — „ლუდვიგ ფეიერბახი“, სადაც განავითარებს აზრს, რომ ჰეგელამდე, მისი ჩათვლით, ფილოსოფოსები მიზნად ისახავდნენ მოეცათ აბსოლუტური სისტემა, რომელიც იქნებოდა აბსოლუტური ჭეშმარიტების გამოხატულება. ფილოსოფოსები მიზნად ისახავდნენ ასეთ ამოცანას, მაგრამ თვით ფილოსოფიის განვითარებამ დაადასტურა, რომ იგი მიუღწეველია: ერთი სისტემა იცვლება მეორეთი, ერთის აბსოლუტურობის მოთხოვნას ამსხვრევს მეორე. ენგელსი იმ დებულებას ემყარება, რომ სინამდვილე არ არის რაღაც დამთავრებული, ის არის უსასრულო როგორც დროის, ისე — სივრცის მიხედვით და მას ვერც ერთი ფილოსოფიური სისტემა ვერ ამოწურავს; ამდენად რასელი აქ არ არის ახალი აზრის მთქმელი; ამასთან, ეს დებულება სწორია, მაგრამ მისგან რასელს გამოყავს მცდარი დანაკვი, რომლის გაზიარება არ შეიძლება. რაკი აბსოლუტური სისტემის აგება შეუძლებელია, ამიტომ სინამდვილეზე ფილოსოფია შეუძლებელია. როგორც ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ შემეცნების არცერთი დარგი არ ემყარება აბსოლუტურობის მოთხოვნას ანუ ისეთი მსჯელობების აგებას, რაშიც მოცემული იქნება ამ მეცნიერების სავანი თავისი სავსეობით. მეცნიერებანი ვითარდებიან და თანდათან უახლოვდებიან თავისი სავანის შემეცნებას. თუ მეცნიერებებს აქვთ ასეთი მიახლოებითი ხასიათი, რატომ არ უნდა ჰქონდეს ფილოსოფიას როგორც შემეცნების დარგს, აგრეთვე, მიახლოებითი ხასიათი. როგორც მეცნიერებათა სავანი არის ამოუწურავი და მისი ცოდნა მიახლოებითია, ასევე მიახლოებითი იქნება მთელს სინამდვილეზე ფილოსოფიის ცოდნა. რასელი იმაშიც მართალია, რომ ჩვენ სინამდვილე როგორც ერთი მთლიანი არ გვაქვს მოცემული; მოცემულ აწმყო დროში შეუძლებელია მთელი სინამ-



დვილედ გვერდებს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის არის განუსაზღვრელი იმიტომ, რომ მომავალი ჯერ არ არის და ის როგორც სინამდვილე შეუძლებელია მოცემული გვერდებს. რასელის მიერ არც ამ გარემოების აღნიშვნა არის ახალი, — ეს ცნობილი ამბავია კანტის ფილოსოფიის საშუალებით. ცდის სფერო არის უსაზღვრო, რომლის დამთავრებული სინთეზი შეუძლებელია, მისი მთლიანობაში მოყვანა არასდროს არ განხორციელდება, ჩვენ მის შესახებ მხოლოდ იდეალი გვაქვს. სინამდვილე რომ უსასრულოა, რომელიც არ შეიძლება მოცემული ჰქონდეს შემეცნებას, არ წარმოადგენს საფუძველს მასზე ფილოსოფიის არსებობის უარყოფისას, რადგან ფილოსოფია ისევე მიახლოებითს სურათს იძლევა ერთიანი სინამდვილის შესახებ, როგორც თვით მეცნიერებანი იძლევიან მიახლოებითს ცოდნას ამ სინამდვილის ცალკეული მხარეების შესახებ.

რასელის თვალსაზრისი სინამდვილეზე როგორც ფაქტების გროვაზე, შეუძლებელს ხდის არა მარტო ფილოსოფიას არამედ თვით მეცნიერებასაც, რადგან მეცნიერება კანონების აღმოჩენის გარეშე არაფერია. ფაქტი არის შესაძლებელი, ხოლო ის, რითაც მისი შემეცნება ხდება, არის მისი კანონი, — ეს უკანასკნელი კი ყოველთვის ზოგადს წარმოადგენს. სინამდვილე ფაქტების გროვა კი არაა, როგორც ამას ფიქრობს რასელი, არამედ ფაქტების ეს უსასრულო რიგი ერთმანეთზე დამოკიდებული და ერთმანეთით განპირობებულია, რაც გარკვეულ კანონებს ემყარება. სინამდვილე როგორც მთლიანი მარტო იმას არ გულისხმობს, რომ იგი დამთავრებულია, არამედ, პირველ ყოვლისა იგი არის ფაქტების ურთიერთკავშირი. რასელის შენიშვნა მართალია იმ მხრივ, რომ ერთეულ კავშირთა გვერდით ზოგადი კავშირი არ არსებობს, მაგრამ ეს გარემოება ვერ უარყოფს საერთო კავშირის არსებობას. მარტო ის გარემოება, რომ ყველა მათ ეწოდებათ ფაქტები, იმაზე მიუთითებს, რომ მათში არის ერთგვარი ერთობა.

ფაქტთა კავშირი არის ერთეული კავშირი; მაგალითად: ივანე არის პეტრეს ძმა. ეს კავშირი — ივანეს პეტრესთან ძმობის კავშირი — არის მათი ძმობითი კავშირი და იგი არ არის ვახტანგის — ლევანთან ძმობა; ივანესთვის პეტრესთან ძმობა იგივე არ არის რაც ვახტანგის ლევანთან ძმობა, ამ აზრით, ეს კავშირი არის ინდივიდუალური, მაგრამ, მეორე მხრივ, მათი კავშირი არის ერთიანი. ე. ი. კავშირის ინდივიდუალური ხასიათი შეიცავს და გულისხმობს კავშირის ერთიანობას, რამდენადაც ორგანვე არის ძმობა. მასასადამე კავშირი არსებობის მიხედვით არის ინდივიდუალური, ხოლო მნიშვნელობის მიხედვით არის ერთიანი, ზოგადი. მათ შორის ერთიანობის არსებობას ის ფაქტი ადასტურებს, რომ ერთის შვიციანად მეორის ჩანაცვლება. მაგალითად  $x$  არის  $y$  ძმა შეგვიძლიან ჩავსვათ პეტრე არის ივანეს ძმა, ან გიორგი არის იოსების ძმა და სხვა.

მასასადამე არსებობის მიხედვით კავშირი არის ინდივიდუალური, ხოლო მნიშვნელობის მიხედვით კი — ზოგადი. მეცნიერების მიზანია ინდივიდუალურ კავშირებში მნიშვნელობის ანუ ზოგადის აღმოჩენა. ისე რომ როგორც მეცნიერებას ისე ფილოსოფიას აქვს ამოცანად სინამდვილეზე კანონზომიერების მიხედვით დაახლოებით სურათის მიცემა. მეცნიერებანი იმას აღწევენ სინამდვილის რომელიმე მხარის მიმართ, ხოლო ფილოსოფია მეცნიერების მოცემულ დონეზე მთელი სინამდვილის მიმართ. არც ცალკეულ მეცნიერებებს აქვთ თავისი საგანი მთლად მოცემული; ამიტომ მათი ცოდნა არის მიახლოებითი; ასევეა ფილოსოფია, იგი, ცოდნის მოცემულ საფეხურზე ჰქმნის სინამდვილის შესახებ მთლიან სურათს, რომელიც მიახლოებითია. მოცემულიდან დასკვნა

იმაზე, რაც მოცემული არ არის აბსოლუტური სიზუსტით, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ იმას რაც მოცემული არ არის მოცემულთან აქვს განსხვავებულიც და აქვს საერთოც, რაც ჰქმნის მათს ერთიანობას, სწორედ ეს ერთიანობა ხდის შესაძლებელს გადასვლას მოცემულიდან იმისაკენ, რაც მოცემული არ არის, ცხადია ეს საერთო არ არის რაღაც მეტაფიზიკური რეალობა დამოუკიდებელი ამ ერთეულებისაგან და მათს საფუძველში მდებარე, იგი არის ამ ერთეულთა თვისება, რომლის საშუალებით ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული.

მაშასადამე, რასელის თვალსაზრისით სინამდვილის შესახებ ფილოსოფიის არსებობის შეუძლებლობისა არის მცდარ წინამძღვრებზე დამყარებული. ეს წინამძღვრები შემდეგია: სინამდვილის შესახებ რომ ფილოსოფია არსებობდეს, იგი, როგორც მთელი უნდა იყოს მოცემული შემეცნებისათვის და მას უნდა ჰქონდეს ზოგადი საყოველთაო კანონები, რომლებიც, რაკი ერთხელ შემეცნებულია, აღარ შეიძლება მის შესახებ ცოდნა შეიცვალოს. რასელის აზრით, სინამდვილე, როგორც მთელი არ არის და არც შეიძლება ის მოცემული იყოს, ზოგადი საყოველთაო კანონები არ არსებობს, ამიტომ ფილოსოფია სინამდვილის შესახებ შეუძლებელია. ამის წინააღმდეგ დიალექტიკური მატერიალიზმი გამოდის იმ დებულებიდან, რომ სინამდვილე უსასრულოა, რომლის მოცემულობა შეუძლებელია და მისი შემეცნება არის ყოველთვის მიახლოებითი. არსებობენ ზოგად-საყოველთაო კანონები, რომელთა შემეცნებაც აგრეთვე მიახლოებითია და არაა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებული.

რასელი გადადის ეთიკურ-რელიგიურ საფუძველზე აგებული ფილოსოფიური სისტემების კრიტიკაზე, რამაც ნათელი უნდა გახადოს შემდეგი: სინამდვილეს არავითარი მიზანი არ გააჩნია, ამიტომ იქ არ ხდება ზეაღმავალი განვითარება, რომელსაც საფუძვლად უდევს სიკეთის მიღწევა, გაუმჯობესება და სრულქმნა. რასელის აზრით, ასეთი სისტემები არ შეიძლება დასაბუთდეს, რადგან აბსოლუტური — თავისი აბსოლუტური სიკეთით — ჩვენ არა გვაქვს მოცემული. ამ ფილოსოფიის მიხედვით, მთელი სინამდვილე განვითარებაშია: იგი მიდის ნაკლებად უკეთესისაგან — მეტად უკეთესისაკენ, მარტივიდან — რთულისაკენ. რასელის აზრით, ასეთი განვითარება სინამდვილეში არ არსებობს. საქმის ვითარება ასე წარმოიდიგნა ჰეგელმა, რომელმაც გამოსავლად აიღო აბსოლუტური იდეა, რომელიც მიისწრაფვის თვითშემეცნებისაკენ და აღწევს კიდევაც ამას. რასელი ფიქრობს, რომ უსამართლობა იქნება ჰეგელის თვალსაზრისი ჩავთვალოთ მეცნიერულად დასაბუთებულად. უმცირესი ცხოველიდან ფილოსოფოსამდე გაშლილი ისტორია არის განვითარების ისტორია, ამტკიცებს ფილოსოფოსი, მაგრამ ეს არის მხოლოდ მისი აზრი და ეს არ არის ამავე დროს უმცირესი ცხოველის თვალსაზრისი. რასელის აზრით სიკეთის და ბოროტების იდეას არა აქვს არსოლოგიური ხასიათი, ეს იდეები წარმოიშენენ მხოლოდ ჯოჯობის ცხოვრების პირობებში. ამიტომ ცხადია, რომ მასზე ფილოსოფიური სისტემების აგება შეუძლებელია. მაშასადამე რასელი ამ მიმართულებითაც უარყოფს ფილოსოფიის არსებობას. სინამდვილეზე მსჯელობა შეიძლება ორი მხრით: როგორც მთელზე, როგორც საყოველთაო კანონების მქონეზე და როგორც ისეთ მთელზე, რომელიც სიკეთის იდეის განხორციელებაა, რომლის მიხედვით, სინამდვილე არის გაუმჯობესებაში, განვითარებაში; ორივე მხრიდან სინამდვილეზე ფილოსოფია შეუძლებელია, რადგან არც

ერთი ამ მხარეთაგანი არ გააჩნია სინამდვილეს. რასელის აზრით, დღემდე არსებული ფილოსოფია განვითარების გარეშე იყო, ამით ის სრულიად განსხვავდებოდა მეცნიერებისაგან. ფილოსოფოსი მის წინარე ფილოსოფიას კი არ აგრძელებდა, არამედ ის ისევ თავიდან იწყებდა; განსხვავება მხოლოდ თვალსაზრისში იყო: მეცნიერება ნამდვილ განვითარებას იმიტომ წარმოადგენს, რომ წინა მეცნიერის შეხედულებებს შემდგომი მეცნიერი ავითარებს. რასელი ისეთ ფილოსოფიას მოითხოვს რომელსაც მეცნიერების მსგავსად განვითარება ექნება, ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ფილოსოფია სამყაროზე როგორც მთელზე ხელს აიღებს და საგნად აზროვნების ფორმების შესწავლასა და მეცნიერების ანალიზს გაიხდის. აქ რასელის აზრი იმაზე, რომ ფილოსოფია არ ვითარდებოდა და ყოველი ფილოსოფოსი თავიდან იწყებდა, არ არის ნამდვილი ვითარების გამოხატველი. მისი განვითარება თავისებურია და განსხვავდება მეცნიერების განვითარებისაგან. რაიმე მეცნიერული აღმოჩენა, თუ ზუსტი არ არის, შემდგომ დაზუსტდება და მას ახალი მიემატება. ფილოსოფიაში საწყისის ძიება და ერთი საწყისი მეორეთი იცვლება. აქ თითქოს მხოლოდ ერთი საწყისი მეორეთი იცვლება და ცოდნის გაფართოვება არა ხდება; მაგრამ, თუ თვითონ ამ საწყისებს განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ერთი საწყისი მეორეთი უბრალოდ კი არ იცვლება, არამედ ამ ცვალებადობას ცოდნის გაფართოვება უდევს საფუძვლად, ხოლო ამ ცვალებადობას ნამდვილ საწყისთან მიახლოვება აქვს მიზნად. თალესიდან დემოკრატამდე გავლილი გზა არის საწყისის ძიების გზა, მაგრამ ეს საწყისები როდია ერთი და იმავე შემეცნებითი თუ არსოლოგიური მნიშვნელობისა. თალესის წყალი ხილვადი და მატერიის ერთ-ერთი შესაძლებელი სახეა, რომელიც უძალია მთელი არსებულის ახსნისათვის ამიტომ ფილოსოფია ისეთს ეძებს, რაც უფრო მეტს მქონეა წინარესთან შედარებით. იმისათვის, რომ სინამდვილე გავებული იქნას, ანაქსიმენი ამისათვის სინამდვილის საფუძვლად ჰაერს აიღებს და ეს ნამდვილად, თალესთან შედარებით, წინ გადადგმული ნაბიჯია იმიტომ რომ, ჰაერი თვალსაჩინოებასაა მოკლებული და იმავე დროს ნივთიერია; შემეცნების შემდგომ საფეხურზე აღმოჩნდება, რომ იგიც ნაკლოვანია, რადგან ის მაინც ერთ-ერთი კერძო სახეა ნივთიერი სინამდვილისა, ამიტომ ანაქსიმანდრე მივა აპერიონის ცნებამდე, რომელიც ისეთია, რომ ყველა არსებულის ნაწილებს შეიცავს და მისი საშუალებით შეიძლება არსებული აიხსნას. ესეც ნაკლოვანი აღმოჩნდა. მართალია ის ყველა არსებულის ნაწილებს შეიცავს, მაგრამ მისგან როგორ შეიძლებოდა ხილული სამყაროს წარმოშობა აპერიონის საფუძველზე არ წყდება და ამის გამო დემოკრიტე მივა იმ აზრამდე, რომ იტყვის: სამყაროს საფუძველშია უხილავი ატომები, რომელთაც სიდიდე და ფორმა აქვთ, — ეს ატომებია ყოველი ხილული საგნის ამგები და თვით სულიც, რომელიც ადამიანის აუცილებელი მხარეა, ატომებისაგან არის შედგენილი, როგორც აქედან ჩანს, თუმცა ყოველი ეს ფილოსოფოსი საწყისს ეძებს, მაგრამ აქ განვითარებას მაინც ადვილი აქვს, რადგან ის თანდათანობით მიდის სამყაროს შედარებით ნამდვილ საწყისთან, ამავე დროს არც წყალი არც ჰაერი არც აპერიონი სრულიად უარყოფილი არ არის, ისინი საწყისები არ არიან, მაგრამ ამ ახალი საწყისით ისინი ახსნას ლებულობენ.

რასელმა უარყო ფილოსოფია როგორც მოძღვრება სინამდვილის შესახებ, მაგრამ მას ამით ფილოსოფიის სრული უარყოფა არ მოუხდენია. რასელის

აზრით, როგორც დასაწყისში აღინიშნა ფილოსოფია არის თვითონ ლოგიკა. ლოგიკის სფერო არის ფილოსოფიის სფერო. ლოგიკას აქვს სპეციალურ მეცნიერებათაგან განმსახვავებელი ნიშნები. მეცნიერებებს თავის საგნად აქვთ კონკრეტული, აქტუალური სინამდვილე, რომელიც გამოიხატება მსჯელობაში.

მაგალითად, ასტრონომიაში არის მსჯელობები, რომელიც ეხება მზის სისტემას; მთავარს, მზეს, დედამიწას და სხვა ვარსკვლავებს და პლანეტებს; ფიზიკაში არის დებულებები, რომელიც ეხება სხეულებს, მათს მოძრაობას და მოძრაობის კანონებს სივრცისა, დროისა, მასისა, ენერჯიისა; ბიოლოგიაში არის კიდევ სხვა მსჯელობები რომლებიც ეხებიან ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობას, მათს ანატომიას, მათს ფიზიოლოგიურ პროცესებს და სხვ.

ყველა ეს მსჯელობები არის კონკრეტული, ამ მსჯელობების ხასიათი განსაზღვრულია მათი მოცემულ საგანთან მიმართების ხასიათით; ხოლო ფილოსოფიური მსჯელობა არის ზოგადი მსჯელობა და ეს იმას ნიშნავს, რომ მასში არც ერთი კონკრეტული საგანი, არც ერთი კონკრეტული შინაარსი არ იგულისხმება. რაკი ფილოსოფიური მსჯელობა არის ზოგადი, შეიძლება გამოყენებული იქნას ყველა არსებულისა და ყველა შესაძლებელ არსებულისადმი. ფილოსოფიური მსჯელობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, საგანი ეხლა არსებობს, თუ არ არსებობს; ის არ არის არსებული საგნით შემოსაზღვრული. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ის იქნებოდა ცალკეულ საგნებზე მიმართული მსჯელობა, ის იქნებოდა მეცნიერებისა და არა ფილოსოფიური მსჯელობა. ფილოსოფიური მსჯელობა შეიძლება გამოდგეს ყველა ინდივიდუალური საგნისადმი. ფილოსოფიური მსჯელობა როგორც ზოგადი, რასელის აზრით, იმას არ ნიშნავს, რომ არსებობს მსჯელობის ისეთი სუბიექტი, რომელიც განსხვავდება ინდივიდუალური საგნებისაგან და მას მიეწერება პრედიკატები. არ არის ისეთი თვისებები, რომლებიც მიეწერება საგნებს კოლექტიურად. ეს თვისებები მიეკუთვნება ყოველ საგანს თავისთვის, ე. ი. ეს თვისებები საგნებს მიეწერება დანაწილებულად, ასეთ ვაგებას რასელი უწოდებს ლოგიკურ ატომიზმს ანუ აბსოლუტურ პლუარიზმს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის ისეთი მთელი, რომელიც მოიცავს ყველა საგანს; ესენი არიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ეწოდებათ ფაქტები, — უფრო ზუსტად, — მათ ეწოდებათ ატომური ფაქტები, ხოლო მათს გამოიხატველ მსჯელობებს ეწოდებათ ატომური მსჯელობები. მაშასადამე, რასელის აზრით, არსებობს არა ზოგადი, არამედ ინდივიდუალური სუბიექტი, რომელსაც მიეწერება არა ზოგადი, არამედ ინდივიდუალური პრედიკატი. რაკი მხოლოდ ატომური ფაქტები არსებობს ამიტომ ფილოსოფიური მსჯელობა ეხება არა საგნებს, როგორც მთელს, არამედ ეხება მათ დანაწილებულად. ფილოსოფიური მსჯელობის პირველი ნიშანი ყოფილა მისი ზოგადობა, ხოლო ფილოსოფიური მსჯელობის მეორე ნიშნად რასელი ასახელებს აპრიორობას. ფილოსოფიური მსჯელობა მსგავსად მეცნიერული მსჯელობისა ცდიდან არ გამოიყვანება, იგი ყოველ ცდაზე უწინარესია, ამიტომ ის არ შეიძლება შემოწმებული იქნეს ცდისეული მეთოდით.

რასელი ფილოსოფიური მსჯელობის ნიშნების ჩამოთვლის შემდეგ იძლევა ლოგიკის ანუ ფილოსოფიის თავისებურ განსაზღვრას, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს ფილოსოფიური მსჯელობის აღნიშნული ორი ნიშნიდან. რასელის აღნიშვნით, ფილოსოფია არის მეცნიერება შესაძლებლობის შესახებ. რასელის თვალსაზრისით, ზოგადი და შესაძლებელი არის ერთი და იგივე: თუ რაიმე ფაქტი შეიძლება არსებობდეს, ის შეიძლება გამოხატული იქნას მოცე-



მული მსჯელობის ფორმით. ლოგიკა არ ირყევებს არც ამ ფაქტის ფიზიკურ, ქიმიურ, თუ სოციალურ თვისებებს, რადგან ეს თვით მეცნიერებათა საქმეა, მისი ამოცანა ამ ფაქტის აზრობრივი გამოხატვის შესაძლებლობის გამოკრევაა. რასეღმა რაჲი უარყო ფილოსოფია როგორც მთელის შესახებ მოძღვრება ამის გამო მას მისი მთლიანი უარყოფა არ მოუხდენია; თუ აქამდე ფილოსოფოსები სისტემებს აგებდნენ, ეხლა ფილოსოფიის საგანი არის მეცნიერების ლოგიკური ანალიზი. რასელი ამბობს, რომ ფილოსოფიის არსება არის ანალიზი და არა სინთეზი, რაჲი ფილოსოფიის საგანი მეცნიერების ანალიზია; ხოლო ეს ანალიზი ლოგიკით სრულდება, ამიტომ ასეთი ფილოსოფიის არსებას ლოგიკა წარმოადგენს. რასელი მათემატიკასა და ფილოსოფიას ერთმანეთს ადარებს და მათ შორის საერთოსა და განსხვავებას ადგენს. მათ შორის იგივეობა ის არის, რომ როგორც მათემატიკა, ისე ლოგიკა ზოგადი მსჯელობებისაგან შედგება, ამავე დროს ეს მსჯელობები ზეცდისეულია, არც მათემატიკა და არც ფილოსოფია თავის დებულებებს ისე არ ამტკიცებს როგორც ეს ხდება ისტორიაში და გეოგრაფიაში, სადაც რაიმეს მტკიცება ფაქტებზეა დამოკიდებული; როგორც მათემატიკის, ისე ფილოსოფიის საგანი შესაძლებელია, ისე, რომ მისი მსჯელობები შეიძლება მიყენებული იქნას ყველა შესაძლებელი მოვლენისადმი. ამ საერთოსთან ერთად მათ შორის განსხვავებაცაა, მათემატიკა იწყება მარტივი მსჯელობებიდან და მიდის უფრო და უფრო რთულ დებულებამდე, ერთმანეთისაგან გამომდინარე რთულ თეორემამდე. ე. ი. მათემატიკა, რასელის აზრით, სინთეზის მომხდენია, ხოლო ფილოსოფია საწინააღმდეგო გზით მიდის, — ის იწყებს მოცემულიდან, ეს არის მეცნიერება და ეძებს მის უმარტივეს ზოგადს, საიდანაც მეცნიერება იწყება; მას მაგალითად მოყავს რიცხვი: ორივე, მათემატიკაცა და ფილოსოფიაც მას სწავლობს, მაგრამ მათემატიკა ადგენს უფრო და უფრო რთულ თეორემებს, ხოლო ფილოსოფია იმ უმარტივეს ეძებს რასაც მათემატიკა ემყარება. რასელმა დაასაბუთა თავისებურად მთელის შესახებ ფილოსოფიის შეუძლებლობა, მის საგნად მეცნიერების ლოგიკური ანალიზი გამოაცხადა და ამით სათავე დაუდო ლოგიკურ ემპირიზმს.

ლოგიკამ განვითარების დიდი გზა გაიარა, მანამ იგი მიაღწევდა თანამედროვე დონეს. ლოგიკა ფილოსოფოსმა არისტოტელემ დაამუშავა და იგი ფილოსოფოსებთან კავშირში ვითარდებოდა. ლოგიკამ ნამდვილ განვითარებას მიაღწია პეანოს და ფრეგეს საშუალებით. ლოგიკის ხანდერები ვაფართოვდა, იგი არ იფარგლება სუბიექტისა და პრედიატის დამოკიდებულების შესწავლით: იგი სწავლობს ისეთ დამოკიდებულებებსაც, რაც სუბიექტისა და პრედიატის დამოკიდებულებებით არ ხასიათდებიან, ასეთია სხვადასხვა სახის მიმართებები. ლოგიკაში ეს მიმართებები გამოსახულია განზოგადებული ფორმით, სიმბოლოებით, რომელნიც მასში შეიჭრა მათემატიკიდან, ლოგიკა იქცა, რასელის აზრით, მათემატიკურ ლოგიკად. ლოგიკა აღარ არსებობს ემპირიული ტერმინებით, რადგან მას საქმე აქვს არა არსებულთან, არამედ — შესაძლებელთან; ამიტომ იგი არის ჰიპოთეზური ხასიათის; მაგალითად: თუ A-ს აქვს B თვისება და B-ს აქვს C თვისება, მაშინ A-ს აქვს C თვისება.

რასელის გაგებით, ახალი, თანამედროვე ლოგიკა არის მათემატიკური იმიტომ, რომ ის არის მათემატიკის ნაწილი, რომ ის არის გამოყენებული მათემატიკის დარგების მიერ. რასელის აქ გადმოცემული შეხედულებებიდან ყურადღება უნდა მიექცეს ორ ძირითად დებულებას: პირველი, რომ ლოგიკა და ფილოსოფია ერთი და იგივეა და მეორე, ლოგიკა ანუ ფილოსოფია არის მათემატიკის ნაწილი.

რასელის დებულება ლოგიკის და ფილოსოფიის იგივეობის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად. ლოგიკის ფორმები შემეცნებაში არიან და არა მისგან განყენებულად; ხოლო შემეცნება ერთი მთლიანია, რომელიც იმის ახსნას მოითხოვს, თუ რაა მისი არსება: შემეცნების არსების გაგება ფილოსოფიის ამოცანაა. შემეცნების თეორია იკვლევს არა სინამდვილის რომელიმე ნაწილს, არამედ ამის შემეცნების შესაძლებლობის პირობებს, მის კანონზომიერებას, ამიტომ გნოსეოლოგიური მსჯელობა სინამდვილის შესახებ ყველა მეცნიერული მსჯელობის მიმართ არის ზოგადი. თუ ფილოსოფიის ნიშანი არის ზოგადობა, ცხადია, რომ შემეცნების თეორია მიეკუთვნება ფილოსოფიას. ლოგიკის მსჯელობა უფრო ზოგადია და უფრო უშინაარსო იმიტომ, რომ ის წმინდა ფორმაა. ხოლო გნოსეოლოგიური მსჯელობა შინაარსობრივია იმიტომ, რომ ყველა მეცნიერული მსჯელობის ზოგადი მხარის გამომხატველია. გნოსეოლოგიური მსჯელობა იმიტომ კი არ არის ზოგადი რომ ის მხოლოდ ფორმაა, რომელიც შეიძლება მიყენებული იქნას ერთეული საგნებისა და მათი მიმართებებისათვის, არამედ იმიტომ, რომ გნოსეოლოგიური მსჯელობები სპეციალური მეცნიერების გამოსავალი დებულებებია; მაგალითად: „ყოველი მეცნიერება სწავლობს საგანს მისი კანონის მიხედვით“, — არის ზოგადი დებულება, რომელიც ყველა მეცნიერებას ეხება და რომელსაც ყველა მეცნიერება ემყარება. მაშასადამე, რაკი რასელის მიერ მიღებულია შესაძლებლობა რაიმე საკითხის გნოსეოლოგიური განხილვისა, მას მიღებული აქვს გნოსეოლოგია როგორც მეცნიერება და ის არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო მეცნიერებად, ის არის ფილოსოფიური მეცნიერება. ასეთად გაგებული ფილოსოფია კი არ შეიძლება იგივე იყოს ლოგიკის მიმართ. რასელი ფილოსოფიას სინამდვილის შესახებ ცოდნისაგან მაინც ვერ ათავისუფლებს, რადგან ლოგიკა შესწავლის წმინდა ფორმას რომელშიც ყოველნაირი შესაძლებელი აზრია მოქცეული, ხოლო ფილოსოფია როგორც მეცნიერების ლოგიკური ანალიზი გულისხმობს არა აზრის წმინდა ფორმებს, არამედ გაშინაარსებულს, რომლებიც მეცნიერების საფუძვლებს და მისგან გამომდინარე შედეგებს გამოხატავენ. რასელის აზრით, თუ ძველ ფილოსოფიას განვითარება არ ახასიათებდა, ამგვარი ფილოსოფია განვითარებადია, რადგან იქ შეიძლება ახალახალი ჰიპოთეზების წამოყენება და მათი ლოგიკური გზით შემოწმება ისე, რომ ამით რასელმა, თავისი გაგებით, ფილოსოფიის ისეთი არე აღმოაჩინა, რომელიც მეცნიერების ცნებას ემთხვევა. რასელმა ფილოსოფიის ძველი გაგება თავიდან ვერ მოიშორა, რადგან სამყაროზე მსჯელობისას ამბობს, რომ ის არის ფაქტების გროვა, მისი საგანი მაინც სამყაროა როგორც ასეთი; თუნდაც ასეთი მსჯელობით — „სინამდვილეს არა აქვს ზოგადი საყოველთაო კანონები“ იმაზე მიუთითებს, რომ მსჯელობის საგნად არის სინამდვილე და ეს მსჯელობა არ შეიძლება სხვა რომელიმე შემეცნების დარგს მიეკუთვნოს თუ არა ფილოსოფიას, რომელსაც სამყარო როგორც მთელი აქვს საგნად.

რასელის შემდეგი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ლოგიკა არის მათემატიკის ნაწილი. უნდა აღინიშნოს როგორც ფაქტი, რომ რასელის ამ თვალსაზრისს ყველა არ იზიარებს და აღიარებენ საწინააღმდეგო შეხედულებას, მაგალითად ჰემპელი, რომელიც ლოგიკური ემპირიზმის წარმომადგენელია, ამბობს, რომ მათემატიკა არის ლოგიკის ნაწილი. ყველაზე ჭეშმარიტი დებულება ის იქნება, რომელიც აღიარებს ლოგიკის მათემატიკისაგან დამო-



უკიდებლობას. რასელი წმინდა მათემატიკას განსაზღვრავს როგორც ისეთი მსგელობების კლასს, რომელთაც აქვთ ფორმა  $p \rightarrow q$ , ისტორიულად ლოგიკას საქმე აქვს აზრთა გამომდინარეობასთან და ეს რჩება მის არსებით ნიშნად. იქ სადაც გამომდინარეობა მისი წმინდა ფორმით არის შემეცნების საგანი საქმე გვაქვს ლოგიკასთან, ხოლო იქ სადაც გამომდინარეობა გამოყენებულია რაიმე შინაარსის გამოხატვისათვის, საქმე გვაქვს რაიმე მეცნიერებასთან. რასელის მიერ წმინდა მათემატიკის ამ მოცემულ განსაზღვრაში არაფერი არ არის მათემატიკური გარდა იმისა, რომ აქ გამოყენებულია მათემატიკური ნიშნები  $p$  და  $q$  და მათი საშუალებით გამოხატულია ლოგიკური გამომდინარეობა. მეცნიერებაში რაიმე ნიშნების გამოყენება მას ვერ გადააქეცვს სხვაგვარ მეცნიერებად, ლოგიკაში ნიშნების გამოყენება მას ვერ აქეცვს მათემატიკად ან მის ნაწილად. მათემატიკას საქმე აქვს ვრცეულ და რიცხობრივ მიმართულებასთან და იქ გამომდინარეობა ამას ემსახურება, ლოგიკაში კი გამომდინარეობა არის აღებული მისი გამოყენების გარეშე.

სიმბოლოები ბევრ მეცნიერებაშია გამოყენებული, მაგრამ ამას ეს მეცნიერებანი არ უკცევია სხვა მეცნიერებად: მაგალითად ფიზიკაში გამოყენებულია სიმბოლოები, მაგრამ ფიზიკა ისევ ფიზიკაა და არა მათემატიკა. მათემატიკური ფიზიკა იმის მიუხედავად, რომ იგი მათემატიკით არის გაპირობებული ისევ ფიზიკად რჩება. დღეს წარმოიშვა მათემატიკური ენათმეცნიერება და იქ ენის საკითხები მათემატიკური მეთოდით მუშავდება, მაგრამ ამის გამო ის მათემატიკად არა ქცეულა და მაინც ენათმეცნიერების ნაწილია. რაკი ასეა ფიზიკა და ენათმეცნიერება, რატომ უნდა იყოს ლოგიკა მათემატიკა მისი მეთოდის გამოყენების გამო, ის მათემატიკა იქნება მისი მეთოდის მიხედვით, ხოლო იმ შინაარსის მიხედვით, რასაც მათემატიკა უდგება, არის არა ისევ მათემატიკა, არამედ მისგან განსხვავებული ცოდნის დარგი.

რასელი თუ ლოგიკას გაიგებს როგორც მათემატიკის ნაწილს, მაშინ მას აღარა აქვს უფლება ამტკიცოს, რომ ლოგიკა არის ფილოსოფია, რადგან მათემატიკის ნაწილი არის ისევ მათემატიკა და არა ფილოსოფია. მათემატიკა თვითონ როგორც მეცნიერება საჭიროებს, რომ დაემყაროს ლოგიკურ კანონებს, მაგრამ მას ემყარება აგრეთვე მთელი შემეცნების დარგები, მთელი ჯამი სპეციალური მეცნიერებებისა, ამიტომ ლოგიკა წარმოადგენს იმ ფორმების, ამ კანონების შემეცნებას, რომელსაც ემყარება მეცნიერული აზროვნება მათემატიკის ჩათვლით. რადგან ლოგიკა იმდენად ზოგადია, რომ მის ფორმებს, მის კანონებს ექვემდებარება მათემატიკა და ყველა მეცნიერება, ამიტომ ცხადია, რომ არც მათემატიკაა ლოგიკის ნაწილი, როგორც ამას ჰეპელი წერს, და არც ლოგიკაა მათემატიკის ნაწილი, როგორც ამას რასელი ამტკიცებს.

როდესაც ლაპარაკია, რომ ყველა მეცნიერება და მათ შორის მათემატიკაც ემყარება ლოგიკის ფორმებსა და კანონებს, შეიძლება დაიბადოს საკითხი: თვით ლოგიკა რაღას ემყარება? ლოგიკა არის მეცნიერება, რომელსაც — როგორც ყველა სხვა მეცნიერებას — ჰქმნის აზროვნება თავისი ლოგიკური კანონებით და ფორმებით, ამიტომ ლოგიკის მეცნიერება ისევე ემყარება მათ, როგორც ყველა სხვა მეცნიერებანი. ლოგიკა წარმოადგენს მხოლოდ რეფლექსიას იმ ფორმებზე და კანონებზე, რომელსაც საერთოდ მთელი ჩვენი შემეცნება ემყარება. ლოგიკას არა აქვს ამოცანად რაიმე კანონები შექმნას მეცნიერებებისათვის. მისი ვალია მხოლოდ მათი აღმოჩენა, ცდა იმ ფსიკურის ჩვენებისა, რასაც შემეცნების ეს უზარმაზარი ოკეანე ემყარება. თუნდაც დაუშვათ სინამდვილის შემეცნების ამოწურვა მათემატიკის საშუალებით, რომ ყველა სპეციალურ მეცნიერებათა მაგიერობას გასწევს მათემატიკა, მაშინაც

კი ლოგიკა იქნება მისგან განსხვავებული მეცნიერება, რომელიც იმას შეისწავლის, თუ როგორ ფორმებში და რა კანონებს ემყარება ეს შემეცნება: ერთი საგნის შემეცნება, ხოლო მეორეა იმ ფორმის შემეცნება რითაც საგანი ხდება შემეცნებული.

აღამიანის აზროვნება ვერასოდეს განთავისუფლდება მთელი სინამდვილის შემეცნების ამოცანისაგან, თვით ფილოსოფიური მოძღვრება სინამდვილის შესახებ ფილოსოფიის შეუძლებლობისა, არის ერთგვარი ფილოსოფია. გნოსეოლოგია, რომელიც სინამდვილის შემეცნების კანონზომიერებას შეისწავლის არის ფილოსოფიური მეცნიერება, ისე, რომ ლოგიკა არის არა ერთად ერთი ფილოსოფია, არამედ ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია მეცნიერებისაგან, რადგან აქვს თავისი საკუთარი საგანი. რაც შეეხება იმ დებულებას რომ ლოგიკა არის ფილოსოფიის არსება, ამაზე შემდეგი უნდა ითქვას: თუ ლოგიკას იმ მეცნიერებად გავიგებთ, რომელიც თანამიმდევრულ აზროვნებას სწავლობს, ამ აზრით, იგი არა მხოლოდ ფილოსოფიის არამედ, გარკვეული აზრით, მთელი მეცნიერებისა და საერთოდ შემეცნების არსებაა, რადგან ამის გარეშე მეცნიერება და საერთოდ შემეცნება შეუძლებელია. ყოველნაირი შემეცნება მსჯელობის ლოგიკურ კავშირში მოყვანას ცდილობს, მსჯელობათა წინააღმდეგობა მეცნიერულ დასაბუთებას შეუძლებელს ხდის.

რასელმა ფილოსოფიას ჩვეულებრივად მიღებული საგანი წაართვა, მას საგნად ჰქონდა მთლიანი სინამდვილე, მაგრამ რადგან ასეთი სინამდვილე, რასელის ვაგებით, არ არის (მისი აზრით, სინამდვილე ფაქტების გროვაა), ამიტომ მის წინაშე დაისვა საკითხი ფილოსოფიის საგნის შესახებ. რასელი, როგორც უკვე ცნობილია, ამბობს რომ ფილოსოფია ანალიზია და არა სინთეზი, ის მეცნიერების ანალიზია, ისე, რომ ფილოსოფიას გარკვეული საგანი აქვს — მეცნიერება და მან ამისი ანალიზი უნდა მოახდინოს; ხოლო ანალიზი ლოგიკურია, ამიტომ ფილოსოფიის არსება არის ლოგიკა. ასეთად გავებული ლოგიკა ფილოსოფია კი არ არის, არამედ მეთოდი, ხოლო ის რაც მას მეთოდად გამოიყენებს შეიძლება ფილოსოფია იყოს. საერთოდ, ლოგიკა ყველანაირი შემეცნების მეთოდი, მაგრამ ისინი ფილოსოფიას არ წარმოადგენენ. მეცნიერების ანალიზს რაც შეეხება, ის ფილოსოფია იმიტომ კი არ არის, რომ ლოგიკას იყენებს, არამედ იმიტომ, რომ მეცნიერული მსჯელობა ზოგადია, რომელიც ყველანაირი შესაძლებელი საგნის გამომხატველია. ერთი სიტყვით, მეცნიერების ანალიზი არის ფილოსოფია, ხოლო მისი მეთოდი არას ლოგიკა, მეცნიერების ანალიზი მხოლოდ ლოგიკითაა შესაძლებელი, რადგან აქ საგნად არა ფიზიკურ-ქიმიური და სხვა ამგვარი სინამდვილეა, არამედ მსჯელობათა ქსელია, რომელიც მხოლოდ ლოგიკურ განხილვას ემორჩილება. თუ ფილოსოფიის საგნად მეცნიერების ანალიზს გავხედოთ, მაშინ მისი მეთოდი ლოგიკური ანალიზი იქნება, მაგრამ ამ ანალიზს არ შეუძლიან აზრის ჭეშმარიტება დაადგინოს. ანალიზი წმინდა ფორმალური ხასიათისაა, რომელიც შინაგანი წყობით ისაზღვრება. ფილოსოფიამ მეცნიერების ის მხარე უნდა აჩვენოს, რითაც მეცნიერული მოძღვრება სინამდვილის გამომთქმელია, ხოლო ასეთი ფილოსოფია შეუძლებელია ლოგიკური ანალიზით შემოისაზღვროს, ის ამავედროს აზრის და არსის ურთიერთობის გამომრკვევიც უნდა იყოს. ასეთი გაგება მეცნიერულ-ლოგიკურ ანალიზს ფილოსოფიის ნაწილად აქცევს.

აქ საჭირო იქნება იმის განხილვა თუ რატომ უნდა ვუწოდოთ ლოგიკას აზროვნების ფორმების მეცნიერება, რომლითაც მისი განსხვავება შინაარსობრივად მათემატიკისაგან ნათელი ხდება; ამ საკითხს ლუკასევიჩი ეხება. ამიტომ საჭიროა მისი საბუთების განხილვა. ლუკასევიჩის გაგებით, ლოგიკა აზროვნების ფორმების მეცნიერება არ არის. აზროვნებას ფსიქოლოგია შეისწავლის. ლოგიკის საგნად აზროვნების ფორმების ქცევა ნიშნავს ლოგიკაში ფსიქოლოგიზმს, ხოლო ეს ლოგიკის დაცემის ნიშანია. არისტოტელესთვის ლოგიკა ასეთი მეცნიერება არ იყო. ლოგიკას მათემატიკაზე მეტად არა აქვს აზროვნებასთან საქმე, აღამიანმა უნდა იაზროვნოს მაშინ, როცა ის მსჯელობს, ან როცა ის ამტკიცებს, ასევე უნდა იაზროვნოს მან, როცა ის მათემატიკურ ამოცანას სწყვეტს. ამ დროს ლოგიკის კანონებს აღამიანის აზროვნებასთან არა აქვთ იმაზე მეტად საქმე, ვიდრე — მათემატიკის კანონებს. ლუკასევიჩის აზრით, ლოგიკის საგანია არა აზროვნება, არამედ მიმართებები და მათი კანონები. ასეთია ლუკასევიჩის აზრი ლოგიკის საგანზე, რომელიც მოცემული აქვს არისტოტელეს სილოგითიკაზე დაწერილ წიგნში. ლუკასევიჩის აზრით, ლოგიკის ფსიქოლოგიზმში არისტოტელე დამნაშავე არ არის, მისი გაგებით, არისტოტელეს ლოგიკა აგებულია A, E, I, O როგორც ზოგადი ტერმინების მიმართებაზე, ამიტომ ასეთ ლოგიკის თეორიას იმაზე მეტი კავშირი არა აქვს ჩვენს აზროვნებასთან ვიდრე მიმართების თეორიას.

ლუკასევიჩის ორი მავალითი მოყავს: პირველი როგორც სილოგიზმის პირველი ფიგურის, თუ a მიეკუთვნება ყველა b-ს, ხოლო b მიეკუთვნება ყველა C-ს, მაშინ A მიეკუთვნება ყველა C-ს და, მეორე, რიცხობრიობის მიმართების მავალითი, თუ a მეტია b-ზე და b მეტია C-ზე, მაშინ A მეტია C-ზე და დასკვნის, რომ ამათ შორის განსხვავება კი არის, მაგრამ არსებითად ისინი ერთი და იგივეა. ორივე ტრანზიტულია, ამიტომ არისტოტელეს ლოგიკა არის განსაკუთრებული მიმართებების თეორია, რომელიც მათემატიკის თეორიის მსგავსია.

ლუკასევიჩი ლოგიკას და მათემატიკას ერთმანეთს ადარებს იმ მიმართულებით, რომ თუ ლოგიკას აზროვნებასთან აქვს საქმე, ასევე არა ნაკლებად მათემატიკას საქმე აქვს აზროვნებასთან. მათემატიკის აზროვნებასთან კავშირი, ლუკასევიჩის აზრით, იმაშია, რომ როცა მათემატიკოსი მათემატიკურ ამოცანას სწყვეტს მან უნდა იაზროვნოს ისე, როგორც ლოგიკოსი აზროვნობს, როცა ის მსჯელობს და დასკვნებს აკეთებს. ეს შედარება არაა სწორი, რადგან ლოგიკოსი როცა დასკვნებს აკეთებს, იგი მიმართულია აზროვნების ზოგად კანონზომიერებაზე, რომელსაც ყველა მეცნიერება და თვით მათემატიკაც ემორჩილება. ისე რომ იქ მათემატიკის გამოყოფა და ლოგიკის გვერდით დაყენება შემცდარია, მათემატიკოსი მიმართებებს სწავლობს და ის ამ დროს ლოგიკის კანონებს უნდა დაემორჩილოს. ლუკასევიჩი ლოგიკის საგნად მიმართებებს ხედავს და ამით ის ლოგიკას და მათემატიკას გაიგივებს, რადგან მათემატიკაც მიმართებების მეცნიერებაა. მიმართებების ქვეშ მას ესმის არისტოტელეს ოთხი ტერმინი, A, E, I, O მიმართებებს და მათემატიკის მიერ აღმოჩენილი მეტნაკლებობის მიმართებებს. მათ შორის საერთო ის არის, რომ როგორც არისტოტელეს ტერმინების, ისე მეტნაკლებობის ტერმინების მიმართება ტრანზიტულია, მაშასადამე, ლუკასევიჩის აზრით, არა აზროვნება, არამედ ეს მიმართებებია ლოგიკის საგანი. ლუკასევიჩმა ლოგიკა ამის მიხედვით აზროვნებისაგან ვერ გაანთავისუფლა, რადგან სწორედ ეს მიმართებები როგორც ზოგადები, — რომლებმაც აზროვნება ცალკეულ საგანთა კავშირს მოიაზრებს, — მის ფორმებად იქცევიან. ამ ფორმების გარეშე ლოგიკურ-

მეცნიერული აზროვნება არაფერია, ეს ფორმები ყოველნაირი მეცნიერული აზროვნებ-სათვის აუცილებელია, ეს ფორმები ლოგიკის კანონებზეა დაფუძნებული; ეს კანონები საერთოა ყოველნაირი მეცნიერული შემეცნებისათვის მათემატიკის ჩათვლით. როცა ლუკასევიჩი ამბობს, რომ ადამიანმა მაშინაც უნდა იაზროვნოს, როცა ის მათემატიკის ამოცანებს სწევებს, ეს ცხადია იმიტომ, რომ ლოგიკა სწავლობს ერთ აზროვნებას, რომელიც ერთი და იგივეა ბიოლოგიურშიც და მათემატიკურშიც და თუ ლოგიკაში მათემატიკაა შეჭრილი როგორც მისი მეთოდი, ეს არა სპობს ლოგიკის კანონების საყოველთაოობას მათემატიკის კანონებთან შედარებით.

თუ აზრის ფორმა ამავე დროს არის ფორმა არ არის, ისე მისი მოაზრება შეუძლებელია; ამიტომ აზროვნების ფორმა არის ამავე დროს არის ფორმა. ადამიანი შედის ცხოველთა კლასში სოკრატე არის ადამიანი მაშასადამე სოკრატე არის ცხოველი. ამ მაგალითში, არის უზოგადესი მიმართება რომელიც უცვლელია და ამით ყოველნაირი არსებულის თუ არარსებულის მოაზრება ხდება; ასევეა შემდეგი მაგალითი  $a < b$   $b < c$  მაშ  $a < c$ , ეს ფორმა უცვლელია, ხოლო მასში ყველა შესაძლებელი საგნის მოაზრება შეიძლება, ამდენად ისინი აზროვნების ფორმებია, რომელთაც არსოლოგიური საფუძველი აქვთ. როცა ლუკასევიჩი ამბობს, რომ არისტოტელეს ლოგიკა არის  $A, a, 1, 0$  ტერმინების მიმართება, ეს სწორია, მაგრამ ტერმინთა ასეთი მიმართება ხომ ის ფორმაა, რაშიც ადამიანის ლოგიკურ-მეცნიერული აზროვნება მოძრაობს, — ამ ფორმების გარეშე ხომ მეცნიერული აზროვნება არაფერია. სინამდვილეშია საგანთა კერძო და უზოგადესი მიმართულებები, ხოლო ამ უზოგადესი მიმართებების ცნებების კავშირებით გამოხატვა — აზროვნების ფორმაა, ეს კი, თავის მხრივ, ლოგიკის კანონზეა დამფუძნებული ისე, რომ ლოგიკის საგნად აზროვნების ფორმების ასეთი გაგება არავითარი ფსიქოლოგიზმი არ არის.



## კრიტიკა და ბიბლიობრაფია

დენიზა ზუშმაძის ნაშრომი — „დიონისე არეოპაგალი და დანტე ალიგიერი“

1972 წლის ეურნალ „მაცნეში“<sup>1</sup> სამ ნაკვეთად დაიბეჭდა ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის დენიზა ზუშმაძის მეტად საინტერესო და საყურადღებო გამოკვლევა „დიონისე არეოპაგალი და დანტე ალიგიერი“, რომელშიც ავტორს მიზნად დაუსახავს ფილოსოფოსისა და ხელოვანის, დიონისე არეოპაგელისა და დანტე ალიგიერის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართების ერთობ რთული პრობლემის გარკვევა, იმის გამორკვევა, თუ როგორი ასახვა ბპოვა არეოპაგიტულმა ნააზრევმა დიდი იტალიელის მხატვრულ აზროვნებაში.

წინამდებარე წერილის ამოცანას არ შეადგენს ნაშრომში განხილული საკითხების დეტალური კრიტიკა-შეფასება, ჩვენი მიზანია მხოლოდ იმ საერთო ინტელექტუალურ-ესთეტიკური შთაბეჭდილების გამოხატვა, რომელსაც განსახილველი გამოკვლევის მთლიანი შინაარსი ახდენს მკითხველზე; ამ მხრივ კი მეცნიერი ქალის სასახელოდ ამთავითვე უნდა შევნიშნოთ: მას წარმატებით გაუერთმევეია თავი მის წინაშე მდგარი პრობლემისათვის და უაღრესად სლიდურია ნაშრომი შეუქმნია.

ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევართა განსაკუთრებულად გამორჩეულ და წარმატებულ ინტერესს არეოპაგეტიკოსადაში, რომ არაფერი ეთქვათ მის თავისთავადს ღირებულებაზე საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნებისათვის, განსაზღვრავს შემდეგი ორი გარემოება: I. დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნააზრევი, ნეოპლატონიზმთან ერთად, ქრისტიანული შუა საუკუნეების მთელ მანძილზე და მის შემდეგაც უდიდეს გავლენას ახდენდა ქართველი ერის სულიერი კულტურის განვითარებაზე ყველა მის მიხითად ასპექტში როგორც მხატვრულ (რუსთაველი, გურამიშვილი, ბარნოვი...), ისე, — საკუთრივ, ფილოსოფიურ აზროვნებაზე; იგი საერთო ქართული მსოფლმხედველობისათვის უაღრესად შინაგანად და ორგანულად განიცდებდა, — ეს გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, როცა ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩვენმა ხალხმა მიიღო არეოპაგიტული ოსწულებათა ფერმე მცირისეული ბრწყინვალე თარგმანი მშობლიური ენაზე; არეოპაგიტული ნააზრევი იმდენად ორგანული გახდა ჩვენი ერის აზროვნებისათვის, ისე შეეწივთა და შეეწიხსილხორცა ჩვენი ერის სულიერ კულტურას, რომ ქართული ჰუმანიტარული აზროვნების ისტორიაში რაიმე ერთიანი მსოფლმხედველობრივი ხაზის დადგენა სრულიად წარმოუდგენელია მისი გათვალისწინებისა და საფუძვლიანად ათვისების გარეშე.

II. ქართველ მკვლევართა ინტერესს ხსენებული მოძღვრებისადაში აძლიერებს აგრეთვე ისიც, რომ არეოპაგიტული ფილოსოფიის სავარაუდო ავტორად, სხვებთან ერთად, V საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნე და საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერიელიც არის მიჩნეული.

ამასთან, არეოპაგიტული ნააზრევის ზოგიერთი მომენტი ჩვენი ხალხის თავდაპირველ — წარმართულ მსოფლშეგარძნებას ეხმარება, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართულ სინამდვილეში მისდაში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ, ქართველი მეცნიერები მასზე განსაკუთრებული შინაგანი პათოსითა და მძლეობარებით წერენ.

დ. ზუშმაძის განსახილველ ნაშრომში, პირველ რიგში, მოწონებას იმსახურებს ის მეთოდოლოგიური პრინციპები, გონებრივი ხედვისა და საკვლევი საგნისადაში მიდგომის ის წესი, რომელიც ავტორს მოუშარჭეებია არეოპაგელის ნააზრევის გასაგებად და გასააზრებლად. კვლევის მეთოდის ბუნება ყოველთვის საკვლევი ობიექტის ბუნებითაა განსაზღვრული. ეს განაპრობებს მკვლევარის მიერ ამა თუ იმ მეთოდის მომარჭეების ათვისებურებას, მეთოდი რაიმე მოვლენის კვლევისა სწორედ იმგვარად უნდა შეირჩეს, რომ მასზე მიდევნებამ და მიჩნით წარმართულმა კვლევა-ძიებამ საგანთან მიგვიყვანოს, მისი ნამდვილი არსი გვაწვდომოს. როგორც ცნობილია, არეოპაგეტიკა უაღრესად რთულ მისტიკურ-ფილოსოფიურ ნააზრევს წარმოადგენს. ამიტომ მისი მთლიანი მსოფლმხედველობრივა სულის წვდომა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. არეოპაგეტიკული აზროვნების ბნელი, ხშირად განსჭიითი რაციონისთვის მიუწვდომელი სტილი თავისებურ მეთოდსა და მიდგომას მოითხოვს. ჩვენი

<sup>1</sup> იხ. ეურნალი „მაცნე“ (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია), 1972, №№ 2, 3, 4.



აზრით, განსახილველი ნაშრომის უპირველეს ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი შესაბამისად არულებულია ამ სირთულის ღრმა შეგნებითა და მასთან დაკავშირებულ ყველა სიძნელის გათვალისწინებით. ავტორის სახარგებლოდ უნდა ითქვას აგრეთვე ისიც, რომ შრომა დაწერილია მაღალი ფილოსოფიური, სწორედ არეოპაგელისეული აზრმეტყველებისათვის შესატყვისი, მისი მაღალი და საყადრისი სტილით.

ნაშრომს ერთგვარ დევიზად სჯულს წამდგარებული „ღვთაებრივი კომედიის“ ცნობილი სტრიქონი: „ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შეიღმა სოფლისაჲ ქრისტიანების მისტიურის აგრე ჩაწვდენა“; რითაც იმთავითვე მინიშნებულია არეოპაგელის მსოფლმხედველობის მოხელთებისა და წვდომის სიძნელეზე. ავტორს, რასაკვირველია, ვერ გამოადგებოდა განსჯითი რაციონს, დისკურსიული აზროვნების დაუინფორმითი სიზუსტე, ახირებული სერუპულოზურობა ფილოლოგიური კვლევისა. ამგვარი მიდგომა უცხო და შეუფერებელია დიონისე არეოპაგელის აზროვნებისათვის, ასეთი ხედვა მის შინაგან არსებას, მთლიან სულს ვერ გვაწვდომებს. დიონისეს მისტიკური ნააზრების შინაგანი სულის გამოჩინება განსაკუთრებულ პათოსსა და შემართებას, გონების შინაგან ფილოსოფიურ ცდას, ჩვენი სულის ევოლუციური ძალების ერთ წერტილში თავმოყარს შიოთხოვს. მისი გაგება, ამ სიტყვის უსაკუთრადი მინიშნულობით, ნისკენ მიჰყობილი ცნობიერების განსაკუთრებულ მომართულობასა და მიმართულობას, საგანგებო ხედვის მომარტვებას გულისხმობს. თვით არეოპაგელის აზროვნების მეთოდის სწორედ ასეთია, მისი გაგებაც ასეთივე მეთოდის მომარტვების გარეშე შეუძლებელია, დიონისეს მიხედვით, როგორც ეს არა ერთგზის არის ნაშრომში გახაზული, სულმა მოწამებრივ განსაწმენდელში უნდა გაიაროს, რათა ამგვარი ხედვა და პოზიცია მოიპოვოს და სამყაროული უნივერსუმის მის ყოფიერების და ღვთაებრივ ერთიანობაში ხილვა შეიძლოს, ყოფიერების უღრმეს შრებში ჩაიხედოს. ასეთი რამ კი დიონისე არეოპაგელის მსგავს დემოკრატთა ხედვრია, როგორც სამართლიანად შეინიშნავს ავტორი, მართალია, სამყაროს თავისი თავის დაფარვა უყვარსო, უთქვამს პერაკლიტეს, მაგრამ ბუნება სწორედ ასეთ გენიოსებს უმუქავნებს საკუთარ საიდუმლოებას, გაანდობს თავის ზვაშიადს, ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვით ბუნების მიერ ხელდასმული მოგვებია საკუთარი საიდუმლოების საქადაგებლად (ჩვენ, შავლითად, ვუთა გვეუვადა ასეთი). გარკვეული აზრით, ისინი თვითონ ქმნიან იმვე სამყაროს საკუთარი სულის სიღრმეში.

მეთოდური ძიების ისტორიიდან ცნობილია, თუ რაოდენ ძნელია შემეცნებელი სუბიექტისთვის ამგვარი პოზიციისა და ხედვის მოპოვება. მხოლოდ ემპირიული სინამდვილისადმი მიჭყვდილი განსჯა ბრმა არის ყოფიერების ღრმა ფენების სახილველად. დღეს უკვე აღბათ ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ დიდ ინტელექტუალურ ენერჯიად დაუჭდაო სოკრატესა და პლატონს, რათა საჩვენებელი თითის პრინციპით მსჯელი ადამიანი ემპირიული განსჯის მოლაყბე ზედაპირულობიდან ცნებითი აზროვნების ფილოსოფიურ დონეზე აეყვანათ და ზოგადი დაინახებინათ. პლატონის გამოკვებულის გენიალურ ალტერაში ნამდვილი სინამდვილის დანახვის ეს მეთოდური სიძნელე იყო გამოთქმული. მაგრამ ნოპლატონიშმა და არეოპაგტიკაში ესეც უპმარის აღმოჩნდა და ღვთაებრივი ყოფიერების ერთიანობის წვდომის ზეგონით-ირაციონალური გზების ძიების აუცილებლობა დადა. არის ყოფიერების ისეთი შრეები, რომლის სახილველად განსჯა აბსოლუტურად ბრმა არის, ის საერთოდ არ არის მოწოდებული მის საწვდომად. განსჯა, დისკურსიული აზროვნება ყოველთვის სიზუსტეს მოიპოვებს, მაგრამ ეს ანეზარი სიზუსტე ხომ უფრო ხშირად ნამდვილი სინამდვილისაგან აბსტრაქციების, ცოცხალი ყოფიერებისაგან განდგომის ხარჯზე მოიკლებული. „სად აღმანიური განსჯა, — წერდა ენკელსი, — რომელიც ესოდენ პატვიადები თანამგზავრია შინაურობაში, ოთხ ედელს შუა, გასაოცარ თავადახავალს განიცდის, როცა კი გაბედავს კვლევა-ძიების ფართო ასპარეზე გამოსვლას“ (ფ. ენკელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 27).

სწორედ აღნიშნული გარემოება, საწვდომი ობიექტის სირთულე, განაპირობებს არეოპაგელის ფილოსოფიური აზროვნების და, შესატყვისად, მისი გაგების მეთოდის თავისებურებას. ადარებს რა დიონისესა და პრაკლეს აზროვნების სტილს ურთიერთთან, დ. ლუმაძე წერს: „ამ მხრივ დიონისე არეოპაგელის ტრაქტატების სტილი სრულიად განესხვავება პროკლეს მათემატკურად მკაცრ სტილს. დიონისე ისევე პლატონურად პოეტურია, ხშირად — ღვარჯნილი, ამაღლებული და ლოკითი“ („მაცნე“, 1972, № 2, გვ. 54). ამიტომ, ავტორის აზრით, არეოპაგტიკის გაგება სინთეზურ მიდგომას მოითხოვს და არა ცალმხრივსა და განსწრაფულს, ვინაიდან „იგი როგორც ფილოსოფია არსებობს თეოლოგიასა, თეოსოფიასა, პოეზიასა, მითოლოგიასა და რელიგიასთან ერთად“ (იქვე, გვ. 55).

ნაშრომი იწყება დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის გარკვევით. მართალია,



ავტორის აზრით, დიონისე არეოპაგელი პლატონიკოსთა შორის ქრესტიანობის პლატონიკოსთა და ნეოპლატონიკოსთა შორის ქრესტიანობის ნეოპლატონიკოსი, მაგრამ დიონისე როგორც მოაზროვნე ყველა ნეოპლატონიკოსისაგან განსხვავდება. მისი შესწავლა, ავტორის ღრმა რწმენით, ისევე როგორც ყველა ნეოპლატონიკოსისა, უშუალოდ თავის პირველ მასწავლებელთან, პლატონთან, მიმართება-შედარებაში და მისგან გამომდინარეობაში უნდა მოხდეს. მაგრამ ავტორი ამას არ სჭერდებოდა, იგი უფრო შორს მიდის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კიდევ ერთ წიაღსვლას აკეთებს და დიონისე არეოპაგელის მსოფლმხედველობის კვლევას „დიონისურის“ დაბადებით, მითოლოგიური პირველქორების გამომწვევებით იწყებს. ავტორი ვრცლად და მეტად საინტერესოდ მიმოიხილავს მითოლოგიიდან არეოპაგეტიკამდე გავლად გასს და აჩვენებს მასში შინაგან მემკვიდრეობით ხაზს (წევის), პლატონის სიკეთის იდეა ანუ აბსოლუტური ერთი ნეოპლატონიზმის ერთი, არეოპაგეტული ფილოსოფიის მიუწვდომელი დემონი). პლატონის იდეათა თეორიაში ავტორი ძველი ბერძნული რელიგიურ-მითოლოგიური ღვთაებათა ოლიმპიური პანთეონის აზრით უკუფენას ხედვას. იგი წერს: „პლატონის ფილოსოფია, შეიძლება ითქვას, ფერისცვალების მატანა მითოლოგიური დემონებისა, რომელთაც დაღმასახენი შემოაქრებდა, იდეალური სამოსლილი შემოეპრავათ, მორწმუნეთა რწმენა როგორც საკვები შემოაკლდათ და დაუძღვრდნენ“ (№ 2, გვ. 58) ან კიდევ: „... პლატონის იდეები თავის დროზე ოლიმპიური დემონების სახეშეცვლილი წმინდა აზრითი სახეობები იყვნენ. მათი წმინდა აზრითი არსებობის დამკვიდრება პლატონის ფილოსოფიის კაცობრიული მონაპოვარია“ (№ 3, გვ. 41).

ფილოსოფიისა და მითოლოგიის ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და ნაშრომში იგი მეტად საინტერესოდ არის გააზრებული. სასურველი იქნებოდა მისი უფრო ვრცლად განხილვა.

ფილოსოფიური აზროვნება მითოლოგიის უარყოფაა, მაგრამ არა მისი შექანიკური უკუგდება. სამყაროს მითოლოგიური მსოფლშეგრძნება ადამიანური გონების იმავე ღრმა მეტაფიზიკური მოთხოვნილებიდან წარმოსდგება, რომელსაც შემდეგში ფილოსოფიური მსოფლმხედველობა აკმაყოფილებდა. აქედან გამომდინარე, მითოურის მომენტი ყოველთვის თან ახლავს ფილოსოფიას როგორც მსოფლმხედველობას. დ. ზუმბაძე დამაჭრებლად აჩვენებს, რომ არეოპაგეტული ნააზრები, რომელიც უწინარეს ყოვლისა ფილოსოფიურ ნააზრებს წარმოადგენს, დატვირთულია მითოლოგიური მომენტებით. — ეს უკანასკნელი არასოდეს არ უნდა იყოს უცხო ფილოსოფიური მსოფლმხედველობისთვის როგორც ასეთისთვის. მხედველობაში ჰქონდა რა დასავლეთის ბურჟუაზიული სამყარო, ამ საუკუნის 20-იან წლებში კ. გამსახურდია წერდა: ჩვენი, ეპოქა მითოსს მოკლებული ეპოქაა. მაგრამ თვით თანამედროვე საოცრულთა ინდუსტრიალიზმისა და ტექნიციზმის ეპოქამ ვერ შეძლო ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის გაუქმება. სამყაროს თავდაპირველ მითოსურ ხედვაში ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის არსება იყო გამომკლებული.

ნაშრომში ყველაზე ფუნდამენტურად და საფუძვლიანად განხილულია უარყოფითი და დადებითი თეოლოგია, ღვთაებრივი ყოფიერების აბსოლუტური ერთიანობის წვდომის კაცაფატური და აპოფატური მეთოდები. ამასთან დაკავშირებით ავტორი მიმოიხილავს პლატონის „პარმენიდესი“ მოცემულ აბსოლუტური ერთის დადასაბუთებას და აჩვენებს მის შინაგან კავშირს არეოპაგელის მიუწვდომელ დემონთან. დ. ზუმბაძე იძლევა ამ საკითხის თაობაზე როგორც ქართულ, ისე რუს და სხვა უცხოელ ავტორთა კონცეციების კრიტიკულ ანალიზს და თვითონ კაცაფატია-აპოფატის მთელი რიგი არსებითი საკითხების გარშემო უაღრესად საკულისხმო, მეტწილად ორიგინალურ და დასაბუთებულ შეხედულებებს გამოჰქვას.

არეოპაგეტია ის ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელმაც მეტად ღრმა საფუძველზე გააცნობიერა სამყაროელი მთლიანობის მის ყოფიერებით ერთიანობაში წვდომის სიმძლე. ეს იყო ყოფიერების, ღვთაებრივი ყოფიერების, როგორც ყოველფერის ყოფიერის მასალებელმედი ინსტანციის, ნამდვილი მეტაფიზიკური ხედვა. ზეველი განმარტავდა: „დემონის ქრესტიანობის შემცენება იმის ცოდნით იწყება, რომ ნივთებს მათს უშუალო ყოფიერებაში ქრესტიანობა არ გაჩანია“. კერძო მცენიერებათა წარმომადგენლებმა იქნებ გაიკვირვონ, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ: ესა თუ კონკრეტული ყოფიერი, ვთქვათ წყალი ჭერ კიდევ სრულმითოიც არ არის გავებული, ამ სიტყვის უსაკუთრისეის აზრ-გავებით, იმით, რომ ვიცით მხოლოდ მისი ქიმიური შემადგენლობა, ის გარემოება, რომ წყალი შედგება გარკვეული ვალენტობით შეკავშირებული ენგამადისა და წყალბადის ატომებისაგან სრულმითოიც არ ხდის მის ვასაგებს. იგი როგორც გარკვეული ყოფიერი საერთოდ ყოფიერებაში მონაწილეა და მასთან მიმართებაში გაიკვება მხოლოდ და მხოლოდ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჰაიდელგერ-

რის სამართლიანი შენიშვნით, ძველი ბერძნები ყველაზე მეტად განაცვიფრა იმ გარემოებაში, რომ „ყოველი არსებული არის ყოფიერებაში“.

არეომაგიტულ კატაფატკიაში ყოველგვარი ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის უსათუოდ გასათვალისწინებელ ამ დიდ ჭეშმარიტებაზეა მითითებული. კატაფატკის ძირითადი პრინციპი ასეთია: „ღმერთი ყოველთა შორის ყოველი არს“ და ამიტომაც „ყოველთა მიერ ყოველითურთ ოცნებაობის“ (იხ. პეტრე იბერელი, შრომები, 1261, გვ. 72); დებულებების პირველი ნაწილი ღმერთის ონტოლოგიურ-კატაფატკიურ დახასიათებას გამოთქვამს, ხოლო მეორე ნაწილი, შესატყვისად მისი წვდომის გნოსეოლოგიურ-კატაფატკიურ გზაზე მიუთითებს. ამიტომ კატაფატკიის მიხედვით ღმერთს ყველა პრედიაკტი შეიძლება მივაწეროთ, მაგალითად, ის, რომ იგი არის წყალი, კლდე, ხე და ა. შ.

დ. ზუშმაძე მართებულიად აკრიტიკებს იმ თვალსაზრის, რომელიც დღეობრივი ყოფიერების კატაფატკიური დახასიათებლად გამოდის და არეომაგიტიკას პანთეისტურ მსოფლმხედველობად მიიჩნევს. მისი აზრით, კატაფატკია არეომაგიტული ნააზრების მხოლოდ ერთი მხარეა და მისი გაწვდობა — აბსოლუტიზაცია ყოველად დაუშვებელია. ავტორი წერს: „ამიტომ თქმა იმისა, რომ დიონისეს ღმერთი ყველაფერშია და ამის გამო დიონისე პანთეისტური მსოფლმხედველობის წარმომადგენელია, — დიონისური აბსოლუტის შუაზე გაჭრა და ღმერთის შემეცნების ერთ-ერთი გზის, სახელდობრ, კატაფატკიას აბსოლუტიზაცია, — ეს იქნება ნახევარი მხარის ჩამოჭრა დიონისეს სრული მსოფლმხედველობისაგან და ნახევარის მთლად გამოცხადება“ (№ 8, გვ. 26).

არეომაგიტული ნააზრები აგრეთვე ყველა ნამდვილი ფილოსოფიისათვის გასათვალისწინებელ იმ დიდ ჭეშმარიტებას შეიცავს, რომ მან ევროპულ ფილოსოფიაში პირველმა სცადა შემგნებლად ანთროპოლოგიზმის აბსოლუტური დაძლევა. მართალია, ჰაიდეგერი მთელ წინანდელ ევროპულ ფილოსოფიას ბრალს სდებს ანთროპოლოგიზმში, მაგრამ ეს სრულებითაც არ შეეხება არეომაგიტის ფილოსოფიას. საერთოდ, შემეცნებელი ცნობიერების ტრადიციამ იშაშა მდგომარეობს, რომ სინამდვილის მის ნამდვილობასა და თავისთავადობაში წვდომისაკენ მიმსწრაფველ ადამიანურ გონებას ეს სინამდვილე მუდამ თავის თავთან მიმართებაში ეძლევა. ადამიანს მუდამ საკუთარ განწმინდებებში ეძლევა სინამდვილე. ეს გარემოება კლასიკური სახით ახალ დროში კანტმა გააფორმა თავისთავადი ნივთის ცნებაში.

არეომაგიტიკაში ღმერთის წვდომის ან სიძნელის გაცნობიერებას წარმოადგენს აპოფატკია, რომლის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: „ღმერთი არცა ერთსა რას შორის არარა“ და ამიტომ „არც ერთსა რას შორის არარათ იცნობენის“ (იქვე). ღმერთი გამოუცნობი და უთქმელია, ამიტომ მას არც ერთი ადამიანური პრედიაკტი არ გამოხატავს. ის არსებული არარსებულს საფუძველია. ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელი და იდუმალი, პროფ. გ. თევზაძე. აქ სამართლიანად ხედავს ჰაიდეგერის არარას ცნების კავშირს არეომაგიტიკის ღმერთთან (იხ. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, 1970, გვ. 551-552).

დ. ზუშმაძის მართებული აზრით, „აპოფატკია შეუძლებელია გამოვაცხადოთ არეომაგიტიკის ათეისტურ მხარედ და არეომაგიტიკა ათეისტურ მსოფლმხედველობად“ (№ 8, გვ. 29). დღეობრივი ყოფიერებას წვდომისათვის ორივე ეს გზა თანაბრად აუცილებელია, მაგრამ საქმარისი არ არის, ვინაიდან იგი ამ დაბირისპირებაზე მალა მდგომი რეალობაა. ის არც ყოფიერია და არც არაყოფიერი და არარა, არამედ ზეყოფიერია. ის მხოლოდ ზეგონითი გზით, ექსტაზის მეოხებით დიანახება. მის წინაშე ყოველად ბრძნული დუმილი გვმართებ.

შრომის ბოლო ნაწილში განხილულია დიონისე არეომაგიტისა და დანტე ალიგიერის მიმართება. დანტე ალიგიერმა, როგორც დ. ზუშმაძე ჭრე კრევეს შესვალში შენიშნავს, „წეციური იერარქიის“ ავტორი „შუქად დასაბა“, მეოთხე ცაზე — შიზის ცაზე, ბრწყინვალე სულთა გვერდით მოათავსა და თავისი პოეტური ხილვის წეციური იერარქია „წეციური იერარქიის“ ავტორის ნააზრებს დააყრდნო. დღეობრივი ნათელთან მიახლოების გზა ეს არის სიყვარულის გზა, რომელსაც პოემაში ბეატრიჩე განასახიერებს. „ექაქტორად მთელი პოემა პოემა არის ამ დამაბრძნებელ ნათელთან მიახლოების მისტერია“, ახალ კდროს თვით შეგველან იჩინა თავი ამგვარმა გზამ. ჰიქელის აზრით, ჰეგელის ფილოსოფიის დევიზია: „მეგობრებო, ისწრაფეთ შიხსკენ, რათა მთელ დადგეს ადამიანური მოდგმის ბედნიერება. უკეთეს მშესთან შეერთებისას თქვენ დაიღლებით მით უფრო კარგი თქვენ უკეთესად დაგვიჩინებთ“.

როგორც ვნახეთ, დ. ზუშმაძის ნაშრომის „დიონისე არეომაგიტული და დანტე ალიგიერი“ — სახით ჩვენ საქმე გვაქვს ფაღრბსად სერიოზულ ფილოსოფიურ გამოკვლევასთან, რომლის ცალკე წიგნად დასტამბვა, ფიქტობით, მეტად სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ფილოსოფიური



### პ. ელენი, ფილოსოფიური ეთიკა საბჭოთა კავშირში

იდეოლოგიური ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი სახეა. მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, ორ სამყაროს, სოციალისტურ და ბურჟუაზიულ სამყაროს შორის ეკონომიური თანამშრომლობა სრულიადაც არ გამოიხატება იდეოლოგიურ ბრძოლას. ამგვარ ბრძოლაში მტაცდებოდა და ნტაცდებოდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ამ ბრძოლის თავი, მარქსის სტყუებით რომ ეთქვას, არის ფილოსოფია. დაპირისპირება და ბრძოლა ბურჟუაზიულ და მარქსისტულ ფილოსოფიას შორის ისტორიულად უოველთვის გამოიხატებოდა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის დაპირისპირებასა და ბრძოლაში. განვითარების თანამედროვე ეტაპზე დებულება მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის ბრძოლის შესახებ, რასაკვირველია, კვლავ ძალაში რჩება. ეს ბრძოლა ახლა გაცილებით რთულ პირობებში მიმდინარეობს. საქმე ეხება არა იმას, რომ ამ მიმართულებებში თუ ცალკეულმა ფილოსოფიურმა სკოლებმა იდეალიზმი უარყვეს ან ისინი მატერიალისტური გახდნენ; არა, საქმე ეხება იმას, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფიის ზოგიერთი მიმართულება ან ფილოსოფიური სკოლა იზიარებს მარქსისტული ფილოსოფიის ზოგიერთ ამოსავალ დებულებას, არც თუ იზიანთა მარქსისტული ტრამინოლოგიის მოსმარება და სხვა. ეს არის, გარკვეული აზრით, არაპირდაპირი დიალოგი მარქსისტულ ფილოსოფიასთან.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლები დღეს უკვე აღარ მალავენ მარქსისტულ ფილოსოფიასთან თავისუფალი დიალოგის აუცილებლობას. ამგვარი დიალოგის აუცილებლობაზე მიუთითებს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი მარტინ ჰაიდეგერი. საქირთა მონახული იქნას ის ძირითადი პუნქტები, ძირითადი დებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება „დასავლეთსა და აღმოსავლეთს“ შორის თავისუფალი დიალოგის წარმოება. მ. ჰაიდეგერის აზრით, ბურჟუაზიული ფილოსოფიის ორმა ყველაზე გავლენიანმა მიმართულებამ — ფენომენოლოგიამ და ეგზისტენციალიზმმა ჭეჩეობით ვერ შეძლეს ისეთი პუნქტების მონახვა, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელი გახდებოდა ნაყოფიერი დიალოგი მარქსიზმთან. ამგვარი ძიება დამახასიათებელი ნიშანია დასავლეთ გერმანიაში გასულ წელს გამოსული პ. ელენის წიგნისათვის „ფილოსოფიური ეთიკა საბჭოთა კავშირში“, რომელშიც განხილულია ყველა ის ძირითადი საკითხი, რაც დღეს მარქსისტული ეთიკის კვლევის საგანაა ქცეულია საბჭოთა კავშირში. პ. ელენის წინამდებარე შრომა მკითხველზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს საკითხთა განხილვის ობიექტურობით. ავტორის მიზანია თავისუფალი და სერიოზული დისკუსია აწარმოოს საბჭოთა ეთიკისებთან ეთიკის მთელ რიგ პრობლემებზე. უწინარეს ყოვლისა, იგი ცდილობს თითქმის ყოველი საკითხის განხილვისას დაადგინოს ის ზოგადი პუნქტები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება თავისუფალი დისკუსია გაიშალოს საბჭოთა და ბურჟუაზიული ეთიკის წარმომადგენლებს შორის. კრიტიკა, გვირგვინი პ. ელენის, უპირველესად უნდა იყოს იმანენტური.

პ. ელენის აღნიშნული წიგნის სტრუქტურა ასეთია: 1. შესავალი, 2. ეთიკის ისტორიისათვის საბჭოთა კავშირში, 3. საბჭოთა მარქსისტული ეთიკის საგანი, 4. მეთოდის საკითხისათვის საბჭოთა მარქსისტულ ეთიკაში, 5. „კატეგორიები“ და „პრანციპები“, 6. ზნეობა და საზოგადოება, 7. ზნეობრივი ჭეჩარისა და ზნეობრივი მოვალეობის დაფუძნება, 8. ზნეობრივი საქციელის კრიტიკაში, 9. ზნეობრივი ღირებულების თავისებურება, 10. სიკეთე და ბოროტება, 11. თავისუფლება და აუცილებლობა, 12. სინდასი, 13. ზნეობრივი პროგრესი, 14. კლასობრივი და ზოგადსაკაცობრიო ზნეობაში, 15. დასკვნები.

პ. ელენის ფილოსოფიურ-ეთიკური პოზიცია განსაზღვრულია ზნეობრივი ფენომენის იმ შემდგენლობით, რომელიც მოგვცეს, უწინარეს ყოვლისა, კანტმა, შემდეგ — ღირებულებითი ეთიკის წარმომადგენლებმა მ. შელერმა, ნ. ჰარტმანმა, დ. ფონ ჰილდებრანდმა, მ. რაინერმა; აგრეთვე — თ. აქვინელმა.

1 Peter E h e n . Die Philosophische Ethik in der Sowjetunion. München, 1972.

2 M. Heidegger. Ober den Humanismus, გვ. 27.

ავტორი სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირში ეთიკის განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე და 22-ე ყრილობების გადაწყვეტილებებმა. ფაქტობრივად 60-იან წლებამდე ჩვენში ეთიკის თითქმის არც ერთი ძირითადი პრობლემა სეროზული კვლევის საგნად არ იყო ქცეული. ეს ვითარება კარგად გამოთქვა პროფ. გ. დ. ბანქლაძემ, რომელიც, პ. ელენის აზრით, არის „ავტორი დღემდე საუკეთესო ეთიკური ნაწარმოებისა საბჭოთა კავშირში“ (დასახ. შრომა გვ. 1). პროფ. გ. ბანქლაძის მიხედვით, არაღამამაყოფილებლად იყო დამუშავებული ზენობრივი ფენომენის სტრუქტურა, ზენობრივი ღირებულების პრობლემა, ზენობრივი პროგრესის პრობლემა, ეთიკის კატეგორიები და სხვა. მაგრამ დღეიდან ხნით ადრე, ვიდრე აღნიშნული პრობლემის დამუშავების, კვლევის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგებოდა, ეთიკის სფეროში საბჭოთა კავშირში სულ სხვა ვითარება იყო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ცხოვრების ახალი სოციალისტური წესის შესაფერის მორალს მოითხოვდა. რაჟი ჩამოყალიბებული სახით არსებითად მხოლოდ იდეალისტური ეთიკა არსებობდა, ამიტომ ეთიკის მეცნიერება პროლეტარიატისათვის გამოცხადდა როგორც ზედმეტი რამ (ბუხარინი, პრეობრაჟენსკი და სხვა). ეთიკის მეცნიერების გარკვეულობა, საბოლოო ჯამში, ეთიკის საგნის გარკვეულობაზეა დამოკიდებული. ეთიკის საგნის შესახებ ჩვენში უკანასკნელ ათ წელიწადში სხვადასხვანაირი აზრი გამოითქვა. ავტორი — პ. ელენი — საბჭოთა ეთიკის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს აღნიშნულ საკითხში ძირითადად ორ ჯგუფად ჰყოფს: 1) ეთიკის ერთი ჯგუფის (ა. ფ. შიშინი, ვ. გ. ივანოვი, რ. კ. რიბაკოვი, ა. გ. ხარჩევი, ს. დანელიანი და სხვა.) მიხედვით, ადამიანი წარმოადგენს ეთიკის საგანს არა მისი მორალურობისა და გონიერულობის გამო, არამედ იგი საგანია როგორც ობიექტი, რომელიც საზოგადოების მორალური ნორმებით რეგულირდება, — ეთიკის საგნის ამგვარ განსაზღვრაში ზენობა გამოდის როგორც საშუალება, როგორც ადამიანის საქციელის რეგულატორი (გვ. 38). 2) საბჭოთა ეთიკის ერთი ჯგუფის (გ. ბანქლაძე, პ. ეიდეხი, პ. ტუგარინოვი) მიხედვით, ეთიკის ძირითადი საკითხი არის ადამიანის არსების, ადამიანის არსებობის საზრისის საკითხი. მათ სურთ გამოიკვლიონ ის, რაც ადამიანის ზენობრივ თვისებას შეადგენს (გვ. 48). ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს პროფ. ბანქლაძესთან, რომლის მიხედვით, ეთიკის საგანი არის ადამიანურობა, ეთიკა იკვლევს ადამიანურობის არსებას და მის თავისებურებას.

ყოველი მეცნიერების საგანთან მჭიდროდ დაკავშირებულია ამ მეცნიერების მეთოდის პრობლემა. სამწუხაროდ, საბჭოთა ეთიკაში ეთიკის მეთოდის პრობლემა ცალკე, საგანგებო კვლევის საგნად ჯერ კიდევ არაა გამხდარი. პროფ. გ. ბანქლაძესთან ნათლად ჩანს, თუ რა მჭიდროდ განაპირობებენ ერთმანეთს ეთიკის საგანი და მეთოდი. რამდენადაც პროფ. გ. ბანქლაძე ზენობა ეხმობს არსებობის პრობლემის წინაშე, ეთიკის საგანი და მეთოდი ადასტურებს თვისებას, ამდენად მისი კვლევის მეთოდი ფენომენოლოგიურ მეთოდს უახლოვდება (გვ. 52). ეს კარგად ჩანს სინდისის ფენომენის ანალიზის დროს, როდესაც პროფ. გ. ბანქლაძე სინდისის ფსიქოლოგიურ მხარეს მკვეთრად გამოჰყოფს ამ ფენომენის არსებისაგან. იმის შემცნება, რაც ზენობრივად ჯეროვანია პროფ. ბანქლაძესთან (აგრეთვე პ. ეიდეხთან და პ. ტუგარინოვთან), ინდექტიურად კი არაა მიღებული, არამედ ზენობის ფენომენის არსის გაგებას ემყარება (იქვე).

პ. ელენი საბჭოთა ეთიკის ნაკლად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ დღემდე არაა დამუშავებული დიალექტიკური მეთოდის მოხმარების საკითხი ეთიკური კვლევის სფეროში. ეთიკის საგნის „რელიაზაცია“ გარკვეულ მეთოდზე დამყარებით მოცემული მეცნიერების აპარატი ხდება. ეთიკის მეცნიერების აპარატი კი შეადგენს მის ცნებათა და კატეგორიათა სისტემა. ავტორი საგანგებოდ განიხილავს „კატეგორიებისა“ და „პრინციპების“ საკითხს საბჭოთა ეთიკაში. მისი აზრით, ლ. არხანგელსკის ცნობილ შრომაში — „მარქსისტული ეთიკის კატეგორიები“ — ნაჩვენებია არაა და გაურკვეველი რჩება, თუ როგორ შეიძლება კატეგორიები თავისში შეიცავდნენ მორალურ ნორმებსა და წესებს. ეთიკის კატეგორიების საკითხში გაურკვეველობისა და ბუნდოვანების ნიშნად ავტორს მოჰყავს თ. ჯაფარლის წერილი — „ეთიკური კატეგორიების ბუნების, არსებისა და თავისებურების საკითხისათვის“. თუმცა ავტორმა იცის, წერს პ. ელენი, რომ „კატეგორიებს ემოციური და მომთხროვი ხასიათი შეიძლება მხოლოდ მათ მიერ ახასულის თავისებურების გამო ჰქონდეთ, მიუხედავად ამისა, მათ რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი თ. ჯაფარლი, ამ თვისებებს თანაბრად მიაწერს ცნებასაც. ეს გაუგებრობა, რასაც დიალექტიკური მატერიალიზმის შემცნების თეორია არ იწიარებს. ამ ვითარების გაუთვალისწინებლობის შედეგია ის, რომ ავტორი ერთიმეორესთან აიგვებს კატეგო-



რიებსა და ღირებულებას: „ეთიკური კატეგორიები არიან მორალური ღირებულებანი“ (გვ. 73). ავტორი თ. ჭაფარლი ახდენს კატეგორიის მეტისმეტ გაფართოებას, როცა განმარტავს რომ „ეთიკის კატეგორიები არიან საყოველთაო ქვეშარტიკები“, ისინი არიან „ქვეშარტიკი ან ქალღმირი, რამდენადაც მათი შინაარსი ფაქტების, ობიექტების ადეკვატურია ან არაა ადეკვატური“, შემდეგ, „განვითარებულ ფორმაში ეთიკური კატეგორია არის ეთიკური მსჯელობა“. ამგვარ ფორმულირებაში, პ. ელენის აზრით, ერთმანეთში არეულია: ღირებულება და ცნება, ცნება და მსჯელობა. ავტორი მართალია, განაგრძობს პ. ელენის, რომ გარკვეული ცნების მაგ. სამართლიანობის ცნების ცნება ადამიანებში შესაბამის ღირებულებების განცდას იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ემოციურობა ცნებას არ ახასიათებს. ცნება არის აბსტრაქტული გამოთქმა; კატეგორიის როგორც არაგანვითარებული მსჯელობის დახასიათება, როგორც ამას თ. ჭაფარლი აკეთებს, აშკარად არაადამიანყოფილებელია (გვ. 73).

2. ელენის დადებითი შეფასებას აძლევს საბჭოთა ეთიკაში წინობრივი მოვალეობის პრობლემის დაშუშებებს, ეს საკითხი განსაკუთრებით კარგადაა განხილული პროფ. გ. ბანძელაძისთან. პ. ელენის აზრით, წინობრივი აუცილებლობისა და წინობრივი მოვალეობის ცნებები საბჭოთა ეთიკის ცენტრალური ცნებებია. ამასთან, საბჭოთა ეთიკაში მოვალეობის ეთიკის ფორმალური ხასიათი კარგადაა დანახული (გვ. 168).

3. ელენს ყველაზე საინტერესოდ მიაჩნია მოვალეობის დაფუძნების ის ცდა, რომელიც პროფ. გ. ბანძელაძისთანაა მოცემული. იგი წერს: საყურადღებოა პრობლემის ფილოსოფიური დაყენების სიცხადე და გადაჭრის მცდელობის ორიგინალობა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ აქ წინობრივი მოვალეობა გაგებულია, როგორც მთელი ადამიანური ცხოვრების მომცველი მოვლენა და მორალის როგორც ნორმათა ჯამის ვიწრო გაგება საბოლოოდ დაძლეულია.

პ. ელენის აზრით, პროფ. გ. ბანძელაძის კონცეფციაში მინც რჩება მეტერონომიის შესაძლებლობა. წინობრივი მოვალეობის დაფუძნება ისე უნდა მოხდეს, რომ იგი, ამავე დროს, ავტონომიურ პრინციპად დარჩეს. პროფ. გ. ბანძელაძე წინობრივ მოვალეობას აფუძნებს თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკური ერთიანობის მარქსისტულ გაგებაზე. მაგრამ არის ეს საკმარისი? — კითხულობს პ. ელენი. რაკი მე თავისუფლებასა და აუცილებლობასა და აუცილებლობას დიალექტიკურად მოვალეობა, განა ამით მოვალეობა, — რომელიც აუცილებლობაა, — ჩემს მოვალეობად (თავისუფლებად) იქცევა? არის თუ არა თავისუფლებისა და აუცილებლობის დიალექტიკური ერთიანობა იმის საბოლოო გარანტია, რომ მოვალეობა, რომელიც მე უნდა შევასრულო, თავს მოხვედრული რამე კი არ არის, არამედ სწორედ ჩემი ადამიანური არსების გამოსატრულებაა, გამოვლენაა? ხანაშ ასეთი საბოლოო გარანტია არ იქნება მოცემული, მანამდე წინობრივი მოვალეობის ყოველგვარ არგუმენტაციაში დასაშვებია შესაძლო მეტერონომიაზე ლაპარაკი. ამგვარი კრიტიკა, — წერს პ. ელენი, — გ. ბანძელაძის შემოქმადნილი აზრების წინაშეწინააღმდეგობას სრულიადაც არ ამცირებს.

წინობა სოციალური მოვლენაა, ამიტომ ბუნებრივად დგება კითხვა, თუ ინდივიდის წინობრივი ღირებულება როგორ მიმართებაშია საზოგადოებასთან. სხვანაირად, მორალური თვალსაზრისით, ინდივიდი განსაზღვრავს საზოგადოებას თუ — პირიქით — ინდივიდის წინობრივი ღირებულების განმსაზღვრელი საზოგადოებაა, თუ — თვითონ ინდივიდი? პ. ელენის მიხედვით, საბჭოთა ეთიკაში ჭარბობს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც ინდივიდი მთლიანად ექვემდებარება საზოგადოებას. ავტორის აზრით, ამ საკითხზე ყველაზე უფრო მისაღები ჩანს პროფ. გ. ბანძელაძის მსჯელობა. იგი ერთდება სიტყვებს — „დაქვემდებარება“, „პირობრიტუტი“ და სხვ. „საზოგადოებრივი ცხოვრების“ და „წინობის“ დიალექტიკური კავშირი მას ესმის ისე, რომ წინობას იგი საზოგადოების პროდუქტებში არ თქვამს. გ. ბანძელაძისთან საზოგადოება და ინდივიდი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სუბიექტები კი არ არიან, რომელთა ინტერესები ერთმანეთს ეჭაბება, არამედ ისინი ერთმანეთთან ბუნებრივ კავშირში იმყოფებიან. პ. ელენი პროფ. გ. ბანძელაძის შეხედულებას ამ საკითხზე ასე გადმოსცემს: ადამიანი თავისი საკუთარი ადამიანურობის საფუძველზე უნდა მოიქცეს წინობრივად და მაშინ შეესაბამება ის თავის თავს, იქცევა წინობრივად და, ამავე დროს, საზოგადოებრივად. ეს ადამიანურობა მოითხოვს, რომ სხვებიც მათი ადამიანური ყოფიერების (Menschsein) მიხედვით იქმნენ გავალისწინებულნი და არა როგორც სასარგებლო ნივთები (გვ. 102). თავისი ობიექტების უმრავლესობისაგან განსხვავებით, პროფ. გ. ბანძელაძე, — წერს პ. ელენი, — ცნება

„ინდივიდუალ“ თითქმის არასოდეს მარტო ცნება „საზოგადოებას“ არ უპირისპირებს, არამედ თითქმის ყოველთვის „სხვა ადამიანებსა და საზოგადოებას“. ეს ფორმულირება პ. ელენს ფრიალ საგულისსმოდ მიჩანია.

ზნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართების ფონზე დგება საკითხი ზნეობრივი საქციელის კრიტიკიუმის შესახებ. ამ საკითხზე პ. ელენი საგანგებოდ ჩერდება, რადგან მის, როგორც თვითონ წერს, საბჭოთა ეთიკაში დიდი ადგილი უკავია. საკითხი ასე დგება: ზნეობრივი საქციელის კრიტიკიუმში საქციელის საზოგადოებრივ სარგებლობაშია თუ მოქმედი სუბიექტის მოტივიში? ავტორი განიხილავს საბჭოთა ეთიკის მრავალ შრომას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი მათგანი (მაგ. ა. შიშკინი) აშკარად დგას სარგებლიანობის, როგორც კრიტიკიუმის, პოზიციაზე, ზოგი (მაგ. პ. ტუგარინოვი) ცდილობს, ორივე კრიტიკიუმი ერთმანეთთან როგორმე შეათანაოსნოს, ზოგი კი (მაგ. თ. სამსონოვა, თ. დროზნიცკი) ორივე კრიტიკიუმს აღიარებს ერთმანეთის გვერდით.

ზემოთ დანახელებულ ავტორთაგან გამოირჩევა პროფ. გ. ბანძელაძის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ზნეობრივი აქტის ღირებულება დამოკიდებულია „ადამიანურობაზე“, ე. ი. შინაგან განწყობაზე და ზრახვაზე. „ადამიანურობას, — მოყავს პ. ელენს პროფ. გ. ბანძელაძის სიტყვები, — ადგილი აქვს არა იქ, სადაც გვაქვს სიყვარული ნივთებისა და საგნებისადმი, შოთხივნილება და დამყაფილება, არამედ მხოლოდ იქ, სადაც იწყება ზრუნვა სხვა ადამიანებისათვის, მათთვის თანაგრძნობა და დახმარება. ადამიანის სიყვარული არის საბოლოო კრიტიკიუმი და ამავე დროს ზნეობის არსება“. აქ, აღნიშნავს პ. ელენი, უტოლიტარული ეთიკა რადიკალურად დაძვრულია (გვ. 218).

ზნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართების, ზნეობრივი საქციელის კრიტიკიუმის საკითხებზე საბჭოთა ეთიკის მიერ გაცემული პასუხები პ. ელენს არ აკმაყოფილებს და იგი რამოდენიმე შენიშვნას გამოთქვამს: მარქსისტი ეთიკის უდავო დამსახურებაა ზნეობის საზოგადოებრივ ასპექტზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ საბჭოთა ეთიკის უმრავლესობა თავს არიდებს სიძნელეს, რომელიც ეხება ზნეობრივ ღირებულებების საზოგადოებრივ დაფუძნებას. ისინი არ ატარებენ ეთიკაში განსხვავებას ზნეობრივი აქტის ღირებულებასა და დოვლათის ღირებულებას შორის და ამდენად ზნეობრივი აქტის ღირებულებას აიგივებენ საზოგადოებისათვის ზნეობრივი აქტის სარგებლიანობის ღირებულებასთან. მაშასადამე, მარქსისტი ეთიკის უმრავლესობა სარგებლიანობის ღირებულებისაგან დამოუკიდებელ ზნეობრივი აქტის ღირებულებას არ იცნობს (გვ. 107). პ. ელენი არ უარყოფს, რომ მოზოვნა-საქციელის ზნეობრივი ღირებულება საზოგადოებისათვის სარგებლიანობის თვალსაზრისით იქნას განხილული — კანონიერია. იგი წერს: „ჩვენი კრიტიკა მიმართულია არა იმ მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ ცალკეულმა ადამიანებმა თავიანთი მიზნები საზოგადოებას დაუქვემდებარონ, არამედ იქითკენ, რომ ამ მოთხოვნის საზღვრები არაა დადგენილი, რასაც მის (მოთხოვნის გ. შ.) ბოროტად გამოყენებასთან მიუკავარო“ (გვ. 112). თუ საზოგადოებისათვის სასარგებლო, განაგრძობს პ. ელენი, ზნეობრივი საქციელის კრიტიკიუმად მივიჩნევთ, მაშინ აშკარა სიძნელის წინაშე ვდგებით: საზოგადოების სარგებლობას მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ზნეობრივი საქციელის კრიტიკიუმი, თუ იგი გავებული იქნება არა როგორც პარტიკულარული სიდიდე, არამედ როგორც ყველა ადამიანის საზოგადოება. სინამდვილეში ყოველი საზოგადოება ნაწილია მთელ კაცობრიობასთან მიმართებაში, ამდენად, კონკრეტული საზოგადოების მოთხოვნილებათა ხანელმძღვანელო წესად მიღება ადამიანური არსებობის ყოველი განუყოფლობისათვის შეუფერებელი და უზნეო იქნებოდა. თუ მთელ სინამდვილეს უწინ ევრსალური წარმოდგენა გვექნებოდა, მაშინ გვეცოდინებოდა კიდევაც ის, რაც ადამიანისათვის ნამდვილად სასარგებლოა, რაც ნამდვილად მისი მოთხოვნილებაა, ამით ყველა ჩვენი საქციელის აბსოლუტურად სარწმუნო კრიტიკიუმაც ხელთ გვექნებოდა. ფაქტურად კი ჩვენ მხოლოდ სინამდვილის ნაწყვეტებს (ფრაგმენტებს) ვცვდებით. ამიტომ, დაასკვნის პ. ელენი, ზნეობრივად მოქცევა, პირველ რიგში, ნიშნავს აქტიურ ღიაობას (Offenheit) სინამდვილის ტოტალობის მიმართ (გვ. 228).

საბჭოთა ეთიკაში ერთ-ერთ საკანონო საკითხს წარმოადგენს ზნეობაში კლასობრივისა და საყოველთაოს მიმართების საკითხი, ბევრ საბჭოთა ეთიკისთან (პ. ტუგარინოვი, ა. შიშკინი, გ. ანისიმოვი და სხვ.), პ. ელენის მიხედვით, საკაცობრიო ზნეობის მხოლოდ სიტყვიერ აღიარებას ვხვდებით (გვ. 879). საბჭოთა ეთიკაში ზოგადსაკაცობრიო ზნეობის არა მარტო აღიარების, არამედ, აგრეთვე, დაფუძნების დამსახურება ეკუთვნის პროფ. გ. ბანძელაძის (გვ. 889). ამას-13. „მაინე“, ფილოსოფიის, სერია, 1974, № 4



თან დაკავშირებით, ავტორს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი პროფ. გ. ბანძელაძის წიგნიდან («Опыт изложения системы марксистской этики», Тбилиси, 1963). აქ ავტორი გ. ბანძელაძის მსჯელობიდან გამოყოფს რამდენიმე მომენტს.

პროფ. გ. ბანძელაძის მიხედვით, სპაცობრიო შორალის მატარებელი არის პროლეტარიატი, შრომელთა კლასი. შრომელებს უველანე მეტად ახასიათებთ „სოლიდარობა“ ანუ „ადამიანური გრძნობა“. ამ უკანასკნელს გ. ბანძელაძე უწოდებს „კეთილ ნებას“ (კანტის ტერმინია, ავტ. შენიშვნა). არ არსებობს პროლეტარული ან ბურჟუაზიული კეთილი ნება. ეს უკანასკნელი კლასობრივი ფენომენი არ არის. პროფ. გ. ბანძელაძე, წერს ავტორი, ყოველთვის აღწევს იმას, რომ მკითხველი ჩააფიქროს, მისთვის ნათელი გახადოს რომ პროლეტარულს და ზოგად-ადამიანურად ზნეობრივის ერთმანეთთან გაიგივება თავისთავად გასაგები რამეა არ არის, არამედ სერიოზულ დასაბუთებას მოითხოვს. მიუხედავად პროფ. გ. ბანძელაძის ცდისა გადაეწევიტა ეს საკითხი, მაინც იხადება კითხვა, მიაღწია თუ არა ავტორმა იმას, რომ ზოგად-ადამიანურის იგივეობა პროლეტარულ ზნეობასთან საკმაოდ ნათელი გაეხადა, შეძლო თუ არა ავტორმა იმის მიღწევა, რომ ფაქტიურად საჭიციელი და განსაზღვრული კლასის „ცნობიერება“ ზოგად-ადამიანური „ზნეობრივი გრძნობის“ საზომად არ მივიღოთ. ამგვარი კითხვა მაინც რჩება, მიუხედავად პროფ. გ. ბანძელაძის მიერ მისი გადაჭრის სერიოზული მცდელობისა.

პ. ელენი ლაპარაკობს „ნორმატიულ-ადამიანურის“ უპირატესობის შესახებ „ადამიანურთან“ როგორც საზოგადოებრივ პრობლემატთან. ამ უპირატესობას ვერ აჩვენებენ საბჭოთა ეთიკაში ისეთი ცნობილი ავტორები, როგორც არიან პ. ტუგარინოვი, ი. ტიტარენკო და სხვა. ამ უპირატესობის უღრმესი გაგება მოცემულია გ. ბანძელაძესთან (გვ. 404). გ. ბანძელაძის მსჯელობიდან პ. ელენი გამოყოფს რამდენიმე მომენტს: 1. ადამიანს პატივი უნდა ცვეთ არა იმიტომ, რომ მას სარგებლობა მოაქვს, არამედ — იმიტომ, რომ ის ადამიანია; ადამიანში უნდა გვეყვარდეს ის, რაც მას ადამიანად აქცევს. ყველა ადამიანის ამ ზოგად არსებას უწოდებენ „ადამიანურობას“ („Опыт“, გვ. 278, 276, 300, 347). ამით იხიცაა გამოთქმული, რომ ადამიანის არსება, მისი ადამიანურობა ყველა ისტორიული ფორმაციისათვის, ყველა საზოგადოებრივი სისტემისათვის ნორმატიულია (იკვე).

2. პროფ. გ. ბანძელაძის მეორე მიწვევლოვანი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის არსება ვლინდება უნარში — აკეთოს ზნეობრივი სიკეთე: „ზნეობა არის ადამიანის მთავარი ღირსება, ადამიანურობის არსება“ („Опыт“, გვ. 27).

ამ საკითხში ავტორი ძალიან აახლოებს ერთმანეთთან ი. მილნერ-ირინინისა და ზ. კაკაბაძის თვალსაზრისებს. სასურველი იყო აქ მეტა სიზუსტე, რადგან მოცემულ საკითხში აღნიშნულ ავტორებს შორის, ჩვენი აზრით, უფრო მეტა განსხვავება, ვიდრე მსგავსება. ი. მილნერის მიხედვით, ადამიანი ისეთი არსებაა, რომელიც თავისში ატარებს თავისი თავის ვართ გასვლის სწრაფვას „სიკეთის იდეალის შესატყვისად“. ზ. კაკაბაძის მიხედვით, ადამიანი თავისუფალ-შემოქმედებითი-აქტიური არსებაა. ამ სამ ცნებაში მოცემულია ადამიანის უმაღლესი ყოფიერების მიზანიც და საშუალებაც. მილნერი ადამიანში ხედავს რევოლუციური ბუნების მქონეს, მაგრამ რევოლუციური ბუნება ყოველთვის თავისუფლება-შემოქმედებით არ ხასიათდება.

წიგნის სულ ბოლო მონაკვეთში ავტორი — პ. ელენი — განიხილავს კომუნისტური ადამიანის სათნოებებს, როგორც იგი საბჭოთა ეთიკაშია გადმოცემული და მასთან დაკავშირებით სიძულვილისა და ზნეობის მიმართების, საერთოდ, სიძულვილის ფენომენის ადგილს საბჭოთა ეთიკაში.

სიძულვილი შეუთავსებელია ჰუმანიზმთან, ადამიანის სიყვარულთან. მეორე მხრივ, საბჭოთა ეთიკის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს წარმოადგენს შორალის კლასობრიობის პრინციპი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ კლასობრივი მტრების სიძულვილს გულისხმობს. ამ პოზიციაზეა საბჭოთა ეთიკისების დიდი უმრავლესობა. ამ საკითხის ირგვლივ, ისევე როგორც ბევრ სხვა საკითხში, გამოირჩევა პროფ. გ. ბანძელაძის მსჯელობა. იგი ლაპარაკობს არა ადამიანების სიძულვილის შესახებ, არამედ ბოროტი ადამიანების ან ბოროტი ნების სიძულვილის შესახებ. ამით ერთგვარად შერბოლებულია ის პოზიცია, და ის ვანწყობა, რომელიც შორალის კლასობრიობის საფუძველზე სხვა ადამიანების (კლასობრივი მტრების) სიძულვილს გულისხმობს.

შრომის ბოლოში მოყვანილ დასკვნებში მოკლედ შეჯამებულია საბჭოთა ეთიკაში არსებული ძირითადი ტენდენციები.

მიუხედავად იმისა, რომ პ. ელენის წინამდებარე შრომა მოცულობით საკმაოდ ვრცელია (439 გვ.), ზოგიერთი საკუთარი მოსაზრება ავტორს ძალიან შეუქმნულად აქვს გადმოცემული, რაც აძინებებს მის განხილვას და შეფასებას (მაგ. თავისუფლების შესახებ გვ. 297—321, სიკეთისა და ბოროტების შესახებ, გვ. 274, ზნეობრივი ღირებულების თავისებურების შესახებ გვ. 105).

პ. ელენი თავის წიგნში ვერ ასცდა ერთ გაუგებრობას, რომელსაც ჩვენში, მართალი უნდა ითქვას, სათანადო ყურადღება არ ექცევა. საქმე ეხება ფილოსოფიური ეთიკის განუსხვავებლობას არაფილოსოფიური ანუ, სხვანაირად, გამოყენებითი ეთიკისაგან. ეთიკაში ყოველთვის იყო და ახლაც არის ორი ძირითადი ნაწილი: პირველი, რომელიც მოცემული მეცნიერების საგნის, კანონების, კატეგორიების არსს იკვლევს და მეორე, უკვე დადგენილი მოსიციის, წესებისა და პრინციპების მოხმარება, შესაბამის მოვლენებთან, ვითარებებთან, სიტუაციებთან.

პ. ელენის მიზანია ფილოსოფიური ეთიკის გამოკვლევა-გადმოცემა. მაგრამ იგი ზოგჯერ ისეთ შრომებსაც განიხილავს, რომლებშიც საკუთრივ ფილოსოფიური ეთიკის კვლევა არაა წარმოდებული (მაგ. ვ. გ. ივანოვი, ნ. ვ. რუბაკოვა — „მარქსისტულ-ლენინური ეთიკის ნარკვევები“, ლენინგრადი, 1963; ლ. მ. არხანგელსკი — მარქსისტული ეთიკის კატეგორიები, მოსკოვი, 1963; ვ. მოკოლუხოვის, ა. ანისიმოვისა და სხვ. შრომები). ეს კი აძინებებს საბჭოთა ეთიკის პასუხი ფილოსოფიური ეთიკის ამა თუ იმ პრობლემაზე, ამ მიზნით იგი უყურადღებოდ არ ტოვებს საბჭოთა კავშირში ეთიკის ყველა საკითხზე გამოსულ მცირე წერილსაც კი. ეს გარემოება მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის ავტორს შრომის უმთავრესი მიზნის (ფილოსოფიური ეთიკის გადმოცემა) სრულად განხორციელებაში.

ავტორი საინტერესოდ განიხილავს ზნეობისა და საზოგადოების, ინდივიდის ზნეობრივი ღირებულებისა და საზოგადოების მიმართების საკითხს. საკითხი ასეა დაყენებული: ინდივიდის ზნეობრივ ღირებულებას საზოგადოება განსაზღვრავს, საზოგადოებას ექვემდებარება ის მთლიანად, თუ ინდივიდი თვითონ არის თავისი ზნეობრივი ღირებულების განმსაზღვრელი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორთან ძალზე მკაცრად არის წარმოდგენილი ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირება<sup>3</sup>. საკითხის ასე დაყენება არ უნდა იყოს გამართლებული. ინდივიდი საზოგადოების წევრია, ინდივიდს ყოველთვის გააჩნია თავისი ინდივიდუალური ნიშნები, მაგრამ ძირითადად ის ყოველთვის საზოგადოებითაა განსაზღვრული. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირებაზე, ჩვენ ვეთანხმებით და შემდეგ ლაპარაკობს ინდივიდისა და საზოგადოების დამპირისპირებაზე. ჩვენ ვეთანხმებით პ. ელენს, რომ ინდივიდისა და საზოგადოების მიმართების საკითხის კვლევა აგრეთვე ეთიკის საქმეა, მაგრამ ფილოსოფიური ეთიკის საკუთარი საქმე, მისი ძირითადი საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულების საკითხია. ეთოსის სტიქიიდან წამოსულმა ყველა საკითხმა აქ უნდა პპოვოს თავისი საბოლოო ნათელყოფა.

დაბოლოს, არ შეიძლება ორივედ სიტყვა არ ითქვას პ. ელენის შრომის ძირითადი პათოსის შესახებ: ეს არის საბჭოთა ეთიკასთან თავისუფალი დისკუსიის პათოსი. დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ატმოსფერო შედარებით დაიწმინდა, უფრო ნორმალური გახდა, თავისუფალი დისკუსიისათვის ბურჟუაზიული და საბჭოთა ეთიკის წარმომადგენლებს შორის ფართო პერსპექტივა გადართვა. საბჭოთა მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან, განსაკუთრებით ხელშეკრულება კულტურული ურთიერთობის შესახებ, საბჭოთა და ბურჟუაზიულ მეცნიერთა ურთიერთობაში სახვს ახალ გზებს. საბჭოთა მარქსისტული ეთიკა შეიძლება ვითარდებოდეს არა მარტო საკუთარი, (ადგილობრივი) მსაღლის საფუძველზე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მოწინააღმდეგე ეთიკურ თეორიებთან ბრძოლაში, დისკუსიებში. მარქსისტულ ეთიკას თავის არსენალში გააჩნია ყველაფერი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს წარმატებით აწარმოოს ეს ბრძოლა და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს.

<sup>3</sup> ავტორის მთელ მსჯელობას საფუძვლად უდევს რუსული „Личность“-ის გაიგებება „ინდივიდთან“. ეს კი ყველა კონტექსტში და ყველა საკითხში მართებული არ არის.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოქორაძე  
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-95-46 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.1.1975; შეკე. № 2866; ანაწყობის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 17,15; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 15,13; უე 00102; ტირაჟი 600;  
ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

⋆

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ფასი 1 მან.

83/38

Индекс 76 196

